წინათ სახლი სხვიდასხვა სახის ჩალით, ყავრით და ქართული კრამიტით იხურებოდა. პრაქტიკული გამოყენება აქვს ქართულ მოქობილ კრამიტს, იგი გატეხილიც იხმარება. რუსული კრამიტით სახლს უფრო ეკონომიური თვალსაზრისით ხურავენ, ის იაფი ჯდება. ახლა სხვიდასხვა სახის კრამიტთან ერთად შიფერს და თუნუქსაც ხმარობენ.

წულ სახლს, როგორც მთხრობლები აღნიშნავენ, ოს-სახლის ტიპები და ტატი არ უნდოდა, ყველა თვითონ იკეთებდა. მიწაზე მათი აღწერილობა. ქვებს დააწყობდნენ, შემოატალახებდნენ და ზედ დაადებდნენ ოთხ ბოლოებით ერთმანეთში ჩასმულ დირეს, რომლებიც ახლო-ახლო იყო „ამობურავებული“

მანების ჩასამკლად. დირებშივე ჩასმული იყო სამი აფრა (|| იხანი). წნელი ცალბირად იწვნებოდა მანებზე. დახეტილი თხლის წნელით ნაკეთები კედელი ლამაზი იყო. კედლის დაწვნა ღობურად არ შეიძლებოდა, რადგანაც ის ძალიან სქელი გამოდიოდა. დაწულ კედელს და აფრას (|| იხანს) ზემოდან სარტყელს ადებდნენ. სარტყელზე კი კოჭები იდო. დირეს მსგავსად დახურავებული სარტყლის წინა და უკანა მხარეს ჩასმული იყო საყვავის დასადებად ორი აფრა. საყვავეს შუაში უკეთდებოდა სწრაფილი. შემდეგ აკავებდნენ საყვავეს. გახვრეტილი, ერთმანეთში გაყრილი კავებით, რომლის ბოლოები დირებზე იყო დამაგრებული. კავზე ლატანი იყო გაწყობილი და ზედ ჩალა იყო დადებული. ეს სახლი ან წალმით იყო დახურული, ან ლელით¹⁴. სახლს ლირსი არ ჰქონდა, მრგვალათ იყო დახურული. სამაგიეროდ მას უკეთდებოდა სანოვავის დასაწყობად თევზის ფხად ასმული წყებლის სხვენი. წული სახლის კარები ხისა იყო, სანათური ლასტისა, რომელსაც დილით აიღებდნენ და ღამით ჰკლუავენ.

¹² მასალები, ხელნაწერი, 1954 წ. მთხრობელი ვანო დიმიტრის ძე არსენიშვილი, სოფელ ივალთოს მცხოვრები, 83 წლის.

¹³ მასალები, ხელნაწერი, 1954 წ. მთხრობელი ქრისტეფორე ტიმოთეს ძე ყურაშვილი, სოფელ ივალთოს მცხოვრები, 71 წლის.

¹⁴ ლელი || შალაფი (ფშაური), ლერწამია. მასალები, ხელნაწერი, 1950 წ. მთხრობელი დავით ღონიაშვილი, ყვარულში მცხოვრები 80 წლის; ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1949, გვ. 29; წალამი—ვახის ნახსლავი, საბა.

მოწეული სახლის კედლები იღვსებოდა ხელით. მასალად საქონლის ნაქელს ან აყალო მიწას, საქონლის ნაქელს და ბზეს ერთმანეთში არეულს. ბზეს იმიტომ ურევდნენ, რომ კედელი არ დამსკდარიყო.

სახლის წინ გადმოდიოდა ჩალით დახურული ჩარდახი, რომელსაც საჩეხსაც ეძახდნენ, იგი დერეფნად იხმარებოდა. დერეფანს გვერდები ამოწეული ჰქონდა, წინ კი ღია იყო.

წეული სახლის¹⁵ შუა ადგილას დედაბოძი იდგა, რომლის წინ „სართალი“¹⁶ დასადები ჰქვის ან ხის კერა იყო მოთავსებული. ოთახში განიერი ტახტები იყო გამართული, რომელსაც დასაწოლად და ჩამოსაჯდომად იყენებდნენ; მასზე ნამჯის ნეჭა || კილობი¹⁷ იყო გამოლილი. წვებოდნენ ნეჭაზე და მოთელილ ნაბადზე, რომელსაც დილით კეცავდნენ და ერთ კუთხეში აწყობდნენ. თავს დებდნენ გრძელ ორნამენტირებულ ბარცაკალზე, რომელზედაც ორი ბალიში ეტეოდა. (ბარცაკალი მთხრობელთა გამოცემით მზითვის სავანი იყო). ოთახში იდგა ხის კოდები, კედელზე ჩამოკიდებული იყო ხის თარო ჭურჭლისათვის. ისხდნენ ნეჭაზე ან ხის კუნძებზე, ჰამდნენ ხონჩაზე ან ტაბაკზე, ზოგჯერ კი ლურჯ ხამის სუფრაზე. სინათლისათვის ღამე ჰრატქს ან ბიკვანს ანთებდნენ.

სამეურნეო ნაგებობანი მოწეულ სახლებს გვერდზე ჰქონდა მიდგმული, ან ცალკე იყო გამართული. მარნში ხის საწნახელი იდგა, და იქვე მიწაში ჭევერები იყო ჩაყრილი.

ზოგჯერ ცალკე ეწყობოდა ხულა, რომელშიაც ინახავდნენ სხვადასხვა ჯიშის პურეულს. საღორე ყველას არ ჰქონდა, ზოგი მას ბოსლის უკან ან მის გვერდზე აგებდა.

ფიცრული სახლი

ფიცრული სახლი ორი სახისა კეთდებოდა — ბოყვიანი და საყელურიანი. ბოყვი არის გვერდებზე ამოღარული სქელი ფიცარი, ანუ ძელი, რომელშიაც ფიცრის თავებია ჩამაგრებული. ბოყვი საბას განმარტებით „ხის ქერქის ჭურჭელი“ — ანდა კიდევ „ბოყვი — წაყულაკი წაგრძელებული“. არც აფრა და არც ბოყვი საბა ორბელიანს ნაგებობის ტერმინად ნახსენები არა აქვს. ქვ. იმერეთში აფრას ძველად ბოყვი რქმევია. იმერლების განმარტებით ბოყვი სქელი ფიცარია, რომელიც ნაპირებში ღრმად იყო ამოღარული. ასევე ესმით ეს ტერმინი სამეგრელოში — „ორ მხარეს ამოღარული ხე ფანჯრების ჩასაჯენად“¹⁸. ზემო რაჭული და ლეჩხუმური გაგებით — კი ბოყვი მხოლოდ ერთი მხრით ამოღარული სქელი ფიცარია, რომელშიაც ფიცრის თავებია ჩამჯდარი. გ. ჩიტაია ტერმინ დათვა — ბოყვას მეორე ნაწილის — ბოყვას შესახებ მიუთითებს, რომ იგი ბოძს, სვეტს, კარის ამყოლს აღნიშნავს, რომელზედაც სვეტია

¹⁵ მოწეული სახლის აღწერილობას იძლევა ჰაქსტაუზენი, პანტიუხოვი, პეტროლიდი, ბუმბაუერი, XVIII საუკუნის მოწეულ სახლს აღწერს გიულდენშტადტიც. მთელ რიგ მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით — „Обозрение Российских владений за Кавказом“, 1836.

¹⁶ მასალები, ხელნაწერი, 1950 წ. მთხრობელი კიმოთე სვიმონის ძე ჯამასპიშვილი, სოფ. ძველი გაჯახის (ყვარლის რაიონი) მცხ. 77 წლ.

¹⁷ მასალები, ხელნაწერი, 1950 წ. მთხრობელი გიო დავითის ძე აბროსიშვილი, სოფ. საბუეს (ყვარლის რაიონი) მცხოვრები, 69 წლის.

¹⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის მატერიალური კულტ. ისტორიიდან, I, 1946, გვ. 166.



მიმაგრებული¹⁹. ბოყვი ოთხი სახისაა: კუთხის ბოყვი, შუა ბოყვი, კარ-ფანჯრების ბოყვი.

ძირითადად ფიცრული სახლი უსაძირკვლოდ შენდებოდა. ოთხ ქვაზე დადებდნენ ჭვარდიანად ოთხ ღირეს, რომელთაც საყულოები ამოჭრილი ჰქონდა და ყელები ერთმანეთში გადაჰდობილი. ღირეების ქვეშ დარჩენილ ადგილს კვებით გამოავსებდნენ და ლამფით გამოაშენებდნენ. ბოყვის საშუალებით ყელების აგება ასე ხდებოდა. ღირეში ჩასმული იყო აფრა. ერთ ოთახს უკეთდებოდა დაახლოებით ექვსი აფრა; ოთხი გვერდებზე და ორი კართან, რომელიც ყედლის ფიცრების ჩასალაგებლად იყო ამოღარული. ფიცრებს ქილიკს დაუჭრიდნენ და იმით სხამდნენ ერთმანეთში (ქილიკი — ფიცარი დაჰდობილი ერთმანეთში გასაწყობად — საბა), კარების აფრაში ჯდებოდა მოკლე ფიცრები, ფანჯრის მოკლე აფრაში კი ჯდებოდა ფანჯარა. მოკლე ფიცრების ერთმანეთზე გადაბმა აფრით ხდებოდა. ოთხივე მხრივ ყედლების გავითების დროს, ერთი გვერდის ფიცარი, მეორე გვერდის ფიცარს კუთხეში ხვდებოდა და საყულოთი ერთმანეთში იკეტებოდა. ამოშენებული ყედლის ზემოთ დებდნენ სარტყელს, სარტყელზე კი ნალს ლურსმავდნენ. ამრიგად ყედლის აყვანაც დამთავრებულად ითვლებოდა. ნალზე აწყობდნენ კოჭებს, რომლებიც ამოჭრილი საყულოთი ერთმანეთში იჯდა. კოჭების ერთმანეთთან დაკავშირებას იხსენებდნენ გადამბას ეძახდნენ. გადამბისათვის კი საქარო იყო, რომ თითოეულ მათგანს სათანადო ადგილას ყბა ჰქონდა ამოღარული, მიჭრილი. ამოჭრილი კოჭის თავსა და ბოლოში ჩასხმული იყო ორი სწრაფი ილი, რომელზედაც საყვავე იყო გადებული. გრძელ შენობაში საყვავეს უკეთდებოდა მარაწყუხები, სიმაგრისათვის კი ე. წ. ხის ბოჭკის ტი. ძველად, როდესაც ლურსმანი არ იშოვებოდა, კავების თავებს ერთმანეთზე აბამდნენ; შემდეგ კი საყვავეზე კავს აწყობდნენ და ლურსმავდნენ.

მალა კოჭს ამოყვანილი ჰქონდა საქარე, რომელზედაც საქარის სანთლი ორსის ფიცარი იყო გაჭრული.

ასეთ სახლს ძველად ერთი მთლიანი ხის კარები ჰქონდა, რომელიც აფრაში იჯდა. კარების თავზე ქუდი იყო მოთავსებული, რომელშიაც კარები საყუნწურით იყო აყრილი. კარებს დაბლაც საყუნწური ჰქონდა გაკეთებული და ფილში ტრიალებდა. ფილი ერქვა კარების ძირში ამოჩქუტნულ ადგილს²⁰. ფიცრულ სახლს თავიდანვე ფანჯრის მაგიერად სანათური ჰქონდა ამოჭრილი და კვამლი როცა დადგებოდა, სანათურს ფიცარს ამოაძრობდნენ კვამლის გასასვლელად. სინათლე ოთახში ძირითადად გაღებული კარიდან შემოდებოდა, ვისაც შეძლება ჰქონდა, სხვენზე ფიცარს აკეთებდა, ვისაც არ შეეძლო თევზის ფხურათ დაწნულ ლასტს გაუდებდა სხვენზე და კამეჩის ნეხვით გაღვსავდა.

სახლის მალა ბოლის ასასვლელი საბოლღე ჰქონდა. შუა ადგილას საყვავის მწვედომი კაპებიანი დედაბოძი იდგა, რომლის წინ რკინის ან ქვის კერა იყო მოთავსებული. სახლის კოჭზე ჩამომხული იყო ჯაჭვის ან წნულის საკიდელი, რომელსაც ხის ყაკუტი უკეთდებოდა ყურიანი ქვების ჩამოსაკიდებლად²¹. ამგვარად შენდებოდა საერთოდ ხის სახლები.

¹⁹ გ. ჩიტიანი, აჭარული დათვა—ბოყვი, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. X, 1940.

²⁰ შინარეწველობის მასალები—დათარი № 1.

²¹ მასალები: ხელნაწერი, 1950 წ. მთხრობელი ნიკო სოსიკის ძე კურდღელაშვილი. სოფელ საბუეს მცხოვრები, 68 წლისა.

სხენებული სახლები შემდეგნაირად იყო შიგნით მოწყობილი. ერთ მხარეს განიერი ტახტი იყო მოთავსებული, მეორე მხარეს კი ხის კოდები და კოდონაწი იდგა. პურისა და ჭურჭლისათვის კედელზე ხის თარო იყო გაკეთებული. მთელი ოჯახი ამ ერთ ოთახში ცხოვრობდა, ერთ კუთხეში უფროს თაობას ეძინა, მეორეში კი უმცროსს. მარანი და გომური ამ სახლს გვერდზე ჰქონდა.

პანტიუხოვი თავის შრომაში „О пещерных и позднейших жилищах на Кавказе“, რომელიც 1896 წ. გამოვიდა, აღწერს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ სახლის ტიპებს. ავტორი თელავის რაიონისათვის მოწნულ სახლთან ერთად ასახელებს ცუდად გათლილი ფიცრული სახლის ტიპს, რომლის შინაგანი კონსტრუქცია მოწნულ სახლთან შედარებით იგივე დარჩენილა, დახშული უსინათლო ოთახი მიწურითა და შუაცეცხლით, რომლის ბოლი გადიოდა ორი მოპირდაპირე კარიდან. ცუდად შეკრული კედლებიდან და სახურავიდან. პანტიუხოვი ეხება ამ სახლში მცხოვრებთა სანიტარულ მდგომარეობასაც²².

ასეთი იყო კახეთში ძველად გავრცელებული ხის სახლი აგებისა და მისი შიდა მოწყობილობის მხრივ.

ფიცრულმა სახლმა გაიარა განვითარების საფეხურები, რომელიც უპირველესად სახლის საცხოვრებელი ფართობის და მის დეკორატიული მხარის შეცვლაში გამოიხატა. იგი კვადრატული ვახდა, ერთ ან ორ ოთახიანი. მის გვერდზე აშენდა სამზარეულოს დანიშნულების პატარა ნაგებობა, მარანი და გომური კვლავ სახლის ერთ მხარეს დარჩა. ასეთ სახლში არც დედაბოძი იყო და ზოგჯერ არც კერა. კერის ადგილი ბუხარმა დაიკავა. ძველებური ხის ტახტებისა და სარკების მაგივრად გაჩნდა ხის ან რკინის საწოლები და საქმლის კარადა. სხვენი ფიცრის ჭერმა ე. წ. ლამფამ შეცვალა, ოთახის იატაკი ფიცრით მოიგო, გაკეთდა დიდი მინიანი ფანჯრები და გულიანი კარები. ოთახის წინ გაკეთდა აივანი კიბით და მოაჯირით — დონჯაზით. ჩალის მაგივრად სახლი ყავრით ან კრამიტით დაიხურა.

განვითარების შემდეგ საფეხურზე სახლი შეიცვალა როგორც გეგმით, ასევე შიგნითა საცხოვრებელი ფართობით და კონსტრუქციით. აქ უკვე გრძელი ფიცრული სახლის მხოლოდ შინაგანი გადაკეთება კი არ მოხდა, არამედ იგი გარეგნული ფორმითაც შეიცვალა; ის ორსართულიან სახლს წარმოადგენს, რომლის ქვემოთ გომურია მოთავსებული.

ჩვენ ხელთ ვაქვს ცნობა, რომელსაც პეტცჰოლდი ორსართულიანი ფიცრული სახლის შესახებ იძლევა. საყურადღებოა, რომ ამ სახლის მეორე სართულის ოთახს მიწის იატაკი აქვს და მასზე შუა ცეცხლია წარმოდგენილი²³.

ასეთი სახლი ზოგ შემთხვევაში ერთთავლიანი იყო, ზოგ შემთხვევაში კი ორი და სამი. ასევე სხვადასხვანაირი იყო სახლის შინაგანი კონსტრუქცია; იატაკი ზოგს ფიცრისა ჰქონდა, ზოგს კი მიწის. სახლის მეორე სართულის კედლები (ძველისაგან განსხვავებით) კარგად დამუშავებული ხის მასალისაგან იყო აგებული.


ქვიტიკრის სახლი. ქვიტიკრის სახლსაც განვითარების საფეხურები აქვს განვლილი. რაც გეგმის ასევე კონსტრუქციულ და დეკორატიულ ცვლილებაში გამოიხატა.

²² И. И. Пантюхов-ის დასახ. ნაშრ., გვ. 97.

²³ A. Petzholdt, Der Kaukasus. B. 1, Leipzig, 1866, გვ. 30.



ქვის სახლი ერთოთახიანი გრძელი ხევის ქვით ნაგებია (სურ. 4), რომელსაც მეტად განიერი კედლები ჰქონდა განჯინების, თახებისა და წალოების დასატანებლად. მთბრობელის გადმოცემით, „ზოგი იმოღვნა თახჩას ჩაატანდა კედელს, რომ ერთი ურემი მარილი ჩავიდოდა“.



სურ. 4. ერთსართულიანი ქვის სახლი, სოფელი ენისელი

(ყვარელი). ეს სახლიც საწათურებიანი იყო; კარიც ისეთი ჰქონდა; როგორც ძველ ფიცრულ სახლს — ქართული ცალი კარი. სახლი დახურული იყო ჩალითა და ჩადუნით. ოთახში დედაბოძი იყო გამართული და შუა ცეცხლი ენთო. სახლს გვერდზე ბარანი, უკან კი ხულა და ბოსელი ჰქონდა მიშენებული.

კონსტრუქციულად შეცვლილი ქვის სახლი შემდეგ ასე გამოიყურება. ოთახს უკეთდება საშუალო ზომის და ოთხკუთხედი ფორმის უთალო ფანჯრები. ისობა კერა და დედაბოძი. გათბობა თუნუქის ლუმელით ან ბუხარით ხდება. კეთდება ფიცრის იატაკი და ფიცარგაკრული ქერი. კერის მოსპობამ ძირითადად სამზარეულო ოთახი გვერდზე გადაიტანა. სურსათის შესანახავად სახლს გაუკეთდა ღირსი და დიხურა ყავრით ან კრამიტით. თახჩები და წალოები კვლავ დარჩა. ხის ტახტების ადგილი, ხის საწოლებმა დაიჭირა. რიყის ქვასთან ერთად მშენებლობაში თანდათან დაიწყო ქართული აგურის გამოყენება. როგორც ვხედავთ ფასადი აქაც უცვლელი რჩება, იცვლება მხოლოდ შინაგანი კონსტრუქცია.

როგორც თანამედროვე ყოფიდან კარგად ჩანს, მოისპო ქვის გრძელი სახლი და მასზე მიდგმული სამეურნეო ხასიათის ნაგებობანი; ყოველივე ეს ძირითადად ერთ ჭერქვეშ მოექცა, გაბატონდა ქვისა და აგურის ორსართულიანი სახლები, რომელთა ქვედა სართული ძირითადად სამეურნეო დანიშნულებისათვის არის გამოყენებული, მეორე კი საცხოვრებლად (იხ. ტაბ. III—IIIა სურ. 5). დიდი ყურადღება მიექცა სახლის როგორც შინაგან, ასევე გარეგან მოპირკეთებას. შეიცვალა სახლის დეკორატიული მხარეც, რაც ძირითადად თალიანი

ფანჯრების, მოჩუქრომებული აივნისა და ქდეული ხის ბოძების გამოიხატა. აღსანიშნავია ის მთავარი გარემოება, რამაც სახლს მთლიანად უცვალა სახე—ეს გახლავთ კერის ბუხრით შეცვლა. ამავე გარემოებამ ახლებური სახლის ძირითადი უპირატესობა განსაზღვრა ძველთან შედარებით.



სურ. 5. ორსართულიანი ქვის სახლი ვომურით, სოფელი გრემი

პანტიუხოვი აღნიშნავს, რომ სახლის კონსტრუქცია ძირითადად შეიცვალა ვლენთა განთავისუფლების შემდეგ. თელავის რაიონში მოწეული და ფიცრული სახლის გვერდით გაჩნდა ქვის სახლი²⁴.

პეტცჰოლდის ცნობაში აღნიშნულია, რომ მოწეული და ფიცრული სახლის პარალელურად ორსართულიანი ქვის შენობაც უშენებიათ, სამწუხაროდ, ამ სახლის აღწერილობა ავტორს მოყვანილი არა აქვს²⁵.

მთელ რიგ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ბუმპაუერი ავტორი იმ დროისათვის (მან იმოგზაურა 1924 წ.) თელავის რაიონში სახლის გაბატონებულ ფორმად ქვეტკირის ორსართულიან სახლს მიიჩნევს, რომლის პირველი სართული ორ ნაწილად იყოფა: მარანი და სამზარეულო ბუხრით, მაგრამ იგი ზოგჯერ შუა ტექსტიანი სამზარეულოს არსებობასაც ადასტურებს. პირველი სართულის მასალად გამოყენებულია რიყის ქვა. მეორე სართულის მასალად თლილ აგურს ხმარობენ. პირველი სართული მეორეს უკავშირდება კიბით. მეორე სართული სამი ოთახისაგან შედგება, ერთი დიდი და ორი პატარა; მათი იატაკი და კერი ფიცრულია. ყოველ ოთახში ფანჯარაა გაჭრილი. სასტუმრო ოთახის კედლების გასწვრივ ტახტებია მოთავსებული. დანარჩენი ორი ოთახი ევროპული ავეჯითაა მოწყობილი. სახლის საზურავი ორფერდაა, დახურულია კრამიტით. გვხვდება აგრეთვე ყავრით დახურული სახლები, მეორე სართულს წინ დახურული აივანი აქვს გაკეთებული.

²⁴ Пантюхов-ის დასახ. ნაშრომი.

²⁵ A. Petzholdt-ის დასახ. ნაშრომი.



ავტორის აზრით, ამ სახლის უპირატესობა სხვა სახლებთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ კერა პირველ სართულში გადავიდა, ხოლო მაღლა მისი ადგილი ბუხარმა დაიკავა. უკანასკნელ ხანებში ბუხრის პარალელურად ხმარებაში რკინის ღუმელი შემოვიდა. მეორე უპირატესობა ეს არის შუშის ფანჯრების გაჩენა, სამზარეულოს საცხოვრებელი სახლიდან გამოყოფა და ოთახის კეთილმოწყობა.



სურ. 6. ორსართულიანი ქვის სახლი, ქუჩისპირა ფასადით, სოფელი იყალთო

უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ისეთი სახლების მშენებლობა დაიწყო, რომელიც აღწერილი ქვიტკირის სახლისაგან განსხვავება როგორც გვევლით, ასევე კონსტრუქციულად და დეკორატიულად.

ორსართულიან ქვის ან აგურის სახლებს უკეთდება ოთახის ხარჯზე ქუჩისპირა ფასადი (სურ. 6) და ეზოს ფასადი ცალმხრივი ან ორმხრივი მიხედვით აივანით. გამრავლდი ოთახების რიცხვი. გაჩნდა სასტუმრო ანუ „დალაგებული“ ოთახი და მის გვერდით ცალკე საბავშვო ოთახი, ბავშვების სამუშაო ოთახი, დასაძინებელი ოთახი უფროსთათვის. ვხვდებით ოთახების გვერდზე აივნის კუთხეში, მისი ნაწილის ხარჯზე, ბუხრიან სამზარეულოს. სამეურნეო ნაგებობანი კვლავ პირველ სართულში რჩება: ასეთია შარანი, საკუჭნაო, სამეურნეო იარაღებისათვის განკუთვნილი ოთახი, სანოვავის შესანახი ოთახი და ზოსელი. ზოგიერთი ნაგებობა, მაგ., ხაღორე, საქათმე და თონე ხშირად სახლისაგან არის გამოყოფილი და ერთი საერთო ნაგებობის ქვეშ ტიხარით გადაკედლილ სათავსოებშია მოქცეული; აქედან სათონეს ერთი კედელი ღია აქვს. დიდ-ყურადღება ექცევა სახლის როგორც გარეგან (სახლის კედლები ცემენტით ილესება, სახურავის ქუჩისპირა მხარე თუნუქით იხურება), ასევე შიგნით: დეკორატიულ მხარეს (კედლები ზეთის საღებავით იღებება და ბინა ქალაქურთ ავეჯითაა მოწყობილი).

როგორია ძირითადად ახელი სახლის აგების ტექნიკა, მისი გეგმა დეტორაციული და კონსტრუქციული ცვლილება და დახარჯული მასალის რაოდენობა.

ორსართულიანი, ქვიტკირის „სახლის ასაშენებელი“ დაახლოებით საჭიროა 9—10 „საყენი“ რიყისა და ნახევარი „საყენი“ ხურდა ქვა“. კირი არა ნაკლები 700 ფუთისა, რომლის დაწვას 90 კუბომეტრი შემა ქირდება. სახლის კუთხეებსა და კარ-ფანჯრებში აგურის წყობას 1500 ცალი აგური ქირდება, ლამი კი 80 ურემი. თითო ოთახს 20 ურემი ლამი უნდა თავის ბათქაშით („ბათქაში ქვის პირის ლესვია, წმინდა ლესვა კიდევ სხვა არის“).

ყველა ამ მასალის მოწოდების შემდეგ გვემის მიხედვით საძირკვლისათვის მიწის გადაზომვა და გაჭრა იწყება. მიწის გადაზომვას მიწის ანგში (ფარგალში) მოყვანას ეძახიან. საძირკვლის სიღრმე მიწაზე დამოკიდებული. მთხრობლების გადმოცემით, თუ ნიადაგი ბოშია და ტინი (სიმაგრე) ახლო არა აქვს, საძირკველი ღრმად უნდა ამოიღონ, რომ კედელი არ გაიფონოს (არ გასკდეს), ამიტომ საძირკველს ზოგან მეტრზე მეტს თხრიან, ზოგან კი ნაკლებს. რბილ ნიადაგზე მიწა 1 1/2 ან 2 მეტრი ითხრება, მაგარზე კი მეტრი. საძირკვლის ამოჭრის დროს აიზილება კირი, რომ დაუშლელი კირი არ დარჩეს, შენების დროს არ აფუცდეს და კედელი არ დაშალოს. საძირკვლის ამოშენების დროს კვლავ ხდება კირის გადახელება, რასაც კირის გამჩვილებას ეძახიან.

როდესაც საძირკვიდან მიწას მთლიანად ამოიღებენ, ხარჯში ჩადებენ ერთ ფენა მსხვილ ქვას, მათ შუა დარჩენილ ადგილზე კი ჩაეწყობა გულის გამოსაქსები ხურდა და ხეჭვი ქვა მთხრობელთა გადმოცემით „გული რომ არ ჩაეწყოს, კედელი ფეხზე არ დადგება“. პირველად ჩაწყობილი ქვის ასეთ წყობას ზემოდან დაეხსმება თხელი კირი, რომელიც თოხით ან ნიჩხით აითქვიფება და შემდეგ ქაფით გასწორდება, რის შემდეგაც იმავე წესით ქვის მეორე ფენა ჩაეწყობა და ა. შ. ამოსავსებად საძირკველს ზოგ ადვილას სამი ქვის ფენა ყოფნის, ზოგან კი ოთხი და ხუთიც ქირდება. როდესაც საძირკვლის ამოშენება დამთავრდება, იგი გასწორდება თარაზით და გადაილეგება. ამის შემდეგ ვაყვებიან გამბულ ლარს და ერთ ფენა ქვას ყუნჭულამდე — კუთხემდე დაეაწყობენ, რომელზედაც ნალს დადებენ. ნალზე გაეწყობა 12 მუხის კოჭი. როდესაც საძირკვლის და ერთი ფენა ქვის დაწყობა დამთავრდება, ერთ მეტრზე ერთმანეთის გადაბმის მიზნით შენდება აგურის გარეთა და შიგნითა მთავარი კუთხეები. ერთი კუთხის შემდეგ შენდება დანარჩენი სამი კუთხე, რის შემდეგაც შენობის გასაშუალება კარების ჩარჩოს დაყენებით ხდება. ამის შემდეგ იწყება კედლის აშენება. დაეწყობა მსხვილი ქვა და ქვის ზედაპირის სისწორისათვის თალაში ქვა, რომელთა ერთმანეთზე დაშენება კირით ხდება. კედელში ჩაეწყობა მუშტა ხურდა ქვა და კედლის საბოლოო ამოყვება წვრილი ხურდა ქვით ხდება. ასე ჩაეწყობილ ქვებზე დაეხსმება გათხელებული კირი. ამის შემდეგ კედლის მაღალი და დაბალი ადგილების გასასწორებლად კვლავ გაატარებენ მსხვილ თალაშ და კიტრა ქვას, სახლის ქვედა სართულის კედელი ერთი სისქის შენდება, იმის გათხელება არ შეიძლება. როდესაც კედელი ფანჯრის ჩარჩოს ზომამდე მივა (დაახლოებით 70 სანტიმეტრის სიმაღლეზე) დადგება ოთხი ფანჯრის ყუნჭული — კუთხე და ფანჯრის ჩარჩო. ფანჯრის ჩარჩო კედელში ოთხი ყურის საშუალებით მაგრდება. თითოეულ ყურს იჭერს კუთხის პირველი გამოწეული აგური, რომელიც სხვა აგურებისაგან სამი სანტიმეტრით არის დაშორებული. კედლის ერთად აშენება არ შეიძლება, კედელმა უნდა დისვენოს. „კედელი რომ ერთად აშენდეს, მოზავდებაო“, გად-



მოგვეცემენ მთხრობლები. დაბლა კედელი რომ გაშრება, მაღლა კედელი შეენდობა უნდა აშენდეს, გამშრალი კედელი ზემოთა სიმიძიშეს კარგად დაიჭერს. მშენებლობის შეჩერების დროს საღამოს კედელს რამე უნდა გადაეფაროს, რომ ის წვიმამ და ნაშამ არ დასველოს. საყურადღებოა ისიც, რომ აგურიან აშენებული კედელი შიგნით ოთახში უნდა დაქანებული, ხოლო რიყის ქვით ნაგები კედელი უკან, გარეთა მხრიდან უნდა ჰქონდეს დაქანება. როდესაც კედელი ფანჯრისა და კარების თაღამდე აშენდება, კედლის სიგანის მიხედვით კეთდება თალი ფანჯრისა და კარისათვის. ქვემო სართულში კეთდება სწორი ანუ ქიზიყური ვაკე თალი. თალის გაშრობა აუცილებელია. ამის შემდეგ ხდება ჩარჩოს გამოყრა. როდესაც თალის გაკეთება დამთავრდება, ე. ი. როდესაც თალი საკოჭედ მოიყვანება, დაიწყება თალაში ქვით თალის თავის გადასწორება. საკოჭედ გასწორებულ კედელზე, იქ სადაც კოჭი ხვდება, დაიდება ხის ნალი, რომლის მხოლოდ მაღლითა პირი სალაშინდება. ნალი ოთხდაა დახვრტილი ბოძების ქუსლებისათვის. აივნის კედლის მხარეს საჭიროა ორი ნალი, ერთ ნალზე დაილურსმება აივნის კოჭი, მეორეზე კი იატაკისა. ამავე დროს უკანა კედლის შიგნითა პირზეც კეთდება ნალი. ნალი ანუ ნალო ნახევარი კედლის სიგანეა, რომლის შიგნითა პირი კედელს უსწორდება. კოჭს გათლილი აქვს ოთხივე კუთხე, რომლის სიგანე მის სიმაღლეზე ნაკლებია. კოჭს ასე იმიტომ თლიან, რომ მკვიდრი (მაგარი) გამოვიდეს და არ გამარულდეს. თითოეული ოთახისათვის ნალზე წაბლის ან მუხის 6—7 კოჭი ილურსმება. ამის შემდეგ გადაილესება კოჭის თავი და დამთავრდება დაბლა სართულის შენება, შეიჭრება დაბლითა კედელი. მაღლა კედელი თხელი შენდება. მაღლა კედლის სისქე დაახლოებით 50 სანტიმეტრია, დაბლისა კი—73, კოჭის შემდეგ იწყება კედლის აშენება. ოთხივე კუთხივ კვლავ შენდება ყუჩულები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეორე სართულის გარეთა კედლის მოპირკეთებას, კედელი დამტკრებული ან გათლილი ფიქალი ქვით შენდება. შიგნითა კედლისათვის კი მრგვალ რიყის ქვას ხმარობენ, რადგანაც იგი მუდამ ილესება.

ზემოაღწერილ სახლს ორ მოპირდაპირე მხარეს გაწეული კედელი აქვს აშენებული, რომლის ერთ მხარეს სასტუმროს შესასვლელი თავსდება, მეორე მხარეს კი ბუხრიანი სამზარეულო.

მეორე სართულზე ფანჯრისა და კარის თალი სხვაგვარად კეთდება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თალი კონსტრუქციულად სხვადასხვაგვარი არსებობს: ხის, აგურის, ქვის და რკინა-ბეტონის. თალს სხვადასხვა მოყვანილობა, სხვადასხვანაირი სიმაღლე და სიგანეც აქვს. არსებობს აგურიანი, აგურნახევარიანი და ორაგურიანი თალი. **სწორი თალი**, რომელსაც ქიზიყში ვაკე თალი ქვია, თავგამოყვანილი თალი. ვაკე ანუ სწორი თალი ერთ სიბრტყეზეა ამოყვანილი, თავგადმოყვანილი თალი კი ცოტა წაიწეულია. ქიზიყში დადასტურებულია ადლიანი თალიც — ციდა სიმაღლის. არსებობს განიერი თალი, ვიწრო თალი, სწორე თალი, აწეული ან მოყუდებული თალი, კოლორი ანუ მრგვალი თალი. თალის თავზე შენდება კედელი, რის შემდეგაც შენობის დაკოპავება და კოჭის თავის გადალესვა ხდება. კოჭი დაიდება ნალზე. ამის შემდეგ კი ჰერისათვის ერთი მეტრის სიმაღლე კედელს აშენებენ, რომ სახურავი როგორც მთხრობლები გადმოგვეცემენ, ვაკეთ (სწორად) არ მოვიდეს. ჰერი რომ „ვაკეთ“ დაიხუ-

როს, სახლს დაქანება არ ექნება, წვიმა სახურავიდან აიენის სახურავსა და სახლში ჩავა.

კოქის დაწყობის შემდეგ ოთხივე კუთხეში შენდება კუთხე ანუ ყუნჭული, რომელზედაც კავის დასალურსმნავად ნალი დაიდება. ოთახის კავი ერთმანეთს 10 სანტიმეტრით უნდა შორდებოდეს. ასევეა განლაგებული საჩეხის (აივნის) კავიც. ოთახისა და აივნის კავი შეიძლება მთლიანი იყოს, მთლიანი კავი შეიძლება ჩაიღაროს (მოიხაროს). კავების გაკეთების შემდეგ კეთდება სამი ერთმანეთზე გაღამჯდარი და რკინის ჩანგლით გადაბმული მარწუხი. მარწუხი წარმოადგენს ყელში ერთმანეთზე გადაჯვარედინებულ ხეს, რომლის ერთი თავი სათავეს ებჯინება, მეორე კი სარტყელზეა დამაგრებული. ქიზიყში მარწუხს ჯალაბდარიც ჰქვია. დიდ ანუ შუაში მოთავსებულ მარწუხს უკეთდება 5 პატარა მარწუხი — კიდური მარწუხი, რომელთაც ქვემო რაჰაში სანაპირო მარწუხებს ეძახიან. მარწუხზე დადებულია საყვავე, რომელზედაც პატარა საყვავე ანუ სწრაფილი მაგრდება. ეს არის გვერდის საყვავე, რომელიც აივნის ყუნჭულს უერთდება. საყვავეზე დებენ კავებს, რის შემდეგაც ეფინება იატაკი, რომელსაც ქვემო ლამფის ფიცარი მიეკვრება.

ლამფა კეთდება ოთხი სახის: ლამფა იახიანი, ლამფა სამეულე, ლამფა შიპიანი და ნარიბანდიანი. ჩვენს მიერ აღწერილი სახლის ჰერის ფიცარი ფიქვისაა და ნარიბანდით არის „მიშვებული“, რომელსაც ხუშტარათი ჰირი აქვს ამოღებული. ფიცრები ერთმანეთზე ისეა მიწყობილი, რომ გარკვეული დროის შემდეგ ისინი ერთმანეთს არ დაშორდეს. თუ ლამფის ფიცარი ერთმანეთზე არ მივიდა, მას ჩანგლით მირეკავენ და კოქების მიხედვით ლურსმნით დაქედვენ თითო კოქთან. თუ განიერი ფიცარია, ორ-ორი ლურსმანი ჰირდება. ლამფას დამთარების შემდეგ გარშემო უკეთდება (კარნიზი) — ლავგარდანი, რომელსაც ხუშტარით ღარი აქვს ამოღებული. ლავგარდანი ლამფის თავებსა და გვერდის კოქებზე ილურსმნება.

იმის გამო, რომ აივნის იატაკი ხშირად სველდება, მას ფიქვისას აკეთებენ, ოთახში კი წიფლის ხის იატაკს ამჯობინებენ, როგორც მაგარ და საღებავის კარგად ამტან ხეს. ფიქვი, მთრობლების გადმოცემით, ლეჯავს იყრის, მაგრამ გამძლეა. წიფელს კი სპილოს (იგულისხმება მაგარი) კანი აქვს და ლამაზიც არის. მუხას, მისი მოშაო ფერის გამო, იატაკის ფიცრად იშვიათად იყენებენ.

იატაკი კეთდება ხაზიანი, ნარიბანდიანი და შფუთიანი. წინათ იატაკს კორით აგებდნენ. აღწერილი სახლის იატაკი ნარიბანდით არის გაკეთებული. ღარ ამოღებულ ფიცრებს ერთმანეთს უკავშირებდნენ, კოქზე ამაგრებდნენ და აქედებდნენ.

სახლს სამ მხარეს აკრავს მოხვეული აივანი. ქვემო სართულში ჩარჩოების პირდაპირ კეთდება ორმეტრნახევრიანი სიგრძის და ავურნახევრიანი სისქის მ ბოძი. ბოძზე გადაებულია დირე, რომელზედაც დაწყობილია კოქი, რის შემდეგაც იატაკის ფიცარია კოქებზე დაგებული და დაკრული. ასე დაგებულ 26 ცალ კოქს შორის მანძილი 1 მეტრი და 30 სანტიმეტრია. იქ კი, საცა იატაკს ფეხი ხშირად ხვდება, კოქები ერთმანეთთან უფრო ახლოა დალაგებული, მანძილი მათ შორის დაახლოებით 70 სანტიმეტრს უდრის.

სახლს ზემო სართულში გაკეთებული აქვს საყრდენებით დაყენებული 15 ცალი მუხის ბოძი, რომლის ძირი ნალის ფიცარშია ჩამჯდარი. თავი კი ქანის ხეში. ქანის ხეზე ეწყობა და ილურსმნება მანდალიონის



კოკები, რომელსაც მალლიდან კარნიზის ფიცარი აქვს დაღებულნი, მანძილი-ლიონებს შუა ღია ადგილის დასაკეთად კეთდება პატარა შუკონის მსგავსი ფეხები, ამის შემდეგ კავი ზომიანე იკუწება.

აივნის ბოძს მალლა უკეთდება ლავგარდანი (კარნიზი), დაბლა კი დასტანდაზი, რომელშიაც ეწყობა ჩუქურთმიანი შაბაქა. შუუთთი ამოღებულ დასტანდაზში ჭდება შაბაქის დპირილი ფიცრები, შოაჩირს დაბლა უკეთდება არშია.

სახლის კარები კეთდება: დაშფუნთული, ლოდეთიანი, ქალი-ანი²⁶, ფასკიანი, შუშისანი და არტიანქიანი.

კიბეც რამდენიმე სახის იცინა: სწორი და მოხვეული. ორივე კეთდება ჩანებზე. ანსხვეებენ ჩანებ ჩაჭრილ და ჩანებ შეჭრილ კიბეს. ჩანებ შეჭრილ კიბეს იმერული კიბე ჰქვია, მას ქართულ ჩანებსაც ეძახიან. ასეთ სახლებს თუნუქით გადახურული რკინა-ბეტონის მოხვეული კიბე აქვს გაკეთებული. ასეთი სახის კიბე ბოლო ხანებში შეინიშნება.

ამ სახლის ზემო სართულზე ორი ოთახია: დალაგებული ოთახი და საშინაო ოთახი. (ტაბ. V, Va) დალაგებულ ოთახში დგას: ტანსაცმლის კარადა, ტახტი, ნიკელის ორი საწოლი, ნარდისა და ტულეტის მაგიდა. ოთახის კედლები ხალიჩით, ნაქარგებითა და სურათებითაა მორთული. არის ელექტროგაყვანილობა და რადიო. საშინაო ოთახში დგას ტახტი, ორი საწოლი, პატარა სასურსათო კარადა და მაგიდა.

ქვემო სართულში მოთავსებულია: მარანი, საწყობი-საკუჭნაო, ძროხის ბინა-ბოსელი. ეზოში ერთ დიდ ნაგებობაშია მოქცეული საქათმე, საღორე და სათონე. ეს ნაგებობაც თითოეული ამ ნაწილისათვის სამად არის გაყოფილი, (ტაბ. IVa).

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ახალ სახლს ცალკე სამეურნეო ნაგებობა უკვე აღარ აქვს.

საკუჭნაოში კოკზე ჩამობმულია საპურე, იქვე დგას ძველებური ამბარი, მაგიდა და პატარა ტახტი.


მარანში დგას: ხის კასრები, ჩანები, ტარპები, საფქვილე კასრები, ღვინის ამოსაღები ხაპირი, ჭაჭის ამოსაღები ჩანგალი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები: ნამგალი, თოხი, ბარი და სხვ.

თითქმის ყველა მეკომურის ეზო-კარმიდამო შემოფარგლულია სხვადასხვა სახის ღობით: ცოცხალი ღობე, წნელი ღობე-ტყრუშული და ყუდაღებული, მარგილის ღობე, ჯაგის, ძეძვისა და ჯარჯის, აკრული ღობე, ამოხრილი ღობე, ფიჩხის ღობე და სხვ. კეთდება ყორე და ქვიტკირის გალავანი.


ეზოს კარიც სხვადასხვანაირია, ეხვდებით: ალაყაფის კარს რკინისაგან გაკეთებულს (სურ. 7) და ფიცრისაგან შეკრულს. კარი შეიძლება იყოს ხირხ-

²⁶ ქალა კიზიყში კარის მალლითა კოკის ანდა ჩარჩოს ზემოთა მხარის სახელია (ივ. ჯაფარიშვილი, დასაბ. ნაშრ. გვ. 163).

ლის, რეიკის; ხარბის, დონუაზისა და ლასტის. ლობეჯის შებენი
 შახებ პაქსტაუზენი აღნიშნავს: «Нигде способы, огораживания по-
 дов столь не разнообразны, как в Кახети». Я заметил всевозможные ро-



სურ. 7. ერსართულიანი ქვის სახლი, რკინის კარით და კვეტიკრის გალავნით




სურ. 8. ერთსართულიანი ქვის სახლი კედელი ხის ბოძებით და
 ორნამენტებით, სოფელი კისისხევი

ды заборов, от самых грубых, до плетенных искусственным образом: за-
 боры из планок, из досек, живые шпалерники, каменные ограды. Страннее
 всего был род ограды из корней, остатков обрубленных пней и кривых



ветвей, так искусно переплетенных, что они образовали самые интересные формы, каушки сросшихся между собою змей и других животных. ქახეთის ტერიტორიაზე ფრაგმენტების სახით დღემდე შემორჩენილია სხვადასხვა წესით ხეზე ამოჭრილი ჩუქურთმების ნიმუშები, რომელიც მნიშვნელოვანი საშუალებაა შენობის მხატვრული დამუშავებისათვის.



სურ. 9. აივნის დეტალი, სოფელი ენისელი

ძირითადად აქ მაინც აივანთა ორნამენტირებას ვხვდებით, რომლის მკვთებლბად იმერელ ხუროებს ასახელებენ. მათი ოსტატობითა და მხატვრული გემოვნებით ჩუქურთმის ხეზე ამოჭრა „ლაზური“ ორნამენტის ტიპისაა, აქა-იქ ქართული ჩუქურთმა არშის ლამაზი სახეებიცაა შემორჩენილი. ამ მხრივ საყურადღებოა კდელი ხის ბოძები, ორნამენტირებული შოაჭირები და სვეტისთაფები (სურ. 8).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თელავის და ყვარლის რაიონში ორნამენტთა ახალი სახეებიც გაჩნდა. რომელშიც გამოსახულია საბჭოთა ემბლემატიკა — ჩაქუჩი, ნამგალი, ვარსკვლავი (იხ. ტაბ. VI, სურ. 9).

დ ა ს კ ვ ნ ბ

1. მოწნული სახლის, როგორც ძველი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული თავისებურება უცნობია, რამდენადაც ჩვენამდე არ მოაღწია ამ ტიპის სახლის არც ერთმა სრულყოფილმა ნიმუშმა. XVIII საუკუნიდან სახლის ეს ტიპი თანდათან ქრება, ამჟამად მისი ცალკეული ელემენტები შემორჩენილი აქვს ე. წ. წნულ სახლს, რომელშიაც ოჯახი ახალი სახლის აშენებამდის დროებით ცხოვრობს.

2. ახალი სოციალისტური ვითარების განმტკიცების შედეგად ყვარლისა და თელავის რაიონებში დიდ კულტურულ წინსვლას აქვს ადგილი. ძველი ფიცრული და ქვიტირის სახლები გადაკეთებულია ისე, რომ მასში ტექნიკური

²⁷ Гакстгаузен, Закавказский край, СПб, 1857, стр. 129—130.



გაუმჯობესება კულტურული მითხვენილების შესაბამისად არის ჩნდება ახალი ოთახები, იცვლება სახლის როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი კონსტრუქცია.

3. შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც გარდამავალი ტიპის სახლებად უნდა ჩაითვალოს. ეს სახლები მიღებულია, როგორც ძველიდან მომდინარე, ისე ახალი ელემენტების შერწყმის შედეგად. ეს მკვლევანდება ძირითადად მშენებლობის ტექნიკაში, ასევე მშენებლობის საორგანიზაციო საქმეში, რაც ძველი ცოდნა-გამოცდილების საფუძველს ემყარება. სამეურნეო და ნიშნულების ნაგებობანი სახლის შიგნით იყრის თავს. ამ ნაგებობათა ასეთი ეფექტური ცვალებადობა უნდა აიხსნას მეურნეობის იმ ხასიათით, რომელიც კოლექტიური მფლობელობის პირობებში შეიქმნა.

4. ცვლილებები შეიმჩნევა სახლის შინაგან დეკორატიულ მოწყობილობაში (ის ქალაქურ ყაიდაზე ეწყობა; ილესება, იღებება და ახალი ავეჯითაა მოწყობილი), მის გარეგან მოპირკეთებაში და ნაწილობრივ ორნამენტში.

Дж. А. РУХАДЗЕ

ЖИЛЬЕ ПОСТРОЙКИ В КВАРЕЛЬСКОМ И ТЕЛАВСКОМ РАЙОНАХ

Р е з ю м е

1. В Кварельском и Телавском районах (Кახети) в прошлом были распространены, в основном, плетенные, деревянные и каменные («квиткирули») одноэтажные дома. Конструктивные особенности плетеного дома неизвестны, поскольку до нас не дошел ни один вид дома этого типа. В XVIII в. тип этого дома исчезает.

2. После установления советской власти в Грузии в упомянутых районах произошли большие изменения. Старые деревянные и каменные («квиткирули») длинные дома переделаны так, что их внутреннее устройство вполне соответствует культурным требованиям колхозников.

3. Строятся новые, совершенно отличные от старых, дома, которые большей частью двухэтажные, причем первый этаж отведен хозяйственным постройкам.

В последнее время замечаются коренные изменения также и фасадов: (напр., с уличной стороны делается «подъезд» и др.).

4. Изменения замечаются и в декоративном устройстве дома, в его наружной облицовке и, в частности, в орнаменте.



ტაბულუბაის სია

ტაბ. I. შაქრონიკოს ძე ბოტკოველის სახლის ფასადი ეზოს მხრიდან და პირველი სართულის გეგმა: 1. სარდაფი, 2. მარანი—ა. ქვევრები, ბ. ნიშები, 3. კოშკი, 4. ღია აივანი (ს. ივალთო.)

ტაბ. II. შაქრონიკოს ძე ბოტკოველის სახლის ფასადი ქუჩის მხრიდან და მეორე სართულის გეგმა: 1. „ხალა“, 2. საძინებელი ოთახი, 3. სამზარეულო, 4. აივანი. (ს. ივალთო.)

ტაბ. III. ელენე ივანეს ას. საგინაშვილის საცხოვრებელი სახლის ფასადი ეზოს მხრიდან და პირველი სართულის გეგმა: 1. ოთახი, 2. მარანი, ა. ქვევრები, 3. აივანი.

ტაბ. III ა. ელენე ივანეს ას. საგინაშვილის საცხოვრებელი სახლის ფასადი ქუჩის მხრიდან და მეორე სართულის გეგმა: 1. ოთახი, 2. სამზარეულო, 3. აივანი (ს. ნაფარეული).

ტაბ. IV. რევაზ გაბრიელის ძე ახნიაშვილის საცხოვრებელი სახლის ფასადი და პირველი სართულის გეგმა: 1. საცხენე, 2. სახილე, 3. მარანი: ა. ქვევრები, 4. ღია აივანი. (ს. კისისხევი).

ტაბ. IV ა. რევაზ გაბრიელის ძე ახნიაშვილის კარმიდამოს გენერალური გეგმა: 1. ბინა, 2. სათონე და საქათმე, 3. ძველი ბინა, 4. საპირფარეო, 5. ბოსტანი, 6. ხილის ბაღი, 7. ვეჯილები ბაღი, 8. ეზო, 9. მთავარი შესასვლელი, 10. ხის ღობე, 11. საქათმე, 12. საღორე, 13. თონე, 14. სათონე ადგილი (ს. კისისხევი).

ტაბ. V. გიორგი ზუტუაშვილის სახლის აივნის დეტალები (ს. ფშაველი).

ტაბ. VI. ელენე საგინაშვილის სახლის აივნის დეტალები (ს. ნაფარეული)

6. თოფურია

ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი გორის რაიონში

1954 წლის ზაფხულში ახალი საცხოვრებელი ნაგებობების შესწავლის მიზნით საგანგებოდ ვმუშაობდით ქართლში, გორის რაიონში; მასალა შეგრობეთ პატარა ლიახვის ხეობაში დიკისა და ტირჩნისის სასოფლო საბჭოებში შემავალ სოფლებში, ხოლო ატენის ხეობაში — სოფელ ატენში.

აღნიშნულ საკითხზე მოპოვებულმა მასალამ გამოავლინა ის ცვლილებები, რომლებსაც ახალი სოციალისტური ვითარების შედეგად ამ მხრივ ქართლის სინამდვილეში აქვს ადგილი.

ძველად ამ სოფლების წამყვან მეურნეობად მემინდვრეობა იყო ცნობილი, რომელიც მოსახლეობის ძირითად მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა.

ქართლის პირობებში საუკუნოებრივ საჭირბოროტო და მუდმივი ზრუნვის საგანს მორწყვა წარმოადგენდა. ხშირად ერთი პატარა რუთი რამდენიმე სოფელი ირწყოდა. წყლის გულისათვის ხალხი ბევრ განსაცდელსა და გაჭირვებას ხედებოდა. ამ ნიადაგზე უთანხმოება ხშირად შეიარაღებულ შეტაკებაშიც გადადიოდა, რომლის ერთ მრავალ მაგალითთაგანს წარმოადგენს სოფელ ტირჩნისში წყლის გულისათვის მომხდარი შეტაკება შაქრო და სანდრო პურჭამიაშვილებს შორის, რაც სანდრო პურიჭამიაშვილის სიკვდილით დამთავრებულა.

მერტუეს ეძახდნენ პიროვნებას, რომელიც მორწყვის ამბავს განაგებდა. მერტუეს სოფელი ირჩევდა ერთი წლით. შეიძლებადა მეორე წელსაც ისევე ის დაეტოვებინათ, მერტუე თითოეული მოსახლიდან წელიწადში 8 კილო ხორბალს იღებდა. წყალს ვისაც მისცემდა, იმას უნდა ეღარაჯა, რომ სხვას არ წაერთმია. ერთი დღის განმავლობაში წყლით რამდენიმე ოჯახს უნდა ესარგებლა. ძველ ვითარებაში წყლის ბუნებრივი რესურსების ფართოდ გამოყენებას არ ჰქონია დიდი მასშტაბი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობა. ჩვენ მიერ ზემოთ დასახლებული სოფლები სარგებლობენ ტირიფონისა და ვანათის სარწყავი არხებით, რომლებმაც ურწყავი მიწები სარწყავად აქციეს. სარწყავი სისტემების გარდაქმნისა და ვაფართოების შედეგად მოხდა ცვლილებები ხალხის ეკონომიკასა და ყოფაში, რომლის მაგალითს ჩვენი სამუშაო რაიონის სოფლები წარმოადგენს.

საკოლმეურნეო დოვლათმა ფართო გაქანება მისცა ამ სოფლებში სოციალისტური კულტურის დაწერგვას. შეიცვალა დასახლების ტიპი და საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, შეიცვალა ბინების შინაგანი მოწყობილობა, ფართოდ გაიშალა კულტურული მშენებლობა, ახალმა საწარმოო ურთიერთობამ შედარებით მოკლე ხანში გარდაქმნა საუკუნოებით განმტკიცებული და დამკვიდრებული წეს-ჩვეულებანი. ქართლისათვის და კერძოდ ზემო აღნიშნუ-



ლი სოფლებისათვის ძველად შეჯგუფული დასახლება იყო დამახასიათებელი თ. ბაუმჰაუერი ქართლის დასახლების შესახებ ამბობს: „სხვა გვირგვინი ქართლის სოფელი, სადაც სახლები შეჯგუფებულია და ქუჩა არ ჩანს. მას დამკველი ბურჯები და კოშკები აქვს. ან უკიდურეს შემთხვევაში — ეკლესია კოშკებითა და გალავნით. სახლებს კარმიდამო არა აქვს. სოფელი მალლობზეა გაშენებული, ყანები კი მის ქვემოთ იმყოფება“¹.

მეურნეობის ტიპი, გეოგრაფიული გარემო და გარეშე მტრის თავდასხმები, როგორც ცნობილია, დასახლების გარკვეულ ტიპს განსაზღვრავს, რაც თავისთავად ვრცელდება ზემოთ აღნიშნულ სოფლებზედაც. ქართლის ამ სოფლებისათვის მეურნეობის წამყვან დარგს მიწათმოქმედებასთან ერთად მეზღვეობა-მევენახეობა წარმოადგენდა, რომელიც ფართობის დიდ რაოდენობას მოითხოვდა. ამასთან ერთად, ისტორიულად გარეშე თავდასხმებისაგან არც ეს სოფლები იყო დაზღვეული, რაზედაც მეტყველებს ისტორიულ მონაცემებთან ერთად ხალხში დარჩენილი მრავალრიცხოვანი გადმოცემები. შეჯგუფული დასახლება ქართლისათვის უკანასკნელ დრომდე იყო დამახასიათებელი, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი გარემოება (გარეშე მტრის თავდასხმები) აღარ არსებობენ. ახალ სოციალისტურ ვითარებასთან დაკავშირებით, სოფლად საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შემდეგ, სარწყავი სისტემის მასიურად გამოყენების საფუძველზე ქართლის სოფლებში შეიმჩნევა მიდრეკილება გაშლილად დასახლებისაკენ. ეს სოფლები შესაძლებლობის ფარგლებში ფართოდ არის გაშლილი. შექმნილია გეგმიანი სწორი ქუჩები. კოლმეურნეთა ეზო-კარმიდამოები სოფელში განლაგებულია ცალ-ცალკე. საკარმიდამო ნაკვეთებზე ბალ-ვენახებია გაშენებული. წინად საკარმიდამო ნაკვეთი არ გაანაწილდა და სახლთან „ჩრდილიც არ ჰქონდათ, რომ მოეჩრდილათ“. ქართლური მიწური სახლის ტიპის განხილვისას პაქსტაუზუნის სწორედ ამ უკანასკნელ გარემოებაზე მიუთითებდა². დღეს ყველას ეზოებში ხეები და პატარა ბალ-ბოსტნები აქვთ გაშენებული, ანდა დასახლება ბალ-ვენახებში ხდება.

ძველად არც კარმიდამოს ღობედნენ, ვინაიდან იგი არ გაანაწილდა. ძირითადად ბალ-ვენახები ჰქონდათ შემოღობილი. თანამედროვე ყოფაში კარმიდამოს შემორჩევასათვის ხის მასალა და ცოცხალი ღობეა გაბატონებული. ცოცხალი ღობისათვის ძეძვი, ეკალა, კუნელი და ფშატია გამოყენებული.

ქართლში საცხოვრებელი ნაგებობებიდან ცნობილია: ბანიანი ანუ მიწური, გვირგვინიანი ბანი ანუ დარბაზი, ოთახი და სახლი; — სამეურნეო ნაგებობებიდან კი მარანი, ბელელი, ბოსელი, საბძელი, ფარეხი, ბაქი, ჯინი, ძარი, ჯიხური, სათონე, საქათმე, საღორე.

საცხოვრებელ ნაგებობებთან დაკავშირებით უპირველეს ყოვლისა მშენებლობის ტექნიკაზე შევჩერდებით.


ქართლში ძირითადად ქვის სახლებს აგებდნენ. სახლებს ადგილობრივ ოსტატები აშენებდნენ. პატარა ლიახვის ხეობაში სააღმშენებლო მასალად რიყის ანუ სიბი ქვა არის გამოყენებული, ხოლო ატენის ხეობაში კლდის, რომლითაც მდიდარია ეს ხეობა.

¹ თარგმანი ამოღებულია გ. ჩიტიას ნაშრომიდან — დასახლების ტიპი მთიულეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკვ. VI, თბილისი, 1953, გვ. 203.

² А. Гакстгаузен, Закавказский край, СПб., 1857, стр. 143.



მდინარის ქვას სიბის ან რიყის ქვას ეძახიან. „სიბის ქვას ვეძახით წყლით
ნადენს. წყალში რომელიც არის, სიბის ქვა გაპრიალებულია. ეტყობა წყლის
ქვა არის“. „რიყის ქვა წყალს მოაქვს“. „რიყის ქვა მთის ქვა არის“. „სიბის ქვას
მეტი სიმაგრე აქვს, მაგარია. კლდის ქვა რომ აგორაოს წყალმა, ცხვირპირს
იმტვრევს. სიბის ქვა კი რამდენიც არ უნდა აგორაოს წყალმა არის და არის“.



სურ. 1

რიყის ქვას ზაფხულში ან შემოდგომით მოაგროვებდნენ. ზამთარში კი
მარხილებით მოიტანდნენ. ზამთარში ქვის მოტანა ხელსაყრელი იყო. რასაც
ერთი მარხილი მოიტანდა იმას ორი უღელი ვერ მოიტანდაო, აღნიშნავენ
მთხრობლები.

კლდის ქვის დამზადება ზაფხულში ხდებოდა. „კლდის ქვა ზამთარში ძნე-
ლია მოსაპრელად, გაყინულია, როცა გაფიცებულია, მაშინ ადვილად იმტვ-
რევა. ზაფხულში ქვა გამომშრალია, ფიცხია, ტყდება“, „ქვა ზაფხულში ტყდე-
ბა, თუ შშრალი არ არის, ქვა გასატეხად არ მისდევს“.

კლდის ქვის სხვადასხვა ჯიშებს არჩევდნენ. უპირატესობა ლურჯ ქვას
ჰქონდა მინიჭებული. ერთი ქანიდან თეთრი გამოდიოდა, მეორე ქანიდან ლურ-
ჯი. თეთრი რბილი ქვა არის, მსუბუქი, ლურჯი მძიმე. „მსუბუქად რომელიც
ითლება, ის თეთრი ქვაა“. „ლურჯი ქვა პირველი ხარისხისაა, ფერით ეტყობა,
მაგრად ითლება. მაგარ ქვას თვითონ იარაღი ატყობს, — რომ სჭრი, მაგარი
ქვა იარაღს არ იკარებს, მაგრად უხვდება, ღონიერად ცეცხლსა ყრის“.

რბილ ქვას კიბეებისათვის, ბოძებისათვის, თაღებისათვის იყენებდნენ.

აფერისაგან ჩამოშლილ ქვას გამოფიტულობის გამო სააღმშენებლო მასა-
ლად არ იყენებდნენ. კლდიდან ქვის ჩამოსატეხად ანუ ამოსათხრელად წერაქვი
იყო განკუთვნილი. კლდის ქვას ჯერ წერაქვით ამოთხრიდნენ, მერე სოლს
ჩაარქობდნენ და ზედ ჩაქუჩს ურტყამდნენ. თუ არ გატყდებოდა, ისევ წერაქ-
ვით გააღრმავებდნენ. რა ზომის ქვაც უნდოდათ, იმ ზომისას მოტეხავდნენ.
მოტეხილ ქვას მოიტანდნენ და საპირობების მიხედვით გამოიყენებდნენ.



ქართლში ქვით ხუროთბაჱს კალატოზები აწარმოებდნენ. „კალატოზები ქვეყნის მუშა არის, ქვა-ქვაზე უნდა დადოს და ააშენოს. ღურგალმა კი ფიცარი გარანდოს, კარები გააკეთოს და ააბას“.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს „კალატოზი იგივე ქვით ხურო იყო. ასე ეს-მოდათ ძველად, მაგრამ როგორც ჩანს, ის დაკავშირებული უნდა იყოს აგურის-ნაგებობის საქმიანობასთან. მას შემდგომ, რაც აგურის ნაგებობა ვრცელდება, ჩანს, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭებია“³.

კალატოზობით ცნობილი იყო სოფლები ტირანისი, ქორდი, კარბი.

სააღმშენებლო მასალად ქვის გარდა ხეც იყო გამოყენებული. ხის მასალის დამზადება ტყეში ხდებოდა. საუკეთესო საშენ მასალად მუხა ითვლებოდა. მუხის უპირატესობას მისი გამძლეობა შეადგენდა. „წყალსაც უძლებდა და მზე-საც“. მუხის შემდეგ გულიან ფიჭვის ირჩევდნენ. „გულიანი მაშინ არის, როცა ხანში წავა, ცულობით რომ შეაქრი, ეტყობა. გულიანს წითელი ფერი აქვს, ახალ-გაზრდას კი თეთრი“.

მთვარესთან კავშირის თვალსაზრისით ყურადღებას აცხრობს სამასალე-ხის მოჭრის შეპირობება მთვარის ფაზებთან, ქართლებების ძველი შეხედუ-ლებით სამასალე ხე სავე მთვარეზე უნდა მოჭრილიყო. რადგან ახალ მთვარეზე მოჭრილ ხეს თითქოს ჭია გაუჩნდებოდა. თუ ახალმა მთვარემ ხუთშაბათი გაიარა, მაშინ ხის მოჭრა შეიძლებოდა. ხე-ტყის დამზადება ზამთრის პერიოდში ხდებოდა. აქაც, ისევე როგორც სამეგრელოში, მტკიცედ იყო დადგენილი ხის მოჭრა ნოემბრის გასულიდან აპრილის დაწყებამდე. „ხე მაშინ უნდა მოიჭრას, როცა ძინავს, ფოთოლი რომ გასცივია, როცა ღობო შემჭრალი აქვს, მაშინ ხე სუსტია. ღობო, ე. ი. წყლიანობა სანამ არ შეაშრება, ხე არ უნდა მოიჭრას“. ხის მოჭრა აღკვეთილი იყო ოთხშაბათობით და პარასკევით. მოჭრილ ხეს ნიშანს დაადებდნენ. ცულობით ჭდეებს გაუკეთებდნენ ან გამოცხვირავდნენ. აქეთ-იქიდან გამოღრუტნიდნენ, წნელს გაუკეთებდნენ.

ქართლში ძველად სახლის დასადგმელი ნიადაგის შერჩევისას, სამოსახლო ადგილიდან მიწას აიღებდნენ და მკითხავთან წაიღებდნენ. თუ მკითხავი ურჩევდა, მაშინ დასახლებოდნენ. სამოსახლოდ ნასახლარ ადგილს ერიდებოდნენ: „ავი ანგელოზი დასდევსო“. „ნასახლარი ადგილი კედელს უღალატებსო, ნაშალიაო“. იქ სადაც სახლი უნდა აეგოთ ოჯახის უფროსი კაცი დაიძინებდა; თუ კარგ სიზმარს ნახავდა, მაშინ სახლს ააშენებდნენ. სახლის საძირკველი ორშაბათს, სამშაბათს და ხუთშაბათს უნდა გაჭრილიყო. ოთხშაბათი და პარასკევი-ნავს დღეებად ითვლებოდა, შაბათი კი კენტ დღედ იყო მიჩნეული და ერიდებოდნენ.

ძველად სახლის აშენებაში დახმარება იცოდნენ. მეზობელი მეზობელს ეხმარებოდა ხის მოჭრაში, გათლაში, მასალის მოტანაში. დახმარება იცოდნენ ურმით, მუშით, ჭირნახულობით. ქალები საქმელის დამზადებაში შევლებოდნენ. დახმარების ეს ფორმა ულაშის სახელით იყო ცნობილი. მეზობლების დახმარება სამაგიეროს ვადახდასაც ვარაუდობდა; მეზობელი მეზობელი ეხმარებოდა, მაგრამ როცა მას დასჭირდებოდა, სამაგიეროს მიიღებდა. საკოლმეურნეო ყოფაში ურთიერთდახმარებამ სხვა ხასიათი მიიღო. კოლმეურნე გლეხობა ერთმანეთს დახმარებას უწყევს ყოველგვარი მოვალეობის და ვალდებულების გარეშე-

³ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 117.



სოფელ დიცში კოლმეურნე დარკო ბიბილურს სახლი დაეწვა. სახლი დაეწვა ბაში კოლმეურნეობა დაეხმარა ტრანსპორტით, საშენი მასალით, მუშა-ხელოსნებით. ასეთივე დახმარება გაუწიეს ამავე კოლმეურნეობის წევრებს სიკა სოსიაშვილს, სონია დორაძეს, გურგენ ყორანაშვილს, სიკა მარკოზაშვილს და სხვებს.

იმისათვის, რომ ნათლად გამოვლინდეს ის სიახლე, რომელსაც ადგილი აქვს ქართულ რსახლთან დაკავშირებით, შევჩერდებით ქართულ საცხოვრებელ ნაგებობათა ტიპების აღწერილობაზე.

მიწური ანუ ბანიანი სახლი

ქართლში საცხოვრებელი ნაგებობებიდან დასტურდება მიწური ბანიანი სახლი, რომელსაც სამი კედელი მიწაში ჰქონდა ჩადგმული. სამი მხრიდან მიწას ჩაპრიდნენ ორმეტრნახევრამდის. კედლები ქვა-ტალახით იყო ამოშენებული. ქვა-ტალახა კედლისათვის ყოველნაირი ქვა გამოდგებოდა. ქვა-ტალახით აშენებული კედელი სუსტი იყო, ძალა არ ჰქონდა. კედლის ირგვლივ ნაღები⁴ ჰქონდა დაწყობილი. სახლის შუაგულში ბოძს დასვამდნენ, რომელზედაც თავზე იდებოდა. თავხესა და ნაღებზე კოჭებს დააწყობდნენ. შემდეგ კი ჰერს დაალაგებდნენ, ჰერს ნაფოტს დააყრიდნენ, რომელსაც ზემოდან დასხმული ტალახი უნდა შეეკავებინა. ნაფოტებს თხლად დაატალახებდნენ. დატალახების მიზანს წარმოადგენდა, სახლის დაცვა, წვიმისა და სიცივისაგან; ტალახი დანიადადებოდა და შიგნით წყალს არ ჩაუშვებდა. მიწის დასკრომის თავიდან ასაცილებლად დატალახებულ სახურავს ფხვიერი მიწით წააპერანგებდნენ. წააპერანგებულ ბანს ერთი არშინის სიმაღლეზე მიწას აყრიდნენ. მიწა ლამი უნდა ყოფილიყო. ლამის უპირატესობა მის წყალარგამატარობაში მდგომარეობდა. „ლამი წყალს იტურებს, არ ისვამს, ხოლო შავ მიწას, თუ მაგრა არ დაზედავდნენ, როგორც ღრუბელი ისე ისვამდა წყალსა“. მიწის მოყრის შემდეგ ხის სახეპავით ბანს დაზედავდნენ. ბანის ნაპირისაკენ დაქანებული უნდა ყოფილიყო, რომ წყალი არ გაჩერებულიყო და ნაპირებზე წასულიყო, მაგრამ სანაპიროები და ნაპირები ისე არ უნდა ყოფილიყო დახრილი, რომ წვიმის წყალს სწრაფი დენის გამო კედლები ჩაეჭამა, „თავის გუნებით უნდა ყოფილიყო დახრილი“. ბანს ადგილ-ადგილ ხის ღარებს გაუკეთებდნენ, რომ წყალი ბანიდან ძირს გადმოღვრილიყო. ბანში პატარა სარკმელს ატანდნენ, საიდანაც სახლში შუქი ჩადიოდა; მას საშუქე ერდოს ეძახდნენ. ერდოს გარშემო დახრა ჰქონდა, ხეებს დაუდებდნენ, რომ წყალი შიგნით არ გადასულიყო.

მიწურ-ბანიანი სახლი, როგორც საცხოვრებელი ნაგებობა, აღმოსავლეთ საქართველოსათვის ყოფილა დამახასიათებელი. ის აგრეთვე კავკასიის სხვადასხვა ტომებშიც გვხვდება.

გერმანელი მოგზაური ჰაქსტაუზენი აღნიშნავს, რომ ელისავეტოპოლში მცხოვრებ თათრებს მიწური სახლები ქართველების წაბაძვით უშენებიათ⁵. ეხება რა მიწურ-ბანიანი ტიპის სახლებს, თ. ჩიჭოვანი წერს: „ე. დიცის ცნობით მიწურ-ბანიანი ნაგებობა მეორე ათასწლეულში მიწათმოქმედ ხეობებში უკვე გავრცელებული ყოფილა. ხეთური პილანი მარტივი ფორმის მიწური ნაგებობაა. პილანი ორი ნაწილისაგან შედგებოდა, მაგრამ ორივე ერთ მთლიან შენობაში იყო გაერთიანებული. პირველი ანუ წინა ნაწილი უფრო დერეფნის ფუნქ-

⁴ ნალი — „სარტყელი“ კედელზე დადებული.

⁵ А. Гякстгаузен, დასახ. შრომა, გვ. 155.

იყო აყვანილი. მისი სიმაღლე და განი სახლის მფლობელის სურვილებზე დამოკიდებული. იგი შეიძლება შეიძინოს შემოვლა ყოფილიყო, შეიძლება ათი-თავებზე გადაებული იყო ორი აყარი, რომლებზედაც საკიდელს ჰკიდებდნენ. ზოგან აყარს ლატანსაც ეძახიან.

დარბაზის წინ გადახურულ ნაწილს, რომლის სიგრძე დარბაზისას უდრიდა, დერეფანი ანუ კარაპანი ეწოდებოდა. დარბაზული სახლის ბანი ისეთივე წესით გადაიხურებოდა, როგორც მიწური სახლის სახურავი.

დარბაზს კარი მთლიანი ჰქონდა, რომელიც საყუნჭულოებით (ქუსლით) მაგრდებოდა. იგი ურდულით იკეტებოდა.

დარბაზის დედაბოძი მოჩუქურთმებული იყო. ზედ იყო გამოხატული მთვარე, მზე, კაცის ხელი, მცენარეები და სხვა.

დარბაზში კედლის გარშემო ხის ტახტები იდგა. თითოეულ კედელში სამსამი თახჩა იყო დატანებული, თახჩა ოთხკუთხედად იყო გამოკრილი და ზოგჯერ ორსართულიანი. დიდ თახჩაში სკივრი იდგა, მაღლა თახჩაში ქილები ეწყო. თახჩაში ინახავდნენ აგრეთვე ჯამ-ჭურჭელს.

მარჯვენა მხარეს თაროს ანგელოზის კუთხე ქონდათ გამართული. სადაც პურის ცომს ინახავდნენ. დარბაზის მარცხენა კედელში წალო იყო მოთავსებული. მასში ქვეშაგებელს ათავსებდნენ.

აღსანიშნავია, რომ დარბაზთან ერთად ერთ სახურავ ქვეშ წარმოდგენილი იყო მარანი, ბოსელი, სათონე და საყუქნაო.

როგორც ცნობილია, დარბაზული ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი ქართულ ხალხურ სააღმშენებლო ტრადიციებზე აღმოცენებულად არის მიჩნეული და იგი სოციალური მომენტით დაკავშირებულია დიდ გეოგრაფულ ოჯახის არსებობასთან, რამდენადაც ხალხმრავალი ოჯახის მრავალი წევრი იყო მის ქვეშ გაერთიანებული⁷.

ტერმინი დარბაზი სამეცნიერო ლიტერატურაში უცხო სიტყვად არის აღიარებული და ვარაუდობენ მის სპარსულიდან მომდინარეობას. იგი ჯავახიშვილი წერს „დარბაზი სპარსულად სულ სხვას ნიშნავს, ვიდრე ქართულად. სპარსულად დარბაზი ჯარს აღნიშნავს და არა სასახლეს⁸“.

გ. ჩიტაია აღნიშნავს, რომ ტერმინი „დარბაზი“ სპარსულზე აღრინდელია. თვით ირანულში იგი სემიტური სამყაროდან არის შესული. გამორკვეულია, რომ სემიტურში დარბაზი თავდაპირველად საქონლის სადგომს აღნიშნავდა სვანურში დარბაზი საცხოვრებელი სახლის მეორე საართულს ეწოდება, რომელშიაც საქონლისა და ადამიანის საკვების მარაგი ინახება.

⁷ გ. ჩუბინაშვილი, გლეხური დარბაზი დიღომში, თბილისი, 1922; მისივე, ქართლის დარბაზები, ნაწ. 3, 4, ტფილისი, 1927; გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, „მინიმონილედი“, ტ. 1, ტფილისი, 1926; ლ. სუმბაძე, კლდეური სახლი ვიტრუვის მიხედვით, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. VI, თბილისი, 1945; მისივე, Дарбазные перекрытия в связи с колхидским домом Витрувия, 1950; Р. Агабабян, Архитектура грузинского народного жилища, Тбилиси, 1945; М. Ильина, Древнейшие типы жилищ Закавказья, 1946; თ. ჩიქოვანი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები თრაილეთში.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასაბუთებული შრომა, გვ. 14.

* Reallexicon der Assyriologie, B. I, 6, Berlin u. Leipzig, 1932.



საძირკველის ქვა უნდა გატეხილიყო. სიბის ქვა რამდენადაც გატეხილიყო მით უკეთესი იყო, სიმაგრე ექნებოდა. „გაუტეხავი ქვა არ უნდა ჩაიღოს საძირკველში, გატეხილი ქვა კირს კარგად იღებს, სიმაგრე აქვს. გაუტეხავი ქვა ყინულივით იცურებს კირსა და არა აქვს სიმაგრე“. საძირკველისათვის სიბის ქვას ირჩევდნენ. ვინაიდან, „სიბის ქვას მეტი სიმაგრე ჰქონდა. საძირკველს სიბის ქვით აშენების დროს ბევრი ხურდა¹¹ სჭირდებოდა ამოსასესებად. ასეთ შემთხვევის დროს, ხურდა შეიკვრებოდა კირით და საძირკველიც მაგარი გამოდებოდა.

საძირკველს დულაბით აგებდნენ. დულაბში მეტ კირს ურევდნენ. „მეტ-კირიან მორეულს, დულაბს ვეტყვი. სამი წილი კირი უნდა იყვეს, ორი წილი ქვიშა, კირს მეტი ძალა აქვს, სიმაგრე აქვს“. დულაბის გამოყენების შემთხვევაში საძირკველი მაგარი ღებოდა.

საძირკველის ქვას სიბრტყეზე ჩადებდნენ, მაშინ კედელი მაგარი გამოდებოდა, ქვის სიმაღლეზე დაწყობის შემთხვევაში, კი იგი სუსტი იყო. ერთი ფენა ქვები რომ წავიღოდა, ქვებს შუა დარჩენილ ადგილს ხურდა ქვით ამოავსებდნენ. ხურდა ქვებს შორის დარჩენილ არეში—ხანში¹² თხელ დულაბს ჩაასხამდნენ, რომ ყველგან გასწვდომოდა და ცარიელი ადგილი არ დარჩენილიყო. „თხელმა დულაბმა ყველგან უნდა დაუაროს, მაშინ გადადულდება და შეიკვრება, ყველაფერი დარჩება მაძლარი. საძირკველში ცარიელი ადგილი არ უნდა დარჩეს, უნდა ამოივსოს, ხურდით და კირით უნდა გაიჭიფოს“. ქვების ფენების დაწყობის შემთხვევაში სქელ კირს ხმარობდნენ, რომ კირი არ გადმოსხმულიყო. ხურდისა და დულაბის ჩასხმის შემდეგ ხიჭ¹³ ქვას ზემოდან დადებდნენ, გაასწორებდნენ, გაამაგრებდნენ და ჩახიჭავდნენ. მერე სქელი კირით გადალესავდნენ, რომ კედელი სწორად წასულიყო. ამის შემდეგ საძირკველს მიწის პირად მოიყვანდნენ და მოასწორებდნენ. საძირკველის შემდეგ კედლის ამოყვანას დაიწყებდნენ. კედლის ამოყვანამდე კუთხე უნდა ამოეყვანათ. „თუ კუთხე არ არის, კედელი ისე ვერ წავა, მთავარი კუთხეა. ოთხივე მხრიდან კუთხე უნდა წარსდგეს მეტრზე“. კუთხის შემდეგ კედლის აშენება დაიწყება. კუთხე და კედელი, რომ შესწორდება, მერე ისევ კუთხე წავიდოდა და ა. შ. კუთხის ქვა ჯიშით არ განსხვავდება კედლის ქვისაგან. განსხვავება მხოლოდ სიდიდეში მდგომარეობდა. იგი ზოგი გრძელი უნდა ყოფილიყო, ზოგი მოკლე. კუთხის ქვა ჯერ დიდი დაედებოდა, მერე პატარა, მერე ისევ დიდი, შემდეგ პატარა და ა. შ. კუთხის ასეთი აშენების დროს, კუთხე მაგრდებოდა, გადაიკეტებოდა, ძალა ჰქონდა და არ დაინგრეოდა. „კუთხის ქვა მიბრუნდ-მიბრუნდება, ერთ მხარეს გრძელი, მეორე მხარეს მოკლე, მერე მიბრუნდება, მაში გადაებმება ერთმანეთს. კუთხე ასე უნდა გაკეთდეს, რომ არ გადმოწვეს, კედელი გაამაგროს“. კედლის აგება ისეთივე წესით ხდებოდა, როგორც საძირკველისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საძირკველის აშენების დროს კირის რაოდენობა ქვიშასთან შედარებით მეტი უნდა ყოფილიყო, ხოლო კედლის აშენებისას თანაბარი.

რიყის ქვით კედლის აშენების დროს, რიყის ქვას დაამტვრევდნენ. დამტვრეული ქვის კედელი კოხტა გამოდიოდა, კარგად ეწყობოდა. გატეხილი ქვა კირს კარგად იღებდა და ამიტომაც კედელი მაგარი ღებოდა.

¹¹ ხურდა—ქვის ნატეხები, წვრილი ქვა.

¹² ხანი—ქვებს შორის დარჩენილი არე.

¹³ ხიჭი—ნარჩენი ქვა არის, თხელი, ბრტყელი.



კლდის ქვის კედლის საღმრთებლო მასალად გამოყენების შედეგად, სახლის შიგნითა პირის ქვა დაკორტინილი—გაჩეილი უნდა ყოფილიყო. ვინაიდან, გაჩეილი ქვა კირს, დუღაბს კარგად იღებდა. სუფთა, გაკობიტებულ პირს, გარე პირად იყენებდნენ. გაწმენდილი ქვა გასალესად არ ვარგოდა, კირს ვერ იჭერდა. კედლის აგების დამთავრების შემდეგ, ზემოთ კედლებზე ნალებს (სარტყლებს) დააწყობდნენ, მერე კი კოჭებს.

ორ ან სამფერდიანი სახურავის დახურვის დროს, კაქუტების გასამართავად სხვადასხვა წესი იყო ცნობილი. ნალის სისწორით კედელს გაასწორებდნენ, და კოჭებს დააწყობდნენ. შემდეგ აივნის ბოძებს დააყენებდნენ, რომელზედ ამაღლას¹⁴ გაამაგრებდნენ. ამაღლებდაც კოჭებს დააწყობდნენ, რომლებსაც შიგნით ოთახის კოჭებს გაუსწორებდნენ. აივნის კოჭებს „მადალიონებს“ ამოუჭრიდნენ. იმ ამოჭრილი მადალიონის თავებზე ღირა¹⁵ ფიცარს დააკრავდნენ, რომელზედაც უნდა დაიდგას კაქუტი. კაქუტებს რომ დააკრავდნენ, შუაში საწელურს გაუყეთებდნენ. ე. ი. ლიგირს. საწელური კაქუტებს სიმაგრეს აძლევდა, წინა-აღმდეგ შემთხვევაში სახურავი ჩაწყებოდა.

მეორე შემთხვევაში შუაში ბოძებს ამართავდნენ—სათავის საყრდნობს. ამ ბოძს ზემო იმერეთში გოგი ჰქვია, სამეგრელოში ვაცი ან ცაკი¹⁶. ბოძის სიმაღლე შენობის სიგანის მეოთხედი უნდა ყოფილიყო. ბოძებზე სახურავის თავებს დააყენებდნენ, თავებს საყვავესაც ეძახიან. „სამეგრელოში მას სანთა ჰქვია. იგი სახლის ღირეა, კაქუტების დასაწყობი ღირე. ზემო იმერეთში ღირო აქვს სახელად. სვანეთში ეწოდება ღირ და სათუარ. ქიზიყში მას თავხესა და საყვავესაც ეძახიან. ზემო რაჭაში სათავის, ან თავხის სახელად სატვინოს ხმარობენ¹⁷. საყვავეს ქვემოთ ამართულ ბოძს კი საყვავის ბოძს ეძახიან. საყვავეზე კაქუტებია გადაკიდებული ან მიმაგრებული.

ორ ან სამფერდიან სახურავს ლიგირი ან ბოძები უნდა ჰქონდეს.

ორფერდიანი სახურავი კობტა გამოდიოდა, შნო და ლაზათი ჰქონდა. ასეთ სახურავს მეტი მასალა უნდოდა, დიდხანს ძლებდა, წყლის სადინარი ახლო ჰქონდა, წყალი ჩქარა ჩამოდიოდა და სახურავი მალე შრებოდა.

ძველი ნაგებობისათვის დამახასიათებელი იყო როგორც ერთფერდიანი, ისე ორფერდიანი სახურავი. თანამედროვე ყოფაში კი ძირითადად გაბატონებულია სამფერდიანი და ოთხფერდიანი სახურავები. მათი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ უფრო მკვიდრნი არიან, სიმაგრეც მეტი აქვთ და სიცოცხესაგან იცავენ ნაგებობას.

საკოლმეთურნო ცხოვრების საფუძველზე, საყოფაცხოვრებო პირობების სწრაფმა გაუმჯობესებამ, ადგილზე სწავლა-განათლების ფართოდ გაშლამ, ადგილობრივი ინტელიგენციის კადრების გაჩენამ, კულტურულ-ადმინისტრაციული დაწესებულებების დაარსებამ, გამოიწვია ეფექტური ცვლილებები საცხოვრებელ ნაგებობებში.

კოლმეთურნე გლეხის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებას უკვე ვეღარ აკმაყოფილებს პატარა ფართობის მქონე ერთოთახიანი სახლი.

ქართლური სახლის ცვალებადობა, საცხოვრებლად განკუთვნილი ბინის ფართობის გადიდებით, მისი მრავალოთახიანად გადაქცევით დიწყო.


¹⁴ აივნის ხეს, რომელზედაც კოჭი აწვივა ამაღლს ეძახიან.

¹⁵ ღირა ფიცარი—კაქუტების ქუსლების საყრდნობია.

¹⁶ ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული მრომა, გვ. 169.

¹⁷ იქვე, გვ. 169.

ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი ხშირად ორი-სამი ოთახისაა წარმოდგენილი. წინ მას აივანი აქვს მიშენებული, ხოლო სამეურნეო ნაგებობები ცალკე არის გამოყოფილი. მისი კედლები მკვიდრად ნაგები და გამძლეა, ხოლო იატაკი ფიცრისა. კოლმეურნეები მიისწრაფიან აგრეთვე ააშენონ ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რამდენადაც ეკონომიური შესაძლებლობა ამის საშუალებას აძლევს. ორივე ეს ნაგებობა სახლის სახელით არის ცნობილი (სურ. 2).



სურ 2

ორსართულიანი ნაგებობა ისეთი კომპლექსით არის წარმოდგენილი, რომელიც ერთ ჰერქვეშ ითავებს ადამიანის საცხოვრებელსაც და სამეურნეო ნაგებობებსაც. მეორე სართულზე ორ და ზოგ შემთხვევაში სამ ოთახს გამართავენ. ამ სართულს ფართო აივანი აქვს, რომელიც ხშირად სახლს ორმხრივ ერტყმის. ქვემო სართულში მოთავსებულია სამზადისი სახლი, მარანი, სურსათ-სანოვარის შესანახი ოთახი, ხოლო ისეთი ნაგებობები, რომლებიც ჰიგიენური პირობების დაცვას უშლიან ხელს, გამოყოფილია. ასეთებია: ბოსელი, საბძელი, საღორე.

სახლს უჩნდება ახალი დანიშნულების ოთახები: სასადილო ოთახი, სასტუმრო ოთახი, საძინებელი ოთახი, შუშაბანდი.

თანამედროვე სახლების სახურავ მასალად კრამიტი და შიფერია გამოყენებული.

თუ წინათ კედლებისათვის სანახევროდ დამუშავებული ქვაც კარგი იყო, დღეისათვის კედლები საგულდაგულოდ გათლილი ქვებით ამოჰყავთ. ქვების დასაკვშირებლად კი თიხანარევი ტალახის მაგივრად კირს ხმარობენ.

მშენებლობაში გამოყენებულია აგრეთვე რკინა-ბეტონი (კედლების თავის შესაკვრელად); სახლის კედლები შელესილია თეთრად, მოშლილია კერა, მის ნაცვლად გაჩნდა რკინის ღუმელი. პაწია სარკმელები შეცვლილია მინებჩასმული ფართო, მაღალი ფანჯრებით.



საყურადღებოა, რომ ახალი ელემენტები ჩნდება ორნამენტულ ნამგალი, ვარსკვლავი).

კოლმეურნეთა ეკონომიური პირობების ზრდასთან ერთად მალდება მათი საცხოვრებელი ბინების კეთილმოწყობილობაც, რომელიც სავსებით განსხვავებულია ძველებური სახლის მოწყობილობისაგან.

Н. ТОПУРИЯ


НОВЫЕ ЖИЛЫЕ ПОСТРОЙКИ В ГОРИЙСКОМ РАЙОНЕ

В Горийском районе, в прошлом, главным образом, были распространены мицури и дарбазяни дома.

После советизации Грузии, в особенности при упрочении колхозного строя, быстрым темпом меняются старинные дома в соответствии с ростом культурно-экономических требований колхозников.

Воздвигаются новые дома, совершенно отличные от старинных домов как по своему внутреннему плану, так и по фасаду. Такие дома, в основном жилые, и от них отделены хозяйственные постройки (хлев, торне и т. д.).

Дома нового типа, в основном двухэтажные с балконами, светлые, чистые и благоустроенные. Эти дома вполне соответствуют современной культурной жизни и хозяйственным условиям.



А. ЛЕКИАШВИЛИ

К ВОПРОСУ О ГЕНЕЗИСЕ КУЛЬТУРЫ ПИВА У ГРУЗИН-ГОРЦЕВ

В Грузии, классической стране виноделия, известная часть грузин-горцев (хевсурь, мохевцы, пшавы, мтиулы, тушины), живущих в непригодных для виноградарства нагорных районах, издревле занимается пивоварением¹. Пиво является их «национальным» напитком; до последнего времени у грузинских горцев «пивопитие» необходимо сопровождало самые разнообразные бытовые явления. Пиво, как культовый напиток, имело важное значение в религиозной жизни горцев.

Для обозначения пива в речи грузинских горцев находим два термина: ალუდი *aludi* (тушинский диалект) и ლუდი *ludi*, которые несомненно, являются словами одного корня. Из них *ludi* служит литературным наименованием этого напитка. Относительно происхождения термина *ludi* любопытное соображение высказано проф. В. И. Абаевым². Им впервые справедливо указано, что грузинские термины *aludi*, *ludi* то же, что и осетинское *æluton* обозначающее своеобразный вид пива (пиво, в котором вываривались бараньи курдюки или целые бараньи туши).

Соответствующие этим словам термины установлены также в ряде североευропейских языков. Таковы: др.-исл. *ol*, дат. *ol*, швед. *öl*, др.-англ. *ealu*, *alu*, сред.- и н. англ. *ale*, литов. *alus*, др. прус. *alu* (медовый напиток), др.-слав. *ol*, *olu*, фин. *olut* (из германского). Предполагают, что в этих словах налицо обще-индоевропейский корень *al* в значении «горький», который встречается также и в латинском названии «квасцов» — *alumen* и нем. *Alaun*³.

По мнению В. И. Абаева, осетинское *æluton* является древним заимствованием — более вероятно из германского (готского), чем из финского. Он ссылается на наличие в ольвийских надписях (II в. н. э.) «скифское» слово *ἄλοβόζος* которое, по его предположению, могло означать «пивовар» или «пиволюб». Вместе с тем он считает, что грузинские термины *ludi* и *aludi* заимствовали у осетин⁴.

¹ Пивоварением в Грузии занимаются еще и осетины, а также чеченцы из Панкисского ущелья (Кახети, Ахметский район).

² В. И. Абаев, Значение и происхождение слова *æluton*, Осетинский язык и фольклор, I, М.—Л., 1949, стр. 339 сл.

³ O. Schraeder, Reallexicon der indogermanischen Altertumskunde, под словом „Bier“; C. Buck, A Dictionary of Selected Synonyms in the Principal Indo-European Languages, New-York, 1950, под словом „beer“, и др.

⁴ В. И. Абаев, указ. соч., стр. 340—341.



Это мнение об индоевропейском происхождении термина *ludī* недостаточно обосновано. Известные в северо-европейских языках соответствия термина *ludī*, в отличие от других терминов, обозначающих в тех же языках тот же напиток, не находят удовлетворительной этимологии. А сами искомые слова отсутствуют в древнейших индоевропейских языках.

В. И. Абаев в слове *ἄλουθ'αγος* выделяет корень *ἄλουθ'* (пиво), «распространеннейший ирано-осетинский суффикс» *αγ* и, по-видимому, греческое окончание *ος*⁴. Однако, согласно акад. И. А. Джавахишвили, в т. н. скифо-сарматских словах с окончанием на *αγος*, которые эпиграфически фиксированы в причерноморских памятниках, следует выделять суффикс *αγος*, а греческим окончанием следует считать только «*ος*». Суффикс *αγος* оказывается данным в греческой транскрипции черкесско-кабардинским фамильным окончанием *αγο* со значением «сын»⁵.

Ввиду этого, слова из причерноморских эпиграфических памятников с окончанием *αγος* можно было бы отнести к адыгейским фамильным названиям. Мы позволяем себе толковать *ἄλουθ'αγος* как фамильное слово в адыгейском, в котором выделяется собственное имя человека *ἄλουθ'* и *αγος* (*αγο*) в значении «сын». При таком осмыслении *ἄλουθ'αγος* явился бы точным соответствием хевсурского фамильного имени — *ალუდაურბო* *aludauri*, которое также является составным словом. В нем выделяется мужское собственное имя *aluda* и суффикс происхождения *ურბო* *-ur-i*.

Интересно отметить, что у грузинских горцев, слово *aluda* обозначает также смородину (литер. *მლუბარბო* *moshari*).

Думается, что дополнительное привлечение в дальнейшем соответствующего горско-кавказского материала даст многое для окончательного уяснения происхождения занимающего нас термина⁶.

В. И. Абаев с происхождением терминов *ludī*, *kelton* тесно связывает происхождение самой культуры пива у кавказских горцев. Он считает, что культура пива грузинами-горцами заимствована у осетин, которые, в свою очередь, переняли ее у германских или финских племен.

Аналогичное мнение (о германском происхождении культуры пива у осетин), но совершенно лишенное научной аргументации, высказал в конце прошлого столетия Р. Браунгарт⁷, увязавший данный вопрос с этногенезом осетин.

Браунгарт полностью разделял выставленную Гакстгаузенем (первая половина XIX века) псевдонаучную теорию германского происхождения осетинского народа. Эта теория, как известно, основана на сходстве

³ И. А. Джавахишвили. Основные историко-этимологические проблемы Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи, ВДИ, 1939, IV.

⁶ Летом, 1957 года, во время полевой этнографической работы в горной Раче (с. Геби), наши местные информаторы сообщили нам, что *alud* — слово «татарское», поскольку в бытность их в Карачае местные жители так называли пиво. Факт — явно заслуживающий внимания, тем более, что общепринятым карачаевским термином для обозначения пива, как хорошо известно, является тюркское слово *«sra»*.

⁷ R. Braungardt. Geschichtliches über den Hopfen, Wochenschrift für Brauerei, 1891 8. Jahrg., № 14.



(вполне естественном, если учесть принадлежность осетинского и немецкого языков к индо-европейским языкам) некоторых осетинских слов с немецкими, а также на сближениях (в большинстве, либо чисто поверхностных, ничего не говорящих по существу, либо неверных⁸) между предметами домашнего обихода, сельскохозяйственными орудиями и рядом обычаев у осетин и у жителей некоторых областей Германии. В своей тенденциозности Гакстгаузен дошел до того, что самым непонятным образом, в качестве местного названия пива вложил в уста осетин немецкое слово *Bier*⁹. Дальше этого не шли, пожалуй, даже авторы имевших в свое время хождение «теорий» о происхождении хевсур от крестоносцев¹⁰, или о французском происхождении кубачинцев¹¹.

Стоя, как уже отмечалось, на позициях Гакстгаузена, и, подобно своему предшественнику, ошибочно считая осетин единственным кавказским народом, знакомым с культурой пива, Браунгарт сделал вывод, что культура эта у осетин также германского происхождения¹². Вполне очевидно, что вывод этот отнюдь не более научен, чем и сама породившая его теория германского происхождения осетинского народа.

В отличие от этих авторов, В. И. Абаев, прослеживая генезис культуры пива у осетин и грузин, исходил, как мы видели, из серьезных лингвистических предпосылок. К тому же свое мнение (нами уже приводившееся выше) он подкрепляет положением о северном происхождении культуры пива, которое он излагает так: «Распространение культуры пива и названия напитка с севера на юг не является случайностью. Пиво — напиток по преимуществу северный. Северноевропейским народам, германцам, славянам, финнам он знаком, можно сказать, с младенческой поры их истории. Если мы представим на карте территорию распространения пива в древности, то окажется, что на севере это сплошная широкая полоса, захватывающая всю северную, отчасти среднюю Европу. На юге же это — отдельные островки: Египет, Армения и некоторые другие.

Со временем культура пива продвигалась от северных к южным народам. Исследование значения и происхождения осетинского слова *æluton* привело нас к выводу, что это продвижение шло в Восточной Европе, между прочим *via Alanica*¹³.

Однако, данное положение о северном происхождении культуры пива остается недостаточно доказанным. В. И. Абаев определенно недооценивает значение известного ему факта существования культуры пива у египтян, армян и др.

⁸ Напр., явно ошибочно утверждение Гакстгаузена о сходстве пахотного орудия осетин («Sibirr») с мекленбургской сохой (*Hackenpflug*), тогда как между ними нет даже типологического сходства: в этих пахотных орудиях резко разнятся такие основные элементы как, грядил, подошва, рукоятка, лемех и т. п. (см. Г. Чигая, Рачинское пахотное орудие, Известия ИЯИМК, 1, 1937, стр. 270—271).

⁹ Гакстгаузен, Закавказский край, II, СПб, 1857, стр. 117—118.

¹⁰ А. Зиссерман, Очерки Хевсуретин, «Кавказ», 1851, № 2.

¹¹ Е. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, Тифлис, 1888, стр. 111—112.

¹² R. Braungardt, указ. соч. стр. 211—213.

¹³ В. И. Абаев, указ. соч., стр. 346.



Древнейшим очагом культуры «нехмельного» пива является Передняя Азия¹⁴. В Месопотамии довольно развитое искусство пивоварения существовало уже к началу третьего тысячелетия до н. э. Изготавливались разные сорта пива из ячменя и эммера. В это же время были знакомы со способами соложения. Древние вавилоняне пиво заправляли кассией. Культура «нехмельного» пива является такой же древней и в «стране пива» — Египте. Уже во времена III династии здесь занимались пивоварением. На гробницах эпохи V—VII династий сохранились сцены, изображающие процессы изготовления пива. Египетское пиво заправлялось горькими и пряными растениями как-то: люпин, сахарный корень, сафлор, рута и др.

В Передней Азии культура «нехмельного» пива была знакома также хеттам, урартам, персам, армянам и др.¹⁵ И, вероятнее всего, именно к этому культурному миру и восходит своими истоками культура пива у осетин. За это говорит факт древнеиранского происхождения осетинского слова *bægæp* «пиво».

В свое время В. И. Абаев высказался в пользу меньшей древности данного слова по сравнению с *æluton*, увязав его с кабардинским *Beginä* «кисель»¹⁶.

Однако, установление ряда новых лингвистических фактов¹⁷, показывает, что слово *bægæp* древнеиранского происхождения и, следовательно, является древнейшим достоянием осетинского языка. Мы имеем в виду несомненное соответствие хорезмийского *bakanin*, «пиво»¹⁸ и уйгурского *bāgni*, *bkny id* осетинскому *bægæp*, а также этимологию *bægæp*, данную Г. Бэйли¹⁹.

Г. Бэйли дает этимологию *bægæp* привлекая уйгурское *bāgni*, *bkny* «пиво», согдийское *būny* производя последнее от иранского **bagana* от бага «бог», в смысле «божественный напиток»²⁰.

¹⁴ Очерки по истории техники Древнего Востока, М.—Л., 1940, стр. 29; E. Huber, Bier und Bierbereitung bei den Völkern der Urzeit, I, Berlin, 1926.

¹⁵ Б. Б. Пиотровский, История и культура Урарту, Ереван, 1944, стр. 178—180; A. Gütze, Kleinasien, Kulturgeschichte des Alten Orients, III, München, 1933, стр. 110—111.

¹⁶ В. И. Абаев, указ. соч., стр. 345.

¹⁷ В основном они были любезно сообщены автору самим В. И. Абаевым.

¹⁸ А. Фрейман, Хорезмийский язык, I, М.—Л., 1951, стр. 95.

¹⁹ H. Bailey, Transactions of the Philological Society 1954, стр. 134, 154.

²⁰ Тюркское происхождение этого слова, таким образом исключается, тем более, что интересующее нас слово, кроме уйгурского, не встречается в остальных тюркских языках. В уйгурском же, как известно, значительное число слов имеет именно иранское происхождение. С другой стороны, едва ли можно согласиться с Э. Губером, который увязывает уйгурское *bāgni* «пиво» (засвидетельствованное в этой форме у желтых уйгуров провинции Гань-су известным итальянским путешественником XIV столетия Одориком) с древнеиранским *bangā*. Вопреки его голословному утверждению: а) слово *bangā* в форме *bagna* не встречается в Авесте, и б) в соответствующей специальной литературе нет ничего подтверждающего столь же бездоказательное положение Губера, что в Авесте слова *bangā* первоначально означало якобы «ячменное пиво», а свое обычное значение — «гашиш» приобрело лишь позднее, см. E. Huber, указ. соч. III, Berlin, 1928, стр. 32, 36, 41.



Есть, следовательно, немалое основание утверждать, что культура пива у осетин доевневосточного происхождения.

Этот факт, несомненно, должен будет внести некоторые коррективы в высказанное В. И. Абаевым мнение о заимствовании культуры пива грузинскими горцами у осетин (алан). Тем более, что результаты сравнительного изучения пивоваренного дела и связанной с ним терминологии у грузин и у осетин отнюдь не говорят в пользу подобного решения вопроса.

Прежде всего необходимо констатировать, что грузинские и осетинские пивоваренные терминологии (по два примерно десятка слов в каждой) не дают ни одного соответствия! Что же касается технологий пивоварения, то наряду с общностью (само собой разумеющейся) основных процессов, и здесь налицо весьма существенные расхождения. Различны, напр., способы процеживания сусла и его заквашивания. Грузины — горцы сусло процеживают с помощью изготовленных из козьей шерсти мешков и самодельных прессовальных приспособлений (фильтрпресс). Осетины же для процеживания сусла пользуются выстланными соломой корзинами. Далее, осетины отцеживают сусло от хмеля не до брожения (как это принято у грузин-горцев), а после него. Кроме того, в качестве дрожжей осетины употребляют деку (пивную пену) вместе с хмелем, а не только деку (как это делают грузины-горцы). Приведенные факты не могут, на наш взгляд, не затруднить довольно серьезным образом, любую попытку установления генетических связей между осетинским и грузинским пивоварением.

Не следует также упускать из виду, что до последнего времени пивоварением на Кавказе занимались не одни только осетины и горцы грузины, но также карачаевцы, балкарцы, ингуши, чеченцы. К сожалению, сколько нам известно, в специальной литературе не существует этнографически-ценных обстоятельных описаний культуры пивоварения у этих народов. Между тем, как выше уже было отмечено, привлечение соответствующего горско-кавказского материала могло бы многое дать для более всестороннего и более углубленного охвата всего комплекса фактов, без должного учета которых едва ли следует пытаться дать дефинитивное решение проблемы происхождения культуры пива в Грузии и на Кавказе.

6. ბრძანებები

რაჭა-ლეჩხუმში მივლინების ანბარი

რაჭა-ლეჩხუმში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, მიწათმოქმედებას შორეულ წარსულში აქვს გადგმული ფესვები. აქ ვხვდებით მარცვლული კულტურის საყურადღებო ენდემურ ჯიშებსა და ორიგინალურ სამეურნეო იარაღებს¹, რაც ადგილობრივ შემუშავებულ მივლინდგროების რთულ სისტემასთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ მხარეთა ეთნოგრაფიულ შესწავლას.

რაჭა-ლეჩხუმში მივლინების დროს ჩვენი მუშაობის მიზანი იყო შემინდვრობისა და მასთან დაკავშირებული ხალხური გამოცდილება—ტრადიციების, შრომის იარაღების, წეს-ჩვეულებათა და მათი ურთიერთდაკავშირის შეძლებისდაგვარად ასახვა, ხალხის ყოფაზე უშუალო დაკვირვების გზით.

მივლინების პერიოდში მუშაობა მოგვიხდა სოფლებში: სორი, ღარი, ლავანთა, ხირხონისი, პიბილეტი, უწერა, ღები, ჭიორა, გლოლა (რაჭა, ონის რაიონი), ამბროლაური, სინათლე (ნიკორწმიდა), წესი, საღმელი, ხვანჭკარა, კვაცხეთი (რაჭა, ამბროლაურის რაიონი), ცაგერი, გვესო, ჩხუტელი, წიფერი, ორბელი (ლეჩხუმი, ცაგერის რაიონი) და ონისა და ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში.

მუშაობის დროს კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის გამოყენებით მასალა გროვდებოდა შრომის სხვადასხვა პროცესის შემცველი შემინდვრობის კომპლექსისა (ახოს აღება, მოკარება, ხვნა, თესვა, ფარცვა, მარგვლა, განოყიერება, ჩწყვა, მკა, ლეწვა, დაფშვნა, განიავება, დაბინავება, დატყვა, გამოცხობა) და ამ საკითხთან დაკავშირებული სოციალური მომენტებისა თუ მატერიალური და სულიერი კულტურის მონაცემების ირგვლივ.

ქერ კიდევ ვახუშტი ბაგარტონი წერდა: რაჭა არის „მოსავლიანი, თჯინერ ბრინჯ-ბამბისა, ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანი ყოველნი“ და „არამედ თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თჯინერ ბრინჯ-ბამბისა, გარნა სიფიროვისა და კლდიანობისათა უსარა ეგოდენი სიმრავლეთა“².

ჩვენს მიერ ველზე მოპოვებული მასალის მიხედვით დღეისდღესაც დასტურდება მარცვლული კულტურათა მრავალი ჯიშის არსებობა რაჭა-ლეჩხუმში.

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორია, ტ. I, 1930, გვ. 337—345, გ. ჩიტაია, რაჭული სახენელი, ენამკის მოამბე, ტ. 1, 1937; გ. ჩიტაია, ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში, საქ. მუზ. მოამბე, XIIB, 1944, გვ. 264; П. Жук-Ковский II, Культурные растения и их сородичи, М., 1950, გვ. 63, 65.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 192, 149



ამასთანავე, შეკრებილი ცნობები საშუალებას გვაძლევს მეტნაკლებად დავადგინოთ ცალკეული კულტურების გავრცელების არე რაიონებისა და სოფლების მიხედვით.

მარცვლეულ კულტურათაგან გავრცელების მხრივ პირველი ადგილი უკავია ხორბალს, გვხვდება როგორც სავაზაფხულო, ასევე საშემოდგომო ხორბლის ჯიშები. დადასტურდა ხორბლის შემდეგი სახეობანი რაიონების მიხედვით: ონის რაიონში—დოლა, წმინდა პური, ხულუგო, ძველი პური, ახალი პური, თავთუხი, შავფხა, დიკა, იფქლი, ქუბა; ამბროლაურის რაიონში—ხულუგო, (თეთრი და წითელი), იფქლი, დოლა, ძველი პური, წმინდა პური, დიკა, ქუბა, თავთუხი, ახალი პური, ზანდური; ცაგერის რაიონში: ხულუგო, იფქლი, დიკა, თავთუხი, მახა და ზანდური.

საყურადღებოა ღებელი მთხრობლის, გაბრიელ გობეჯიშვილის ცნობა: „დოლას ხულუგოს ვეტყოდით“ და „ძველ პურს ვეტყოდით ხულუგოს“; იგი ერთის მხრივ უნდა წარმოადგენდეს ხორბლის ჯიშებზე ხალხის მრავალ-საუკუნოვანი დაკვირვების შედეგს, მეორეს მხრივ, ეხმაურება და დადასტურებს აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ მეცნიერული კვლევა-შეღარების საფუძველზე გამოტანილ დასკვნას, რომ ხულუგო დოლის პურის ერთ სახეობათაგანს წარმოადგენს. ხოლო წესში მიღებული ცნობა, რომლის მიხედვითაც დოლა, იფქლი და ძველი პური ერთი და იგივეა, შეესატყვისება აკად. ივ. ჯავახიშვილისა და ვ. მენაბდეს მონაცემებს.

მარცვლეულის სხვა კულტურათაგან გავრცელებულია სიმინდი—ყვითელი და თეთრი. რაჭაში—გრანიცა, ადესა, ყირიმული, უსახელური, საადრით ადგილობრივი; ლეჩხუმში—აჭაშეთის თეთრი, აბაშის ყვითელი, ადგილობრივი კაყოვანა ყვითელი, ადგილობრივი კაყოვანა თეთრი. წინათ უმთავრესად ყვითელი სიმინდი ითესებოდა. უკანასკნელ ხანებში თეთრი გავრცელდა უპირატესად დაბლობ ადგილებში (მთიან ზოლში იგი ვერ ასწრებს მოსვლას). საქართველოში სიმინდის ჯიშთაგან პირველად კაყოვანა უნდა გავრცელებულიყო², ხოლო რაჭა-ლეჩხუმში მისი გავრცელება და სახელწოდება „ადგილობრივი“ ამ რაიონებში სიმინდის კულტურის არსებობის ხანგრძლივ ისტორიაზე უნდა მიგვიოთიებდეს.

ზოგიერთ ადგილას იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებით შემორჩენილი კულტურების სახით ქერს, ფეტვსა და ლომს. წინათ ქერი და ფეტვი („შავი ჭაღი“) მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რაჭა-ლეჩხუმის სამეურნეო ყოფაში და ძირითადად საქონლისა და შინაური ფრინველის საკვებად გამოიყენებოდა.

თესენ ლობიოს, ადგილ-ადგილ ცერცვს, საქონლისათვის იონჯას. რაც შეეხება ბოსტნეულ კულტურებს, მიუხედავად ვახუშტისა და გიულდენშტეტის მიერ დაცული ცნობებისა³, შესასწავლ მხარეებში მათი საყოველთაოდ გავრცელება არ დადასტურდა. სახელდობრ, მთის რაჭაში მებოსტნეობას მხო-

² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 332—337; В. Л. Менабде, Пшеницы Грузии, Тбилиси, 1848.

³ Л. Л. Декапревавич, Из истории появления и распространения кукурузы в Грузии, стр. 46.

⁴ ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 162 და J. A. Guldénstädt, Beschreibung der Kaukasischen Länder, Berlin, 1834, გვ. 92.

ლოდ უკანასკნელ ხანებში მიყვეს ხელი⁶, ამასთანავე უკანასკნელ მთის რაქაში კარტოფილი წამყვან კულტურად ქცეულა.

როგორც რაქაში, ისევე ლეჩხუმში არჩევენ კარგ (ნოყიერი, მიძიმე, შავი, ალიზიანი, მსუქანი მიწა) და ცუდ ნიადაგებს (ქვიანი, ხმელი, უნაყოფო, კლიანი, ხრეშიანი, მხალტე, აყალო-წითელი, ღარიბი, თირი—ხრეში, გვიმრალი).

მიწის შედარებითი სიმრავლე მაინც არ ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს მიწათმოქმედებისათვის, ვინაიდან ადგილთა უმეტესობა მთა-გორიანი, მაღლობი და ტყით დაფარულია. ამდენად ბუნებრივია, რომ დაბლობში დასამუშავებლად გამოსადეგი მიწის სიმცირის გამო ადგილობრივ მოსახლეობას მთის „მიწარობის“ პირობებში უნდა შეემუშავებინა მემინდვრობის სათანადო სისტემა და მცენარეულ კულტურათა შერჩევის გვერდით ბუნებრივი პირობებისათვის უნდა შეეფარდებინა მიწის დამუშავების წესები და შესაბამისი სამეურნეო იარაღები. ამიტომაც აქ მემინდვრობის სისტემა საკმარისად რთულ ხასიათს ატარებს.

ნიადაგის სიმწირისა და სახნავ-სათესად გამოსადეგი თავისუფალი ფართობის სიმცირის გამო ადგილობრივ მოსახლეობას უხდებოდა ტყის საყანედ გაკაფვა. მიზანშეწონილად ითვლებოდა ტყის გაკაფვა ზაფხულზე, როცა ხეს ფოთოლი დასრულებული ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში ანგარიშს უწევდნენ იმ გარემოებას, რომ მოჭრილ ხეთა გამხმარ ფოთლებს ცეცხლი ადვილად წაეკიდებოდა, დარჩენილი ნაყარი კი სასუქად გამოადგებოდა საყანედ გამიზნულ ახლად-გაკაფულ ადგილს, რომელსაც ახოს უწოდებდნენ. ტყის გასაკაფავად ხმარობდნენ ნაჯახს, წალღს, ცულს, ცულაფთას. მოჭრილი ხის მორებს მარხილით, ლაშკინებით || ლოშკინებით უზიდებოდნენ სახლისაკენ, ან წყლით აცურებდნენ. ხე-ტყის მასალის გაზიდვისა და ძირკვებისა თუ ხმელი ფიჩხის დაწვის შემდეგ წერაქვით ამოავლებდნენ მიწაში ჩარჩენილ დამპალ-გამოფიტულ ფესვებს, წმენდდნენ ზედმეტი ხისა და ქვებისაკენ, ააქვავებდნენ, აკარებდნენ ადგილს. საყანე ადგილის სახნავ-სათესად გამზადება-გასუფთავებას ონის რაიონში მოკარებას უწოდებდნენ, იგივე ტერმინი ამბროლაური რაიონში მხოლოდ ს. წესში დადასტურდა. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ ს. ზეანქარაში იგი მოსავლის სახლში მოტანას (კარს მოტანას) ნიშნავს. აღნიშნული ტერმინი ლეჩხუმში არ დადასტურდა; აქ მის შესატყვისად ხმარობენ გამოთქმას—მიწის გაწმენდა.

ახოში ნიადაგი მეტად ნოყიერი იყო (მიწა დასვენებული იყო, ბევრი მპალა და ნაყარი ჰქონდა). ამიტომ მას ხელოვნურად არ ანოყიერებდნენ; იგი რამოდენიმე წლის განმავლობაში კარგ მოსავალს იძლეოდა. ნიადაგის გამოფიტვის შემდეგ კი ადგილს აღარ ამუშავებდნენ, ასვენებდნენ 2—10 წლით. საერთოდ, ნაკელის სიმცირისა და ძნელმისადგომი მდებარეობის გამო შორეულ, გარე ყანებს ვერ ანაკებდნენ. ხელოვნურ განოყიერებას მხოლოდ ახლომდებარე, შიდაყანებში მიმართავდნენ და ისიც ცდილობდნენ მორიგეობით 2 წელიწადში ერთხელ მაინც გაენაკებებიათ თითოეული ყანა. წყნელისაკენ გამზადებულ ნავის მსგავს კურპელში — ხვირში (რაქა), ჩეოში (ლეჩხუმი) ჩაყრილი ნაკელი ყანამდე ურმით ან მარხილით მიქონდათ. მიწას ნაკელს ხის ორთითა მერტულით აყრიდნენ ზამთარში „რილოზე“ (გამდნარ თოვლზე) და ხვნის დაწ-

⁶ ს. მაკალათიას ცნობით მთის რაქაში მე-20 საუკუნის 1 მეოთხედშიც კი არ მისდევდნენ მეზოსტენობა-მებაღეობას. ს. მაკალათია, მთის რაქა, ტფილისი, 1930, გვ. 30.



ყების წინ გაშლიდნენ ყანაში. ნიადაგის განაკელების ეს წესი შტაქსანსაჲსაჲ-
თველოს ზოგიერთ კუთხეში, სახელდობრ, ახალციხისა და თიანჭხილსაჲსაჲსაჲ-
ში გავრცელებული წესისაჲ. ხოლო რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს სხვა
რაიონებს, იქ მიწას არ ანაკელებდნენ¹, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აქა-
რას, სადაც ცოდნით „ნეხვ-წყლით“ ნიადაგის მორწყვა².

რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობისათვის უცხო არაა საყანე ადგილების მორ-
წყვა, მაგრამ ბუნებრივი პირობების გამო აქ რწყვა ნაკლებად მოსახერხებელია.
სათესი ფართობის უმეტესი ნაწილი ფერდობ ადგილებშია, სადაც ამ მხარეებში
ასე უხვად ჩამომდინარე წყალი ვერ მიუღდება. თვით მაღლობებში კი დიდი
გვალვის დროს, როცა სწორედ ყველაზე მწვავედ დგას რწყვის საკითხი, ღლე-
წყაროები შრება. იმ მეტად მცირე ადგილებში კი, სადაც ეს შესაძლებელია,
პრიან ყანებში კვლავს და ზაფხულში არხივით მიუშვებენ მდინარისა თუ წყა-
როს წყალს. გვალვის დროს შემდეგ ირაციონალურ საშუალებებსაც მიმართავ-
დნენ — ხატის გამოსვენება და წყალში განბანვა, შესაწირავების დაკვლა და
თემად დაჯდომა, გონჯობა და ა. შ. ს. სორში კი დამოწმდა საინტერესო ჩვეუ-
ლება: გვალვის დროს ქვრივი ქალები მამლიყიულას კლდეში ქურის მსგავს
პრკვალ ქვასთან მიდიოდნენ. შიგ ფეხშიშველნი დგებოდნენ და იქ მუღმივად
მდგარ წყალს ღორის ტყავის ქალამნებით ხელუკლმა ამოაქცევდნენ. ამ საინ-
ტერესო გადმონაშთს რომლის თავდაპირველი სახით ფიქსირება ვერ მოხერხდა,
შორეულ წარსულში უნდა ჰქონდეს გადგმული ფესვები და მისი პირველყო-
ფილი სახით ზუსტად აღდგენამ, შესაძლებელია საყურადღებო შედეგი მოგვეცეს.

ნიადაგის ხელოვნურად განოყიერებისა, რწყვისა და დასვენების გარდა
რაჭა-ლეჩხუმში საყოველთაოდაა გავრცელებული მიწის დაანულება და თესლ-
ბრუნვა. მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შედეგად ადგილობრივ მოსა-
ხლეობას შეუქმნევია, რომ ერთსადაიმავე ნაკვეთზე სხვადასხვა მარცვლის
მორიგეობით დათესვა უკეთეს მოსავალს იძლევა. თესლბრუნვა ძირითადად
ორწლიანია — მონაცვლეობით ითესება ხორბალი და სიმინდი. ადგილობრივი
მოსახლეობა შემდეგი მიზეზით ხსნის ამას: ცნობილია, რომ სიმინდს ორჯერ ან
სამჯერ თონიან, მაშინ როცა პური მხოლოდ ხელით იმარგლება. ამიტომ სი-
მინდის ყანაში მიწა მეტად მუშავდება, რაც მომდევნო წელს იქვე „ნაბილარ-
ში“ (ნასიმინდარში) დათესილი პურის ნაყოფიერებას შეუწყობს ხელს. მეორე
მხრივ, პურის მომკის შემდეგ მიწაში დარჩენილი მისი ძირები მომდევნო გა-
ზაფხულზე დათესილ სიმინდს ნიადაგს უნოყიერებს; ამასთანავე, პურის მომკის

¹ X. A. Вермишев, Экономический быт гос. крестьян в Ахалцихском и Ахалкалакском уездах Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. III, 1886, გვ. 155;

М. В. Мачабели, Эк. быт гос. крестьян Тионетского у. Тифл. губ. МИЭБГКЗК, т. V, 1887, გვ. 443.

² იბ. Д. Н. Носович, Эк. быт гос. крестьян в Озургетском у. Кутаийской губ., МИЭБГКЗК, т. I, 1885, გვ. 751;

Ф. Т. Марков, Эк. быт гос. крестьян северо-восточной части Кутаийского уезда, МИЭБГКЗК, т. I, 1885;

И. Л. Бахтадзе, Эк. быт гос. крестьян Шорапанского у. Кутаийской губ. МИЭБГКЗК, т. II, 1886, გვ. 203;

И. О. Иоселиани, Эк. быт гос. крестьян юго-зап. части Кутаийского у., МИЭБГКЗК, т. VII, 1887, გვ. 239.

³ თ. საბოკია, მოგზაურობანი, თბილისი, 1950, გვ. 168.

შემდეგ გაზაფხულამდე, სიმინდის დათესვამდე, შესაძლებელია ყანის დაწინაურება.

თესობრუნვაში ცნობილია სხვა თანამიმდევრობაც; მაგალითად—პირველ წელიწადს ითესება ქერი, მერე ფეტვი, ამის შემდეგ სიმინდი და მეოთხე წელს კი ხორბალი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც პურს სიმინდის შემდეგ თესენ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ახლად აღებულ ახოში პირველ წელს ფეტვი, ქერი ან სიმინდი ითესება და არავითარ შემთხვევაში ხორბალი, (განაკლებულ ყანაშიც პირველ წელიწადს სიმინდი ითესება), ვინაიდან ხორბლისათვის არ ყოფილა საჭირო მსუყე, ნოყიერი ადგილი, რომელშიც იგი მხოლოდ მაღალი გაიზრდება და თავთავს კი ვერ მოისხამს, ან არა და „სუქან მიწაში წაიშრავის და თაველი წააქეცეს“. ახოში პირველად სიმინდის დათესვის იგივე ჩვეულება დამოწმებულია ზემო იმერეთშიც¹⁰, ხოლო ახალციხის რაიონში საუკეთესო მიწა ქერს ეთმობოდა¹¹. ამგვარად, რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული ეს წესიც, ნიადაგებისა თუ მარცვლეულის ჯიშების ღრმა ცოდნასა და გარკვეულ გამოცდილებას უნდა ემყარებოდეს.

მთის რაჭაში ვხვდებით ორმინდვრიანობის სისტემასაც. აქ სახნავ-სათესი ფართობი, ორ ნაწილადაა გაყოფილი — 1) თევრეშო და 2) ჩვეშო. როცა თევრეშოზე 2 წლის განმავლობაში მონაცვლეობით ითესება სიმინდი და პური, ჩვეშო ისვენებს და აქ საძოვრად გაშვებული საქონლის ნაკელით ნოყიერდება. მომდევნო ორ წელიწადს კი, ჩვეშოში თესენ და თევრეშოს ასვენებენ და ა. შ.

მოკარებულ-გასუფთავებულ ადგილს დაბლობსა და ისეთ ფერდში, სადაც ზარი მიუღდება, ძველთაგანვე სახენელით (იხ. სურ. №№ 1, 2, 3), რომელსაც ერთი უღელი გამწევი ძალა უბია, ამუშავენ. ციკაბო ადგილებისა და ახლად ვაკეთული ახოს დასამუშაველად კი წერაქვს, წალკატს, თოხწერაქვსა და ოთხკუთხა ბრტყელ თოხს იყენებენ ნიადაგის ქვა-ლორღისა და ძირკვებისაგან გასაწმენდად, მიწის მოსაძრავად, დასათოხნად. შეკრებილი მასალის მიხედვით ოციოდე წელი უნდა იყოს, რაც ლეჩხუმში შემოვიდა იმერული „ცქიტინი“ თოხი, რომელიც აქაურ გლეხებს ფერდ ადგილებში სამუშაოდ მიზანწეწონილად მიაჩნიათ.

სახენელს ადგილობრივი მიწის მუშები ამზადებენ ხისაგან.

დამოწმდა სახენელის ცალკეული ნაწილების შემდეგი სახელწოდებანი.

რაქა:	ლეჩხუმი:
სახნისი	სახნისი
ქუსლი სახენელი ფიცარი	ქუსლი
კავი სატარი	კავი
ერქვანი ვერქვანი მხარი ხელა	ერქვანი
წასაბმელა წინკავი წინმავალი წერწეტა	წასაბმელა:
ჯამბარა	ჯამბარა
სოლუკა	კინტი


სახენელის ამ ნაწილების დასამზადებლად საგანგებოდ არჩევენ ხის ჯიშებს. ქუსლს აკეთებენ მსუბუქი, გამძლე და სრიალა ხისაგან, რომელიც ნაკლებად იკრავს მიწას (ლეკა, თხმელა, იფნა, ნეკერჩხალი). ყანაში მუშაობის დროს ერქვანზე მიმაგრებული აქვთ სახენელის ქუსლის საწმენდად „ხოწივით“.

¹⁰ ი. ლ. Бахтадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 203.

¹¹ X. A. Вермишев, დასახ. ნაშრ., გვ. 147.




(კოვზივით) ხის პატარა ხოპელა ||ხოპინა|| საფხეველა. კავი მსუფხეველა ჩეხეველა მზადდება (რცხილა, იფნა, ცაცხვი, თელა, წაბლი); ერქვანისათვის, რომელსაც დიდი ჯაფა ადგას, მაგარი გამძლე ჯიშის ხეს არჩევენ (ურთხველა, იფნა). სახენელის დასამზადებლად იყენებენ ნაჯახს, სატეხს ||პირთხელს, ჩულუსს. ხისაგან



სურ. 1

გაკეთებულ სახენელს, რომელსაც მხოლოდ სახნისი აქვს რკინის, ევალბამეტად რთული სამუშაოს შესრულება—ღრმა ან ზერეულ ხენა და ბელტის დაფშენა—გადაბრუნება, რასაც მხენელი ||მხნავი სახენელის რიგ საშუალებათა



სურ. 2

სისტემის გამოყენებით აღწევს. (1—ჯამბარის სიგრძე; 2—წასაბმელის ნაკლებზე ჯამბარის გადანაცვლება, 3—სოღების საშუალებით სახენელის დაპირვიწროება და დაპირფართოება და 4—ქუსლის ფარფლები საშუალებით ბელ-



თიანი წელიწადი იქნებაო“. სანთელს ვარცლთანაც დაანთებდნენ. ხელის-გაღების დღეს „დამზნევება“ („ზედობა, ფეხისდაცდასავით“) იტოდნენ და პირველთარ შემოხვევაში მოსულ სტუმარს ოჯახიდან არაფერს გაატანდნენ, რათა დოვლათი არ დაეკარგათ, ოჯახს განიავება-ზარალი არ დაბედებოდა. თესლის-გაღების შემოთაღნიშნული წესის შესრულების შემდეგ შეიძლებოდა ხვნა-თესვის თუნდაც ერთი თვის დავვიანებით, დამთბარ ამინდში დაწყება. გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებას ალოსთავის დადგომა ეწოდება.

რაც შეეხება საშემოდგომო ხორბალს, იგი მთაში უფრო ადრე უნდა დაითესოს (1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე), ვიდრე ბარში (15 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე). შემოდგომაზე დათესილი ხორბალი თოვლის მოსვლამდე უნდა გაჩევილდეს, ფესვმომავრებული შეეგებოს ან არა და „კაკლად უნდა შეყვეს თოვლს, არ მოასწროს გალოჯვა“, რადგან დაუჩევილებელ, გაღვივებულ თესლს წყალი შეუდგება და დააღობს.

ცნობილია საშემოდგომო ხორბლის სიმინდში გამოთესვაც, სიმინდის მეორედ გათოხნის, მოროდის დროს ყანაში გამოთესენ იფქლს, რომელიც სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ ყანაში რჩება და აღრიანად დათესილი ზამთარს უკვე ფესვმომავრებული ეგებება. ეტყობა აქაც ზემოიშვრეთის მსგავსად¹³ სიმინდში ხორბლის გამოთესვას სათესი ფართობის სიმცირის გამო მიმართავენ.

დამოწმდა ხვნა-თესვის ორგვარი წესი: 1) კალათში ან ხალთაში ჩაყრილი მარცვლის ხელვაშლილად მოზნევა მოუხნავ მიწაზე და შემდეგ დახვნა და 2) დახვნა და შემდეგ ხნულში მარცვლის ჩაზნევა. ამ უქანასკნელს მიმართავენ ნესტიან ნიადაგში თესვის დროს, რათა მარცვალი (განსაკუთრებით ხორბალი) ძალიან ღრმად არ მოხედეს მიწაში და არ დაღბეს. თესვის დროს ნათესის პირზე მყოფი წინამდგომი (ბავშვიც შეიძლება იყოს; ხვნა-თესვა კი წინათ მამაკაცის საქმე იყო) ნიშანს აძლევს მთესველს, რათა ხარვეზი არ დარჩეს. დათესილი მარცვალი იფარცხება მოწინულ ჩელტზე გამობმული ეკალნარით (ფარჩხი || ფორჩხი).

დათესილი ხორბალი მალე ამოიწვერება, წვერს ჰკრავს, საწვერზე დადგება, გამწვანდება, გაჩევილდება, მუხლს იყრის, თავს იყრის, თავს მოიბამს, დამაკდება, დაიხვარბლება, დაიშარცვლება, აფერდება — გაყვითლდება, დამწიფდება.

აჩევილებულ პურს, სარვევლას აცლიან, ხელით მარგლავენ ქალები. წვერნაკრავი და შემდეგ კი გასამყურებული სიმინდი უკვე სახელადოა და ითხნება, მერე კი, როცა მოიზრდება, მუხლს მოიმაგრებს და ბალანიც კვლავ წამოერევა, ამოროდებენ. ზოგჯერ საჭირო ხდება სიმინდის მესამედ გათოხნაც—გამესამედობა.

მოსავლის აღება ზაფხულში ივნისიდან იწყება. ჯერ მოიწვევენ საშემოდგომო ხორბალს, შემდეგ ქერს და საგაზაფხულო ხორბალს, დაბოლოს, საშემოდგომო-მაზე—სიმინდსაც. პურის მოსავლის აღება აგვისტოს დასაწყისში უკვე მთავრდება (მთაში ცოტა მოგვიანებით). ხორბალს და ქერს ნამგლებით მკიან, ამ საქმეზე ძირითადად ქალები მუშაობენ. სამკალში გასული მუშახელი წინათ იმოსებოდა ტყავის ან ტილოს სამკლავურებით || სამკლავებით || სამაჯურებით, წინსაფრით, თავსაფრითა და ხელთათმანებით. ღებში კი—ქალები ყურთმაჯებაკაპიწებულ ჩოხებსაც იცვამდნენ და თავზე თეთრი თავსაფრის ქვევით ჩიქილა-

¹³ ი. ლ. Бахтадзе, დასახ. ნანრ., გვ. 203.

საც ატარებდნენ. თითებზე კახეთიდან გადმოღებული ხის სათითები ქუჩის ნაწილში ყანაში თან მიჰქონდათ ნამგლის საღესი ქვაც.

მკის დროს მომავლი ორ მკელი ნამუქს (მკის დროს ნამგლის ერთ გამოს-მაზე ხელით, მუქით აღებულ მოჭრილ თავთავეებს¹⁴) აწყობს ერთ ადგილას¹⁵; მენაბჯე ორ მენაბჯევი ანამუქებს ნაბჯს და აწყობს მეულოვეს მიერ გამზადებულ, მომკილი პურის დასველებული ღერობისაგან დაგროვილ ვადამარყუყუებულ ულოზე (რაქა, გვარალზე (ლეხუმში), რომელსაც მკონავი (კაცი) შეკონავს, თითო მეულოვე, მენაბჯევი და მკონავი ჭირდება ორ კარგ მკელს, საშუალოს კი სამს ან ოთხს. კარგი მკელი დღეში 60—80 ნაბჯს მკის. კარგ მკელს რაქაში წინათ თაბაგარს უწოდებდნენ. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში არსებული შინამრეწველობის მასალებში დაცული ცნობა, რომლის მიხედვით ს. ბრეთში მკელს თაბაგარი ეწოდებოდა.

შეკრულ ნაბჯს ხუთუღებდა აწყობენ ყანაში, შემდეგ დგამენ კორომებს დეოს; ზვინს, ან წერს. წერად დადგმულ ნამკალს გამოშრობის მეტი საშუალება აქვს; ნაივი მასში მეტად მოძრაობს და კარგად ახმობს. წერი უზირატესად ზემო რაქაში იდგმება. ზვინებად დადგმას დაცამეტებას უწოდებენ მიუხედავად იმისა, რომ ზოგ სოფელში ეს ე. წ. ცამეტი 15, 16, 17 ან 20 კონისაგან შედგება. როგორც ჩანს, ეს ცამეტი გარკვეული ზომა-წონის გამომსახველი ტერმინი უნდა იყოს. სახელდობრ, ზვინად დადგმულ ცამეტში გარკვეული რაოდენობის „ნაოთხალი“ (1 ბათმანი, 9 კგ.) მარცვლი უნდა გამოდიოდეს და, ეტყობა, ზოგ სოფელში კონების ზომისა, ან ხორბლის ჯიშის მიხედვით ეს რაოდენობა გამოდიოდა მხოლოდ 15, 16, 17 ან 20 კონიდან.

ზვინებში, წერებში გამომშრალ გამხმარ კონებს კალოზე შლიან გასალეწად. კალო წინასწარ გამოზადებული, გასუფთავებული, „მოხონილი“ ადგილია. ლეწავენ, ისევე როგორც მთელ ამიერკავკასიაში¹⁶, კევრით. კევრი აქ ფიჭვის (ან ნაძვის) ორი (იშვიათად ერთი) ფურცლისაგან მზადდება. წინ თავი, ნაივი „მოდავინებული“ (ზევითკენ ახრილი) აქვს, რათა კალოზე სრიალის დროს არ წაზვეტოს პური. კევრის ნედლ ფურცლებში სვამენ კავებს ორ კოყებს ან კონებს. განმობისას ფიჭვი უჭერს ამ ქვებს და მათ კარგად ამავრებს „ამომტონილ“ ბუდეებში. ამასთანავე, თვით ფიჭვს აქვს თავისი ზოლები—„ნახუები“, რომლებიც ავრეთვე თავის მხრივ ლეწავს მარცვლელს. კევრს ლეწვის დროს სიმძიმისათვის ზედ ბავშვები შემოასხდებიან ხოლმე.

მთის რაქაში, სადაც მესაქონლეობა დიდადა განვითარებული, ისევე, როგორც საქართველოს მთიანეთის ზოგ ადგილებში¹⁷, ხორბალს და ქერს უკ-

¹⁴ საქ. სსრ მეც. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიკ. არქივში დაცული შინამრეწველობის მასალები (მიწათმოქმედება 1. 1935).

¹⁵ მკის დროს ნამგლის ერთ გამოსმაზე მუქით აღებული მოჭრილი თავთავეების სახელწოდება ტიხეშიც მუქიდანაა ნაწარმოები—მუქეული, ხოლო აპარაში კი სიმინდის ჩალის იმ რაოდენობას, რასაც მომჭრელი ხელში დაიჭერს, ჭელი ეწოდება. ეს უკანასკნელიც, ნაწარმოები მკელიდან, რაც ნაშნავს ბეჭს მეტს. იხ. სტ. მენტეშაშვილი, აპარის ეთნოგრაფიული მასალები, ენიმის მოამბე, ტ. II, გვ. 166.

¹⁶ სტ. მენტეშაშვილი, კევრი, საქ. სახ. მეზ. მოამბე, ტ. IXB, 1935—1936 გვ. 96.

¹⁷ იქვე, გვ. 96 და Н. К. Никифоров, Эк. быт. гос. крестьян Душетиского уезда Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. V, 1887, ч. II, გვ. 50.



ეროვნულად
ვროდ, საქონლის ფეხებით ლეწავდნენ. აქ საკირცხავზე გამოწვეული იყო
ექვსი ხარი ფეხებით ლეწავდა ხორბალს. ასეთ ლეწვას მიზნად ჰქონდა საქონ-
ლის საზამთრო საკვებად ჩალის მიღება, მაშინ, როცა კევრით ლეწვის დროს
ბზე რჩება.

უკანასკნელ ხანებში მთის რაქაშიც იყენებენ სალევად კევრს.

ვალეწილი ნამკალის გასაწმენდად საჭიროა განიავება (ხისა და რკინის
ფიწლები, ნიჩბები, არნაღი, ცოცხი), ხოლო შემდეგ კი მოკაზმვა || გაკაზმვა.
რისთვისაც თხილის ტეჩისაგან დამზადებულ ცხავს || ძღავს, კაკაბასა და
ცხრილს იყენებენ.

ხორბლის სხვა ჯიშთაგან განსხვავებით ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ლეჩ-
ხუმში ფართოდ გავრცელებული მანისა და ზანდურის მოსავლის ასაღებად
ნამგალი არ გამოდგებოდა. ასეთ შემთხვევაში იყენებდნენ მგტად ორიგინალურ
და მარტივ—2,5 მტკაველის სიგრძის—ხის იარაღს შნაკვს || შამკვს || შაკვს,
რომელსაც მხოლოდ ასტურიაში მოეძებნება ანალოგი¹⁸. მახასა და ზანდურის
ღეროები საკმარისად მსხვილია და მკიდნენ რა ყანაში დარჩენილ, შნაკვით
თავთავებადატეხილ „კოროღებს“, მათ ლეჩხუმლები საცხოვრებელ და სა-
მეურნეო ნაგებობათა გადასახურავად იყენებდნენ, მაშინ, როცა სხვა პურეუ-
ლის ჩალას საქონლის საკვებად ხმარობდნენ.



სურ. 4

მახასა და ზანდურის დაკრეფილი თავთავეები, კალოზე არ იღეწებოდა. მათ
ზის ან ქვის საცეხველში ზის ხელკავეებით ცეხავდნენ ქალები (სურ. № 4) სა-
ცეხველშივე იცეხებოდა ფეტვი, ღომი და წანდილის (რაქა) || ჰანტილის
(ლეჩხუმი) გასაკეთებელი ხორბალი. ლეჩხუმშივე, დამოწმდა ძველად წყლის
საცეხველის არსებობა, რომელიც ეხლა აღარავის შემორჩენია¹⁹.

¹⁸ Н. Вавилов, Путешествие в Испанию, Новый Мир, 1937, № 2.

¹⁹ საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის
განყოფილების არქივში არსებულ შინაბრეწველობის მასალებში (მიწათმოქმედება 1) დაცუ-
ლია ცნობა „ფეხის სამცხველის“ არსებობის შესახებაც.



ქართული

ლო მეზობლებს კი ნამუშევარის საფასურში კარგად უმასპინძლებდნენ. ი. ბახტაძის მიერ რაჭის შესახებ შეგროვილ მასალებში ამგვარ გაერთიანებებს ნაღობა ეწოდება²⁰. ჩვენს მიერ შეკრებილი ცნობებით კი შრომის დროს ურთიერთდამხმარების ეს ფორმა ნაღობის სახელით ცნობილი ყოფილა ლეჩხუმში, ხოლო რაჭაში ამ სახელწოდებით იგი არცერთ რაიონში არ დადასტურდა. რაჭაში ლეჩხუმური ნაღობის შესატყვის ტერმინად მეშველი, მეშველის ყოლა ან მუშა, მუშის ყოლა გვხვდება.



სურ. 6

მოსავლიანობასთან დაკავშირებული სამუშაოების, ალოსთავის დამთავრების შემდეგ როცა „ჩაილოსთავენდნენ“, მართავდნენ კალოკრობას — შეიყრებოდნენ, „თემად დაჯდებოდნენ“, ღმერთს აღიღებდნენ, ევეღრებოდნენ.

რაკალეჩხუმის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის შესწავლის დროს ყურადღებას იქცევს ერთი საინტერესო გარემოება. სახელდობრ, სასოფლო-სამეურნეო ხასიათის თითქმის არც ერთი სამუშაო (ხის მოჭრა, ხენა, თესვა, მოსავლის აღება და ა. შ.) არ უნდა დაწყებულიყო ახალ მთვარეზე. ხალხის გადმოცემით ხეს, მარცვალს „ბლილი || მლილი“, კია გაუჩნდებოდა, „დაბლილა და, დაამკიავებდა“ და გააფუჭებდა. ამიტომ „დაიმთვარებდნენ, დავაზმებულ, მოორშაბათებულ და მოხუთშაბათებულ მთვარეზე“ იწყებდნენ მუშაობას. ან სხვა შემთხვევაში მთვარის ხნოვანების მიხედვით სამუშაოზე გასასვლელად დღეებსაც არჩევდნენ. საყურადღებოა, რომ ხის მოჭრის დროს მთვარისა და დღის შერჩევის გარკვეული წესი დადასტურებულია დასავლეთ საქართველო-

²⁰ ი. ლ. ბახტაძე, Эк. быт. гос. крестьян Рачинского уезда Кутаисской губ., МИЭБГКЗК, т. II, 1886, გვ. 26.

ში მ. გეგეშიძის მიერ²¹. თუმცა, მ. გეგეშიძის ნაშრომში მითითებული ციფრები შერჩევის წესი არ ემთხვევა ჩვენს მიერ დადასტურებულს.

მასალა გროვდებოდა აგრეთვე ბოსლობის, ბერიკაობის, ადგილობრივ გავრცელებულ ზომა-წონის ამსახველი ერთეულებისა, ტომონიმიკისა და ონომასტიკონის ირგვლივ.

ზემომოყვანილ მასალათა გაფართოვება-შევსებისა და შეჯიბრების შემდეგ სხვა რაიონებსა და კუთხეებთან ურთიერთშედარების შედეგად სამეურნეო-კულტურული ტიპის დადგენისა და სათანადო დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვეცემა.

Н. А. БРЕГАДЗЕ

ОТЧЕТ КОМАНДИРОВКИ В РАЧА И ЛЕЧХУМИ

Резюме

В Рача и Лечхуми, как и в остальных частях Грузии, земледельческая культура имеет многовековую историю. Здесь встречаются эндемические сорта зерновых культур и оригинальные сельско-хозяйственные орудия, которые наряду со сложной системой полеводства придают особое значение этнографическому изучению этих районов.

Полевой этнографический материал собирался вокруг сложной и многосторонней земледельческой системы, включающей в себе разнообразные трудовые процессы (расчистка, унаваживание, пахание, посев, бороньба, поливка, прополка, жатва, молотьба, хранение, размол, выпечка). Обращалось внимание как на данные материальной и духовной культур, так же и на связанные с полеводством социальные моменты.

По собранным материалам явствует, что в Рача и Лечхуми среди зерновых культур наибольшее распространение имеет пшеница (встречаются разные сорта озимой и яровой пшеницы). Засвидетельствованные в этих краях сорта кукурузы указывают на давнишнее распространение этой культуры. Кое-где в виде сохранившихся культур встречаем ячмень, просо и гоми.

В условиях малоземелия население Рача и Лечхуми наряду с подбором зерновых культур, выработало соответствующую природным условиям сложную земледельческую систему.

Повсеместно были известны подсечная и паровая системы земледелия вместе с севооборотом. Встречается и двухпольная система (Горная Рача).

Известны унаваживание и в некоторых местах поливка полей, а также и иррациональные способы, применяемые с целью повышения урожайности.

Наряду с современными сельскохозяйственными орудиями бытуют и древние формы орудия, (более или менее приспособленные к местному рельефу: уникальное пахотное орудие — сахвиელი, борона, сера, молотильная доска и т. д. Еще в недавнем прошлом в Лечхуми для сбора зерновых культур — маха и зандури — применялось оригинальное деревянное орудие «шнакви»).

Собранный нами и вкратце изложенный этнографический материал в статье сравнивается с данными отдельных авторов, описывающих земледельческий быт и культуру как Рача и Лечхуми, также и остальных частей Грузии.

²¹ მ. გეგეშიძე, მეღვინეობის ზის იარაღ-პურპელი დასავლეთ საქართველოდან, საქ. სახ. მთხ. მოამბე, ტ. XIX—B, 1956, გვ. 141.

ბ. ჯავახიშვილი

დასახლების ტიპი სოფ. შილდაში

ქართული ეთნოგრაფიისათვის დასახლების საკითხის შესწავლა შედარებით ახალი თემაა. წინამდებარე ნაშრომი, რომელიც მიძღვნილია დასახლების ტიპის შესწავლისადმი ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში, ეყრდნობა ჩვენს მიერ 1955—57 წლებში შეკრებილ საველე ეთნოგრაფიულ მასალას.

ამ საკითხზე მუშაობის დროს მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ჩვენ ვხელმძღვანელობდით პროფ. გ. ჩიტაიას შრომით „დასახლების ტიპი მთიულეთში“ (მას. საქ. ეთნოგრ. VI, თბილისი, 1953 წ.).

სოფ. შილდა გაშენებულია ე. წ. შილდის მთების ძირში, ტაფობ ადგილზე. აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ სოფელს ჩაუდის მდინარე ჩელთი. ჩელთიდან იღებს სათავეს სოფლის სამი დიდრუევი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სოფლისათვის. დიდრუევების საშუალებით ირწყვება, როგორც თვით სოფელში, ისე მის მახლობლად და მისგან მოშორებით განლაგებული სოფლის ვენახები და ბაღბოსტნები. მორწყვა წარმოებს დიდრუევებიდან გაყვანილი პატარ-პატარა რუების საშუალებით. ამავე წყლის საშუალებით ძველადაც და არაიშვიათად ესლაც ვენახებში მათი განოყიერების მიზნით შეაქვთ პატივი (წაეკლი). ძველად, როდესაც სოფელში არ იყო გაყვანილი სასმელი წყალი, რუები ამ მხრივაც აკმაყოფილებდნენ სოფლის მოთხოვნილებას. დიდრუევებზეა გაშენებული სოფლის ყველა წისქვილი. მათი უმეტესობა იმ დიდრუევზეა გაშენებული, რომელიც სტალინის სახელობის ქუჩის გასწვრივ მიედინება. დაბოლოს, რუებსა და დიდრუევებს მნიშვნელობა აქვთ სოფლის სისუფთავის დაცვის საქმეშიც, რადგან დიდრუევების მიმდინარე წყალს სოფლიდან გააქვს ყოველგვარი უსუფთაობანი, ხოლო რუების წყალი გამოიყენება საოჯახო საქმიანობისათვის. ზაფხულის ცხელ დღეებში, დიდრუევების ცივი მთის წყალი საგრძნობლად ხელს უწყობს სოფელში მკაცრი სიცხით გამოწვეული ტემპერატურის დაცემას.

შილდაში 6 უბანია: მუკელიანთი (243 კომ.), შალუიანთი (253 კომ.), მამუკიანთი (261 კომ.), ბურდიანთი (338 კომ.), ჟურულიანთი (261 კომ.), ვეძისხევი (267 კომ.). სულ სოფელში მოსახლეობს 1623 კომლი. უბნები ურთიერთთან ისე მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ რაიმე განსაზღვრული ტერიტორიალური ზღვარის დადგენა მათ შორის თითქმის შეუძლებელია. თითოეულ უბანში მცხოვრებ გვართა რიცხვი ძლიერ დიდია. იგი 49-დან 80-მდე მერყეობს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ უბანში რომლის გვარსაც იგი ატარებს, უმეტეს შემთხვევაში თვით ამ გვარის წარმომადგენელი უმცირესობას შეადგენენ. ამას გარდა, ერთი გვარის წარმომადგენელი თითქმის ყველა უბანში არიან განსახლებულნი. თვით უბნებს შიგნითაც უმეტეს შემთხვევაში



უზნებად დაყოფას აქვს ადგილი. აქ კი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე და უფროსა გვარების მოსახლეობითაა გამოწვეული ე. ი. ერთი გვარის წარმომადგენელნი სახლობენ და უბანიც ამ გვარის სახელს ატარებს. დღეისათვის ყველაზედ მონოგენურად შეიძლება ნიკოლოზიშვილების მიკროუბანი (ვერძისხევში) მივიჩნიოთ, რომელშიც მხოლოდ ერთი გვარია ჩასახლებული — შინგაზრდილოვი. გადმოცემის თანახმად იმერეთიდან შილდაში ჩამოსახლებულა ორი ძმა—ნიკოლოზი და მარკოზი, აქედან წარმოადგენენ ნიკოლოზიშვილები და მარკოზაშვილები, რომელთა შორისაც ქორწინება როგორც წესი აკრძალულია, ვინაიდან ამ ორი გვარის წარმომადგენელნი ურთიერთს ნათესაგებად — ბიძაშვილებად თვლიან. უბანში მცხოვრებ გვართა შორის ქორწინება აკრძალული არ არის იმ შემთხვევაში, თუ კი მექორწინენი ერთი გვარის წარმომადგენელნი არ არიან და მათ შორის ნათელ-მირონი არ არსებობს. მიუხედავად ამისა ამ უზნებში ქორწინება იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. მიკროუბანში მცხოვრებ გვართა შორის ქორწინება დაშვებული არ არის. უკიდურესი გამოწვევის სახით მიკროუბანში დაშვებულია ქორწინება სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებს შორის იმ შემთხვევაში, თუ მექორწინეთა ერთ-ერთი გვარის წარმომადგენელი ახალი ჩასახლებულია მიკროუბანში და სამი თაობის გავლამდე იგი ჭერ-ჭერობით არ ითვლება ამ უბნის შვილად — ახალ საფუძვლიანია.

შილდა წარმოადგენს ქუჩის გასწვრივ ორივე მხარეს განლაგებულ სოფელს. საცხოვრებელი ნაგებობანი და მათთან ერთად მცირე ზომის საკარმიდამო ნაკვეთები სამეურნეო ნაგებობებითურთ, მკიდროდაა ურთიერთთან მიკედლებულ-შეჯავფული. საცხოვრებელ ნაგებობათა უმრავლესობის ფასადი ქუჩაზე გამოდის. ცენტრალური ქუჩები თავისი იერით მოგვაგონებენ ქალაქური სახის დასახლების ტიპს. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ საცხოვრებელ ნაგებობათა მიმართ, რომლებიც აგებულია ამ 30—40 წლის უკან. ახლაც, როდესაც სოფელში გამუდმებული ინტენსიური საბინაო მშენებლობა მიმდინარეობს, ეს პრინციპი სახლების განლაგებისა უმთავრესად ძალაში რჩება. არის შემთხვევები როდესაც სახლის მშენებლობა ეზოს სიღრმეში წარმოებს, მაგრამ იგი ძლიერ იშვიათია. ქუჩაზე გამოსულ სახლის ფასადს, უმეტესად, მხოლოდ ფანჯრები გააჩნია, თითქმის არსად ვხვდებით ივიანს და მით უმეტეს სადარბაზო შესასვლელ კარს. კიბე ყველა სახლს ეზოდან აქვს მიდგმული. ეს უკანასკნელი გარემოება უმთავრესად იმით უნდა აიხსნას, რომ ჭერჭერობით ქუჩების მოკირწყველა ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს; ხოლო მზარდი ავტოტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული მტვერი და ქუჩების სივიწროვე აიძულებს მშენებლებს აავონ აივნები ეზოს მხარეს.

სოფელში საცხოვრებელი ნაგებობების აბსოლუტური უმრავლესობა ქვიტკირისაა. მოწნული და ჩალაგადახურული სახლები სოფელში არსად გვხვდება. აქა-იქ შემორჩენილია ძველი, ფიცრული სახლები, მაგრამ ისინიც კი ძლიერ იშვიათადაა გამოყენებული საცხოვრებლად.

თანამედროვე ქვიტკირის სახლები. ჩვეულებრივ ორსართულიანი იგება. პირველ სართულზე განლაგებულია უცილობლად მარანი, რომელიც ახალი ტიპის ნაგებობაში გარდა ღვინისა და არყის შესანახ სათავსოს მოვალეობისა, ბეღელის და სასიმიინდეს მოვალეობასაც ასრულებს. სასიმიინდის და ბეღელის ფუნქციების გადასვლამ საცხოვრებელი ნაგებობის კომპლექსში, გამოიწვია მარნის ფართობის საგრძნობლად გადიდება, ისე, რომ მარანს ახალ საცხოვრებელ ნაგებობაში პირველი სართულის ნახევარზე მეტი ფართობი უკავია. —



ამას გარდა დამატებითი სათავსოს როლს სახლის სხვენიც ასრულებს. უმეტესად ხილსა და სიმინდს ინახავენ საზამთროდ. მარნის გვერდით, პირველ საოთულზევეა განლაგებული სამზარეულოც, რომელიც ძველი ტიპის სახლს იშვიათ შემთხვევაში გააჩნდა. საქმელს უწინ საცხოვრებელ ოთახებში ან ეზოში ამაზადებდნენ წლის გარკვეულ პერიოდთან დაკავშირებით. ახლა ახალი სახლის მშენებლობის დროს, დიდი ყურადღება ექცევა სამზარეულოს კეთილმოწყობას. ახალ საცხოვრებელ ნაგებობას, გომური სახლ ქვეშ — სარდაფში აქვს მოწყობილი; ამით კიდევ ერთი საგრძნობი ნაკვეთი თავისუფლდება საკარმიდამო ეზოში. სამაგიეროდ ახალ საცხოვრებელ კომპლექსს ზმირ შემთხვევაში უჩნდება ახალი ნაგებობა — გარაჟი ავტომანქანისათვის, რომელიც რაც დრო გადის მით უფრო დამახასიათებელი ხდება ჩვენი სოციალისტური სოფლისათვის. ძველი სახლისათვის დამახასიათებელი იყო თითქმის ყველა ოთახში მარნის ჩათვლით ბუხრის არსებობა, ეხლა ბუხარი რკინის ლუგელმა შესცვალა, თუმცა ზოგიერთნი ეხლაც განაგრძობენ ბუხრის აგებას. ახალ სახლში შემორჩა, გადმოვიდა ძველიდან განჯინები ჭურჭლისა და სამეურნეო დანიშნულების ნივთების შესანახად და ე. წ. წალო — ლოგინის შესანახი განჯინა. ასევე აქა-იქ შემორჩა ე. წ. „ფანჯრის უჯრები“. ამას გარდა თანამედროვე საცხოვრებელ ნაგებობაში საგრძნობლად გაიზარდა მთელ საცხოვრებელ ფართობთან ერთად აივანიც. ახალი საცხოვრებელი ნაგებობის მშენებლობისას მართალია ძლიერ იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით შუშაბანდიან აივნებს, საცხოვრებელი ნაგებობის ეს შემადგენელი ნაწილი სოფლის პირობებში არ უნდა იყოს მიზანშეწონილი. მაგრამ აქ ჩვენ უცილობლად საქმე გვაქვს ტენდენციასთან — მოაწყონ საცხოვრებელი სახლი ქალაქურ ყაიდაზე. იშვიათ შემთხვევაში, შესაძლოა ეს გარემოება გამოწვეული იყოს საცხოვრებელი ფართობის სიმცირითაც.

ძლიერ დიდი განსხვავებაა ძველსა და ახალ საცხოვრებელ ნაგებობის შინაგან მოწყობილობას შორის. ეს ეხება როგორც ავეჯს, ისე თვით საცხოვრებელი ოთახების გაფორმებას. უწინ ოთახის კედლები და კარ-ფანჯარა შეულებავი იყო. ახლა კი ისინი იღებება ანდა კედლებს შპალერს აკრავენ. ავეჯის მხრივაც დიდი განსხვავებაა ძველთან შედარებით. თანამედროვე გლეხის საცხოვრებელი ნაგებობის ოთახების შინაგანი გაფორმება და მოწყობილობა შეიძლება თამამად ითქვას, რომ თითქმის არაფრით განსხვავდება ქალაქური მოწყობილობისაგან. თითქმის ყველა ბინაში ვხვდებით ქალაქურ ავეჯს, ელექტროკაბლებს, რადიომიმღებებს, ხალიჩებსა და გობელენებს, დეკორატიულ ჭურჭელსა და სხვ.

როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. გ. ჩიტაია დასახლება საცხოვრებელთან ერთად მოიცავს შრომისადგილის ერთიანობასაც. თანამედროვე საკარმიდამო ეზოს სამეურნეო ნაგებობებიდან მხოლოდ საქათმე, სალორ და იშვიათ შემთხვევაში გომური შემორჩა. ძველად შილდისათვის ეზოში კალის არსებობაც ყოფილა დამახასიათებელი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ამოიკვია. უწინ თონე, თითქმის ყველა ეზოს გააჩნდა, ეხლა კი არაიშვიათად ვხვდებით იმ გარემოებას, რომ რამდენიმე ოჯახი ერთი თონით სარგებლობს. ეს ფაქტი არ იწვევს მისი პატრონის უკმაყოფილებას. რადგან ცნობილია, რომ რაც უფრო მეტ ხმარებაშია თონე, მით უკეთესია მისი ხარისხი. ხოლო თონის დაზიანების ან გაუყარვისების შემთხვევაში ყველა მისი მომხმარებელი ერთნაირად პასუხისმგებელია თონის პატრონის წინაშე. ამას გარდა აქ კიდევ ერთ ფაქტსაც უნდა ვაესვას ხაზი, რომ არის ისეთი შემთხვევებიც.



რასაკვირველია იშვიათი, როდესაც ახალი საცხოვრებელი ნაგებობის, მშენებლობის შედეგად, იმდენად მცირდება საკარმიდამო ეზოს ფართობი, რომ თონის დაღვმა სასურველი აღარაა და რამდენიმე მოსახლე ერთ-ერთი მოსახლის ანდა ნეიტრალურ ტერიტორიაზე აგებს თონეს. საკარმიდამო ეზოში შილდელებს ხეხილი და ძალიან ხშირად დეკორაციული მცენარეები აქვთ გაშენებული. მათ შორის არის ვაშლი, ატამი, ლეღვი, კომში, ქლიავი, ბროწეული, თუთა, სუბტროპიკული ხურმა. ამას გარდა ხშირია ისეთი ოჯახები, რომელთაც რამდენიმე ძირი ლიმონი აქვთ (კასრებში).

სოფლის მახლობლად და მისგან მოშორებით დიდ ფართობზე გადაკეცილია სოფლის საკოლმეურნეო ვენახები, ყანები, ბალ-ბოსტნები და ტყეები.

სოფლის ვენახები შემდეგ სახელებს მიითვლის: დიდშარის, უძიროს, ხანდოს, ვეძისხევის, უკანჭალის, იბუჯის, გუნაშაური, ძველი გზის პირის, ოსეთის, ბოჭის გორის, უჭარის პირის.

საყანე მინდვრების სახელები შემდეგია: ზეგაანი, ფაშაანი, ტურის ციხე, ჭალის პირი, ლავათა, ოსეთა, კოშკები, დუბეები, უძირო, ვეძისხევი, უკანჭალა, ბოჭიგორი.

სოფლის ტყეები შემდეგი სახელწოდებისაა: ჭყანტები, ციღრუტა, ნეკრესის ჭალა, ჭალა, უკანჭალა, ლავათხო, ოსეთის ტყე, კონცხი, უძირო, ბოჭის გორი, ვარცნეული, ზიკოს ხევი, ბაგინი, წიწმატნიანი, შორალ ხევი, მწარე დიყო, სვაენის ხევი, ვეძები, შუა გორი, ყორის ცერი, ციკოს საყდარი, სარბელა, ტევატი, სეფორა, ხეველა, ნადირა მაყვალი, ბრმა დღე, ბაწკინტელა, ქორის ბუდე, იბუჯა, ნაგებები, ლეწინი, წითელა, საწოლი.

სოფლის ბალ-ბოსტნები სოფელს ირგვლივ აკრავს და უმეტესად რუების დინების გაყოლებითაა განლაგებული.

სოფლის საზამთრო და საზაფხულო ფერმები საყანე ადგილებთან ახლოსაა მოთავსებული მათი საკვებით უკეთ მომარაგებისათვის. წვევადობის გადიდების მიზნით სოფლის საქონლის უმეტესობა ბაგურ კვებაზეა გადაყვანილი, რამაც თავისთავად გამოიწვია აუცილებლობა ახალი ფერმების მშენებლობისა, მარტო 1956—1957 წლების მანძილზე სოფელს შემატა რამდენიმე ახალი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფერმა, ფერმებთანავეა აგებული დიდო ტევადობის მქონე სასილოსე ორბები.

შიგ სოფელში, მის მახლობლად და მისგან საგრძნობი მანძილით მოშორებითაც კი მრავლად გვხვდება ჭერ კიდევ კარგად შემონახული ანდა ნანგრევებად ქცეული გალავნების, კოშკების, ეკლესიების, ნიშებისა და ნასახლარების ნაშთები.

შიგ სოფელში მდინარე ჩელთის პირას, ძველი კარგად შემონახული გალავანია, რომელიც გადმოცემით საღირაშვილებსა და შალოშვილებს ეკუთვნოდათ და ლეკთაგან თავდასაცავად იყო განკუთვნილი. თვით გალავნის აგება კი ლეკთა ბელადს სუხაი-ხანს მიეწერება. ციხე-კოშკებიდან აღსანიშნავია სიხარულიანთ, მამუკიანთ, ბახუანთ და სხვათა ციხეები. სოფლის გარეთაც ბევრი მოიპოვება თავდაცვითი ნაგებობების ნაშთები და ნასახლარები: მაგ., ფაშაანში, ტურის ციხეში, ციკოს საყდარში, ნაგებობებში და ვეძისხევიში.

სოფელში არსებული ეკლესიები დღეისათვის ყველა დაუქმებულია. მათგან პირველ ყოვლისა აღსანიშნავია „ღვთისმშობლის შობის“ ეკლესია ქვიტკი-

რის გალავნითა და კოშკით, რომელშიაც სამრეკლო იყო მოთავსებული საუჯუნის ბოლოდან ღვთისმშობლის შობის ეკლესია გახდა ნეკრესის ეპარქიის ეპისკოპოსების რეზიდენცია, რომელთა სამწყსოსაც ქახეთის გაღმა მხარე და დიდოეთი წარმოადგენდა. სოფლის ცენტრში მოთავსებულია ღვთაების ეკლესია, რომელიც „შილდის ცხეთის ყმათავან“ არის აგებული. ჩელთის პირასაა გაშენებული ძელ-ჭეშმარიტის ეკლესია. ამ სამი დიდი ეკლესიის გარდა სოფელში რამდენიმე პატარა ეკლესიის ნანგრევებიცაა შემორჩენილი. მათ შორის წმინდა ნინოსა და წმინდა გიორგისა. სოფელს გარეთაა ცნობილი ნეკრესის ღვთისმშობლის მონასტერი და ჩელთის მარჯვენა ნაპირზე, ტყეში, ბარცანის ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები. ამას გარდა, როგორც სოფელში, ისე მის გარეთ მრავლადაა ხატის ნიშები. ამ ნიშებიდან, განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია ლაშარის ჯვრის სახელობის ნიში, რომელსაც შედარებით მეტი მლოცველი გააჩნია.

მდ. ჩელთის პირას გალავნთან დიდი მოედანია, რომელსაც შილდელები „ბაზარს“ უწოდებენ. აქ მოთავსებულია სოფლის საბჭო და მაღაზია. აქვე მოედნიდან იწყება და ჩელთის პირს ასდევს სოფლის უზარმაზარი პარკი, გალავნის ტერიტორიაზეა განლაგებული სოფლის საავადმყოფო, საექიმო პუნქტი, სამშობიარო სახლი და დღეითა და ღამითა კონსულტაცია. ბაზარს გვერდით ჩაუდის სოფლის ცენტრალური, ლენინის სახელობის ქუჩა, რომელზედაც განლაგებულია სასოფლო და საკოლმეურნეო სავაჭრო მაღაზიები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებები. სოფლის ცენტრშია აგრეთვე ახალი სასკოლო შენობა, რომლის მოსწავლეთა რიცხვი 1200-მდე აღწევს. აქვეა სასოფლო კლუბი, რომელიც 300-მდე მაყურებელს იტევს. კლუბთანაა საკმაოდ კარგად კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა. ამას გარდა სოფელში კიდევ ორი ბიბლიოთეკაა. შილდელებს გააჩნიათ კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი და ორი საკოლმეურნეო საბავშვო ბაგა, რომლებიც სეზონურად მუშაობენ.

სოფელშია აგრეთვე, საკონიაკო სპირტის ქარხანა, ავტო-კრამიტის ქარხანა, ლიმონათის ქარხანა, მექანიზირებული კირსაწვავი, რომელიც ელექტროენერგიაზე მუშაობს და ელექტრო წისქვილი, სოფელში რამდენიმე ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სამკერვალო სახელოსნოა.

შილდა ჯერ კიდევ ორი ათეული წლის უკან მთლიანად ელექტრო და რადიოფიცირებული იქნა. 1957 წ. დამთავრდა და ექსპლოატაციაში გადაეცა ახალი წყალსადენი.

სოფლის შიგნით უბნები ურთიერთს ქუჩებით და გზებით უკავშირდებიან, სოფლის შიგნითა გზების სახელწოდებებია: ვეძისხევის გზა, კონცხის გზა, თაღორაანთ გზა. ამავე გზებით სოფელი საყანებსა და ვენახებს უკავშირდება.

სოფლის გარეშე გზებია: ყვარლის, ენისლის, საბუის, ფიქალეების, ფაშაანის, ზეგაანის, ტურისციხისა და დილეთის. ამ გზებიდან თითქმის ყველა კეთილმოწყობილია და გამოსადეგია ავტოტრანსპორტისათვის.

ამგეარად, სოფლის შემადგენელი ძირითადი ელემენტები შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:

1. სოფ. შილდა გაშენებულია ტაფობში. სოფელს აღმ. ჩაუდის მდ. ჩელთი, საიდანაც გამოყვანილია სოფლის სამი დიდრუფი. დიდრუფებზეა მოთავსებული სოფლის ყველა წისქვილი. დიდრუფებიდან გაყვანილი რუები რწყავენ სოფლის



ვენახებსა და ბალ-ბოსტნებს. სახლები შეჯგუფული სახითაა წარმოდგენილი. სახლებს ახლავს მცირე ზომის საკარმიდამო ფართობი, სოფელში უკანასკნელ შედეგზე.

2. უბანი მრავალი გვარის წარმომადგენელითაა დასახლებული. თითოეული უბანი თავის მხრივ მიკროუბნითაა წარმოდგენილი. თითოეული მიკროუბანი უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს ერთი გვარის სამოსახლოს.

3. საცხოვრებელ ნაგებობათა აბსოლუტური უმრავლესობა ქვიტირისაა. აქა-იქ შემორჩენილია სხვა მასალით ნაგები ძველი სახლები. ძველი საკარმიდამო ეზოსათვის დამახასიათებელი იყო ყველა სამეურნეო ნაგებობათა არსებობა კალოს ჩათვლით. ახალი ტიპის საკარმიდამო ეზოს კალო არ ახლავს და აგრეთვე ზოგიერთმა სამეურნეო ნაგებობამ ეზოდან საცხოვრებელ კომპლექსში გადაინაცვლა.

4. სოფლის მახლობლად და მისგან მოშორებით საყანეები, ვენახები, ტყე და ბალ-ბოსტნები; აქვეა გაშენებული საზამთრო და საზაფხულო ფერმები.

5. სოფლის ირგვლივ მრავლადაა ჯერ კიდევ შემორჩენილი ანდა ნანგრევებად ქცეული გალავნისა და კოშკების ნაშთები. სოფელში და მის მახლობლად მრავლადაა სხვადასხვა ზომის ეკლესიები და ხატის ნიშნები.

6. სოფლის გზები ურთიერთთან აკავშირებენ უბნებს. ამას გარდა სოფელი გზებით უკავშირდება ყანებს, ვენახებს, ტყეებს; აგრეთვე მეზობელსა და გარეშე სოფლებს.

სოფ. შილდის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს მეურნეობის ისეთ სისტემასთან, სადაც წამყვანი მნიშვნელობა მიწადმოქმედებას ენიჭება (მევენახეობა-მემინდვრეობა), ხოლო მესაქონლეობას დამხმარე ძეურნეობის მნიშვნელობა აქვს. როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი მიწადმოქმედების სისტემის არსებობა (სახენელის კულტურა) აპირობებს კომლთა მრავალი რიცხვისაგან შემდგარ დასახლებას. ამას გარდა შილდაში შეჯგუფული, მჭიდრო სახით დასახლებას უნდა აპირებდეს ძველს დროში არსებული მუდმივი შიშიანობა; ამიტომაცაა, რომ ჩვენ აქ დახურულ, ჩაკეტულ დასახლებასთან გვაქვს საქმე.

Г. Н. ДЖАВАХИШВИЛИ

ТИП ПОСЕЛЕНИЯ В СЕЛЕ ШИЛЬДА

Резюме

Структура сел. Шильда показывает, что здесь мы встречаемся с такой системой хозяйства, где ведущая роль принадлежит земледелию (виноградарство, зерновые культуры), а животноводство имеет вспомогательное значение. Как известно из специальной научной литературы, существование системы земледелия (пашная культура) обуславливает поселение, составленное из множества дымов («комли»). Кроме того, скученная форма поселения в Шильда обуславливается существовавшей в старое время постоянной опасностью нападения извне, что и создало здесь укрепленное поселение.

ა. მანთარია

მიწათმფლობელობისა და სარბიზლობის ფორმების
საკითხისათვის ყაბარდოში XIX—XX სს. მიჯნაზე

ჩრდილო კავკასიის მთელი მოსახლეობა ძველთაგანვე იწვევდა მკვლევრებსა და მოგზაურებში მეცნიერულ ინტერესს. მათ კავკასიის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების შესახებ საქმოდ მრავალრიცხოვანი აღწერილობა დაგვიტოვეს. მიუხედავად ამისა, კავკასიის ხალხების და მათ შორის ყაბარდოს სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობას თითქმის არავინ შეხებია და სპეციალური კვლევის საგნად იგი არ გაუხდია.

ყაბარდოს სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის შესახებ მსჯელობა გაცივრით, სხვა საკითხებთან დაკავშირებით წარმოებდა; ამიტომ ეს საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის და დღეისათვის ორი საპირისპირო აზრი არსებობს. გულდენშტედტი, პალასი, ბრონევესკი, დიუბუა დე მონპერე, შახოვსკი, ნოგოვი, სტალი, მ. კოვალევსკი, კულაშევი და სხვები ფიქრობდნენ, რომ რეფორმამდელ ყაბარდოში ფეოდალური ურთიერთობა საკმაოდ განვითარებული იყო. თავის მოსაზრებას ისინი ასაბუთებდნენ იმით, რომ ყაბარდოში ფეოდალური იერარქია განვითარებული სახით არსებობდა და, რაც მთავარია, არსებობდა მიწაზე ფეოდალური საკუთრება.

ავტორების მეორე ნაწილი: პეისონელი, ბურნაშოვი, დებუ, გავრილოვი, დუბროვინი, ლეონტოვიჩი, აბრამოვი, მაქსიმოვი და სხვები ამტკიცებდნენ, რომ ყაბარდოში ამ დროს არსებობდა გვაროვნული ურთიერთობა; მეურნეობის მთავარ დარგს წარმოადგენდა ნახევრად მომთაბარული მესაქონლეობა. არ არსებობდა მიწაზე კერძო საკუთრება, არსებობდა მხოლოდ კერძო საკუთრება გლეხებზე. ეს საკითხი დღესაც სადაოა. მხოლოდ ჩვენი აზრით არ უნდა იყვნენ სწორი ის ავტორები, რომლებიც ამტკიცებდნენ, თითქოს თავადებს ჰქონდათ საკუთრების უფლება გლეხებზე და არ ჰქონდათ საკუთრება მიწაზე. როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის საფუძველს წარმოადგენდა არა გარეშე ეკონომიური იძულება, არამედ მიწაზე ფეოდალური საკუთრების არსებობა. ყაბარდოელი გლეხი ფეოდალის საკუთრებას წარმოადგენდა არა იმიტომ, რომ ფეოდალი მისი მფარველი იყო. ის, რომ გლეხი მხოლოდ ადათის მიხედვით ვალდებული იყო ემუშავა თავადის სასარგებლოდ, მოვლენის მხოლოდ გარეგნული მხარეა.

ყაბარდოში ფეოდალური ურთიერთობის არსებობის დასასაბუთებლად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება: მაგ., ყაბარდოულ ადათებში შემორჩენილია ასეთი ცნობა, რომ „უზდენი ძალდატანებით კი არ ემსახურება თავადს, არამედ საკუთარი სურვილით და მხოლოდ მას შემდეგ ითვლება თავადის უზდენად, როდესაც თავადისაგან მთლიანად მიიღებს საუზდენო საჩუქარს (дар).



ეს საჩუქარი პირველი ხარისხის უზღუნისათვის შედგება 15 საგნისგან¹ მელშიაც აუცილებლად შედის ერთი ოჯახი ყმა, 500 ან მეტი ცხენი, შიშის ნაწილი, რკინის სხვადასხვა ნივთები². აქ ნათლად ჩანს მიწის განსხვავების ფაქტი. აქვე საინტერესო იქნებოდა ერთი საბუთის მოტანა:—ყაბარდოს სარქივო მასალებში დაცულია 1846—1847 წწ. ერთი საჩივარი ყაბარდოს დროებით სასამართლოს სახელზე. ამ საჩივარში ნათქვამია, რომ ყაბარდოელი უზღუნები და ზოგიერთი თავადებიც კი ჩივიან, რომ პოლკოვნიკი თავადი ატაყუჩინი დაეპატრონა რაღაც უფლების საფუძველზე მდ. ბაქსანსა და მალკის შორის მდებარე მიწებს და არავის არ აძლევს ნებას, რომ ეს მიწები ან მოხნას ვინმემ ან ცხენის ჯოგები აძოვოს. ამ მიწებით სარგებლობის უფლებას იგი მხოლოდ მას აძლევს, ვინც ამის საფასურს გადაიხდის³.

ეს საბუთი ორმხრივ არის საინტერესო: ჯერ ერთი, აქ აშკარად ჩანს ფეოდალების მიერ მიწის მიტაცების ფაქტი. ფეოდალი არა მარტო თემს უპირისპირებს თავის ინტერესებს და მას ავიწროებს. არამედ ფეოდალებს შორისაც დაჯაა⁴ მიწის მითვისებისათვის. აქ აშკარად ჩანს, რომ მიწა ხდება კერძო საკუთრება მიტაცების საფუძველზე. თემი უკვე მეტისმეტად სუსტია, რათა ხელი შეუშალოს ამ მიტაცებას. მეორე მხრივ აღსანიშნავია ის, რომ თავადი ატაყუჩინი მიწით სარგებლობისათვის თხოულობს საფასურს. ეს ხომ მიწის გასხვისების აშკარა ფაქტია, თუმცა ამ საბუთში არ ჩანს ატაყუჩინი ჰყიდის მიწას თუ მას მხოლოდ იჯარით აძლევს და ამისათვის ფულს იღებს. მაგრამ სხვა, მაგალითად 1853 წ. საბუთში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ პოდპოლკოვნიკმა ტამბიევმა მიჰყიდა წინა წლების მსგავსად სათიბი მიწები მთიელ კაზაკთა პოლკს⁵.

ასეთი საბუთების მოტანა მრავლად შეიძლება, რომლებშიაც აშკარად ჩანს, ფეოდალური ურთიერთობის არსებობა, არამედ უფრო მეტიც, რუსეთის გავლენით კაპიტალიზმის ზოგიერთი ელემენტებიც დასტურდება ყაბარდოში XIX საუკუნეში.

არსებობს აგრეთვე ხალხური გადმოცემა, რომელიც აშკარად მიუთითებს მიწაზე კერძო საკუთრების არსებობას და მისი გასხვისების შესაძლებლობას. ვინმე კულენტმა შეერთო ცოლად აზნაური ტამბიევის ქალიშვილი. ერთი წლის შემდეგ კულენტის ცოლი უნდა სტუმრებოდა მამის ოჯახს ჩვეულებისამებრ. კულენტმა გავხანა რა ცოლი მამასთან, უბრძანა, რომ მამისაგან საჩუქრად მოეთხოვა იმდენი მიწა, რამდენსაც დაიკავებდა ერთი ხარის ტყავი. ქალის თხოვნა მამამ დააკმაყოფილა. კულენტმა კი ხერხს მიმართა: ხარის ტყავი დაჭრა წვრილ თასმებად და ტამბიევისაგან მიიღო იმდენი მიწა, რამდენსაც თასმები გაწვდა. გადმოცემის თანახმად, ეს არის მდ. ჩეგემის ნაპირები, რომელზედაც კულენტმა დააარსა თავისი სახელობის სოფლები კულენტოვი I და II⁶.

ასევე სავსებით მართებული არ უნდა იყოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ XIX ს. ყაბარდოს მეურნეობის მთავარ დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა, ხოლო მიწათმოქმედება სრულიად არ იყო განვითარებული, ან თუ იყო

¹ Леонтович, Алаты Кавказских горцев, Одесса, 1882, стр. 229.

² Архивные материалы по истории Кабарды XIX в, из Центрального госреспубликанского архива КАССР, 1849 г. стр. 23, дело 40, лист дела 42, стр. 53.

³ იქვე, ფ. 23, дело 187, лист 9, стр. 153.

⁴ Терские ведомости, 1894, 1, 18.

იგი მხოლოდ დამხმარე დარგს წარმოადგენდა და განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებოდა.

ყაბარდოში და საერთოდ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მიწათმოქმედება ძველთაგანვე ყოფილა განვითარებული. ამაზე მიუთითებენ როგორც არქეოლოგიური მონაცემები⁶, ასევე ისტორიული წყაროებიც. როგორც ვიცით, გენუელების კოლონიზაციის დროს ჩრ.-დას. კავკასიაში, გენუელების მთავარ ყურადღებას იპყრობდა კავკასიის პურეული და ის ფაქტიც, რომ ბერძნულ კოლონიებს ჩრ.-დას. კავკასია ამარაგებდა პურეულით, ლაპარაკობს ჩრ.-დას. კავკასიაში მიწათმოქმედების ძველთაგანვე არსებობაზე⁷.

უფრო გვიანაც მთელი რიგი ავტორებისა მიუთითებდა ყაბარდოში მიწათმოქმედების საკმაოდ განვითარებულობაზე. მაგ., ბრონევესკი აღნიშნავს, რომ XIX ს. 20-იან წლებში მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო ყაბარდოელების მთავარი საქმიანობა. ასევე პოპკო მიუთითებს, რომ ყაბარდოელები მიწათმოქმედი ხალხი და საკმაოდ დახელოვნებულნი არიან ამ საქმეში⁸.

მიწათმოქმედების სასარგებლოდ მეტყველებს ლინგვისტური მონაცემებიც. ყაბარდოელები წელიწადს ყოფენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების პერიოდების მიხედვით. მაგ., ვაყო დეყოლო—ხენის დრო; ვაყო მაზა—ხენის თვე; ვაყო კიხაილო—ხენის დამთავრების დრო; ავვისტო—მახოუ მაზა, რაც თიბვის თვეს ნიშნავს; სექტემბერი—ხე გომაზა სიტყვა სიტყვით მკის თვე; ოქტომბერი ყოგო მაზა—პურის ლეწვის დრო და ა. შ.⁹

ყაბარდოელ ლექსიკურ ფონდში მიწათმოქმედის აღსანიშნავად არის სიტყვა „მოკმაშიმა“. იგი რთული სიტყვაა, შედგება სამი ნაწილისაგან: მოკ—თივა, მაშ—ლომი (просо) და იშა—მოიყვანე ე. ი. „მოიყვანე თივა და ღომი“.

კუმბოვის აზრით ყაბარდოში XIV—XV სს. იწყება ფეოდალური ურთიერთობის და ფეოდალური მიწათმფლობელობის გაჩენა. ამ დროისათვის უკვე ხდება ყაბარდოელი მთავრების გადაქცევა მემკვიდრეობით დიდებულებად, დიდებულები ცდილობენ მიისაკუთრონ სახალხო მიწები¹⁰.

დიდ ყაბარდოში გაბატონებული იყო ოთხი გვარი: კაიტუყვა, ბეკმურზინ, მისოს, ატაყუკი, ხოლო მცირე ყაბარდოში: ბეკოვიჩი, ალხოვი და ტაუსულტანოვები¹¹. თუმცა არსებობს 1870 წ. ცნობა, რომელშიაც მცირე ყაბარდოსათვის სამი სათავადოს ნაცვლად ორია მოხსენებული, მურადოეების და ტაუსულტანოვების¹². მაგრამ სხვა წყაროები ყველგან სამ სათავადოს ასახელებენ მცირე ყაბარდოსათვის. ჩვენ არ ვიზიარებთ 1870 წ. ცნობას მცირე ყაბარდოში ორი სათავადოს არსებობის შესახებ და ვფიქრობთ, რომ სწორედ სამი სათავადო უნდა ყოფილიყო, რადგან ბეკოვიჩების გვარი, როგორც ყაბარდოს წარჩინებული თაეადებისა ბევრ ისტორიულ წყაროშია დაცული, ასევე XIX საუ-

⁶ Лавров, Развитие земледелия на Сев-Зап. Кавказе. Материалы по истории земледелия СССР, М., 1952.

⁷ Гайдукевич, Боспорское царство. М.—Л., 1949.

⁸ П. Попко, Терские Казаки, 1880, стр. 116.

⁹ Ш. Ногмов, История Кабарды, 1947, стр. 35.

¹⁰ Кумыков, Земельные отношения в Кабарде в первой половине XIX в. и земельная реформа 1863—1869 гг.

¹¹ Максимов, Вертепов, Туземцы Северного Кавказа, Владикавказ, 1892.

¹² Сборник сведений о кавказских горцах, 1870 г., т. III, стр. 82.

¹³ Архивные материалы по истории Кабарды XIX века, из Центрального гос. республиканского архива, Нальчик, 1849 г.



ქუნიის საარქივო მასალებშია¹² ხშირად არიან მოხსენებული და ექვემდებარებულნი კიდეც ცრუ დიმიტრისა და ბორის გოდუნოვის დროს, როდესაც ყაზარდოელები ელჩებს გზავნიან რუსეთში, ეს ელჩები ხშირად ბეკოვიჩები არიან. ივანე მრისხანეს დროს ბეკოვიჩებმა ბოიარინობა მიიღეს. ამდენად უნდა ვიფიქროთ, რომ XIX საუკუნისათვის ბეკოვიჩების სათავადოც უნდა ყოფილიყო მცირე ყაზარდოში და ამიტომ უნდა მართებულად მივიჩნიოთ ის ცნობები, სადაც მცირე ყაზარდოში სამი სათავადოა მოხსენებული, სახელდობრ ბეკოვიჩების, ალხოების და ტუასულტანოველისა.

ზემოთ ჩამოთვლილი თავადები იყვნენ წარჩინებული გვარები—თავადები ანუ ფშოები ყაზარდოელად. მათ ექვემდებარებოდა ყაზარდოს მთელი მოსახლეობა. თავადი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა. მათ ჰქონდა საკუთარი სოფლები თავის სახანავ-სათობით და ყმებით. თავადს შეეძლო მიწის ყიდვა-გაყიდვა, მიწის იჯარით გაცემა. თავადის მიწა მემკვიდრეობით გადადიოდა. მის მიწაზე მცხოვრები ყმები იხდიდნენ ფეოდალურ რენტას.

აზნაურები ორ კატეგორიად იყოფოდნენ — მფლობელებად და არამფლობელებად. I ხარისხის აზნაურებად ითვლებოდნენ ე. წ. ტლიახოტლიაელები და დეჟენუგო. ტლიახოტლიაეი ნიშნავს ძლიერისაგან შობილს, დეჟენუგო კი მოოქვრილ ვერცხლს. ტლიახოტლიაეი და დეჟენუგო თუმცე ექვემდებარებოდნენ თავადს, მაგრამ ჰყავდათ ვასალებიც. მათ სამკვიდრო მიწები ჰქონდათ¹³.

მეორე და მესამე ხარისხის უზდენები პირველი ხარისხის უზდენების ვასალებად ითვლებოდნენ. მათ იშვიათად თუ გააჩნდათ რაიმე ქონება. იყვნენ „შესანიშნავი მხედრები, არაფრის მქონენი და ამიტომ ყაჩაღობა მათთვის იყო არსებობის ერთადერთი საშუალება“.

თავადის საცხოვრებლის „უნას“ გარშემო განლაგებული იყო სოფელი ფშე-უნა-ხაბლი, რომელშიც ცხოვრობდნენ ყმები და აზატები. ამავე სოფელში გამოყოფილი იყო ცალკე უბანი, ფშე-უნა-ოგი. აქ ცხოვრობდნენ თავისუფალი მიწის მუშები და აზნაურები. ესენი სუყველა ერთად შეადგენდნენ თავადის „კარს“. აზნაურები, ლეონტოვიჩის მიერ გამოცემული ადათების შიხედვით, არაფრით არ იყვნენ ვალდებულნი თავადის წინაშე, მაგრამ თუ თავადი გაღარიბდებოდა, დაკარგავდა ყმებს, მაშინ მთელი ფშე-უნა-ოგო ვადასახადის სახით ასრულებდა მთელ საველე სამუშაოებს თავადისათვის იმ ანგარიშით, რომ მისთვის მოეპოვებინათ წლის საზრდო¹⁴.

სოფელი, სადაც თავადი ან მფლობელი აზნაური ცხოვრობდა, იწოდებოდა უორკ-კოჰად. იგი სოფ. კიზბურენის მცხოვრებ ხაკიმულა ნასტევის თქმით, განსხვავდებოდა სხვა სოფლებისაგან, სადაც არ ცხოვრობდნენ თავადები და უზდენები. I ხარისხის უორკის სოფელი კოჯ ისევე იყო მოწყობილი, როგორც უორკ-კოჯი. აქვე ცხოვრობდნენ II და III ხარისხის უორკები. I ხარისხის უორკი ისეთივე სრული მესაქმთრე იყო თავის კოჯისა, როგორც ფშ, ფშ-უორკ-კოჯისა.

შემდეგ მოდიოდა უშუალო მწარმოებელი საზოგადოება. ესენი იყვნენ აზატები, ოგები, ლოგონაბიტები, უნაუტები. გარდა ამისა თავისუფალი მიწის მუშები ე. წ. თლფოკოტლები, რომლებიც მცირერიცხოვანი იყვნენ.

¹² ЦГИА Гр. ССР, ф. 7, оп. 8, д. 5, л. 43.

¹⁴ Леонтович, Адагы кавказских горцев. Одесса, 1882, стр. 176.

აზატებად ითვლებოდნენ თავდახსნილი ყმები, მათ არ ჰქონდათ უფლება თავის მესაკუთრის ნებართვის გარეშე გამოეცვალათ საცხოვრებელი ადგილი და ამით იყო შეზღუდული მათი თავისუფლება. აზატები ხდებოდნენ სასოფლო-თემის სრულუფლებიან წევრებად და ამუშავებდნენ თემის მიწებს.

ოგები ამუშავებდნენ ფეოდალის მფლობელობაში არსებულ მიწას. ისინი შეიძლება ტიპიურ ყმა გლეხებად მივიჩნიოთ. ოგები იხდიდნენ ფეოდალურ რენტას.

ლოგონაპიტები ცხოვრობდნენ მეპატრონის მიწაზე და ასრულებდნენ ყველა საშინაო თუ საველე სამუშაოს, რომლებიც კი ფეოდალისთვის საჭირო იყო. ოგებს და ლოგონაპიტებსაც უფლება ჰქონდათ თავის გამოსყიდვისა. ასეთ შემთხვევაში ისინი აზატების კატეგორიაში გადადიოდნენ. არ შეიძლებოდა ლოგონაპიტის და ოგის ოჯახის გაყოფა არც გაყიდვის, არც შემკვიდრეობის გაყოფის დროს. ფეოდალის მიერ ლოგონაპიტის გაყიდვის შემთხვევაში, ლოგონაპიტს უფლება ჰქონდა თვით აერჩია თავისი მომავალი პატრონი.

უნაუტები უფლებმონი იყვნენ. მათ არ გააჩნდათ არავითარი საკუთრება და არც უფლება საკუთრებაზე. ისინი მთლიანად ფეოდალის საკუთრებად ითვლებოდნენ. ფეოდალს შეეძლო მათი ყიდვა-გაყიდვა. იყო უნაუტების მოკვლის შემთხვევებიც.

თლფოკოტლები ანუ тлфукъуэшауэжъ თავისუფალი მიწის მუშები იყვნენ. ესენი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტად მცირერიცხოვანი იყვნენ. სოფ. კახუნში შესაძლებელი გახდა მათი გვარების ჩაწერა. თლფოკოტლების კატეგორიას ეკუთვნოდნენ: ეანბეკოვები, ნაზაროვები, ყანდოყოვები, დაღობოვები, ბარაგოვები, ხვაპაჩევი და სხვები. თლფოკოტლები არც წარჩინებულ წოდებას ეკუთვნოდნენ, მაგრამ არც ფშიტლები იყვნენ. მათ არ ჰყავდათ დამორჩილებული ხალხი, ყმები. არავის ჩაგრაუდნენ. თითქოს არც თვითონ ემორჩილებოდნენ არავის. მაგრამ ეს დამოკიდებულება მოჩვენებითი იყო. ნამდვილად ისინი თავადს ემორჩილებოდნენ, რადგან თემის შიგნით ყველა სადავო საკითხს თავადი წყვეტდა. თავადისათვის თემის წევრებს გამუდმებით უნდა ეძლიათ საჩუქრის და ძღვენის სახით სხვადასხვა პროდუქტები. მიწის მუშა, თემის წევრი ვერაფერს ვერ გააკეთებდა თავადის ნებართვის გარეშე. ნებართვისთვის კი „საჩუქარი“ იყო საჭირო. ფაქტიურად თავადი მთლიანად თემის წევრების კმაყოფაზე იყო თავის მხრივ თემის წევრი კი თავადზე იყო დამოკიდებული და თემის წევრის სრული დამოუკიდებლობა მხოლოდ ფიქტია იყო. ხალხში ასეთი ანდაზაც კი არის დღემდე შემორჩენილი: თავადისათვის ხელიკ-საც მოაქვსო.

თავისუფალ მიწის მუშებს არ ჰქონდათ დამკვიდრებული სახნავ-სათესი მიწები, მაგრამ ყოველი იმდენს ამუშავებდა, რამდენიც საჭირო იყო მისი ოჯახის გამოსაკებად. უფრო სწორედ, რამდენსაც დაამუშავებდა მისი საქონელ-თლფოკოტლები იყვნენ თემის ძირითადი წევრები.

პატრიარქალურ-თემური ურთიერთობამ ყაბარდოში საკმაოდ ადრე იწყო რღვევა. მაგრამ რღვევის პროცესი მეტად ნელა მიმდინარეობდა. XIX საუკუნისათვის პატრიარქალურ-თემური ურთიერთობის გარეგნული ნიშნების არსებობას მრავალი მკვლევარი შეცდომაში შეყავდა და თვლიდა, რომ XIX საუკუნის ყაბარდოში პატრიარქალურ-თემური ურთიერთობა არსებობდა. ნამდვილად კი ფეოდალური ურთიერთობის სიღრმეში, მასთან შეგუებული არსებობდა ძველი წყობილების გადმონაშთები.



თემური ურთიერთობის ერთ-ერთ გადმონაშთად უნდა ჩაითვალოს მისი მიწის ფეოდალური მფლობელობის გვერდით არსებობდა მიწის იჩემებლობა.

თემს გააჩნდა თავის სარგებლობაში მყოფი მიწები, რომლებიც დამოუკიდებელი იყო ფეოდალის მიწებისაგან. მაგრამ იგი თანდათან ხდება ფეოდალზე დამოკიდებული. ფეოდალი ხშირად თემს მიწას იჯარით აძლევს. ფეოდალი ფორმალურად არ არის გამოყოფილი თემისაგან, ისიც ითვლება თემის წევრად და მიწის განაწილებაში მასაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს. ფეოდალი ითვისებს თემის საუკეთესო მიწებს. თვით თემის შეგნითაც საგრძობლად შეიმჩნევა დიფერენციაცია. გამოიყო უფრო შეძლებული ფენა. რომელიც თავის მეთომებისაგან ლეზულობს იჯარით მიწას, რადგან მას მეტის საშუალება აქვს მიწის დამუშავებისა. სულ უფრო ხშირია შემთხვევა, რომ თემის წევრები ვერ ამუშავენ მიწებს და იძულებულნი არიან საშოვრით ირჩინონ თავი.

სოფ. ფსედახეში მიწით სარგებლობდნენ თემური უფლებების საფუძველზე—სახნავს კომლების მიხედვით ანაწილებდნენ, სათიბი კი საზოგადო მოხმარების საგანი იყო, მაგრამ ეს თემი უკვე მოქცეულია ფეოდალურ კაბალაში, ის მიწით სარგებლობისათვის თავად ჩერკასკს გარკვეულ გადასახადს უხდის. ყოველი კომლი ერთ ურემ თივას, ერთ ურემ შეშას, ერთ საბით ხორბალს, ერთ საბით სიმინდს და ერთ ცხვარს. დროთა განმავლობაში მიწის განაწილება ყოველწლიურად აღარ ხდება, ხოლო 60-იან წლებისათვის სრულიად შეწყდა. მიწა განაწილებული დარჩა კომლების მიხედვით, რომელიც მემკვიდრეობით გადადიოდა.

რეფორმის წინა პერიოდში არსებობდა აგრეთვე ისეთი მიწები, რომელიც „მთელი ხალხს“ საკუთრებას წარმოადგენდა. ეს იყო მთის საძოვრები და ე. წ. ზოლის მიწები. ეს იყო უმთავრესად სათიბი და საძოვრები. იშვიათ შემთხვევაში ზოლის მიწებს სახანავადაც ხმარობდნენ. ამ მიწებით სარგებლობდნენ ყოველგვარი განაწილების გარეშე, სუყველა, ვისაც კი უნდოდა, მაგრამ რა თქმა უნდა, საუკეთესო მიწებს ფეოდალები იჩემებდნენ.

გლეხთა რეფორმის შედეგად, რომელიც მეფის მთავრობამ ჩაატარა 1863—69 წლებში, უშუალო მწარმოებელი საზოგადოება იურიდიულად გათავისუფლებულ იქნა. სულ გათავისუფლდა 21 221 სული ორივე სქესის. რა თქმა უნდა, დარჩნენ დროებით ვალდებული გლეხები. სახნავად ზოლის მიწების გარდა გამოსაყენებლად ვარგოდა 230 000 დესეტინა მიწა. ფეოდალებს დაუმტკიცდათ მათ სარგებლობაში არსებული მიწები.

გლეხები ამუშავებდნენ თემის სარგებლობაში არსებულ სანადელო მიწებს და გარკვეულ ფულად გადასახადს უხდიდნენ სახელმწიფოს.

ამგვარად, მთელი მიწა ყაბარდოში სამად გაიყო: 1) თემის სარგებლობაში არსებული სანადელო მიწები, 2) კერძო საკუთრებაში არსებული მიწები და 3) სათადარიგო მიწები, რომელიც ყაბარდოს მთელი მოსახლეობის საზოგადო სარგებლობაში ითვლებოდა.

60-იან წლებში ყაბარდოში კიდევ არსებობდა მიწის „მიტაცებით“ სარგებლობის წესი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს „მიტაცება“ გრძელდებოდა მხოლოდ ერთ სეზონს, თუმცა უფრო იშვიათად იყო შემთხვევები, რომ მიტაცებული მიწით სარგებლობდნენ რამდენიმე წელიწადს. ეს მიტაცება იმაში მდგომარეობდა, რომ ვინც დაასწრებდა, ის ამუშავებდა ან იყენებდა მიწის გარკვეულ

ფართობს. 1869 წლიდან მიტაცების უფლება საგრძნობლად შეიზღუდა და სარგებლობდნენ მაღალი წრის წარმომადგენლები და განსაკუთრებულ ტიპის პირები.

სასოფლო თემი მიწებს კომლობრივად ანაწილებდა. დაახლოებით თითო სულზე მოდიოდა 8,37 დესტინა მიწა. ეს შედარებით უფრო დიდი ფართობი იყო, ვიდრე ოსებსა და ინგუშების სარგებლობაში არსებული ნაკვეთები.

თემის მიწა იყოფოდა სახნავად, საძოვრებად, სათიბად და ტყედ. ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა ყაბარღოელებისათვის ამ უკანასკნელს ჰქონდა. ხშირ შემთხვევებში სათიბი და სახნავი მიწები გარკვეულად გამოყოფილი არ იყო. შეიძლება ერთი და იგივე ნაკვეთი ხან სახნავი ყოფილიყო და ხან სათიბი. უფრო ხშირად ეს დამოკიდებული იყო თვით მომხმარებელზე. ყაბარღოელი გლეხები აღნიშნავდნენ, რომ თემისგან გამოყოფილ მიწებს ისინი როგორც უფრო მონერხებულად ჩათვლიდნენ, ისე იყენებდნენ. შეიძლება მთელი ნაკვეთი სახნავად გამოეყენებინათ, ან მხოლოდ სათიბად. ხნავდნენ იმ ნაწილს, რომელიც დასაძუშვებლად უფრო ადვილი იყო, დანარჩენს კი სათიბად ტოვებდნენ. ზოგიერთ სოფლებში კი უკვე შეიმჩნევა სახნავი და სათიბი მიწების გამიჯვნის ცდა (მაგ. სოფ. ატაუჯინოში).

სახნავი მიწა ორ ნაწილად იყოფა. ერთ ნაწილს ხნავენ 4—5 წლის განმავლობაში. მეორე ნაწილი ამ დროს თავისუფალია. 4—5 წლის შემდეგ ხდება შენაცვლება. მოხნულ მიწას ასვენებენ, ხოლო ნასვენს ხნავენ. მაზოყაზოვი იედემისის თქმით, მიტოვებული მიწა სარეველა ბალახით იფარებოდა კარგ ნესტიან წელიწადს ეს ბალახი ისეთი მაღალი იზრდებოდა, რომ შიგ ცხენიან კაცს შეეძლო დამალვა. ეს ბალახი არც სათიბად ვარგოდა და არც საძოვრად იხმარებოდა. მესამე წელიწადს სარეველა იდევნებოდა და ძალიან კარგი საძოვარი ღებებოდა, მას ხშირად თიბავდნენ კიდეც. 4—5 წელიწადს მიტოვებული მიწა უკვე კარგი სათიბი ხდებოდა. დიდ სოფლებში იძულებულნი იყვნენ მესამე წელიწადსვე მოეთიბნათ. მთიან რაიონებში კი, სადაც საქონელი ფერობზე ძოვს, პირველსავე წელიწადს თიბავდნენ.

ჩემი მამა-პაპის დროს მიწის დასვენება არ სცოდნიათ—მოგვიტორობს ადიღე-ხაბლის მცხოვრები მიკიტოვი იახა მახმუდის-ძე — ერთ ნაკვეთზე 14—17 წელიწადს ზედიზედ თესდნენ პურსაო“.

ყოველ სოფელში მიწის დასვენების ვადა სხვადასხვა იყო. ეს დამოკიდებული იყო თვით მიწის ხარისხზე და იმაზეც, თუ როგორ აწარმოებდნენ თესლობურუნვას. მაგ., კიზბურენში 10 წლის გამუდმებით თესვის შემდეგ მიწა მხოლოდ 3 წ. ისვენებდა. ადგილობრივთა მტკაცებით დეისკში, ძველ ურეხში და ლიაჩინკაოში დასვენების პერიოდი 1—3 წ. მცირდებოდა.

თესლობურუნვაც არ არის ზუსტად დადგენილი. ყაბარღოელი გლეხები აღნიშნავენ, რომ რადგან ღომი ძალიან ფიტავს ნიადაგს, ამიტომ ნასვენზე ან ყაბირზე ყოველთვის ღომი ითესებოდა მხოლოდ ერთ წელიწადს. ვინაიდან იმავე ნაკვეთზე ღომი მეორე წელიწადს მოსავალს აღარ იძლეოდათ. ხალხში ანდაზაც კი არის შემორჩენილი: „მიწა ღომს მხოლოდ ერთხელ ითესავსო“. ღომის შემდეგ თესდნენ სიმინდს, შემდეგ ხორბალს, ჭერს და ა. შ. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე ნაკვეთზე გამუდმებით, ან რამდენიმე წლის განმავლობაში ზედიზედ ერთი კულტურა ითესება. არის თესლობურუნვის სხვაი შემთხვევა: ღომი, ხორბალი, შემდეგ ერთ წელიწადს მიწა ისვენებს და ისევ ღომი.



ყაბარდოს ძველ კულტურად ღომი (процо) ითვლება. სექტემბერის დასაწყისში დღიური სახელწოდება „ხე-გომაზე“, რაც პურის ალების თვის ნიშნად იხსენიება, თებს იმაზე, რომ ეს „პური“ იყო არა ხორბალი, რომელიც გაცილებით გვიან მოიწევა არამედ სწორედ ღომი, რომლის ალება სწორედ სექტემბერში იწყება. ღომისგან დამზადებული სქელი ფაფა, ქაში „პასტა“ მეტად საყვარელი და საპატივცემულო საჭმელია. სიტყვა პასტა შედის ისეთ გამოთქმებში, როგორიც არის პურ-მარილი. „შუპასტა“ და ქართულის შესატყვისი პური სწორედ პასტათია გამოხატული.

XIX საუკუნისათვის ყაბარდოში სიმინდი ბატონდება. სიმინდის ყაბარდოული სახელწოდება „ნართუხ“ ლიანინკელი მცხოვრები ხანუყო აღ იახნადის-ძის განმარტებით ნიშნავს ნართების ანუ გოლიათების პურს. ეს სახელწოდება ხალხმა სიმინდს შეარქვა თითქოს იმიტომ, რომ გაცივებული იყო სიმინდის ტაროს „არაჩვეულებრივი“ სიდიდით, ღომის თავთავთან შედარებით. და ამბობდნენ ეს პური ნართების, გოლიათების მოყვანილი არისო. ხოლო კამენომოსტის მცხოვრებ მახოვი ჩირას ახსნით სიმინდი ოსეთიდან არის შემოტანილი და ამიტომ იწოდება ნართების პურადო. სიმინდმა ღომი თანდათან გამოდევნა ხმარებიდან. მრავალ სოფელში უკვე მხოლოდ სიმინდი ითესებოდა.

მიწას პირველ ხანებში სასოფლო თემი ყოველ წელიწადს ანაწილებდა კომლების მიხედვით. შემდეგ კი ყოველ წელიწადს ნაწილდებოდა მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც მიწა მეტად არა ერთნაირი იყო თავისი ხარისხით და მეტად ძნელი იყო კომლების დაკმაყოფილება ერთნაირი მიწით. ზოგიერთ სოფლებში ამტკიცებდნენ, რომ განაწილება რომ არ იყოს დაკავშირებული დროის დიდ დაკარგვასთან, მიწას ყოველ წელიწადს გადაანაწილებდნენო, რადგან, მათი მტკიცებით, ისინი ყოველ წელიწადს შეძლებდნენ ნაკვეთის გამოცვლას და იმედი ექნებოდათ, რომ თუ ამ წელს არა, მომავალში მაინც მიიღებდნენ უკეთეს ნაკვეთს. მეორე მხრივ, ყოველ წელს მიწის განაწილებას, მათი აზრით, ის ნაკლი აქვს, რომ მიწათმოქმედი მაშინ დაინტერესებული არ არის თავის ნაკვეთის უკეთ მოვლით. ზოგიერთ სოფლებში თხოულობდნენ კიდევ, რომ მიწები ერთხელ და სამუდამოდ გაენაწილებინათ, რადგან ამ შემთხვევაში მეტად იქნებოდნენ დაინტერესებულნი ნიადაგის გაუმჯობესებით, უკეთ დაამუშავებდნენ თავის ნაკვეთს და მეტ მოსავალსაც მიიღებდნენ. „ჩვენთვის რომ ცალკე ნაკვეთი გამოეყოთ, — ამბობდნენ ისინი, — რა თქმა უნდა, შევეცდებოდით იგი ქვებისგან გავეთავისუფლებინა და უკეთესად დაგვემუშავებინა. ახლა კი რისთვის ვიშრომით? გავივლის განაწილების ვადა და შეიძლება არასოდეს შემხვდეს ჩემი ნაკვეთი“. ეს არ არის საესებო სწორი საჩივარი, რადგან თემი უნაზღაურებდა მიწის დასამუშავებლად გაღებულ ყველა ხარჯებს და ამდენად, თუ შემდგომ წელიწადს მას აღარ შეხედებოდა მის მიერ გაუმჯობესებული ნაკვეთი, მისთვის მაინც სასარგებლო იყო მიწის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ოსეთში, მაგალითად, მიწის პერიოდული და ხშირი განაწილება არ იყო იმის მიზეზი, რომ ნაკვეთი არ გააუმჯობესონ.

ხშირ შემთხვევებში მიწა 4—5 წელიწადში ერთხელ ნაწილდებოდა. იყო შემთხვევები 9 წელიწადში ერთხელ მიწის განაწილებისა. მიწის დიდი ვადით განაწილების შემთხვევაში, სასოფლო თემი ხშირად გამოყოფდა სახნავი მიწების განსაკუთრებულ სათადარიგო ნაკვეთს ახლად გამოყოფილი კომლისათვის

ან სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ასეთ სათადარიგო ნაკვეთს პირდაპირი დანიშნულებით გამოიყენებდნენ, იყენებდნენ საძოვრად, სათიბად ან თემი თემის წევრებს აძლევდა იჯარით.

სახანაი და სათიბი მიწების განაწილება შემდეგნაირად ხდებოდა: თემის საერთო კრებაზე ირჩევდნენ 6—12 რწმუნებულს. ეს რწმუნებულები ზომავენ მთელ ვასანაწილებელ მიწას თოკით (თოკი საყენებით იყო გაზომილი), ადგენდნენ სახელმწიფო გადასახადის გადახდის უნარიანი კომლების ზუსტ სიას. შემდეგ მთელ ნაკვეთს ჰყოფდნენ დიდ ნაწილებად, რომლებსაც „ში-ახა“ ეწოდებოდათ. თითოეული „ში-ახა“ განკუთვნილი იყო 10—12 კომლისათვის. ყოველ გამოყოფილ ში-ახას აღნიშნავდნენ სხვა ში-ახასაგან განსხვავებული ნიშნით. მიწის შიახებად განაწილების შემდეგ იკრიბებოდა იმდენი რწმუნებულები, რამდენი შიახაც იყო გამოყოფილი, და კენჭის ყრით ინაწილებდნენ შიახებს. შემდეგ კი ყოველ შიახას შიგნით ისევ კენჭის ყრით ხდებოდა ყოველი კომლის ნაღელის გამოყოფა. აქ უკვე მიწას დიდი ჯოხით ზომავდნენ, რომელიც დაახლოებით 7 მ უდრიდა. 7 მეტრი სიგანე და 7 მეტრი სიგრძე ეს იყო ერთი ხარის მოსახენელი ნორმა და ყოველ ოჯახს იმდენ ნორმას აძლევდნენ, რამდენი ხარიც ჰყავდა მას. ნაღელს აძლევდნენ მხოლოდ სახელმწიფო გადასახადის გადახდის უნარიან კომლს. ხშირი იყო შემთხვევა, რომ სახელმწიფო გადასახადის გადახდის თავიდან აცილების მიზნით კომლები არ იღებდნენ თემის მიწებს და საშოვრით ან სხვა ხელობით ირჩენდნენ თავს, მაგრამ ეს შედეგებით გვიანდელი ამბავია.

ამგვარად, ყოველი გადახმული კომლი იღებს გარკვეულ ნაკვეთს. შიახას განაწილების დროს ცდილობენ დაიცვან რაც შეიძლება მეტი სიზუსტე. თუ რომელიმე კომლს შეხვდა ცუდი ნაკვეთი, რომელზედაც გზა გადის, გამოირჩევა განსაკუთრებული სიმწრით. ან. ერთი სიტყვით, რაიმე მიზეზის გამო, საერთოდ ცუდ ნაკვეთად არის აღიარებული, აძლევენ კიდევ დამატებით ნაკვეთს იმ ანგარიშით, რომ მიწის ერთნაირ პირობებში დამუშავების შემთხვევაში, მოსავლის დაახლოებით ერთნაირი რაოდენობა მიიღოს თემის ყოველმა წევრმა. მაგრამ თუ მოხდებოდა, რომ ეს დამატებითი ნაკვეთიც არ იყო საკმარისი და რომელიმე წევრი მიიღებდა ამდენად შედეგებით ცოტა მიწას, მას არ შეეძლო არც ნაკვეთის გამოცვლა, არც რაიმე პროტესტის განცხადება, რადგან კენჭის ყრით შეხვდა მას ეს ნაკვეთი და შემდგომ განაწილებამდე უნდა დამკაყოფილებულიყო მით.

ნაკვეთის ზომა ყველგან ერთნაირი არ იყო. იგი დამოკიდებული იყო თემის სარგებლობაში არსებული მიწების სიდიდეზე და აგრეთვე თემის წევრების რიცხვზე. საშუალოდ კი ცალკეულ კომლზე გამოყოფილი მიწის ფართობი იშვიათ შემთხვევაში უდრიდა როგორც ნახევარ სამეურნეო ღესეტიანას (3200 კვ. საენი), ასევე 2½ სამეურნეო ღესეტიანას. ნაღელების ფართობის რიცხვი მერყეობდა ერთიდან ორ სამეურნეო ღესეტიანამდე.

მიღებულ ნაკვეთს ყოველი კომლი როგორც უნდოდა ისე ხმარობდა. თემი უკვე აღარ ერეოდა ამ საკითხში, მხოლოდ მიღებული ნაკვეთის გამოყენებისას მეზობლის ინტერესები არ უნდა შეეღახა. მაგალითად, არ შეიძლებოდა ნაკვეთზე საქონლის გაშვება იმ დროს, როდესაც მეზობელ ნაკვეთზე მოსავალს იღებდნენ ან თივას თიბავდნენ. თავის ნაკვეთი თემის წევრს შეეძლო იჯარით მიეცა ვისთვისაც უნდოდა, სულ მოეხნა ან სათიბად დაეტოვებინა. მაგრამ თუ თემის



რომელიმე წევრი თავის ნაკვეთით სარგებლობის დროს შეღებულ ნაწილებს, მაშინ მთელი თემი დგებოდა დაზარალებულის დასაცავად და დამზარალებელს აჯარიმებდა. თემის წევრებს ასევე არ მოსწონდათ, როდესაც რომელიმე მათი წევრი თავის ნაკვეთს იჯარით აძლევდა უცხო პირს, რადგან უცხო პირი არ იცავდა თემის საერთო ინტერესებს და ხშირად მეზობლებსაც დიდ ზიანს აყენებდა.

უმთავრეს შემთხვევებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველი მიწის მუშა თავის ნაკვეთს როგორც უნდოდა ისე იყენებდა, მაგრამ იყო შემთხვევებიც, მაგ., სოფ. ზაიუკოვოში, რომ მიწის ნაღებებად განაწილების მიუხედავად, თემი ერთად ხნავდა თემის სარგებლობაში არსებულ მთელ სახნავ მიწას და მხოლოდ ამის შემდეგ თითოეულ ნაკვეთს ცალ-ცალკე უვლიდნენ და მოსავლასაც ყოველი კომლი ცალკე იღებდა თავის ნაღელიდან. ასეთ შემთხვევაში თემივე განსაზღვრავდა ყოველი ნაღელიდან რომელი ნაკვეთი უნდა მოხულიყო და რომელი დარჩენილიყო სხვა საჭიროებისათვის.

სათიბ ადგილებს, ისევე როგორც სახნავს, თემი ანაწილებს. 10—20 კომლი ერთიანდება და იღებს ერთ ნაკვეთს, რომელსაც „მიეკუბახა“ ეწოდება. შემდეგ კენჭის ყრით ყოველი კომლი მიეკუბახადან იღებს თავის ნაღელს. სათიბი ნაკვეთი ზომით სახნავზე უფრო დიდია. ხშირია შემთხვევა, რომ მიეკუბახაში გაერთიანებული კომლები აღარ ინაწილებენ სათიბს და ერთად იყენებენ ან აძლევენ იჯარით და ადებულ ფულს ტოლად ინაწილებენ. თუ თემის წევრები ისეთსავე თანხას აძლევენ, როგორსაც უცხო პირები, მაშინ პრივილეგია თემის წევრებს ეკუთვნით.

ახლად გამოყოფილი კომლებისათვის როგორც ზემო შემთხვევაში, ისევე ინახვენ სათადარიგო ნაკვეთს, მანამ კი იჯარით აძლევენ ვინმეს და შემოსულ ფულს იყენებენ თემის ხარჯების დასაფარავად.

„შიახასაც“ და „მიეკუბახასაც“ ერთმანეთისაგან კვლით გამოპყოფდნენ. შიახების გამოსაყოფად გუთნით ატარებდნენ ვანიერ კვალს, ხოლო მიეკუბახებს შედარებით ვიწრო ხნულით პყოფდნენ. ნაღელების ერთმანეთისაგან გამოსაყოფად ხმარობდნენ სოლებს.

კარგი ტყეები ყაბარდოში შედარებით მცირეა. ამიტომ უმრავლეს სოფლებში არ იყო გამომუშავებული გარკვეული წესი ტყით სარგებლობისა, თუმცა ზოგიერთ სოფელში ასეთი არსებობს. მაგალითად, სოფ. კულენეტოვო 1 ტყეს ამგვარად ხმარობდა: ამ თემის სარგებლობაში არსებულ მთელ ტყეს ორ ნაწილად პყოფდნენ. პირველ ნაწილს იყენებდნენ თემის წევრები თავიანთი პირადი საჭიროებისათვის. მეორე ნაწილი კი საერთო საჭიროებას ხმარდებოდა. თუ ტყე არ იყო განაწილებული სულადობრივად ან კომლების მიხედვით, მაშინ ტყით სარგებლობა რეგულირდებოდა თემის მიერ გამომუშავებული საერთო წესებით: თემის მიერ არჩეული საბატიო რწმუნებულები ადგენდნენ ყოველ კომლს რამდენი ურემი შეუაჭირდებოდა, რამდენი ფიჩხა, სოლი, საშენი მასალა და ასე შემდეგ. ამას თემის წევრები ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე იღებდნენ, ხოლო ყოველ ზედმეტ ურემზე ჯარიმის სახით იხდიდნენ გარკვეულ თანხას. ეს ფულიც თემის საჭიროებას ხმარდებოდა. თუკი ტყე ისევე, როგორც სახნავი და სათიბი მიწები დაყოფილი იყო დიდ ნაკვეთებად, მაშინ მას კომლების



მიხედვით აღარ ანაწილებდნენ. განაწილება შეუძლებელი იყო ბუნებრივი წესით. რობების გამო. ვხვდებით ტყით სარგებლობის ასეთ ფორმასაც: ტყეს ჰყოფენ სამ ნაწილად. 3—4 წელიწადს ხმარობენ ერთ ნაკვეთს, როდესაც ამ ნაწილს გაჩეხავენ, დაიწყებენ მეორე ნაწილის ხმარებას და ასე შემდეგ. ეს დაყოფა იმაზე განგარნიშებულია, რომ 9—12 წლის განმავლობაში პირველი ნაკვეთი უნდა მოიზარდოს და ამგვარად ხდება ტყის ვარკვეული ბრუნვა. უფრო აღრეულ პერიოდში ტყეს საერთოდ არ ანაწილებდნენ. იგი საზოგადო საკუთრებად, მთელი ყაბარდოელი ხალხის საკუთრებად ითვლებოდა და სრულიად უცხო პირსაც შეეძლო ადგილობრივებთან თანაბარი უფლებებით ტყით სარგებლობა. უფრო გვიანი ხანისათვის ტყით სარგებლობის წესები რამდენადმე განისაზღვრა და ჩამოყალიბდა.

საძოვრები უმთავრესად სოფლის ახლოს არის განლაგებული. საძოვრებად იყენებდნენ ისეთ ნაკვეთებს, რომლებიც სათიბად გამოუსადეგარი იყო სხვადასხვა ბუნებრივი პირობების გამო. საძოვრებსაც ჰყოფდნენ დიდ ნაწილებად, რომელსაც ხუპ-ახა ეწოდება. ხუპ-ახას აღარ ჰყოფდნენ ცალკე კომლებად. მას ან თავის საჭონლის საძოვრად იყენებდა ხუპ-ახაში შემავალი ყოველი წევრი, ან ერთად აძლევდნენ იჯარით და ადებულ ფულს თანაბრად ინაწილებდნენ.

სახნავი და სათიბი მიწები მოსავლის აღებისა და თიბვის დამთავრების შემდეგ საჭონლის საძოვრად გამოიყენებოდა. ამ მიწის უკვე აღარ ჰყოფდნენ და ყველა საჭირობისამებრ აძოვებდა საჭონელს. იყო შემთხვევები, რომ ამ მიწას იჯარით აძლევდნენ ვინმეს (იგი შეიძლება თემის შეძლებულ რამდენიმე წევრს აეღო). ასეთ შემთხვევაში ადებულ ფულს თანატოლად ინაწილებდა თემის ყველა წევრი.

მთისა და ზოლკის საძოვრები დაყოფილი იყო აულების მიხედვით. ამ საძოვრებით სარგებლობდნენ როგორც თავადები, ასევე უზუნდები და თემის წევრებიც.

საკარმიდამო მიწებს თემი არ ანაწილებდა. ძველი კომლების საკარმიდამო მიწა შედარებით დიდი ზომისა იყო, ახლად შექმნილი კომლების კი მცირე. საკარმიდამო ფართობის გაყოფა იშვიათ შემთხვევაში ხდებოდა ოჯახიდან ახალი კომლის გამოყოფის დროს. რადგან თემის განკარგულებაში მიწის საკმაო ფართობი იყო, თვით თემი აძლევდა ახალ კომლს საკარმიდამო ნაკვეთსაც. და ამ მხრივ უკმაყოფილება ძველსა და ახალ კომლებს შორის იშვიათად ხდებოდა. უფრო მოგვიანებით მიწების სიმცირის გამო ახალ კომლებს სულ უფრო მცირე საკარმიდამო ნაკვეთები რჩებოდათ და ისინი თხოულობდნენ საკარმიდამო მიწების გადაანაწილებას. ასეთ შემთხვევაში თემი ახდენდა საკარმიდამო მიწების ფართობის გადაინიჭვას და თუ რომელიმე კომლს საგრძობლად დიდი ნაკვეთი ჰქონდა, მას თემი აჭრიდა და აძლევდა მცირეფართობიან ახალ კომლს. საშუალოდ საკარმიდამო ნაკვეთი ბოსტნითურთ 1/2 დესტინას უდრიდა.

ახალი კომლების გამოყოფის შემთხვევაში თემი როგორც საკარმიდამო, ისე სხვა მიწებს აძლევდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალ ოჯახს შეეძლო სახელმწიფო გადასახადის გადახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიწას ვერ მიიღებდა.

თუ პირველ ხანებში სახნავი და სათიბი მიწების განაწილება კომლების მიხედვით ხდებოდა, შემდეგ მიწების განაწილება დაიწყეს სულადობის მიხედ-



ვით, ეს გარემოება იმით იყო გამოწვეული, რომ, როგორც ყაბარძანის წიგნებში ამბობენ, მრავალსულიანმა ოჯახებმა ჩივილი დაიწყეს, რომ მისთვის თივე ზომის ნაკვეთებს იღებენ, როგორსაც მცირესულიანი ოჯახები და თხოვლობდნენ, რომ მიწა სულადობის მიხედვით განაწილებინათ.

სულადობის მიხედვით მიწის განაწილების ერთ-ერთ მიზეზად ის უნდა ჩითვალოს, რომ თემის შიგნით სულ უფრო ძლიერად შეიმჩნეოდა ახალი დიფერენციაცია. გამოეყო შეძლებული ფენა, რომელიც ბოლოს და ბოლოს ხელში იგდებს თემის სარგებლობაში არსებულ მთელ მიწას. უმიწოდ რჩება თემის წევრების სულ უფრო და უფრო დიდი ნაწილი. ამ დონისძიებით (სულადობის მიხედვით მიწის განაწილების დაწყება) თემი ცდილობს ერთგვარად შეაჩეროს თემის წევრების გაღატაკების პროცესი და ხელი შეუშალოს მდიდარი წევრების გამოყოფას. მაგრამ ამ გარემოებას უკვე სხვა მიზეზები ამბობებენ და თემს, რა თქმა უნდა, აღარ შეუძლია ამ პროცესის შეჩერება.

რეფორმის შემდეგ ყოველ სოფლის თემს გამოეყო მიწის გარკვეული ნაკვეთი, რომელიც ნაწილდებოდა თემის წევრებზე. მაგრამ ეს მიწები თემის სრულ საკუთრებას კი არ წარმოადგენდა, არამედ მხოლოდ მის სარგებლობაში ითვლებოდა. ნამდვილად ეს იყო სახელმწიფო მიწები, რომლის სარგებლობისათვის თემის წევრები სახელმწიფოს გარკვეულ ფულად გადასახადს უხდიდნენ (5 მანეთი წელიწადში ყოველ კომლზე).

თემის შიგნით უკვე ცხადად ჩანს ქონებრივი დიფერენციაცია. ქონებრივი დიფერენციაციის არსებობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ თემის მრავალი წევრი მუშა ხელის და საწარმოო საშუალებების ნაკლებობის და ზოგ შემთხვევაში სავსებით უქონლობის გამო დამოუკიდებლად ვეღარ ამუშავებს თავის ნაკვეთს, იძულებულია შეუამხანაგდეს თემის სხვა წევრებს და შეერთებული ძალებით დაამუშაონ მიწა. ასეთ შეამხანაგებას ყაბარძოულად „ძე“ ეწოდება. ამხანაგობაში ყველა წევრს როდი შეაქვს ერთნაირი წვლილი. ვისიც მეტი სამუშაო საქონელი, იმას მეტს უხნავს „ძე“. ვისაც მეტი აქვს მიწა, ის მეტი პრივილეგიებით სარგებლობს და პირველ რიგში მას უხნავენ. „ძე“-ში შესვლის ასეთი პრინციპი არსებობდა: ერთი ხარი უდრიდა ერთ მუშა ხელს, მუშა ხელი კი—ერთ სახენელს. თუ ერთი ხარს შეიყვანდა, მეორე—ერთ მუშა ხელს და მესამე კი სახენელს, ეს ნიშნავდა, რომ მათ ამხანაგობაში ტოლი ძალები შეიყვანეს და მათი თანაბრად უხნავდნენ. მაგრამ ასეთი თანაბარი ძალებით შეამხანაგება იშვიათი იყო. უმთავრესად ქონებრივი დიფერენციაციის გარდაცემის გამო თემის წევრებს მეტად განსხვავებული საწარმოო საშუალებები გააჩნდათ. საწარმოო საშუალებები ვისაც მეტი ჰქონდა, მას მეტს უხდიდა „ამხანაგობა“. „ძე“-შიაც, რომელიც აღმოცენებული იყო თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ირდევდა თანასწორუფლებიანობის პრინციპი ქონებრივი დიფერენციაციის გაჩენასთან ერთად.

რეფორმის შემდეგ ფეოდალური ურთიერთობის თანდათანობითი რღვევა აშკარა ხდება. მიწა და საქონელი სულ მეტად იქცევა ყიდვა-გაყიდვის საგნად—შეიმჩნევა კაპიტალისტური ურთიერთობის შექმრა ყაბარძოულ სოფელში.



117
314.11354
302-0170333

М. Г. КАНТАРИЯ

О ЗЕМЛЕПОЛЬЗОВАНИИ И ЗЕМЛЕВЛАДЕНИИ В КАБАРДЕ НА РУБЕЖЕ XIX — XX вв.

Резюме

В статье освещены вопросы о землепользовании и землевладении в Кабарде на рубеже XIX—XX вв.

До реформы в Кабарде наряду с частной собственностью на землю существовала общинная собственность.

После реформы феодалам утвердили в собственность земли, находящиеся в их владении. Крестьяне были освобождены от всяких повинностей. Они обрабатывали наделные земли. Государство от них получало ежегодные денежные взносы. В начале сельчане распределяли земли по семьям, а затем подушно.

თ. ოჩიაური

ზოგბიერთი ხალხური გადმოცემის შესახებ

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში დაცულ თქმულება-გადმოცემების შესწავლას, როგორც ცნობილია, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ხალხის ისტორიული წარსულის კვლევისათვის. ამ თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას ამაჟამად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაცული გადმოცემები იმსახურებს. როგორც ცნობილია ეს გადმოცემები ცხოველმყოფელობას ბოლო ხანებამდე ინარჩუნებენ. კერძოდ, ხალხური სამართლის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტში, როგორც არის ხევსურული რაჯული, გადმოცემათა გარკვეულ ჯგუფს (ე. წ. ანდრეზები) არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდათ¹. ანდრეზის ეს ფუნქცია შეპირობებულია იმ გარემოებით, რომ იგი სინამდვილეში მომხდარი ამბის რეალურ ასახვას წარმოადგენს. ამავე დროს შესაძლებელია ანალოგიური მნიშვნელობა ჰქონდეს მითოლოგიური ხასიათის გადმოცემასაც. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ თქმულება მკვლელობით სახელგანთქმული მისრიაშვილების ფშავში დასახლების შესახებ, რომლის მიხედვითაც ისინი შატილიდან გადმოსული ჯალაბაურები არიან. ამ გადმოცემის გამო შატილელი, ფშავსა და გუდამაყარში გადასული ჯალაბაურები ბოლო ხანებამდე ნათესავებად თვლიდნენ ერთმანეთს. ალ. ოჩიაურის მასალის მიხედვით: „ფშავის, შატილის და გუდამაყარის ჯალაბაურები შორიდან ისევ თავისობენ ერთი მეორეს და საკირო დროს იცავენ კიდევაც. მაგალითად: შატილის ჯალაბაურებს ამ ორმოციოდე წლის წინ გუროვლებთან ჩამოუვარდა დიდი მოსისხლეობა. უკანასკნელად ორი ძმა-ლა იყო ჯალაბაურთი—ბაჟყა და ლევანი. ისინიც მტრებმა დახოცეს და დარჩა მათი ობლები. ამ ყმაწვილებსაც მოსისხლეები ემუქრებოდნენ: — რომ გაიზრდებიან და იარაღს აიღებენ, ეგენიც უნდა დავხოცოთო. ფშავის ჯალაბაურებმა (იგულისხმებიან მისრიაშვილები. თ. ო.). რომ ეს ამბავი გაიგეს, დააპირეს მათი გადმოყვანა თავისთან და აქ დასახლება მათი, მაგრამ გუდამაყარის ჯალაბაურებმა დაასწრეს, წაიყვანეს ბავშვები და რამდენიმე წელიწადი იქ იზრდებოდნენ. გუდამაყარელები ამ ბავშვების მტრებს მუქარას უთვლიდნენ ოუ ამათ რამე დაუშავდებოდა მათგან. ბოლოს მოხდა შერიგება“².

სათანადო მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მთაში ხალხური ზეპირსიტყვიერება ძირითადად რეალურ სინამდვილეზე დაყრდნობით იქმნება. ე. ი. ყოველ ლექსსა თუ ანდრეზს კონკრეტული, ცოცხალი სინამდვილე უძევს საფუძვლად.

¹ რ. ხარაძე, ხევსურული ანდრეზი, როგორც ხალხური სამართლის წყარო, ანაღები, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 1947.

² ალ. ოჩიაური, რელიგიური ამბები ფშავში, რე. 29, 1947, გვ. 348-349.



როგორც ირკვევა იგივე შეიძლება ითქვას თქმულებებზეც. წინააღმდეგობაშია წმინდა-გადმოცემები თავდაპირველად ანდრეის ბუნებისა იყო. ე. ი. იგი განტვირთული იყო ზღაპრულ-მითიური ელემენტებისაგან. დროთა განმავლობაში რეალური ვითარების შედეგად შექმნილი ანდრეი თანდათან იქნეს მითურ სამოსელს და მითოლოგიური ხასიათის გადმოცემად იქცევა.

ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შესაძლებელი ხდება თვალი გაავადვნოთ ზემოხსენებულ პიროვნებს; რომ არაფერი ვთქვათ ისეთ მითოლოგიურ პერსონაჟებზე, როგორც არიან კობალა, პირქუში და სხვ., რომლებიც გადმოცემათა მიხედვით გავლენიანად გვიჩვენებენ, უფრო უახლოეს დროში რეალურად არსებული პირების შესახებ უკვე მითოლოგიური ხასიათის გადმოცემებს ვადასტურებთ. მაგალითად: ალიათ მგელა — მგელა ჯაბუშანური, ხევსურეთში, არხოტში ნამდვილად ცხოვრობდა. მისი შთამომავლობა მეექვსე თაობას ითვლის. იგი არხოტის ჯვარის მიქელის შვილი იყო, რომელიც სიცოცხლეშივე გამოირჩეოდა თავისი ღვთის მსახურებით, ჯვრისადმი ერთგული სამსახურით, გამჭირვალვით, კი კაცობით, ბედითა და დავლით. იგი ღვთაებასთან დაახლოებულ პირად — მეწინააღმდეგე, უახლოეს კელკაცად ითვლებოდა. გარდაცვალების შემდეგ მგელას შთამომავალთა მიერ მის სახელობაზე, როგორც ცნობილია, დღეობა იქნა დაწესებული, რომელსაც მისავე საფლავზე იხდიდნენ. საფლავი კი წმინდად იქნა გამოცხადებული. დროთა განმავლობაში მგელას საქმიანობისა და პიროვნების შესახებ დარჩენილი ცნობები თანდათან კარგავენ რეალობის ხასიათს, იქნენ მითიურ ელემენტებს და მგელა ჯაბუშანურის ნახევრად ზებუნებრივ არსებად წარმოგვიდგინეს. საყურადღებოა, რომ ზებუნებრივობის ელემენტები მის შვილ ახალაზეც კი არის გადატანილი; გადმოცემების მიხედვით იგი ნაწილიანი ყოფილა. რომელსაც მტერი ვერაფერს აკლებდა. სათანადო ისტორიული გარემო რომ შეხვედროდა, საკვებით მოსალოდნელი იყო მგელას საგვარო ღვთაებად გადაქცევა კი, და თუ ეს ასე არ მოხდა, ალბათ იმიტომ, რომ ხევსურეთში რელიგიამ დაკარგა ის ცხოველყოფელი ძალა, რომელიც მას რევოლუციამდე ჰქონდა.

ამგვარი ნახევრად გაღვთაებრივებული პირების მთელი პლეადაა წარმოგვნილი აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. ასეთებია მაგალითად ხევსურეთში: ჭაჭავეთის დალაშქვარში ღვთიშვილებთან ერთად მონაწილე გახუა ჭორმეშინი ანუ მეგრელური, გაიდაური, ფშავში ხევსიბერი ნაკვეთაური და სხვ.

ამ შემთხვევაში ამა თუ იმ პირისათვის ზებუნებრივი თვისებების მიწერის მიზეზი ამ პირთა ხატის კელკაცობაში და საერთოდ მათ დადებით საქმიანობაშია საძებნელი. ხატის კელკაცობიდან იწყება მისი ცხოვრებისა და საქმიანობის ზებუნებრივი ელფერი შემოსვაც შემდეგ თაობათა მიერ, რაც უკვე მითოლოგიური ხასიათის გადმოცემაში პოეზებს გამოხატულებას.

განსხვავებით ამ რიგის მოვლენებისაგან, ჩვენ გვაქვს სრულიად საწინააღმდეგო მიზეზი, რომელიც ასევე ხელს უწყობს ამა თუ იმ პირის კელკატის ობიექტად ქცევას და ამდენად მის შესახებ სათანადო გადმოცემის შექმნას. ეს მიზეზი ამ პირის საზიანო მოქმედებაში, მის მიერ ხალხისათვის უბედურებისა და ავი საქმის მიყენების უნარში გამოიხატება. შიშის გრძნობა აიძულებს მორწმუნეებს გარდაცვალების შემდეგ კეთილად განაწყო მისი სული, ასიაშოვნონ,



გული მოუღბონ მას და ამდენად თავიდან აიცილონ მოსალოდნელმა მისი. თუ პირველ შემთხვევაში კეთილ ღვთაებათა საწყისთან გვაქვს საქმიანობა, მომავალი ბოროტი ღვთაების ან ბოროტი სულის წინაპარია ჩვენს წინაშე.

თუ უფრო შორეულ ამბებს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენს წინაპრებს შიშის გრძნობის გამო კულტის ობიექტად გაუხდით თვით საბუნ-ველი მტერიც კი. მხედველობაში მაქვს იაკსარ-კოპალას მიერ დევთა ამოწყვე-ტის შემდეგ სიკვდილს გადაჩენილი დევი რძალ-დედამთილის ხევესურეთში დარჩენისა და მათი სალოცებებად ქცევის ამბავი. როგორც ცნობილია, რო-დესაც როშკის ციხეგორს მოსახლე დევები ეაკსარმა ამოწყვიტა, ხსენებულმა დეე-ქალებმა გაქცევა ვერ მოასწრეს, ერთი რომჯამივე დარჩა, ხოლო მეორემ სამალავი სოფელ ხორანულთაში პპოვა, მორწმუნეთა წარმოდგენით დეე რძალ-დედამთილს ხალხისათვის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვებისათვის, ვნების მოტანა შეეძლოთ. ზიანის თავიდან აცილების მიზნით ხალხს ზღვენ-საწირავები მიჰქონდა მათთვის და შველას შესთხოვდნენ. როშკის მცხოვრები გუგუტა წიქას-ასული წიკლაური გვიამბობს: „ხალ-დედამთილთ ციხეს ეძახან. ერთ მანდ ას დამრჩალი, მეორე ხორანულთას. იმეებს ეეგრ ილოცედეც. რახან-ნისა მზენ გადავიდინ, თიკან დაკლიან ქელუქულმ, სამ კალტის კვირიანი ქნიან. (ე. ი. ხაჭოს ვულთან ქადისკვერებს აცხობდნენ). მჩვრებ დაგლიჯიან, მჩვრებს აუნთებენ. ერბოთ გახზობენ. იმის გამო ილოცვენ, რო და ვ ი შო-რათ ა ე“ (ხაზი ჩემია, თ. თ.).

მსგავსი რიგის ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე ხახმატის ჯვარის ვიორგის მიერ, ქაჯავეთიდან მოყვანილ დობილ ქალებთან დაკავშირებითაც. ალ. ოჩიაურის მასალების მიხედვით ხახმატის ჯვარის მიერ მოყვანილი ექვსი ქალიდან სამი მოუნათლავი ქალი სოფელ კორმეშავის ახლოს ბინადრობს. „ისინი არიან ადამიანის მტრები და სულ ვნებაზე არიან დამდგრები. იმათ ხალ-ხი იმიტომ ილოცავს, რომ არაფერი ავნონ. რგება არც იმათგან არის მოსალოდ-ნელი. აქ ილოცავს მარტო კორმეშიონი ხალხი. ისინიც ვნების, შიშის გამო კლავენ თიკანს და შლიან სამ-ხუთმეტ აშალს. ესენიც, როგორც გამიწრივლე-ბული კურდღელი, კაცთავენებაზე არიან დამდგრები. იმათ ახლოს გამველს ავად გახდიან, სოზმარშიაც ტუღის სახით ევლინებიან“ და ა. შ.

წარმოდგენილ მასალაში დასახელებული გამიწრივლებული კურ-დღელი რეალურად არსებული პიროვნებაა. ალ. ოჩიაურის მასალებში ვკითხულობთ: „უკან ხაღუში ცხოვრობდა ერთი კაცი, სახელად კურდღელი... ამ კაცს სოფლის განაპირას ციხეც ჰქონდა და შიგ ცხოვრობდა. თურმე სიცო-ცხლითვე ეტყობოდა, რომ რაღაც სხვანაირი კაცი იყო. გრძნეული, შურიანი, ბოროტი. სიკვდილის შემდეგ ის გამიწრივლდა და დადგა კაცთა ვნებაზე. იმის ნაცინხართან გავლილი ბავშვები და დედაკაცები შინდებოდნენ, ძილში ეჩვენე-ბოდათ და ავად ხდებოდნენ. ზოგიერთი ბავშვი კიდევ კვდებოდა. ბოლოს მკი-თხავენბა გაიგეს, რომ კურდღელი გამიწრივლდა და ვინც არაფერს შესწირავს. ის ავნებს. რგება კი მას არაფერი შეუძლიან, ვნება კი ბეერისა, ბოლოს კურ-დღელას ნაცინხარი გადაიქცა სალოცავ ადგილად. კლავდნენ ხარის გარდა ყვე-ლა საკლავს: ცხვარს, თხას, ძროხას. ყველაფერს დაკლავდნენ და თხოვდნენ კურდღელას რომ არაფერი ენოს მათთვის... ხევესურეთში სხვა ასეთი სალოცავი არც იყო, რომ თხა, თიკანი, ბატკანი, ძროხა, ხბო ეს ყველაფერი იკვლოდეს. ძოხა მარტო ხახმატის ჯვარისთვის იკვლოდა და თხა კვირაისთვის. ცხვარი და ხბო ყველა ხთიშვილისთვის. კურდღელასთვის კი... ყველაფერს



კლავდენე. აგრეთვე სამხუთმეტი აშალი და სამხუთმეტი კუშუშელა (არსებობს ამოღებული ყველი) ერთი ზავიწიანი „ტაბალთ უფროსა“ (არხორტულად საწინაო) ეს დაიშლებოდა, როგორც აშალი... აშალზე სამფეკ სანთელსაც აანთებდნენ და ხუცობის შემდეგ დაუშლიდნენ ზავშვებს⁴.

როგორც ვხედავთ აქ თითქმის ჩვენ თვალწინ არის პროცესი იმისა, თუ როგორ შეიძლება სალოცავად და ამდენად მითიურ არსებად ქვეულის რეალურად არსებული პიროვნება, რომელიც სიცოცხლეში ხალხისათვის საზიანო მოქმედებით გამოირჩეოდა თანამეფეთაგან.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ჩვენ გვინტერესებს გადმოცემა სულასა და კურდღელს შესახებ. ვაჟა-ფშაველა თავის ეთნოგრაფიულ ნაწერებში სულასა და კურდღელს შესახებ შენიშნავს: ფშაველეს „ხატებად ჰყავს გამზადი ზოგ-ზოგი გმირებიც. მაგალითებრ სულა-კურდღელა, პირცეცხლი, პირქუში“. ამ ცნობაზე დაყრდნობით ქართველი ერის ისტორიის I ტომში ამირანიანთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: — „უფრო საყურადღებოა, რომ ფშაველეს გმირთა შორის სულა-კურდღელიც მიაჩნიათ ხატად... იქნებ წინათ „სულ-კალმახი“-ც ამგვარ გმირთა გუნდს ეკუთვნოდა“-ო⁵.

გარდა ვაჟა-ფშაველას ზემოთ მოყვანილი ცნობისა, სულასა და კურდღელს შესახებ ლიტერატურაში გამოქვეყნებულია რამდენიმე ხმით ნატირალი გვრინი და თედო რაზიკაშვილის განმარტებანი მის მიერ ჩაწერილ სათანადო გვრინთან დაკავშირებით. ამ მასალის გარდა ჩვენ მიერაც მოპოვებულია ცნობები ამ გმირთა შესახებ.

უპირველეს ყოვლისა უნდა განვასხვავოთ ან, უკეთ, გავყოთ ეს ორი სახელი ერთმანეთისაგან. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორ პიროვნებასთან, ორ დამოუკიდებელ სახელწოდებასთან — სულასა და კურდღელსთან და არა სულა-კურდღელთან ე. ი. ერთი პირის ერთ სახელთან მსგავსად სულ-კალმახისა. ამდენად, სულა-კურდღელს დაკავშირება ამირანიანის სულ-კალმახთან თავიდანვე არ არის სწორი ნიადაგზე დამყარებული. ამის მიზეზია ის, რომ ვაჟა ერთად წერს სულა—კურდღელს, მათ შორის მხოლოდ ტირეს სვამს. მისთვის ვასაგებია, რომ აქ ორ პიროვნებაზეა საუბარი, რაზედაც თუნდაც მისი პოემის სათაური სულა და კურდღელა მიუთითებს. ივ. ჯავახიშვილს კი ბუნებრივია ვაჟას ცნობა ისე გავგო, რომ სულა—კურდღელა ერთი პირია, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ ვაჟა ხსენებულ სახელებს ერთად წერს, მათ პირცეცხლისა და პირქუშის წრეში აქცევს და სხვა არავითარ განმარტებას არ იძლევა.

ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალა სულასა და კურდღელს შესახებ შემდეგი ხასიათისაა. „სულას და კურდღელს ჩარგალში უცხოვრებავ. იმათ მიღები ჰქონიათ დაწყობილი და ისე მოსდენიათ რძე. ქვესურვებს სულას და კურდღელს შინით ჯორებისათვის საპირულები უკეთებავ, რო არ დაეყოყინა. ამ სულა—კურდღელათ ხალხი არ უშობავ არაგვის ჭალაზე. არც ფშაველები და არც ჭეგსურები. მაშინ ხალხი მარტო აფხუშოში ყოფილა. სულას და კურდღელს დედულუხუმის და ყოფილა (ვაჟამაც იქით აიღო). ეგ ლუხუმი ყოფილა პაპაშჩენი. იმას ჰყოლია ორი ვაჟი და ერთი ქალი. ქალი ანა, ვაჟები—ივანე და ლაქაური.

⁴ ალ. თნიაური, ზოგიერთ ზაიშვილთა და დევეკოშთა ამბები, 1949, რგ. 1, გვ. 12.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, 1928, გვ. 139.



იმ სულა—კურდღელათ ისე შეუწუხებავ ხალხი, რო ამდგარა მალაღობის შვილი, ცაბაურთაში წასულა და წელწად დილას სასოვეთ თავის მალაღობე საპარავის ყელისას ნაბდის კელუჩით გადაულაღავ ხალხი და ლალატით დაუკოცინებავ ისეები... ხალხი ჩაუსაფრებავ, თავად მეკვლედ მისულა. მიიღეს, როგორც დედი ძმის შვილი. როცა დაითვრენ ადგა და შაატყობინა იმ ხალხსა, დეცა ეს ორი სოფელი (აფხუშო და ცაბაურთა, თ. ო.) იმ ორ კაცსა, სულაი ახუნის შასამართს მაუკლავ. კურდღელა გამაჰქცევია და ჩარგლის კართ მაუკლავ“.

როგორც სულა და კურდღელა ჩარგალში, ისე ახრალში არხალი ყოფილა, არტანში თაღლაურა, ჩარგალში კი როგორც ვთქვით სულა და კურდღელა იყვნენ. იმ ახალწელს სუყველანი სამგანვე ამოუწყვეტიათ ფშავლებსა. სულა და კურდღელაზე ნატირალი მაშინდელია... ჩარგალში ლაშარის ჯვარის ნიშია, სულა კურდღელათ ემახიან, იმათ ნაციხვარია (ლევან თათარიშვილი, ს. ჩარგალი, 1952—57 წწ.). ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალას მხარს უჭერს თითქმის ყველა ცნობა, რომელიც ხსენებულ პირთა შესახებ მოიპოვება.

თ. რაზიკაშვილის ხალხურ ზეპირსიტყვიერების კრებულში გამოქვეყნებულია გვრინის ფშაური ვარიანტი: „დილას ამაზედ ჩამეერა ქალმა საყელო ცრემლიანმა, არ ვიცი ძმები დაჰხოციყვნენ, არ ვიცი მოჰპლიყო ქმარ-ყოფსა, ქალმა ახუნსა შაუტირნა, ქალმა საყელო ცრემლიანმა: — ახუნო⁶ რა ჰქენ ჩემი ძმანი, ჩემი სულაი-დ კურდღელაი, რო შენზე აღარ უთიბნია — შენი სულაიდ კურდღელაი ჩარგლის კარს ჰყრან დახოცილნი კელში უქირავ შიშველ კმლები, ყორნებს ულაღვენ ერთმანეთსა“⁷.

გვრინის განმარტებაში თ. რაზიკაშვილი წერს: „ფშავლებმა გატეხეს სულასი და კურდღელას ციხე ლალატით, და ორივე ძმა მოკლეს, ციხე-სიმაგრე ამოზუგეს, ისინი ჩარგლისკარს თავისი სახლიდან 4 ვერსის მოშორებით მინდორზე დაყარეს. ისე თურმე ჰყავდათ ხალხი შამინებული, რომ, როცა ხეესურები ჯორებით არაგვის პირზე ჩამოივლიდნენ (5 ვერსი იქნება), ჯორებს თურმე პირში ჭორაგებს ამოაღებდნენ — არ დაიყრთყინონ, სულამ და კურდღელამ არ გაიგონ, წამოვლენ და დაგვეცემიანო.“

გვრინის შედარებით განსხვავებული ვარიანტი ჩაწერილ იქნა ჩემ მიერ ს. გოგოლაურთის მცხოვრებ შეთე გოგოლაურისგან:

დილა აღრიან შამეერა
ქალმა, საყელო ცრემლიანმა,
მოიდა, ახუნს შაუტირნა:
—ახუნო რა ჰქენ ძმანი ჩემნი,
დილას სათიბად დაგიგზავნენ.
იქნება ფშავლებმ დამოკოცნეს,
ფშავლებმა ლალატიანებმა!

როგორც ვხედავთ, რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი და აქ მოყვანილი ფშაური გვრინის ფრაგმენტი ერთი ნატირალიდან მომდინარეობს, ისინი მართალია ვარიანტულ სახესხვაობას წარმოადგენენ, მაგრამ ძირითადად დამთხვევასთან გვაქვს საქმე, სადაც საუბარია სულასა და კურდღელას დახოცვით გამოწვეული დის მწუხარების შესახებ.

⁶ ახუნთ სათიბი მთა ჩარგალში.
⁷ თ. რაზიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, II, 1953, გვ. 87.



ამ ფშაური გვრინის ვარიანტებისაგან საგრძნობლად განსხვავდება წყნარ
ჩული გვრინი სულასა და კურდღელას შესახებ, თუმცა, როგორც დავინახავთ,
დამთხვევასთანაც გვაქვს საქმე. ეს გვრინი, რომელიც დაბეჭდილია მასალებში
საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. III, შემდეგია:

შვილი წავლენ თიბაზედა
ჩემი სული, კურდღელი,
ახუნო, არსად დანახნაო?
თვლით დავერითე ახუნ-გორიო,
არცად აინდა ნამტრევებო.
ბერო რად სტირი შვილთა შენთაო,
ჩარგლის კართ იყენე შენი შვილიო,
შამაწოლინი ეგზედაო,
ბრუნევედეს სისხლის შორევიო,
ქელი ეკირა შიშვლებ კმლებიო,
ერთმანეთს ყორნებს ულაღევდესო.
— შვილიო, სულად კურდღელიო,
ირმის გულსად დაკოცნიო,
იმედი მამეშალა თქვენიო,
ბებერს მამას რა ათიბებოო,
ერთბან დავირენ ცელ-საღესნიო,
მეორედ ამატანიენითო.
მარიაობას დაეღვე ცლოო,
ენკენიასა საფარცხველიო
თიბად ვავიდეს ჩარგაღელნიო.
სულა ძალს ეძახს ბარისაო:
— არიქო ჩემო ბარიაო,
ტყევი ირემი შამიარდაო!
ვაიპე, ჩემო სიბერეო,
ირმებმ სრული დამიშალაო,
ნეტავინ მამცა შვილ-ისარნიო,
ერთ-ორივე დამაზინებიაო,
ჩემთა საფუათა დამტაქენიო
მიწათად ვამაფერებენაო,
სულამ საწოლთო არ მაზღიეაო,
მეტუნდარჩივით კურდღელამაო.
ჯაო ირემო ნუ ჩაივლიო,
ჩარვალ, მისრიათ კარისასაო,
თორემ სული კურდღელიო,
პირს დაამტრევენ ლოდისასაო.
დაკრავს ისარსა შისრიაო
თვი დადგა მარიანობისო,
გამბევეწილსა ფშავლისასაო.
ჯარის ყვირილი ვაივანეო,
აოხუშოს ძირთ შამახვირნაო,
შახვირნე შენმა ოჯრობამაო,
თითად დავიყრი ქონისათაო,
ახუნ სულას დათბულთაო
ნაკრეთა კურდღელისათაო“ და სხვ.⁸

ამ ვრცელ ვარიანტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი შედგენილია რამ-
დენიმე ცალკეული ფრაგმენტისაგან, რომელთაგანაც ნაწილში სულასა და

⁸ მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. III, გვ. 101.

კურდღელას დახოცვის ფაქტია აღწერილი, ნაწილი მამის გოდებას შეიტყუებდა ხოლო ნაწილს. შეიძლება ითქვას, რომ არაფერი აქვს საერთო გვინისა და მისი თად ქარგასთან; იგი შემთხვევით მიკერებულნი ჩანს მასთან და ჩარგლის შექებას წარმოადგენს. ამიტომ იგი აქ არც მოვიტანეთ.

როგორც ვხედავთ, ხეესურულ გვინში არაფერია ნათქვამი სულასა და კურდღელას ფშაველთა მიერ დალატით დახოცვის შესახებ. გვინის პირველი ნაწილი, დაწყებული სტრიქონებით: შვილნი წავალენ თიბაზედაო... გათავებული ტაებით:

ბერო რად სტორი შვილთა შენთაო,
ჩარგლის კარს იყენეს შენნი შვილნიო,
შამოწოლილი ვეძაზედაო,
ბრუნვედეს სისხლის მორვეშაო,
ქელნი გვირა შიშვლებ კმლვებით
ერთმანეთს ყორნებს ულაღვედესო

ფშაურ ვარიანტს კვალდაკვალ მისდევს, მაგრამ ფშაველთა დალატიანობის შესახებ როგორც უკვე აღვნიშნეთ ვერაფერს ვხედავთ. განსხვავებით ფშაური ვარიანტისაგან აქ საუბარია სულასა და კურდღელას ირმის გულისთვის დახოცაზე. ერთი შეხედვით შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ხსენებული გმირები ნადირობის დროს დაიღუპნენ, მაგრამ მასალაზე დაკვირვება ამ ვარაუდს არ ადასტურებს. როგორც გვინიდან ჩანს, სულა და კურდღელა ორივე დაქორილი იწვა ჩარგლის კარს და ერთმანეთს ყორნებს უგერიებდნენ. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ვილაცამ დაქრა, ვილაცამ ორივე სასიკვდილოდ გამოიმეტა, ძმები კი სიკვდილამდე კვლავ ერთმანეთს იცავდნენ. აქ ამჟამად გამოირჩეხულია ნადირობის დროს მარცხის შედეგად დაღუპვა.

ხეესურული ვარიანტი მთხრობლის მიერ განმარტებულია სულ სხვანაირად, ვიდრე ეს ფშაურში გვაქვს. სახელდობრ, სულას და კურდღელას დახოცვას მთხრობელი ლეკებს მიაწერს, მაგრამ აქაც განმარტების არა სიზუსტესთან უნდა გვექონდეს საქმე. ჭერ ერთი იმიტომ რომ ჩარგლის მკვიდრთა გადმოცემით და მათ შორის თ. რაზიკაშვილის ცნობით, რომელიც, როგორც ცნობილია, ხალხური თქმულება-გადმოცემის შემკრები და მკოდნე იყო, სულა—კურდღელა ფშაველებმა ამოწყვიტეს. ამავე ცნობას იმეორებს ფშაური გვინის ვარიანტიც:

იქნებ ფშაველებმა დაჰყოცეს,
ფშაველებმა დალატიანებმა.

ფშაველთა მიერ დახოცვის საშიშროება არც უნდა არსებულიყო, თუ სულა და კურდღელა საამისო მიზეზს არ აძლევდნენ ხალხს.

გარდა ამისა, ჩარგლის კართ ვეძაზე მათი დახოცვა ლეკთა მიერ ნაკლებ მოსახერხებელი იქნებოდა. ვინაიდან ჩარგლის კარი შიგ შუაგულ ფშავის ხეობაში მდებარეობს და ლეკთა მისადგომებიდან საკმაოდ დაშორებულია. როგორც ცნობილია, ლეკები თავიანთი სათარეშო მიზნების განხორციელებისათვის ხალხისა და საერთოდ სოფლებისაგან დაშორებულ ადგილებს ირჩევდნენ. ისინი თავს ესხმოდნენ მთიბლებს, მწყემსებს, სხვადასხვა საეულე სამუშაოებზე მყოფ ხალხს. მიდიოდნენ ისეთ ადგილებზე, საიდანაც გასაქცივი ვზა შედარებით უხიფათო ჰქონდათ. გარდა ამისა, თვით გვინში არაფერია ნათქვამი ლეკთა მიერ დახოცვის შესახებ, ასე რომ ეს შეიძლება მთხრობლის სუბიექტუ-



რი განმარტება იყოს მხოლოდ. ხოლო თუ ხევესურული გვრინის ცვლინების შესახებ ლასა და კურდღელას რბილ ფორმებში და უსახდვრო სევდით იხსენიებს, სადაც მხოლოდ მამის დაუყუჩებელი მწუხარებაა გამომბატული და სოციალური მომენტი გამორიცხულია, იქნებ ეს იმიტაც აიხსნას, რომ ხევესურეთი ნაკლებ შევიწროებული იყო ხსენებულ პირთა მიერ. ხევესურებს, როგორც ჩანს, არც მიუღიათ მონაწილეობა მათ ამოწყვეტაში და ისიც გასათვალისწინებელია, რომ სულა და კურდღელა, როგორც ირკვევა, გოგოქურთა გვარს ატარებდნენ.

თ. რაზიკაშვილის დასახელებულ კრებულში ვკითხულობთ:

მამკლავმა მამკლა მეორედა,
 ეში უკულმა მამბარუნა.
 ბევრი რიალი ჩაიღინა
 ძალის მკამელმა გოგოქურთმა,
 ხარსა ირემსა ნაისრაღსა
 ნასადგისარი მამიქინა*.

ამ გვრინს თ. რაზიკაშვილი შემდეგ განმარტებას აძლევს: „თურმე ჩარგალში წინათ იმოდენა ირმები სცოდნია, რომ საფქვეს რო გაჰყვინდნენ. ისე თურმე აქტვლებდნენ თუ თავს დაანებებდი, როგორც ძროხები. ერთს ირემი დაუჭრია. ამ დროს კურდღელა გოგოქური წასწრებია. უთქვამს: ეგ ირემი ჩემი მოკლულიაო, ქალამნებს ვაკეთებდი, მაშინ ჩამოირბინა და სადგისი ვატაკეო. სულასა და კურდღელას იმ დროს დამონავებული ჰყოლია ის სოფლები და აბა რაღა ხმას გასცემდა, წაართვეს ირემი“.

ამ განმარტების მიხედვით ირკვევა, რომ სულა—კურდღელა გოგოქურთები იყვნენ. გოგოქურთა ჩარგალში მოსახლეობის შესახებ ხალხშიც არის დარჩენილი გადმოცემები. გოგოქურთები სოფელ ცაბურთაშიც ცხოვრობდნენ. მაგრამ გოგოქურთა გვარი ხევესურეთის ძირითად გვართაგანია. არაბული, გოგოქური და ჰინჭარაული როგორც ცნობილია ე. წ. სამოგანიძურის ქმნიდნენ ხევესურეთში და ხსენებული კუთხის უძველეს გვარებად ითვლებოდნენ.

სულა—კურდღელას გვარის გარკვევა, გარდა ზემოხსენებული ვითარებისა, საყურადღებოა იმიტაც, რომ ეს ფაქტი ხსენებულ პირთა რეალურად არსებობას მეტ საბუთიანობას მატებს.

ზემოთ მოტანილი მასალიდან სულასა და კურდღელას შესახებ როგორც ვხედავთ შემდეგი ირკვევა: ისინი ცხოვრობდნენ ფშავეში, სოფელ ჩარგალში და ეკუთვნოდნენ გოგოქურთა გვარს. ეს პირები თავისი მკლავის ძალისა, ვეკაცობისა და სისასტიკის წყალობით თანდათან ეკონომიურ სიძლიერესა და ძალაუფლებას იხვეჭენ, რითაც უპირისპირდებიან რიგით მეთემეებს. თავიანთ ძალაუფლებას მათზე ავრცელებენ, ჩაგრავენ, ადებენ ბეგარას, ძარცვავენ, სტაცებენ დაურიდებლად რაც სურთ და ამის წყალობით საძულველ პირებად იქცევიან, რის გამოც მეთემეები მათ ხოცავენ.

მთაში შემონახულ თქმულება-გადმოცემებზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ სულა და კურდღელა ზემოხსენებულ თვისებების წყალობით გამონაკლისს როდი წარმოადგენენ. ხალხის მესხიერებამ შემოგვინახა მთელი რიგი სახელები იმ პირებისა, რომლებიც ერთი მხრივ სახალხო გმირებად ე. წ. კარგ ყმებად გვევლინებიან, როცა საქმე გარეშე მტერთან ბრძოლას ეხება, ხოლო

* თ. რაზიკაშვილი, იქვე.

მეორე მხრივ აღზევებული და გაძლიერებულნი არიან თავიანთ მეთემეობაში, ამ თავის ძლიერებას ისინი ბოროტად იყენებენ რიგითი მოსახლეობის მიმართ, ჩაგრავენ მათ და ამის გამო ხალხის სამართლიან გულისწყრომას იმსახურებენ.

სოფ. ჩარგლის მცხოვრებ ლევან თათარაშვილის ცნობის მიხედვით — სულა—კურდღელას მსგავსნი იყვნენ არხალში არხალი, ხოლო არტანში თავგა თაღლაური.

არხალის შესახებ მასალა არ მოგვეპოვება, ხოლო თავგა თაღლაური, როგორც ლიტერატურაშიც ცნობილია¹⁰, მართლაც ხალხის მჩაგვრელ პირად გვევლინება. თავგა თაღლაური ერთი მხრივ სახალხო გმირია, რომელიც თავს ისახელებს გარეშე მტერთან ბრძოლაში, რის გამოც კახეთის ბატონისაგან წყალობასაც კი იმსახურებს, ხოლო მეორე მხრივ თავისი უფლებების გაგრძელებას ცდილობს ხალხზე. სოფ. არტნის მცხოვრები დავით გიორგის ძე მინდოდაურის გადმოცემით: „ისე გადიდებულა თავგა, რომ მთების აქეთ თუ რამე გადმოვიდოდა (ცხვარი, საქონელი და ა. შ.) იმას იჭერდა თავისთვისა, თავისობდა თვითონა. იმას რძის ზავიდი ჰქონდა ციხის თავში. არტნის თავ უწყველია და რძე აქ ჩამოდენილა“. შემდეგ მთხრობელი გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ დაეცნენ ფშავლები თაღლაურის სახლ-კარს მისი არყოფნის დროს და ააოხრეს: „თავგა თაღლაურა აქ არა ყოფილა, არაგვის ფშავლებ რო დასცემიან, ჩაბანოს ყოფილა წასული ძმობილთანა. რო გამაუხენებავ, ბოლ გასდის თურმე აქაურობასა.

შქარა იარე ლურჯავო,
არხალს ხარ, ვანა არტანსა,
რა ფეკებს მიიბაკუნებ
რო ბერიკაცი არგანსა,
გახედე სატიალეო,
ცეცხლი ეღება სახლ-კარსა!

თაღლაურას გადამწვარი სახლ-კარი დახვედრია. იგი მისი ცოლის ძმისშვილის მეთაურობით არაგვის ფშავლებს გადაუბუგავთ და ქონებაც გაუტაციათ. თაღლაურა გამოჰკიდებია მათ, დასწევია, მოუკლავს მოღალატე მოყვარე და სხვა ხალხიც დაუხოცია.

„ოცამდე რო მოუკლავ; — მოგეთხრობს დ. მინდოდაური. — უთქომ: მოკვალ ოცი, აღარ ვქოცი. შამინდე ძალო შაბათისაო.—და დაბრუნებულა. ჭალაში რო ჩამოსულა, ერთ კაც დამრჩალა ხალხის ამხანავი (იგულისხმება თავდაშხმელი ხალხი).

— თავ უნდა მამეჭრა შენთვინაო, შენც იმათი ამხანიფი ხარო! — უთქომ თავგას.

— მე ბეჩაფი ვარო.

— მაშ აქ რადა ხარო?

— სოფლის პირი იყო, მაშ რას ვიქმოდო.

დაუნებებავ თავგას თავი. იმ თავგას ბექთარი სცმია. იმიტომ ვერავის მაუკლავ. მემრე გაუკდავ ის ბექთარი, ხურჯინში ჩაუღდავ. რო წასულა, იმ კოჭლას გამოუღვევებავ ისარი, ბეჭებში უტრავ და მაუკლავ. მემრე გადმოსულა აქეთ ხალხი პირიქითიდანა“ და სხვ.

¹⁰ ვ. ბარდაველიძე, იურის ფშავლებში, 1940.



იმვე არტანუში ჩაწერილი მასალის მიხედვით „თალაურა მარცხენაში“ მოუკლავთ, იმ დროს სულა-კურდღელანიც ჩარგალში დაუტყვევებენ მძლავრი ხალხი ყოფილან... ადგილის გულისად დაუტოციან“.

როგორც ვხედავთ, თავა თალაურს ხალხის საერთო გადაწყვეტილების, შედეგად ჰკლავენ. „სოფლის პირი იყო და უარს ზომ არ ვიტყოდიო“ — ეუბნება თალაურს ამხანაგებს ჩამორჩენილი შურისმძებნელი კოჭლი ფშაველი.

ასეთივე ხასიათის გმირად უნდა ჩაითვალოს პირიქითელი ხევსური თორღვა, რომელიც ვადმოცემის მიხედვით ბავრაციონთა ნაბიჭვარადც კი მიაჩნიათ. იგი ერთი მხრივ საყოველთაოდ ცნობილი სახალხო გმირია, რომელიც ვაეუსძეს (ზოგი ვარიანტით ვაზუხსა თუ ზაზულიას) ჰკლავს. ეს ვაეუსძე თუშებს აზარალებდა და ხევსურეთში თარეშიც მოინდომა, რაც თორღვამ არ აპატია. ვაეუსძის მოკვლის შესახებ დარჩენილ ვადმოცემაში თორღვა დადებით გმირად გამოიყურება: იგი ვაეუსძეს ხმალდახმალ ებმის. „რომელიც თორღვას მამაკად ხედება და ხმალსაც კი წაართმევს. თორღვა დამალულ დანას ამოიღებს და იმითი ჰკლავს მტერს. ა. შანიძის მიერ გამოქვეყნებულ ლექსის განმარტებაში, რომელიც მას მინდია ქისტაურისგან ჩაუწერია, ნათქვამია: „ვაეუსძეს მართალია პირველად ხმალი წაურთმევია თორღვასთვის, მაგრამ თორღვა ხელ-და-ხელ სცემია და ლეკისათვის დანა დაუკრავს. შემდეგ ხევსურს თორღვას აღარ მოუსურვებია თავისი ხმლის დაბრუნება, რადგანაც წანართმევი იყო მტრის მიერ. ის კი არა ნაბადიც გადაუხურავს გულადი მოწინააღმდეგის პატივისცემის ნიშნად“¹¹.

ვაეუსძის მოკვლის შესახებ არსებულ ლექსთა ვარიანტებში მოლექსე ხობტას ასხამს თორღვას ვაეკაცობას, იმასაც კი ეუბნება, რომ მზად არის ცოლად გაჰყვეს სახელოვან ვაეკაცს, კვეთილიანი რომ არ იყოს. მის მიმართ უხვად არის ნახმარი ეპითეტები: „ქარი მანძილა რქიანი“, „მანძილა რქა ჯანგიანი“, „ირემი თვირთვიანი“ და ა. შ. რაც მიუთითებს თორღვას ვაეკაცობით, მისი სასახელო საქმეებით აღტაცებაზე, მის როგორც დადებითი გმირის შექებაზე.

იგი ამავე დროს მითური პიროვნებაა, ნაწილიანი, რომელსაც ბეჭებზე მთვარისა და ზვის ნიშანი აზის, ვეშაპის (ზოგი ვარიანტით გველის) ნაწუქარი ჯაღოსნური ჯაჭვი აქვს, რომელსაც ტყვია არ ეკარება, — მოხვედრის ადგილას მთელი ჯაჭვი მიიხვეტება და ტყვიასა თუ სხვა იარაღს უკუ აგდებს. ჯაჭვს ცურვის თვისებაც გააჩნია. იგი უსათუოდ უნდა დაბან, თორემ წყლისაგან გაქანდება და შიგ ჩავა. თუ მაგარი პატრონი არ შეხვდა, ვერც ის დაუმარდება, წაიღებს და მასაც წყალში მიიტანს და ა. შ. მაგრამ ამ მითურობის გვერდზე, თორღვა რეალურად არსებული დიდი ღონის, გამკრიახი გონებისა და შემპართეგელი ვაეკაცობის მქონე პიროვნება ჩანს, რომელიც ერთი მხრივ თუ ხალხისათვის სასარგებლო საქმეებს ჩადის, მეორე მხრივ ექსპლოატატორად და მჩაგვრულად გვევლინება. თ. რაზიკაშვილი თორღვას შესახებ ჩაწერილ ლექსის განმარტებისას აღნიშნავს: ვაეუსძე „თუში ყოფილა. ხევსურეთში უთარეშნია, უწიოკებია და უცარცვია ხალხი. ეს ღალატით მოკლა თორღვამ. მაგრამ თორღვამ უარესი დღე დააყენა ხალხსა. სანამ ჩონთას ისარმა გული არ გაუგმირა ამ სისხლისმსმელსა“, — ხოლო შემდეგ ვარიანტში, სადაც ვაეუსძის ნაცვლად ზაზულია იხსენიება, თ. რაზიკაშვილი წერს: „ეს ზაზულიაც და თორღვაც ორივე საზიზღარი მტარვალეები ყოფილან. თორღვამ ღალატით მოკლა ზაზულია და

¹¹ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, 1, ხევსურული, 1931, გვ. 342, შენ. 43.

ახლა თვითონ დაიჭირა მისი ხელობა, სანამ ფშავლის ჩონთას ისარმა ვუფუქრუნულნი გაუვშირა“¹².

თორღვას მოკვლის შესახებ დარჩენილი ლექსებისა და თქმულება-გადმოცემების ნაწილი მას მართლაც აღზევებულ, გაძლიერებულ პირად წარმოგვიდგენს, რომელიც ბეგარას ადებს მოძმე მთიელებს, ჩაგრავს მეთემეებს. საინტერესოა თვით ბეგარის ფორმა: კომლზე თითო შიშაქი ცხვარი, თითო ნაცრიანი ტომარა და კიდევ საკარგემოდ თემ-თემად უნდა შეეკრიფათ თითო არწივის მხარი (ზოგი ვარიანტით ბორასი).

თორღვა თანდათან უძლეველი ხდება, მას იცავს თავისი ჯადოსნური ჯაჭვი და ის, რომ იგი ნაწილიანია. იმდენად თავხედდება, რომ მთის ადათსაც კი არაფრად აგლებს და ძმობილის ცოლთან ღამის გატარებას განიზრახავს. ჩვენს მიერ თორღვას შესახებ ჩაწერილი იქნა აქამდე გამოქვეყნებულ მასალებისაგან განსხვავებული ცნობები. ეს მასალა ძირითადად თორღვას სიკვდილის ამბავს ეხება. როგორც ლიტერატურიდან ვიცით, თორღვა ნადირობის დროს ყინულის ნაპრაღში ჩაეარღება, სადაც მას გველეშაპი (ზოგი ვარიანტით გველი) დახვდება, რომელსაც შეეცოდება იგი, გაუძმობილდება და ხსენებულ ჯაჭვს აჩუქებს, რის შედეგადაც თორღვა მტრისაგან მოურეველი ხდება. ერთხელ ბანაობის დროს ეს მცურავი ჯაჭვი გაუსხლტება და წყალში ჩავს. ამასთან ერთად ბანაობის დროსვე მისი მზისა და მთვარის ნიშნებიც იქნება მტრის მიერ შენიშნული, რაც მისი დამარცხების მიზეზი ხდება.

ჩვენს მიერ ჩაწერილი თქმულების თანახმად, რომელიც ძირითადად მეჭობაურისა და მისთვის გველის მიერ ჯაჭვის ჩუქების ამბავს შეეხება, თორღვა ხსენებული ჯაჭვის მფლობელი გახდა, ვინაიდან მეჭობაურის შთამომავალი სუსტი იყო და მცურავი ჯაჭვის ძალას ვერ უმავრდებოდა. ჯაჭვმა უძლეველი გახდა ისედაც ძლიერი ვაჟაკი: ერთხელ ბეგაოის ადების მიზნით იგი ფშავისაკენ გაემგზავრა. ალაზნის თავთან დაძინება მოინდომა, გაიხდა ჯაჭვი და მარგილით დააბა. მის თანხლებს პირთა შორის იყო კაცი, რომელსაც თორღვას ჯვარი სჭირდა. იგი „ჩემად ადგა და ჯაჭვი აუშვა. ჯაჭვი გაცურდა და ჩვერია წყალში. გველიცა თორღვას, იწუხა ჯაჭვის დაკარგვაზე, მაგრამ რალს იზამდა! ჩაიკვა ჩვენებური ჯაჭვი. წავიდნენ ყვარაში. დადგა იქ კარავი. ბეგარი უნდა მპურტანონ. მის ყვარაში ძმობილი ჰყავ — ჩოთა. რამთვენჯერაც ჩამოვა, ის ძმობილი ცხვარს დაუკლავს. თორღვამ არც ის ძმობილი დაინდო და შეუთვალა: ამაღამ ძმობილმა ცოლი გამომიგზავნოს აქაო. მე წავილო. უთხრა იმან, ვინც ბეგთარი მოჰპარა. გავიდა და უთხრა თორღვას ძმობილს: ასეა საქმე და შენ ნულარ გეშინიან, სხვა ჯაჭვი აცვიაო. დაბრუნდა უკან და თორღვას ამბავი მოუტანა: დედაკაცს გამოუგზავნი, ოლონდ გამოვიდეს და გზაში მეეგებოს, პატივი სცეს, ასე შემოგიფთვალაო. მოლოდინი აქვს თორღვას, გამონაპირდა ამხანაგებს და ელის. გამოუწვავდა (ძმობილმა) იქიდან ისარი და მეორე მხრისაკე გაიღო შხული ისარმა. ჩაიფუფქა თორღვამ.

— აგემი დედაკაც გამოგიგზავნეო!“

ამის შემდეგ მოხრობელი გვიამბობს ხსენებულ გადმოცემის გალექსილ ვარიანტსაც, რომელიც ასევე რამდენადმე განსხვავდება სხვა ნაბეჭდი ვარიანტებისაგან.

¹² თ. რაჭიკაშვილი, დასახელებული კრებული, გვ. 24.



თორღვას სიკვდილს მთიელები, როგორც ჩანს, ალტაცებენ. ამზე თუნდაც მის სიკვდილთან დაკავშირებული შემდეგი მოთითებს:

„ღედა ვაცხონე მუედლისი! ზრო ლამაზ გაქლიბაო,
მემრე მაგისი მსრველისი! .. ლამაზა მეეზინაო,
ჭაჭვი და სკლატი შვიდრიგად შიგაშიგ დაეკვრიტაო,
საახნაურთ თორღვაი ცვილივით დაეკვრიტაო.“

ზემოჩამოთვლილ პირთა მსგავსია ხევში შიოლა ლუღუშაურიც, რომელიც თავისი საქმიანობითა და ინტერესებით მათგან სხვაობას თითქმის არ ამჟღავნებს. ისიც მცდელი და შემმართებელი ვაყკაცი ყოფილა, რომლისთვისაც ერისთავებს სკამიც კი უჩუქებიათ. შიოლა აღზევებულა, გადიდებულა, დაუბეგრავს მთა. მას ბეგარი უზიღია გუდამაყრიდან, მთიულეთიდან, ოსეთიდან.

ისევე როგორც ზემოთ ჩამოთვლილი პირები, შიოლაც ხალხის რისხვის მსხვერპლი გამხდარა. კალმის-წვერას (ა. კობაიძის) ცნობის მიხედვით მოხვედებმა გადაწყვიტეს თავიდან მოეშორებინათ მოძალადე და მოისყიდეს ხევსური მთრეხელი, რომელსაც შიოლა მოუკლავს.

„აქამდე სკამე აჩხვატი, ახლა მე გაქმევე ქვიშასა“ო — ნათქვამია შიოლა ლუღუშაურის მოკვლისადმი მიძღვნილ ლექსში.

სხვა მსგავსი მასალის მოტანა მთის ზეპირსიტყვიერებიდან კიდევ შეიძლებაოდა, მაგრამ აქ წარმოდგენილი ცნობები აშკარად მეტყველებს შემდეგ გარემოებაზე: რიგით მეთემეთა კოლექტივს თავისი დამსახურების წყალობით გარეშე მტრებთან ბრძოლაში, თავისი ე. წ. კარგი ყმობით, ეყოფიან ცალკეული პირები, რომლებიც პირადი სარგებლობისა და აღზევებისათვის იყენებენ თავდაპირველად დამსახურებულ პატივსა და თანამოქმეთა მიერ განსაკუთრებულ დაფასებას.

ისინი ამით უპირისპირდებიან თემს და ცდილობენ ამ უკანასკნელისთვის თავისი ინტერესების თავზე მოხვევას. ჩაგრავენ რიგით მეთემეებს, ბეგრავენ მეზობელ მთიელებს, მდიდრდებიან¹³, ძლიერდებიან და გარკვეული სახის ექსპლოატატორებად გვევლინებიან. მათ აღზევებას ხელს უწყობს გარეშე ფაქტორებიც, სახელდობრ, საქართველოს ბარში გამტკიცებული ფეოდალური წყობა ერთგვარად ბიძგს აძლევს მათ ასეთი აღზევებისათვის.

აქ ჩამოთვლილ პირთა შესახებ არსებული მასალებიდან საამისო ცნობები აშკარად ვლინდება. მაგალითად, თავგა თალღაურს კახეთის ფეოდალმა ლეკებთან ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის სოფ. არტანი უბოძა, შიოლა ლუღუშაური ერისთავებმა გააახნაურეს. თორღვა ბაგარატიონთა შთამომავლადაც კი ითვლებოდა, რომელსაც ბარადაც კი იბარებდნენ:

„თორღვავ გიბარებს ბატონი: კახეთს ჩამოდი ბარადა!

ცხენსა მაგცემლი ისეთსა, შინ მივიყვანდა ჩქარადა;

კმალსა მაგცემლი ისეთსა, ვერვინ ჩამოგურის ძალადა,

ტანთ გამოიგეცილი ხალათსა კვესურთ ბიჭეთის ჭავრადა“ და სხვ.

სხნებულები ხასიათის გმირები გაძლიერებულ ხალხმრავალ გვართან ერთად, რომელიც ასევე მჩაგვრელად გამოდის მცირე, უკაცური გვარების მი-

¹³ მათ სიმდიდრეზე ისიც მიუთითებს, რომ თითოეულ აქ ჩამოთვლილ გმირს საკუთარი ციხე-სიმაგრე გააჩნდა, რაც დღევანდლამდეა მოღწეული.



მართ, გვევლინებიან გარკვეული გაძლიერებული ფენის წარმომადგენლები, რომლებიც ერთგვარად ემიჯნებიან რიგით მეთემეთა წრეს და გარკვეული სამხედრო ძლიერების მქონე ჯგუფს ქმნიან. ამ სამხედრო ძლიერებას კი ექსპლოატაციის იარაღად იყენებენ.

საყურადღებოა, რომ მათ წინააღმდეგ, ე. ი. აღზევებული ცალკეული პირების წინააღმდეგ თემი ერთსულოვნად ილაშქრებს, ხელს უშლის მათ განდიდებას და სამხედრო ძალას ასეთივე ძალით უბასუხებს. მიუხედავად ამისა, ეს წინააღმდეგობა მაინც ვერ აჩერებს, ვერ სპობს უკვე საკმაოდ შორს წასულ ქონებრივ და უფლებრივ დიფერენციაციას, ძალმომრეობასა და ექსპლოატაციას, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უკვე საკმაოდ აქვს ფეხი გადგმული.

როგორც თავიდანვე იყო აღნიშნული, ამა თუ იმ რაიზე ნიშნით დაწინაურებული პირის შესახებ რეალური ხასიათის გადმოცემა იქმნება, რომელიც შემდეგ შეიძლება მითოლოგიური ელფერიითაც შეიმოსოს.

ვაქა-ფშაველას ცნობის მიხედვით სულა და კურდღელა გავთავებრივებული გმირები არიან. მას შემდეგ, რაც გარკვეული იქნა ამ პირთა რაობა-ვიზაობის საკითხი, ეს ცნობა თავისთავად ექვე ქვეშ დგება. შეიძლება გვეფიქრა, რომ მათთვის ზებუნებრივი თვისებების მიწერა შიშის გრძნობით იყოს გამოწვეული, მაგრამ საქმის რეალური ვითარება სხვას გვიჩვენებს. მართალია, ჩარგალში არსებობს სულა—კურდღელას სახელით ცნობილი სალოცავი, მაგრამ სინამდვილეში ეს ხატი ლაშარის ჯვრის ნიშს წარმოადგენს. მის შესახებ ლ. თათარაშვილი გვიამბობს: „სულა—კურდღელათ იმით ემახიან რო ნაბინავარია იმათი, თორე ისე ლაშარის ჯვარია შიგა. ისე მაგათ არა ლოცულობენ, როგორც ხატებსა. ისენ დაუტოციან ლაშარის ჯვარის ყმათა და რაკი იმის ძალით მომკდარა, მაუკიდებავ იქ კოჭი და ბელელი დაუარსებავ იქა... ლაშარის ჯვარს მაადიდებს (ტევისბერი). ლაშარის ჯვარსა და თამარის ჯვარს იქ ბელლები აქვ. ძველ ტევისბერსაც მოვესწვევრ, ეხლა მე ვარ ტევისბერი და ეგენ (სულა და კურდღელა) არავის მაუტყენებიან“ (სოფ. ჩარგალი, 1957 წ.).

როგორც ხედავთ, სულა—კურდღელას სახელი ამ სალოცავს იმდენად შემორჩა, რამდენადაც იგი დაარსებულა მათ ნასახლარში. ასეთი შემთხვევა აღმოსავლეთ საქართველოს მთის ეთნოგრაფიულ ყოფაში გამოჩაჩისის არ წარმოადგენს. მაგალითად, სოფ. ჭორმეშავეში ხახმატის ჯვარის სალოცავი ამავე ხატის მკადრე გახუა მეგრულაურის ნასახლარშია მოთავსებული.

თუმცა სულა და კურდღელა, როგორც მოტანილი მასალა მიუთითებს, მითოლოგიურ გმირებად აღარ ჩაითვლებიან, მაგრამ სხვა მათ მსგავს პირთა შესახებ მაინც გვხვდება ხსენებული ხასიათის გადმოცემები. ამ გარემოებას, გარდა ზემოთ დასახელებული მიზეზებისა, შეიძლება სხვა ახსნაც მოეძებნოს. სახელდობრ: თუ ხალხი თორღვას, თავვა თალღაურს, მექობაურსა და სხვებს სასწაულთმოქმედი ჯაჭვის მფლობელად ან ნაწილიანად სახავს, ეს ალბათ იმიტომაც, რომ ამით ხსნის იმ წარმატებულობას, რომელიც ხსენებულ პირთ სი-ცოცხლეში ჰქონდათ. ამითვე განსაზღვრული მათი გამანსხვავებელი ნიშანი, რიგითი მოსახლეობისაგან.



О НЕКОТОРЫХ НАРОДНЫХ ПРЕДАНИЯХ

Резюме

Изучение сохранившихся народных преданий горных районов Восточной Грузии показывает, что эти предания созданы на основе событий, имевших место в реальной действительности.

Предание о Сула и Курдгела ничего не имеет общего с Сул-Калмахой Амраниани, т. к. Сула и Курдгела являются именами отдельных реально существующих лиц, которые жили в деревне Чаргали и принадлежали к роду Гогочури.

Предания о Сула-Курдгела и подобных им героях (Тагва Таглаури, Торгва, Шиола Гудушаури и др.) показывают следующее: Из коллектива рядовых общинников выделяются благодаря своим заслугам в борьбе с внешними врагами отдельные лица, которые исполняют приобретенное уважение и то, что их особенно ценят общинники для своих собственных целей и личного возвеличивания. Они, таким образом, противопоставляют себя общине и стараются навязать ей свои интересы; притесняют родовых общинников, облагают оброком («бегара») соседних горцев, обогащаются становятся сильными и выступают некоторым образом в роли эксплуататоров.

Их возвеличиванию способствуют также внешние факторы, а именно феодальный строй, существующий в равнинной части Восточной Грузии; это, в свою очередь, дает толчок их возвеличиванию.

Упомянутые подобные герои вместе усилившимися родами, которые выступают также в роли угнетателей малочисленных родов, являются в некоторой степени представителями сильных слоев, которые ограничены от рядовых общинников и создают группу определенной военной силы — и эту силу используют в качестве орудия эксплуатации.

Заслуживает внимания, что община единодушно выступает против этих отдельных возвысившихся личностей, мешает их возвеличению и военной силе противопоставляет такую же силу. Но, несмотря на это противодействие, не в силах сдержать уже довольно далеко зашедшую имущественную и правовую дифференциацию, насилие и эксплуатацию, которые в достаточной мере распространились в горных районах Восточной Грузии.

ნ. პ. ბრაიჭაშვილი

ЖЕНСКИЙ КОСТЮМ ГОРНОЙ РАЧИ

В коллекциях Отдела этнографии Музея Грузии имеется прекрасный комплект женского костюма из Верхней Рачи. Но при ближайшем ознакомлении с этим костюмом выяснилось, что иметь костюм не значит обладать его секретом, т. е. знать как его носили. Иногда, конечно, в таких случаях могут помочь фотографии и зарисовки, но обыкновенно они служат только контролем и подтверждением того, что костюм одет не так, как следует, не открывая нам его тайны.

Тщетны были попытки Отдела этнографии Музея Грузии одеть и зарисовать рачинку в национальном костюме. Женщины рачинки, специально приглашенные для этой цели, не умели его носить и не имели того торжественного вида, к которому мы привыкли по старым фотографиям и фотоиллюстрациям книг.

Главной сложностью этого костюма был головной убор, необычайный по своей форме и не поддающийся расшифровке в смысле его ношения.

Летом 1949 года в Раче работала этнографическая экспедиция Института истории имени акад. И. А. Джавахишвили, возглавляемая проф. Г. С. Читая. На месте выяснилось, что этот костюм знают и носили до последнего времени только в высокогорных районах — сел. Геби — ღებო и Чiorა ჯორა. В более низкорасположенных местах, на просьбу показать национальный женский костюм, показывали остатки карталинского женского костюма, распространенного и в Имерети, или фотографии в том же, т. е. карталинском костюме, возможно когда-то вытеснившем предшествовавший ему рачинский, который сохранился, да и то, по-видимому, не полностью, в высокогорной части.

В сел. Геби был описан женский костюм, принадлежавший 75-летней старухе Лобжанидзе Ефросинье Михайловне. Параллельно дается описание комплекта женского рачинского костюма, принадлежащего Отделу этнографии Музея Грузии.

Женский костюм состоит из сложного головного убора, в который входят: платок — «тавсахурави» თავსახურავი и своеобразное «лечаки — чикила», — ჩიქლა, верхняя одежда «каптара» — კაფთარა, ахалухи — საგულე, рубашка — «перанги» — პერანგი, фартук — «цинсапари», წინსაფარი, пояс — «сарткели» — სარტყელი и, наконец, обувь — «циндеби» — წინდები.



Головной убор состоит, как было выше сказано, из: 1) шелкового платка — «тавсахурави», в сел. Геби черного, а из коллекции Музея Грузии темного бордо, переливающегося в черный, окаймленного черной шелковой бахромой (размер платка 80×80 см) и 2) белой хлопчатобумажной (экземпляр сел. Геби) и кремовой (из коллекции Музея Грузии) «лечаки-чикила» (раинское название), весьма своеобразной формы: к основной — средней части, представляющей из себя продолговатый, не совсем правильный треугольник с коротким основанием (67×140 см), пришиты по одному с каждой стороны длинные, еще более узкие треугольники меньшего размера, остатки ткани при раскрое главной части ($31 \times 73 - 80$ см) в виде ушей — *უჭრებო* или распростертых крыльев летящей птицы (рис. 1).

Центральная часть основания, прилегающая ко лбу, подрублена, обметана на протяжении 58 см красной ниткой через край (рис. 2), а параллельно краю на расстоянии полусантиметра такой же красной ниткой пройдено вперед иголкой стежками приблизительно в 1 см величиной (экземпляр из сел. Геби, а также и в экземпляре Музея Грузии).

Начиная от боковых пришитых концов, «чикила» обшита шелковой белой бахромой шириной 17 см, состоящей из *„ჭრები“* «почи» — плетение в виде гамака 7 см, переходящей затем в *„ჩიმჩიმი“* — «чимчики» — бахраму (экземпляр сел. Геби) (рис. 3).

«Чикила» коллекции Музея Грузии обшита шелковой прошивкой цвета бордо, вязаной иголкой, и украшенной проштопаннми ромбами из параллельных белых и зеленых полос; в центре чередуются желтые и зеленые ромбы, кругом белая бахрама из так называемой японской тесьмы и белых шелковых ниток. Судя по фотографиям публикации С. И. Макалатия *„მთის რაპა“*¹, бахрама доходила до 20, может быть и больше, сантиметров и бывала и темных цветов.

В случае, если волос мало, кроме «тавсахурави» и «чикила» употребляется еще маленькая, как бы вспомогательная косынка, заменяющая отсутствующие косы.

Способ ношения головного убора следующий:

Волосы делятся рядом пополам, заплетаются в косы за ушами и закручиваются в так называемые «копена» *„კოპენა“* (видимо, от слова *„კობი“*). Это демонстрировала хозяйка дома, в котором остановилась экспедиция (рис. 4).

Если же «копенеби» малы или волосы стрижены, как это было, например, у старухи, доставившей костюм, на затылок накладывается небольшая белая косынка, ее концами обкручиваются оставшиеся пучки волос взамен «копенеби». Самые же кончики косынки ведутся обратно к центру затылка, связываются одним узлом (рис. 5, а и б) и затыкаются за центральную часть.

Затем голову и «копенеби» покрывают «лечаки — чикила», подтыкая, вернее, подсовывая «копенеби» рукой на месте, т. е. вверх. Обметанная красной ниткой часть приходится над лбом (рис. 6). Узкие пришитые концы скрещиваются и придерживаются подбородком до тех пор пока все не укреплено на своем месте шелковым «тавсахурави» (рис. 6).

¹ ს. მაკალათია, მთის რაპა, საბუნების, 1930, ტბილისი, სურ. 20, 29.



«Тавсахурави» складывается по диагонали косыночкой, затем своей стороне два раза заворачивается по 15 см (рис. 7). Остается торчать только кончик на 5 см; этой центральной частью (а «тавсахурави» и накладывают на лоб. Обводя концы вокруг головы (рис. 8), перекрещивают их на затылке, правый конец ведут обратно через лоб и оставляют висеть высоко над правым ухом. Затем ведут левый конец опять-таки через лоб и затыкают его за правый конец над левым ухом (рис. 9). Таким образом, поверх плоского первого слоя платка получается выпуклый жгут.

«Тавсахурави» завязывается низко на лоб, хотя брови все же остаются видны. Черная его бахрома свисает со всех сторон и, видимо, насколько не мешает носящей головной убор. Даже теперь, когда женщины перестали носить старинный головной убор, они продолжают носить темные платки с бахромой, которые также свисают им по старой традиции на глаза.

После того, как «тавсахурави» хорошо укреплен на голове и таким образом удерживает на месте «копенеби», возвратимся к острым концам «чикила». Они перекрещиваются под подбородком, слегка прикрывая его, поднимаются вверх, охватывают голову с «чикила» и «тавсахурави» и завязываются одним узлом на макушке, концы же свисают по обеим сторонам головы (рис. 10). Центральная лобная часть «чикила» почти скрыта под шелковым «тавсахурави», виднеются только небольшие полоски вдоль лица. Весь косяк, обшитый бахромой, видный отчасти на плечах спереди, спадает сзади почти до конца платья, покрывая всю спину. Таким образом, поток белой ткани пересекается только черными рукавами «каптара», но об этом ниже (рис. 10-а).

«Каптара» — имеет отрезной лиф, впереди открытый, спинка и перед выкроены из одного куска (рис. 12). Верхняя ширина спинки 45 см, в талии 42 см, длина от плеча до талии 44 см. Шейный вырез 13 см, плечики 16 см, передок к талии суживается до 13 см. Подол состоит из 11 клиньев — 10,5 на 12 см, 9 на 11 см, 21 на 25 см, 19 на 23 см, 20 на 26 см и 36 на 42 см, длиной каждый в 65 см. Средний, самый большой, собран в сборку, остальные заложены в складку.

Рукав длинный, прямой — 93 см — «куртмаджиани» (კურტმაჯიანი). Нижняя, незашитая часть — «татеби» (რატები) подбита старинным шелком, который, видимо, не раз перешивался с одних рукавов на другие. Подмышкой как рукав — на 23 см, так и лиф на 9 см, оставлены незашитыми. Рукав с изнанки вдоль прореза подбит лиловым шелковым косяком шириной в 3 см.

Вся «каптара» положена на ситцевую подкладку. Кроме того, подол подрублен косяком из красной материи шириной в 3 см с изнанки и 0,5 см с лица (экземпляр сел. Геби).

В экземпляре же Музея Грузии на ситцевой подкладке только лиф и подол на 5 см, которые пришиты к лифу в сборку. «Татеби» на сатине цвета бордо. Вдоль выреза на груди, начиная от пояса на 20 см, нашиты узкие, кремовые, поперек полосатые, шерстяные полоски шириной в 3 см. Кроме того, вырез, начиная от спинки, почти до пояса обшит бисером (2 черные, чередуются с 3 белыми и т. д.). Вся «каптара» обшита косяком из того же сатина шириной 0,5 см с лица и 3 см с изнанки, а по краю золотым шнуром (ზღუბილი).



В общем, судя по покрою и цвету, рачинская женская «каба» является почти повторением карталинской мужской «куртмаджнани каба», отсутствует лишь воротник и рукав шит по прямому. Возможно, это сходство объясняется тем, что издавна все мужское население из-за экономических условий занималось отхожим промыслом, оставляя на семью дома не более одного мужчины. Лесистая часть Рачи, например, сел. Ири, давала плотников, остальные бывали поварами, держали рестораны и буфеты и работали в домашнем услужении как мужская прислуга. Родоначальницей «каптара», вероятно, была дареная с «барского плеча» и ввезенная в Горнюю Рачу мужская часть одежды, т. е. карталинская «каба», попавшая в исключительно женское окружение и примененная как верхняя одежда. О более старом костюме, предшественнике «каптара», если считать, что это видоизмененная «каба», как будто ничего не известно. Общий с «каптара» элемент в покрое рукава прослеживается в свадебном наряде хевсур (колл. Музея Грузии).

До нас «каба» дошла уже в сатине (с. Геби) и ластике (Музей Грузии), возможно, вытеснившими домотканную ткань или же заменившими тонкое сукно родоначальницы².

Весьма интересной деталью способа ношения этого костюма, как бы провинциализмом, является то, что рачинки, желая непременно показать самую богатую часть своего костюма, т. е. шелковую подкладку рукава, выворачивают его через подмышечную прореху наизнанку и так и носят их вывернутыми на левую сторону. Кроме того, в Раче рукава постигла вообще своеобразная участь. Будучи только декоративным придатком, они лишились у кисти пуговиц и петель и носят их не свободно висящими или перекинутыми через плечо, как это бывало в «куртмаджнани каба», а связывают на груди одним узлом и закидывают за голову на спину после того, как процедура с головным убором закончена. «Чикила» равномерно распределена на плечах и спине и, таким образом, рукава, пересекая «чикила», висят на спине, сливаясь с головным убором и как бы входя в его комплекс.

«Сагуле» (рис. 13) одевается под «каптара». Экземпляр из коллекции Музея Грузии из малинового домотканного шелка в белую с коричневым полоску положен на ручную набивную ткань, слегка стеган на вате. «Сагуле» обшит прямой полосой синей кустарной льняной ткани, шириной 0,5 см с лица и 3 см с изнанки. Передок (საგულე) и спинка (წიბნი) выкроены из одного куска. При выкраивании материя складывается вдвое по длине. Переднее полотнище разрезается по сгибу и выкраивается шейный вырез (საყელე) (рис. 13-а). К передней поле (წიბნობანი) шириной в 22 см добавляются клинья (აბრტყეები) 60×17 см, пришивае-

² Такие же следы дареных вещей мы встречаем в Мтиулет, где женщинам уходили в кормилицы. В числе женской одежды во время комплексной этнографической экспедиции Института истории АН Груз. ССР и Музея Грузии была описана короткая кофта «кирас», французская «enfrasse», сшитая по европейским модам конца XIX века, туго обтягивающая до талии, фалдящая на спине ниже талии, с раздутым рукавом в верхней части и сильно суживающимся ниже локтя.

мые косой стороной, краю, для чего вдоль разреза пола вырезана во всю длину на 2 см. В то время как перед совершенно прямой, спинка сильно суживается к талии, потом подрезается под прямым углом и продолжается узким клином (უკბიტიანი) — 7,5 см в верхней части, расширяющимся книзу до 27 см. Оставшиеся таким образом два боковых клина притачиваются к переду. Кроме того, берутся два добавочных полотнища, также перекашиваются и, таким образом, получаются 4 добавочных клина (აბღლები) по 22 см в верхней части и 26 см в нижней. Клинья сшивают по прямой и притачивают к передней доле и к косому клину спинки; при пришивании к лифу они сосбариваются. Длина «сагуле» — 102 см, длина спинки — 43 см, ширина в плечах — 47 см, в талии — 37 см, шейный вырез — 11 см.

Рукава (აბღლები) выкроены из поперечной ткани, в начале прямые, суживаются книзу, а незашитые концы остаются в виде мыса. Длина рукава — 45 см, ширина у плеча — 22 см, внизу — 11 см, длина мыса — 22 см.

Как в «каптара», так и в «сагуле» подмышкой оставлена прореха (ღლი) — 17 см от рукава и 8 см от верха.

Шейный вырез обшит двойной сученой шелковой белой ниткой, а дальше разрез до пояса обшит чередующимся белым и черным бисером с вкрапленным синим и зеленым.

«Сагуле» из сел. Геби — серое, на ситцевой подкладке, обшит черным шелковым суташем. Добавочных боковых клиньев три, два сшиты по прямой стороне, третий приточен по косой, причем верхние углы округлены и образуют на боках небольшие выпуклости.

«Перанги» сшита из различных хлопчатобумажных тканей (рис. 14). Верхняя часть (პერანგის გული) из кумача, рукава, нижняя часть (პერანგის ბოლო) на 60 см от подола, воротник (საყელი) и полосы по 15 см ширины и 40 см длиной вдоль разреза на груди (აბღჭო) — черный ластик; манжеты на рукавах — пестрый ситец, желтый с красным по черному фону. Вдоль прорехи поверх черного ластика нашиты полосы кумача 15×2 см (рис. 15). Со стороны разреза они обшиты бисером, причем чередование приблизительно следующее: 2—3 белые с 3—4 черными и т. д. На расстоянии 0,5 см пришит второй ряд также чередующегося бисера, но более крупного. Чередование идет через одну и от каждой черной идут в сторону нанизанные петли, заканчивающиеся зубчиком из желтых бисерин. Бисерины в петлях идут в следующем порядке: 2 черные, 2 белые, 2 черные, 1 белая, 1 черная и 1 желтая, затем 3 желтые, образующие зубец и так же обратно. Конечно, как обычно бывает, точность не соблюдена и получаются различные варианты: изредка вкраплены зеленые и голубые бусы. Бисерные петли отведены горизонтально в сторону и прикреплены уже к черной ткани; свободно торчащими остаются только желтые зубцы. Бисером также украшена передняя часть стоячего, высотой в 4 см, воротника.

Размеры «перанги»: длина 140 см, ширина в плечах 60 см, книзу расширяется на 5 см с каждой стороны. Боковые швы не дошиты на 20 см от подола (ჩაჭები) и так же, как подол обшиты красным шерстяным су-



ташом. Рукав прямой, пришит в сборку к манжете. Справа баха переходит в ластовицу, слева она из белой ткани в виде узкого ромба. Из той же белой ткани наставка на спине в 15 см по нижнему краю кумача. Описанный экземпляр «перанги» из коллекции Музея Грузии. В экземпляре из с. Геби пройма подкрайная.

Одним из главных украшений не только «перанги», но и всего костюма (рис. 16), являются пришитые почти у конца прорехи, серебряная с чернью круглая плоская бляха, закрепленная стержнем—шляпкой в центре — с правой стороны — и громадная круглая серебряная пуговица — с левой. Она состоит как бы из двух полушарий, соединенных пояском из мелких шариков зерни посередине и веревочек («грехили») по краям. Из такой же пластинки сделана и ножка. В центре верхнего полушария в зубчатой оправе вставлена бирюза и поодаль четыре красных камня—стекла. Диаметр как пуговицы, так и бляхи равен 4 см. Описанные экземпляры принадлежат коллекции Отдела этнографии Музея Грузии. Подобные украшения в Геби не встретились.

Кроме нагрудных всевозможных украшений, женщины носили кольца серебряные и с сердоликами. По фото из публикации С. И. Макалатия можно судить, что грудь и руки рачинок были богато украшены серебряными изделиями, о чем автор также упоминает в тексте.

Поверх «перанги» и «сагуле» под «каптара» носили «цинсапари», сшитый из мелких квадратных кусков ярких шелковых тканей (рис. 18). «Цинсапари» из коллекции Музея Грузии, размером 50×65 см, разбит серебряным позументом на три вертикальные части, в которых в неопределенном порядке, хотя и с соблюдением некоторой симметрии, чередуются лоскутки: первая часть — полосатый малиновый, светло-салатный, золотисто-желтый, зеленый полосатый, малиновый полосатый; вторая часть — бордо, желтый, зеленый полосатый, бордо, золотисто-желтый; третья часть — бордо, салатный, малиновый полосатый, золотисто-желтый, зеленый полосатый. В центре наверху плоский фиолетовый кармашек, обшитый кругом и по диагоналям мелким бисером — 3 белые, 4 черные и т. д. «Цинсапари» кругом обшит косяком «аршиа» (არშია). Верхний край «цинсапари» вгладь пришит к плетеному на пластинках поясу «леквертхи» («ლექვერთხი») (рис. 19) шириной в 2 см и длиной в 105 см с кистями, с обычным геометрическим рисунком, как на карталинских мужских подвязках. Правая половина из белых с красным, а левая из фиолетовых с черным шелковых ниток. При соединении они образуют кисть, которая приходится над кармашком.

«Цинсапари» из с. Геби шит из шелковой ткани, переливающей из синего в зеленый, кругом обшит полоской из черного сатина. Поясок из своей же ткани.

Кроме того, при костюме бывает длинный шелковый пояс «сарткели» («სარტყელი») размером 2,80×40 см, с кистями «песви» («ფესვი») на концах, который обматывался несколько раз вокруг талии и также носился под «каптара» (рис. 20).

Ниже описывается обувь из сел. Геби. На детях еще встречается воротная обувь местного изготовления, завязанная кожаным ремешком (рис. 20), на остальных было одето то, что им предоставляла торговая сеть.

Описываемую обувь (рис. 21) можно назвать комбинированной, так как она состоит из коротких матерчатых «циплай» — ноговиц, пришитых к кожаной нижней части — собственно обуви. Эта последняя сшита из двух различных сортов кожи. Верхняя, как бы неполная союзка, делается из красной или черной, более тонкой кожи. Нижняя часть, состоящая из одного куска грубой сыромятной кожи (как на «каламани») с небольшим вертикальным швом сзади, является одновременно подошвой и переходит спереди отчасти в союзку и дальше сзади полностью заменяет задник. Верхняя часть (черная или красная) плоско пришивается к подошвенной части простым швом вперед иголкой. Получается выпушка, если же смотреть сверху — подобие ранта. К задней части обуви, охватывающей пятку, швом через край пришита ноговица, в данном случае являющаяся уже голенищем, из белой шерстяной ткани с нашитыми прямоугольниками из красной материи 15×13 см, смотрящими не к наружной стороне ноги, а вовнутрь. По сведениям старшего научного сотрудника Отдела этнографии Музея Грузии Н. Б. Рехвиашвили, ткань бывала не белой, а желтой.

На расстоянии 1,5—2 см от кожаной части голенище прошито шнуром по два стежка с каждой стороны. Шнурок заканчивается с одной стороны петлей, а с другой — узлом для предохранения от раскручивания. Конец шнурка просовывается в петлю, заворачивается вокруг ноги в обратном направлении и затыкается за предыдущий ряд. Точно такой же вид имеет обувь на таблице выставки костюма Отдела этнографии Музея Грузии.

На таблице также даны «гулиспири» с рукавами, но данные, собранные в сел. Геби, не подтвердили их принадлежность к комплексу рачинского костюма.

Ввиду кратковременности пребывания в Верхней Раче, не было возможности проверить рачинский женский костюм и способы его ношения и на других дополнительных экземплярах.

ლ. ბოლოძინი

ზითის ხდის ხალხური წმინდები თრიალეთში (მასალები)

თრიალეთი საქართველოს კულტურის ერთ-ერთი უძველესი ცენტრია. 1936 წლიდან თრიალეთში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებს სწორუპოვარი აღმოჩენები მოჰყვა. ძველი ხელოვნების იშვიათი და უბადლო ნიმუშების წარმოჩენამ თრიალეთი გამოავლინა, როგორც ძველთა-ძველი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა საქართველოში.

როგორც ცნობილია, თრიალეთის ის ნაწილი, წალკის ზეგანი (აწინდელი წალკის რაიონი), სადაც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა, 1829—31 წწ. თურქეთიდან გადმოსახლებული ეგრეთწოდებული ურუმების-თაა დასახლებული. უფრო ადრე წალკის მიდამოებში ქართველებს უცხოვრიათ. მე-18 საუკუნიდან ძველი ქართული მოსახლეობა ლეკ-თათართა მარბეველი რაზმების თარეშის შედეგად განადგურებულა. დარჩენილი ნაწილი აყრილა და ამ ადგილებიდან გადასახლებულა.

თუმცა ამჟამად წალკის ზეგანზე ეგრეთწოდებულ ურუმ მოსახლეობას ვხვდებით, მაგრამ მხარის ეთნოგრაფიულმა შესწავლამ ქართული კულტურის ისტორიის არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი წამოაყენა და გაარკვია.

პროფ. გ. ჩიტაიამ სპეციალური ნაშრომი უძღვნა წალკელი ურუმების ეთნიკური შემადგენლობის საკითხს. მან გაარკვია, რომ ტერმინი ურუმი კონფესიონალური წარმოშობისაა, იგი თავისში მოიცავს ძველი ქართული პროვინციებიდან გადმოსულ მოსახლეობას—გიუმშიხელებს, ფასიანლებს¹. ცხადია, დასახლებულ ტომებს თავისი დასახლების ახალ ადგილას თან მოჰყვებოდა ტრადიციით მიღებული კულტურული მონაპოვარი; ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მათში დაცული ქართული ძეგლები.

ურუმი ქალის თავსაბურავის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ წალკელი ქალის თავსაბურავის—„დაბლას“ ელემენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველ ტომებში, კერძოდ ჰანებში კარგად ცნობილი თავსაბურავი ყოფილა².

თუ წალკის მიდამოებში დასახლებულმა ურუმებმა თავის სამშობლოდან წინაპართა მიერ გადმოცემული ტრადიციები გადმოიტანეს, ცხადია თავის კულტურულ მონაპოვარს ახალ სამშობლოში ათვისებული კულტურულ

¹ გ. ჩიტაია, თრიალეთის ეთნიკური შემადგენლობის საკითხისათვის, 1952 წ. ხელნაწერი (იხ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი), თბილისი, გვ. 305; გ. ჩიტაია, სივოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ვნიშკის მოამბე, ტ. X, 1941.

² გ. ჩიტაია, სივოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ვნიშკის მოამბე, ტ. 10, თბილისი, 1941; გვ. 305—306; ლ. ბოლოძინი, წალკელი ქალის თავსაბურავი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1956, ტ. VII, გვ. 141.



ელემენტებით შეაცვებდა და გაამდიდრებდა.

ეთნოგრაფი თ. ჩიქოვანი წალკელი ურუმების საცხოვრებელი ურნეო ნაგებობათა შესწავლის შედეგად იმ დაცვენამდე მივიდა, რომ აქ გავრცელებული მიწური ტიპის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი ქართული მიწური ნაგებობისათვის დამახასიათებელი ელემენტების შემცველია, იგი ქართულ ხალხურ სამშენებლო ტრადიციებზეა აღმოცენებული³.

ზემოთ მოტანილი მასალების შუქზე, ადგილობრივი ზეთსახდელის შესახებ მოპოვებული მასალის გათვალისწინების შედეგად, წინასწარ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ წალკელმა ურუმებმა თავის დასახლების ახალ ადგილზე დახვედრილი ზეთსახდლები აითვისეს და დაუქვემდებარეს თავის სამეურნეო საქმიანობას. ეს მოსაზრება სპეციალურ ლიტერატურაში აღრცე იყო გამოთქმული⁴.

ამ მიმართულებით ჩვენ მიერ შეკრებილი მასალა საკვლევ რაიონში ზეთსახდლებს უკლებლივ ძველი ქართული მატერიალური კულტურის ნაშთად წარმოაჩენს⁵.

წალკის რაიონის სოფლებში ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა უშუალოდ დაგვეფიქსირებინა ორი მოქმედი ზეთსახდელი — ს. ახალიკა და ს. გუმბათში. ს. ახალიკის მეორე ზეთსახდელის „ავაზანის“ და გელაზის ქვა უქმად გდია ივანე მურადოვის ეზოში. მთხრობელთა გადმოცემით ზეთსახდელის ქვები ქართველთა ნასახლარებიდან არის მოტანილი.

ს. წინწყაროში უახლოეს წარსულში სამი ზეთსახდელი მოქმედობდა. მთხრობელთა გადმოცემით მათ წინაბრებს ამ ზეთსახდელის ქვები ძველი ნასახლარებიდან მოუტანიათ და მათ მიერ აშენებულ ზეთსახდლებში გამოუყენებიათ: ამ ზეთსახდლების ადგილზე ნაგებობათა ნაშთებია შეიმჩნევა. 1936 წ. პროფ. გ. ჩიტაია მ. წინწყაროს ზეთსახდლები შეისწავლა, ერთ-ერთი მათგანის გეგმა და ჭრილი მან გამოაქვეყნა კიდევ⁶. მანვე იმავე წელს შეადგინა წალკაში ზეთსახდლების გავრცელების კარტოგრაფია (სურ. 1).

დაბა წალკაში დევირმანჩევის, პოპოვისა და ნიკოლოვოს ზეთსახდლები ძველი, ქართველთა მიერ მიტოვებული ზეთსახდლების ქვებითა ყოფილა გამართული (წალკა, მთხრ. დემიან ჩერქეზოვი, 96 წლის).

³ თ. ჩიქოვანი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი თრიალეთში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბილისი, 1954.

⁴ А. Робакидзе, К вопросу о некоторых пережитках культа рыбы, „Советская этнография“, № 3, Москва, 1948, стр. 120.

⁵ ნ. რეხვიაშვილი, სამეურნეო ნაგებობა „ლუი“ სამხრეთ საქართველოში, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII, თბილისი, 1954.

⁶ თრიალეთური ხალხური ზეთსახდლების შესწავლის მიზნით მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ მივლინებული ვიყავი ერთი თვით წალკის რაიონში 1956 წ. 5 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე. მივლინების მარშრუტი განისაზღვრა შემდგენარად: დაბა წალკა. ს. რუბა, ს. ქუმბათი, ს. წინწყარო, ს. ახალიკი. ვიმუშავეთ ს. კლდისა (თეთრი წყაროს რაიონი) და ს. გომარეთში (დმანისის რაიონი). წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია წალკის რაიონში ზეთის ხდის ხალხურ წესებთან დაკავშირებით შეკრებილი მასალა.

⁷ გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წელს, მინიმბილველი, ტ. 1, თბილისი, 1949 წ. გვ. 18.

ს. ედიჭილისას ზეთსახდელიც ერეკლე II აშენებული ყოფილა⁷ და აქ დასახლებულ ურუმებს გადაუკეთებიათ და გამოუყენებიათ⁸.

წალკის რაიონის ეთნიკურ გარემოში ფიქსირებული ზეთსახდლების შესწავლის შემდეგ, ჩვენ თრიალეთის ქართულ მოსახლეობაშიც ვიმუშავეთ, კერძოდ ს. კლდისში (თეთრი წყაროს რაიონი) და ს. გომარეთში (დმანისის რაიონი). დასახლებულ სოფლებში მოპოვებული მასალა ზეთისხლის ტრადიციების საკმაოდ ბტკიცე და მყარ საფუძველზე მიუთითებს.

მთხრობელთა გადმოცემით ს. გომარეთში ზეთსახდელი წივილანთ ანუ თეთრაძეებს აუშენებიათ. წივილანი გორის მხრიდან ბატონყმობას გამოქცევინ და ს. გომარეთში დასახლებულან. ამჟამადაც თეთრაძეების სალოცავად ზეგარდის წმინდა გიორგი ითვლება⁹. თეთრაძეებს ს. გომარეთში ძველი ზეთსახდელი დახვედრიათ, რომელიც მათ განუახლებიათ და გამოუყენებიათ. ამ ზეთსახდელის ქვა ახლა სოფლის სამჭედლოს ეზოშია. მას ურმის თვალის დასალტვისას იყენებენ. ასეთივე ზეთსახდელი ს. გომარეთის მახლობლად მდებარე ნასოფლარ პანტიანშიც ყოფილა. ამჟამად იქ ნასახლარებიღაა. იქვე, ძველი პატარა ეკლესიის მახლობლად გელაზის ქვაც ვდრბა. თუმცა ს. კლდისში ზეთსახდელი არა ჩანს, მაგრამ აქაური მოსახლეობა სელის თესვა-მოყვანისა და ზეთის გამოხდა-მოხმარების საკმაოდ მდიდარ გამოცდილებას და ცოდნას ამჟღავნებს.

ჩვენს საკვლევ რაიონში დადასტურებული ზეთსახდლები ძირითადად საზეთე სელის კულტურას უკავშირდება. ჯერ კიდევ ვახუშტი შენიშნავდა: „ხდიან ესენიცა სელისაგანა ზეთსაო“¹⁰. უკანასკნელ ხანებში აქაურ ზეთსახდლებში წიწიბოს (წიფელას ნაყოფი) და მზესუმზირას ზეთიც გამოუხდიათ.

წალკის რაიონში საზეთე სელის ორი სახეობა ყოფილა ცნობილი—ბრტყელი სელი და შავი სელი, ამასთანავე აქაურები ხშირად ე. წ. ბოლოკას ანუ „თხის რქის“ ზეთსაცა ხდიდნენ. ამ უკანასკნელს წალკელები აიგივებენ სელთან და ხშირად სელის სახელითაც მოიხსენიებენ; ისე როგორც მესხეთ-ჯავახეთში, აქაც სელისა და ბოლოკას, ანუ „თხის რქის“ სახელწოდებაში სელის საზეთე სახეობას ესმება ხაზი. მთხრობელები სელს თესლის ფერისა და ფორმის მიხედვით აღწერენ¹¹.

საზეთე მარცვლის დასახლებულ სახეობებიდან ქართველი და ურუმი გლეხები უპირატესობას ზეთის ხარისხის მიხედვით ბრტყელ სელს ანიჭებენ. შავი სელი უმეტეს შემთხვევაში საქონლის გასახეთად და გასანათებლად იყო გამოყენებული. წალკის რაიონში სელს ბოლო წლებამდე ყველა ოჯახი თესდა—თითოეული საშუალოდ ალო ნახევრიდან სამ ალომდე¹². სასელებ მალე, მთიან და გრილ ადგილს არჩევდნენ. სელი კორღში ანუ გაუტეხავ მიწაში ან ნაანუღლარში ითესებოდა. ზოგჯერ ნიადაგს ნაკელით განოყიერებაც პირდებოდა. ასეთ შემთხვევაში ერთ ალოში დაახლოებით ოც ურემ ნაკელს

⁷ თ. ჩიქოვანი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 86.

⁸ ზეგარდის წმინდა გიორგის სალოცავი გორის რაიონშია.

⁹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 42.

¹⁰ მთხრობელები სელს ასე ახასიათებენ „ბრტყელი სელის მარცვალი ბრტყელია, შავი სელისა შავია და მრგვალი, ბოლოკას ანუ თხის რქას პარკი რქასავითა აქვს აშვერილი და შიგ მარცვლებია“.

¹¹ ალო—შოდგამობით მუშაობის პირობებში ერთი დღის სახნავია.



გაშლიდნენ. სასიყვედურ მიწას მარტში „ყარა ქოთინი“¹² წმინდად დასწავლეს. „იმას შავი და ვაფხვიერებული მიწა უყვარს“. ხნულს ფარცხით დასწავლეს. ნენ, რომ ბელტები და გოხები დაშლილიყო. სელს მეტწილად მოხვინისთანავე, ან ღრუბლიან ღდეს დათესდნენ, რომ თესლს მიწაში სინესტე და სიგრილე შეენარჩუნებინა. დათესვის შემდეგ ნათესს დაფარცხავდნენ. თესლი მიწაში ღრმად არ უნდა ჩასულიყო. თორემ მიწაში ღრმად ჩასული „თესლი ძალას ვერ მიიტანდა და დაიხრჩობოდა“. ერთ ალოს სჭირდებოდა ერთი კოდი სელის თესლი. ს. გომარეთში ორ ჩარქე მიწაზე ექვს ჩანახ სელს თესდენ (ჩანახი—4 კგ.).

სელის თესვა მიწისმოქმედისაგან განსაკუთრებულ დახელოვნებას და ცოდნას მოითხოვდა. საკვლევ რაიონში სელის თესვის სხვადასხვა წესი იცნობილი. სელი სქელი რომ არ მოსულიყო, თესლს მშრალ მიწას აურევდნენ და ისე მოაბნევდნენ ხნულში. უფრო გამოცდილი მთესველი-კი სელს ხნულში სწრაფი დავლით მიმოჰფანტავდა. კლდეისელთა გადმოცემით, წვერიანი კაცი სელის თესვის წინ წვერზე ხელს ჩამოისხამდა და როგორც წვერია იმ სისქვეთ დათესდა სელსო (ს. კლდეისი, მთხრობელი ჭალოძე ვანო ზაქარაიას ძე, 80 წლის). სელი დაახლოებით ერთ კვირაში ამოდებოდა. ზოგჯერ მას სარევე-ლებისაგან, ქანგა ბალახისაგან ხელით მარგლავდნენ. სელის მოსავალს მარიამობის თვის ბოლოს ან ენკენისთვის დასაწყისში იღებდნენ; სელის დაწვინებას ღეროსა და თესლის კოლოფის ფერზე ატყობდნენ. მარცვლის დაწვინების ხარისხს კოლოფის ხელში მოფხვნეტით ამოწმებდნენ. სელი დაბალი იზრდებოდა, ამიტომ მას ცელებითა მკიდნენ და ზვინებად აყენებდნენ. თუ მოსავალი თხელი იქნებოდა, მაშინ ცელით მომკილ სელის შეგროვება გაძნელებული იყო და სელს ხელით გლეჯდნენ¹³. მარცვლის უდანაკარგოდ აღების მიზნით სელს ოდნავ ნედლს მომკიდნენ, ხოლო თუ მოსავლის დროულად აღება დაგვიანდებოდა და სელიც ძალიან გახმებოდა, მაშინ მას ღრუბლიან ამინდში იღებდნენ, ან ნამიან სელს დილა ადრეან წამოიღებდნენ ფარდაგებდავენილ ბვის ურმებით. სელს კალოზე ლეწავდნენ. ზოგჯერ სელის გალეწვა მოგვიანდებოდა, ამიტომ ზვინებად დადგმულ სელს ზევიდან თივას გადაფარებდნენ, რომ „სუნი არ დასცემოდა“ და არ გაფუჭებულიყო. სელის ლეწვის შეფერხება უმეტესად კალოს გაკეთებასთან „დაჯდომასთან“ იყო დაკავშირებული.

სელი უკანასკნელ კალოზე უნდა გალეწულიყო, როცა კალო კარგად იქნებოდა „დამქდარი“ და მარცვალი დატყეპნილ მიწაში არ ჩაიკარგებოდა. ამავე მიზნით სელი გასალეწად ხშირად მეზობლის კარგად „დამქდარ“ კალოზე მიჰქონდათ. სელს, ჩვეულებრივ, კევრებითა ლეწავდნენ. ლეწვის დაწყების წინ კალოზე გაშლილ სელს საქონელს გააქეღვინებდნენ, რის შემდეგაც „თივას“ ფიწლებით ააბურდოვებდნენ და გვერდზე გამოიტანდნენ. მარცვალს არნადით შეაგროვებდნენ და ახლა მას კევრებით გალეწავდნენ. გალეწილ სელს ორთითობით „აფენჩხდნენ“, შეახვავებდნენ და კალოზე ცხრილებში გაცხრილულ ხვავს ტომრებსა და ბელლებში შეინახავდნენ.

¹² ყარა-ქოთანი—გუთნის თურქული სახელწოდება, ნიშნავს „შავ გუთანს“.

¹³ თრიალეთში სელის ღეროსაგან თივის დამხადების შესახებ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა სელის საქსოვად გამოყენებაზე მიუთითებს. თრიალეთში არსებული სელის ხელით გლეჯვის წესიც სელის საქსოვად გამოყენებიდან უნდა გამომდინარეობდეს.



ს. ახალიცი). მთხრობელთა გადმოცემით ეს ორმოები მიწაში ნახევრად ქვეშაულ, ქვიტიკრით ნაგებ მრგვალ ორმოებად წარმოგვიდგება. ანალოგიურ ქვიტიკრებში მესხეთ-ჯავახეთში მარცვლეულსა და მათ შორის სელსაც იხსავდნენ.

ეთნოგრაფმა ნ. რეხვიაშვილმა მოგვცა თრიალეთური მსგავსი ორმოების — „ლუის“ აღწერილობა. მან გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეს ორმოები მარცვლეულის გარდა ზეთისა და ქონის შესანახადაც უნდა ყოფილიყო გამოიხეული⁴⁴.

ჩვენ მიერ მესხეთ-ჯავახეთში მოპოვებული მასალების მიხედვით საკვლევ რაიონში არსებული ორმოები არა ზეთისა და ქონის, არამედ საერთოდ მარცვლეულს, კერძოდ კი სელის თესლის შესანახავ ორმოებად წარმოგვიდგება.

სელის მოსავალს თრიალელი გლეხი ყოველმხრივ და უდანაპარგოდ იყენებდა. იმის გარდა, რომ სელისაგან აქ ზეთს უპარბად ხდიდნენ, სელის ბუხს — „ჯავახის“ საქონლისა და ღორების გამოსაყვებად ხმარობდნენ, ღეროთი („ჩანდირ“) სახლების ბანსა ხურავდნენ.

ზეთს აქაც ისე როგორც მესხეთ-ჯავახეთში, ზამთარში ხდიდნენ, ახლო წარსულში ზეთსახდელები წალკის რაიონის ყველა სოფელში ყოფილა. ზოგ სოფელს იგი ორი და სამიცი კი ჰქონდა (სურ. 1).

ჩვენ მიერ ფიქსირებული ზეთსახდელები აღრე კერძო პირთა კუთვნილებაში ყოფილა. ამჟამად ისინი საკოლმეურნეო საკუთრებას წარმოადგენენ. მოქმედი ზეთსახდელები ახლა მხოლოდ ს. გუმბათში, ს. აშხალაში და ს. ახალიკშია დარჩენილი, სადაც იშვიათად იხდება სელის ზეთი. უკანასკნელ ხანებში ამ ზეთსახდელებში სელის გარდა წიწიბოს ზეთიც გამოუხდიათ.

თრიალეთში დამოწმებული ზეთსახდელები მესხეთ-ჯავახეთის ზეთსახდელებთან სრულ ანალოგიას ამჟღავნებენ. როგორც ზეთსახდელის ნაგებობის, ისე სამუშაო აპარატურისა და დისლოკაციის მხრივ.

ასე მაგალითად, ს. გუმბათის ზეთსახდელი სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. მესხეთ-ჯავახეთის ზეთსახდელების მსგავსად აქაური ზეთსახდელეობაც ქვის პორიზონტალური წყობით ნაშენი, დულაბით შეკრული ნაგებობაა, რომელიც გადახურულია ერთ „კონტინან“, ბოსლური ბანიით. კედლებიდან ორ წყებდა ქვის საყრდენებზე ხის ბოძებია გამართული, რომელზედაც გაწყობილ ძელებზე ზევიდან „კონტებია“ ირიბად დალაგებული. კონტების თავზე ზევიდან გადაკვეთი ძელებია გადებული, რომელთაც ქვევიდან მაღალი ბოძები აქვთ შეყენებული. ქერი მთლიანად მოფიცრულია და ზევიდან ტალახითაა გადაგლესილი. ის ნაწილი კი, სადაც წნეხის ზრახანია აღმართული, ერთკონტინი ბანი ორკონტინ ბანურ გადახურვაზე გადადის. ნაგებობა მოგვრძო ოთხკუთხეა და სამხრეთისაკენ ერღო აქვს მოწყობილი. ს. გუმბათის ზეთსახდელი ორ განყოფილებიანია: ესაა საქონლის სადგომი — „მანდრინ“ და საკუთრივ ზეთსახდელი — ბაზირ-ხანა. ამ უკანასკნელში საქონლის სადგომიდან შევდივართ. როგორც მანდრინს, ისე ზეთსახდელს კარები სამხრეთიდან აქვს დატანებული.

ს. ახალიკის ზეთსახდელი ს. გუმბათის ზეთსახდელის ანალოგიურია, ოღონდ იგი საქონლის სადგომის გარეშეა წარმოდგენილი. კარები კი ჩრდილოეთისკენ აღმართულია აქვს დატანებული.

⁴⁴ ნ. რეხვიაშვილი, სამეურნეო ნაგებობა „ლუი“ სამხრეთ საქართველოში, მუხე-უმის მთაბე, XVIII, თბილისი, 1954, გვ. 267.

ზეთისახდელში ზეთის ხდის პროცესის შესაბამისად სამი ძირითადი მოცემულია: 1. მარცვლის მოსახალავე მოწყობილობა — „ფურ“ (ლუმელი), 2. სალუწი და დასაგელაზებელი კალო და 3. ზეთის საწნები მოწყობილობა.

მარცვლის მოსახალავე მოწყობილობა ბაზალტის თლილი ქვით ნაგებ ლუმელს წარმოადგენს. იგი ოთხკუთხედი მოყვანილობისაა. ს. გუმბათში ლუმელი ზეთისახდელის აღმოსავლეთ კედლის სიღრმეშია ამოშენებული, ს. ახალიკის ზეთისახდელში კი დასავლეთის კედელზეა მიდგმული. ლუმელის ოთხკუთხედიანი კარების ჭრილი წივით გახურებისას ოთხკუთხედი ფიქალით ამოიჭრება. ს. გუმბათის ზეთისახდელში ლუმელის წინ ხის გობი — „სკაფირ“ (სიგანე—50 სმ, სიმაღლე — 40 სმ) ქვის საყიდგნზეა დადგმული. ს. ახალიკის ლუმელის კომპლექსში მოცემულია გასაცრელი სელის ფქვილის მოსათავსებელი ყუთი, ფქვილის გასაცრელი მოედანი — „ყუთლუხი“, დაგელაზებული მასის მოსათავსებელი „ფოშინთლხი“. ლუმელზე ეს ნაწილები ფიცრის დაბალი ტიხარით არის გამოყოფილი. ლუმელზე მარჯვენა მხრიდან, წინ მოგრძო ოთხკუთხედი, ორგანო-ყოფილებიანი ხის ყუთია მიდგმული (სიგრძე 110 სმ). ყუთიდან კედლამდე დარჩენილი ფართობი — ყუთლუხი სელის ფქვილის გასაცრელად არის გამოყენებული. მარცხნივ ლუმელს ცომის (გელაზის) მოსათავსებელი ნაწილი — ფოშინთლხი ემიჯნება.

აქ აღწერილი ზეთისახდელის ლუმელები ანალოგიურია საერთოდ თრიალეთის და მესხეთ-ჯავახეთის ზეთისახდელების ლუმელებისა. ყუთლუხისა და ფოშინთლხის ლუმელის კომპლექსში, ან მისგან გამოცალკევებული არსებობა, რა თქმა უნდა, ლუმელის კონსტრუქციის საერთოდ არსებულ პრინციპს არა სცვლის.

2. ს. გუმბათსა და ს. ახალიკის ზეთისახდელებში სალუწი და დასაგელაზებელი კალო ზეთისახდელის ნაგებობის ცენტრშია გამართული.


მარგვალი და ბრტყელი ქვის „ხარმანი“ || „დიბაგის“ გარშემო ოცი ოთხკუთხედი ფორმის ბრტყელი ქვის ბორღურია შემოვლებული (დიბაგის დიამეტრი — 130 სმ; თითოეული ქვის სიგრძე საშუალოდ — 52 სმ). ს. ახალიკში სალუწი კალოს ბორღური ფიცრისაა (ფიქვის ხე) და მას „ჯუკ“ — ეწოდება. კალოს ცენტრში ვერტიკალურად ხის ბოძი „სოგიუთია“ (სიმაღლე—85 სმ) ჩასმული. სოგიუთის თავზე ხის ბალიში „ინსებლხ“ — ია (ს. ახალიკი) დამაგრებული (სიმაღლე—13 სმ), ბალიში ზევიდან რკინის სოლია ჩასმული, რომლის წვერიც სოგიუთამდე მიდის. რკინის სოლზე პორიზონტალურად გრძელი ღერძია („მაზუ“ — ს. გუმბათი, „ოხ“ — ს. ახალიკი) ჩამოკმული. ღერძის თავი ცერად მდგომ გელაზის ქვის გულშია გაყოფილი. ხის ბოძზე — სოგიუთზე რკინის რგოლით ხის უღელთა გამობმული. უღელზე გამობმული ღვედი გელაზის ქვაში გაყრილ ღერძზეა (მაზუ, ოხ) გამობმული (სურ. 2).

გელაზის ქვა წარმოადგენს სუფთად ნათალ ნაცრისფერ ქვას, რომელსაც ადგილობრივი გლეხები ბაზალტის ქვად მიიჩნევენ. გელაზის ქვის გარდა პირის დიამეტრი შიდაზე ოდნავ მეტია (გარეთა პირის დიამეტრი 164 სმ; შიდა პირის დიამეტრი — 148 სმ), რის გამოც სამუშაო პირის გნდე ირიბათაა გამოკვეთილი (სამუშაო პირის სისქე — 40 სმ). გელაზის ქვის სამუშაო პირის ამგვარი მოყვანილობა შეესაბამება კალოს დაქანებას და თავის მხრივ მარცვლის დაქუცმაცება-სრისის პროცესის ხელშემწყობი უნდა იყოს.

ჩვენ მიერ თრიალეთში დადასტურებული გელაზის ქვები ერთნაირი ფორმისაა. ყველა ისინი გამოკვეთილია ნაცრისფერი ბაზალტის ქვისაგან. ადგი-



ლობრივი კლდისა და გელაზის ქვის ჩამონამტვრევების შემომწმენაკლთა ჩვენება დაადსტურა. გეოლოგთა ცნობით ქვის ეს ნამტვრევები ბაზალტის ქვის ჯიშს დოლომიტებს წარმოადგენს, რომელიც თრიალეთის ქედზე, ჩვენი საკვლევი რაიონის ნაწილში საკმაოდ გარბადაა წარმოდგენილი.



სურ. 2

ცხადია, ბაზალტით მდიდარი თრიალეთის მასივი წალკის რაიონის ზეთსახდლებისათვის საჭირო საამშენებლო მასალის საუკეთესო წყარო იყო. აქაურ ზეთსახდლებში როგორც შენობის, ისე ლუმელის, გელაზის და ხრახნის ქვებისათვის ადგილობრივი ბაზალტის ქვა არის გამოყენებული.

როგორც ცნობილია, თრიალეთში, კერძოდ წალკის რაიონში, ქვის მთელლობა საკმაოდ გავრცელებული ხელობაა. თუმცა ჩვენთვის საინტერესო საკითხის, კერძოდ, გელაზის ქვის მკეთებლობის შესახებ პირდაპირი მასალა ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ არანაკლებ საყურადღებო ცნობებს წავაწყდით ქვის გადასაზიდი ტრანსპორტის შესახებ. ცხადია საინტერესოა ტრანსპორტის სახეობა, რომლის საშუალებითაც გიგანტური ზომის გელაზის ქვის გადატანა უნდა მომხდარიყო. ასეთი ზომის ქვის გადასატან საშუალებად თრიალეთში მარხილის ხმარება ყოფილა ცნობილი. ქვის გადატანის დროს მარხილში ექვს-რვა და მეტ უღელ გამწვევ ძალას აბამდნენ. ს. გუნია-ყალას გელაზის ქვაზე (მუხ. ისტ. განყ. ფ. № 172) გამოხატული ხუთ უღელაში შემბმული მარხილი, როგორც აღრეც ვივარაუდეთ, მართლაც და ქვის, კერძოდ გელაზის ქვის გადატანასთან უნდა

იყონ დაკავშირებული¹⁵, ცხადია ქვაზე გამოხატული სიუჟეტი ქვის დასაყრდენების ტექნიკის ერთ-ერთ ეტაპზე მიუთითებს.

ჩვენ გელაზის ქვებს ამ მხრივ საგანგებო ყურადღება მივაქციეთ. მთხრობელმა ახსოვთ მოხატულ ზედაპირიანი გელაზები, თუმცა მოხატულობის სიუჟეტზე ისინი კონკრეტულად ვერ მიუთითებენ. წალკის რაიონში ჩვენ დავაფიქსირეთ სადა ზედაპირიანი გელაზები. გამოთქალის ს. ახალიკის მოქმედი ზეთსახდელის გელაზი წარმოადგენს. იგი ნაცრისფერი სუფთად ნათალი მრგვალი ქვა არის, რომლის ვარე პირი რელიეფურადაა ორნამენტირებული. ნაპირზე ირგვლივ რელიეფური წრეა შემოვლებული, რომელსაც შიგნიდან ტეხილი ებჯინება. ტეხილის შიგნით ოთხი ჯვარია გამოყვანილი. ჯვრებს შორის შვიდ და რვაქიმიანი ვარსკვალის რელიეფური გამოსახულებაა სამ ადგილას მოცემული.

გარდა იმისა, რომ ზეთსახდელებში გელაზით სელსა ლეწავდნენ და სრესდნენ, მას იყენებდნენ აგრეთვე გამწევი ძალის გამოსაცდელად. გელაზში შებმულ კამეჩის ძალას ზომავდნენ მის (კამეჩის) მიერ გელაზის დაგორების უნარით და ქვის ბრუნვის სიხშირით.

საყურადღებოა გელაზის ქვის ერთი დამახასიათებელი მხარე. წალკის რაიონის ზეთსახდელებში ჩვენ სხვადასხვა სიმძლავრის გელაზის ქვები დავადასტურეთ. გელაზის ქვის სიმძლავრე განისაზღვრებოდა, მის მიერ ერთ ჯერზე ნორმალურად გადამუშავებული სელის მარცვლის რაოდენობით. ისეთი სიმძლავრის გელაზის ქვა, რომელიც სელის მარცვლის განსაზღვრული რაოდენობისაგან დამზადებულ ცომს—„გელაზს“ ერთჯერზე დააგელაზებდა, სრული გელაზი ეწოდებოდა.

მაქსიმალური სიმძლავრის გელაზები იყო ერთ შეგდებიანი ანუ ერთ სომარიანი (16 კოდი).

მთხრობელთა ცნობით სრულ გელაზზე (ცომი) ნაკლები ან ზედმეტი რაოდენობის „გელაზი“ გელაზის ქვის კალოზე დატრიალებას აფერხებდა. თუ ზეთის გამოხდელთ სრული რაოდენობით არ ჰქონდათ მარცვალი, მაშინ რამდენიმე გლეხი სელს შეაერთებდა, რომ სრული გელაზი მიეღოთ. გამოხდილ ზეთს ისინი შეტანილი მარცვლის რაოდენობის შეფარდების შესაბამისად ურთიერთ-შორის გაანაწილებდნენ. ს. გუმბათის ზეთსახდელში სრულ გელაზს 8 ფუთი ან 12 იარში შეადგენდა (იარში კოდის ნახევარი — 8 კილო), ს. ახალიკის ზეთსახდელისათვის სრული გელაზი 4 კოდი იყო, ს. წინწყაროს ზეთსახდელები კი სომარიანი ყოფილა (ე. ი. 16 ფუთიანი).

ამგვარად თრიალეთის გელაზები, რომელიც ბაზალტის ქვის ჯიშისგანაა დამზადებული, ზეთსახდელებში სრულიად იმგვარადაა გამართული, როგორც ამას მესხეთ-ჯავახეთის ზეთსახდელებში აქვს ადგილი.

3. წნეხი. ს. გუმბათში წნეხი ზეთსახდელის დასავლეთ კედლის მთელ სიგრძეზეა გაწოლილი, ს. ახალიკის ზეთსახდელში წნეხი სამხრეთ კედლის გასწვრივაა გამართული.

ორ-ორად შეკრულ ფიჭვის ხის ძელებს შორის (ს. გუმბათი — ქერანე, ს. ახალიკი — ლომად) ფიჭვის ხისავე სუფთად ნათალი ხრახნია ამოყვანილი. (ს. გუმბათში ძელების სიგრძე 10 მეტრია, ს. ახალიკში — 11,5 მ). ხრახნი ბოლოთი ღარიან ლითონის ფირფიტაზე ბრუნავს, რომელიც ქვის ბალიშზეა

¹⁵ ლ. მ. ო. ლ. დ. ი. ნი. ქართული ხალხური ზეთსახდელი იარაღები (მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). მუზეუმის მთაბე, ტ. XIX A და XXI B, 1957, გვ. 368



დამაგრებული. ხრახნზე იატაკიდან 93—80 სმ-ის დაშორებით ქვის ტრაპიანი (გალ) ჩამოკიდებული. ხრახნზევე ძელებს ზემოდან რკინის საღებავი შეკრული ფიჭვის კუნძია — „დათვი“ (ავი, თი, არგოს) ჩამოხრახნილი. „დათვი“ ძელებზე რკინის ჩანგლითაა ჩამაგრებული, რომ ხრახნის ტრიალის დროს ძელებს არ ასდეს.



სურ. 3

ორ-ორად შეკრული ძელები ბოლოზე რკინის ჩანგლით იკვრება. ძელებს მეორე თავი ს. გუმბათის ზეთსახდელის ჩრდილოეთ კედელში დატანებულ ნიშში (იუქუხ) — სატვირთავშია ჩამაგრებული. ს. ახალიკში სატვირთავი დასავლეთ კედელშია მოწყობილი. ნიშიდან 43 სმ-ის დაშორებით ძელების პირდაპირ, მიწის ორმოში ქვის „ავაზანა“ ჩადგმული. ქვის ავაზანები ჩვენ ს. წინწყაროსა და ს. ახალიკში დავამოწმეთ (სურ. 2). იგი მოგრძო ოთხკუთხია და მთლიანი ქვისაგანაა გამოჭრილი. შუაზე გაყოფილია ქვის კედლით. ავაზანა ცომის, გელზის მოსათავსებელი კურქელია, რომელზედაც უშუალოდ მიმდინარეობს ძელების დაწოლა და ზეთის გამოწნევა. მთხრობელთა გადმოცემით მძლავრი ძელებით ზეთის წნეხა ავაზანის ორივე განყოფილებაში ერთდროულად იყო შესაძლებელი.

წალკაში ზეთის ხდის სეზონი ზამთარში იწყებოდა. ვარდა იმისა, რომ ზეთსახდელეებში ზეთის ხდისათვის საჭირო და განუწყვეტელი სამუშაოები მიმდინარეობდა, იგი ზამთრობით სოფლელთა თავშეყრილობის ადგილსაც წარმოადგენდა .ს. გომარეთის ზეთსახდელში მთელი სოფელი იყრიდა თავს, განსაკუთრებით კი „ბედნიერ“ დღეებში. აქ ზურნა-გარმონის თანხლებით ცეკვა-თამაში, კიდაობა და ლხინი იმართებოდა. წალკის რაიონის ზეთსახდელეებში სოფლელები ასეთი დღეების გარეშეც იკრიბებოდნენ. აქ ერთმანეთს ძველ ამბებსა და ზღაპრებს მოუთხრობდნენ. ქვა მუშაობდა და ხალხიც სიტყვასა ლერავდით—ამბობს მთხრობელი დემიან ჩერქეზოვი (წალკა). თუ ს. გომარეთის



ზეთსახდელში გამართულ ღვინოში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. რაიონის ზეთსახდელებში გამართულ ღვინო-შეყრილობაში ქალები ვერ გამოჩნდებოდნენ.

საერთოდ, ზეთსახდელებში მუშაობა ზამთრობით მიმდინარეობდა. ზეთსახდელებში ზეთის გამოსახდელად მიტანილ სელს აქ მომუშავე მუშები კოდლებით წყავდნენ, რის შემდეგაც ერთ შეგდება სელს ტევადობის მიხედვით 3—4 ნაწილად დებადნენ. მარცვალს დასახლელად წივით გახურებულ ღუმელის ქვის ზედაპირზე დაყრიდნენ. მარცვლის დახალვას სელის პატრონი აწარმოებდა ოსტატის — „ჯორჩის“ მეთვალყურეობით. მარცვალი რომ არ დამწვარიყო, იგი ხის თოხით — „გიალბარით“ (მიდი-მოდ) ურევდა. საკმარისად დახალული სელი ხელში ადვილად იფშენებოდა. ახლა მას ღუმელიდან იატაკზე გამოიღვარებოდა და დაყრიდნენ. რაზედაც პატრონი სელს ცხრილით ვაცბრილავდა. ასე გასუფთავებულ მარცვალს საღებო კალოზე დაყრიდნენ. აქ გელაზში შემბული კამეჩი გელაზის ქვას კალოზე აგორებდა. ამ დროს გელაზის ქვასთან ორი მებრე — „სურუჯი“ მუშაობდა — ერთი კამეჩს მირეკავდა, მეორე მებრე კი გამწვევი ძალის უღელსა და გელაზის ქვის ღერძს შორის იყო კალოში ჩამდგარი. ეს უკანასკნელი ხის ნიჩბით — იფთავით მარცვალს ურევდა. გაფანტულ მარცვალს არყის ხის ცოცხით გვიდა და გელაზში აწვდიდა. როდესაც დაქუცმაცებული მარცვალი კუმ-კუმად ბურთულებად აგორდებოდა და მტვრად აღარ ვაიფანტებოდა, გელაზის გორვას შეაჩერებდნენ.

თუ გელაზის ქვას ზამთრის განმავლობაში პირს მოუკვდებოდა, გალიბებოდა, მას ბახირ-ხანის ოსტატი ტარადით ძალიან წვრილად პირს მოუკოდავდა. მოკოდვა გელაზის ქვას ზამთრის განმავლობაში ორჯერ მაინც დასჭირდებოდა.

გელაზის ქვით გაღვწილ-დაფქვილ სელის ფქვილს ყუთებში ყრიდნენ. რომელსაც შემდეგ ჰეროდან ჩამოვიდებულ საცრებით ყუთულუხებში სცრიდნენ; საცერზე ხელის ცემითა და ქანაობით ფქვილი იცრებოდა და ყუთულუხში ჩადიოდა. აქ ერთი მესაცრე — „ალქი“ მუშაობდა (ს. წინწყაროში მესაცრე-იალქი). საცერში დარჩენილ „ანაკეთს“ — „ქიას“ (ანაცერი) კალოზე ხელმეორედ დაყრიდნენ და გაღვწდნენ. საბოლოოდ ერთი სომარიდან ანაკეთი ერთ კოდამდე დარჩებოდა. ერთ შეგდება დაფქვილ სელს კოდებით არწყავდნენ, რომ გარკვეული რაოდენობის ფქვილზე დასახმელი წყლის რაოდენობა შეეფარდებინათ. საერთოდ ერთ კოდზე 3 ოჯა თბილ წყალს ასხამდნენ. წყლის რაოდენობა სელის ჯიშზეც იყო დამოკიდებული. ბრტყელი სელი მსუყე და ცხიმანია, ამიტომ ის ნაკლებ წყალს იტანდა, ვიდრე შავი „მკლე“ სელი. ხოლო თუ წყალს ჰარბი რაოდენობით დაასხამდნენ, მაშინ წნებში „სალები“ ერთმანეთს დაეწებებოდა და ზეთიც ვეღარ გამოიწურებოდა. გამოცდილი ოსტატი წყალს ნელნელა და თანდათანობით ასხამდა. წყლის დასხმის საკმარისობას ოსტატი მუქით ატყობდა. თუ მუქის გამოცდილი შემდეგ ცომი — გელაზი გაიშლებოდა წყლის დასხმას მანამ ვააკმელებდნენ, სანამ მუქის გახსნის შემდეგ ცომი შეკრულ-შეკუმშული არ დარჩებოდა. დახალულ და გაღვწილ-დაქუცმაცებულ სელის მარცვალს წალკის რაიონის სოფლებში ქუმელი — „ფოშინდე“ ეწოდება. თბილი წყლის დასხმისა და გელაზის ქვით დაზეღვის შემდეგ მიღებულ ცომს გელაზს უწოდებენ. გელაზის გაკეთების დროს კალოსთან სამი მუშაობდა — ორი მებრე და ოსტატი. ერთი კვლავ კამეჩს მიერეკებოდა, მეორე ფეხშიშველი კალოში იყო ჩამდგარი და ხის გრძელი ნიჩბით — იფთავით ცომს — გელაზს აბრუნებდა. მასვე კალოს გარედან მდგარი ოსტატი



ენმარებოდა. იგი კალოში აწვდიდა ცომს. გელაზის ქვას სწმენდალს ჩქარის ნალით მასზე მიკრული ცომისაგან. საკმარისად დახეილი ცომი გელაზის ქვის კედლებიდან ჩამოცვივდებოდა და ქვაც პრიალს დაიწყებდა. ოსტატისათვის მუქაში ვაწურული ცომიდან ჩამოწვეთებული ზეთის წვეთები ცომის დახელების, დაგელაზების დამთავრების მანიშნებელი იყო.

ვაშალებულ ცომს — გელაზს თხის ბეწვისაგან მოქსოვილ „სალებზე“, კონვერტის ფორმაზე ახვევდნენ. ს. გომარეთში მისთვის თხილისაგან მოწული მრგვალი ხახლები ჰქონიათ. გელაზგახვეულ სალებს ქვის ავაზანაში ჩაალაგებდნენ. უკანასკნელ სალას თავზე ოთხკუთხ კუნძს დაადებდნენ. ზევიდან კეტებით დააწვებოდნენ, რომ სალების დონე ავაზანაში ძირს დაწეულიყო. შემდეგ სალებს ზევიდან კიდევ ორ სალას გადაამატებდნენ. ს. წინწყაროს ავაზანაში თორმეტიდან თოთხმეტამდე სალა ეტეოდა. ზევიდან სალებს სქელ ფიცარს („ქუთუ“—ს. წინწყარო, „ლალიბი“—ს. ქუმბათი, „თარლიგი“—ს. ახალიკი) დააფარებდნენ ფიცარს გარდი-გარდმო ორ-ორ ჯირკს („აშუხს“) დაადებდნენ. ამ უკანასკნელზე გრძელ ხიდს—„იეფირს“ ვადებდნენ.

ასეთი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ ზეთის წნეხვა იწყებოდა. სალების ავაზანაში გაწყობის მიზნით ძელებს მალა ასწევდნენ, რისთვისაც ხრახნს მარცხნიდან მარჯვნივ, ე. ი. საათის ისრის მიმართულებით დაატრიალებდნენ. როცა ავაზანაში სალები ჩალაგდებოდა, ხრახნს აამუშავებდნენ, ე. ი. მარჯვნიდან მარცხნივ ანუ საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით დაატრიალებდნენ. ამ დროს ხრახნი დაკიდულ ქვასთან ერთად საყრდენს ანუ „ლითონს“ შორდება და ოდნავ მალა იწვევს. აწეული ხრახნისა და ქვის სიმძიმე საწნებ ძელებს გადაეცემა, რომელიც თავის მხრით ავაზანაში მოთავსებულ გელაზს აწევა და ზეთს წნეხავს. გამონაწნეხი ზეთი ნახვრეტით მის (ავაზანის) წინ ჩადგმულ ჭურჭელში ჩადის. ამავე დროს ხრახნი ძელების სიმძიმის გავლენით დაბლა იწვევს და „ლითონზე“ ჯდება“. „ლითონზე დამჭდარ“ ხრახნს ძალა ეკარგება, ამიტომ ძელებს ხელმოორეთ ასწევენ ხრახნის მარჯვნივ დატრიალებით. ავაზანას ზევიდან ჰიგებს დაუმატებენ და ამგვარად ავაზანას გადაავსებდნენ. ახლა საწნებ ძალებს ხრახნის მარცხნივ დატრიალებით დაბლა დასწევენ. ხრახნი კვლავ შორდება „ლითონს“ და ძელებიც იწყებს ავაზანაზე დაწოლას.

ხრახნის ტრიალი და ძელების აწევა განსაზღვრულ დონემდე არის შესაძლებელი. პორიზონტალურ მდებარეობაში მყოფ ძელის ბოლოზე მუშაობის დაწყებამდე თოკია დახვეული. წნეხის ამუშავების დაწყების წინ თოკს ჩამოშვებენ ისე, რომ წვერი ოდნავ მიწაზე ეთრეოდეს. ძელების აწევის დროს, როდესაც თოკის წვერი იატაკს ოდნავ ასცილდება, ხრახნის ტრიალს შეაჩერებენ. წნეხს ასე სტოვებენ 12—14 საათის განმავლობაში, ანუ გათენებამდე; ამგვარად ზეთის ხდის პროცესი ორი ფაზისაგან შედგება, რაც ზეთის სრული წნეხვის პროცესით განისაზღვრება. ეს უკანასკნელი კი წნეხის კონსტრუქციითაა შეპირობებული.

ერთი კოდი სელის მარცვლიდან სხვადასხვა რაოდენობის ზეთი გამოდიოდა. ზეთის გამოსავლიანობა სელის ხარისხზე იყო დამოკიდებული. საშუალოდ კოდიდან ოთხი ოყა (პოხა) ზეთსაღებულობდნენ. ერთი შეგდება (სომარი) სელის მარცვლიდან ზეთსაღელის პატრონს ზეთის გამოშდელი უხდიდა 15 ოყა ზეთს. აქედან თითო მუშას, მეზრეებსა და მესაცრეს ზეთსაღელის პატრო-

ნი აძლევდა სამ-სამ ოყას. თითონ თავის შრომის საზღაურად ეძლეოდა მისთვის. ე. ი. 12 ოყა ზეთი ვაჭურულ შრომის საზღაურზე მოდიოდა. დარჩენილს მისთვის ზეთი ზეთსახდელის ქირად ყოფილა განკუთვნილი. ეს უკანასკნელი ზეთსახდელის მფლობელს რჩებოდა და ოჯახის წევრებს შორის ნაწილდებოდა.

ს. წინწყაროში სტეფანე გურჯოვის ოჯახის გაყრის დროს მიწები, საცხოვრებელი სახლი და საქონელი კენჭის ყრით გაუყვიათ. ბაზირ-ხანა კენჭის ყრაში პირდაპირ არ შესულა. კენჭი ეყარა იმ ადგილს, სადაც ბაზირ-ხანა ყოფილა ჩადგმული. კენჭის ყრით ეს ადგილი ანასტას გურჯოვს შეხვედრია. ბაზირ-ხანაში მუშაობა ოჯახის ყველა წევრს შეეძლო, რისთვისაც იგი გასამრჯელოდ 3 ოყა ზეთს აიღებდა. ამავე დროს გურჯოვების მთელ ოჯახზე ნაწილდებოდა ის სამი ოყა, რაც ზეთსახდელის სარგებლობისათვის იყო გადახდილი. რაც შეეხება კოპტონს. ორი წილი სელის პატრონისა იყო. ერთი წილი ზეთსახდელის პატრონს ერგებოდა. თუ ზეთი ერთი შეგდებიდან ნაკლები რაოდენობით მიიღებოდა, მაშინ ზეთსახდელის პატრონს ქირა დაწესებული რაოდენობით მაინც ეძლეოდა. ზოგჯერ პირიქითაც ხდებოდა. სელის პატრონი სახდელის პატრონს სელს აძლევდა გამოსახდელად. სახდელის პატრონი ნარდი გარიგების საფუძველზე ვალდებული იყო პატრონისათვის ზეთი ჩაებარებინა იმ რაოდენობით, რაზეც მორიგებისამებრ შეთანხმდნენ, თუნდაც ზეთი სულაც არ გამოხდილიყო. მაგრამ ასეთ შემთხვევას იშვიათად ჰქონდა ადგილი.

* * *

გამოხდილი ზეთი ზეთსახდელიდან სახლებში ტიკებითა და გუდებით მიჰქონდათ. ტიკებს თრიალელი გლეხები სახლებში ამზადებდნენ. თრიალეთში ჩვენ ტიკების დამზადების ორგვარი წესი დავამოწმეთ. დაკლულ თხას თავს მოაპირიდნენ და მის ჩატყავებას კისრიდან დაიწყებდნენ, ხორცს დანით ასთასოდ ამოპირიდნენ. ხის გობში ქერის ფქვილისაგან შემზადებულ ლაფში¹⁶ ცოტაოდენ შაბს ჩაყრიდნენ (30—40 გრ.) და შიგ ტყავს ჩააგდებდნენ. ლაფში ტყავს სამი დღის განმავლობაში დატოვებდნენ. სამი დღის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ, გააშრობდნენ, კარგად გამშრალ ტყავს გადააბრუნებდნენ, გაბერავდნენ და შიგ ქალაქიდან მოტანილ კუპრს ჩაასხამდნენ. ტყავს ორივე ხელით ვაჭანებდნენ, რომ კუპრი ტყავის კედლებს კარგად გაგლეხოდა. კუპრი რომ არ დამდნარიყო, ტყავს გრილ ადგილას შეინახავდნენ, რომლის ხმარება ხუთი-ექვსი დღის შემდეგ იყო შესაძლებელი.

ტიკის მეორე წესით დამზადების დროს ნელდ ტყავს ორ კიჭა მარილსა და ერთ კიჭა შაბს დააყრიდნენ, დაახვევდნენ და ორ-სამ დღეს სიგრილეში შეინახავდნენ. შემდეგ ტყავს გადააბრუნებდნენ, ფეხქვეშ გაიგდებდნენ. ტყავი ასე შრებოდა და რბილდებოდა. ორი კვირის შემდეგ გამშრალი ტყავი მიჰქონდათ ქალაქელ ხელოსნებთან ბეწვის გასაპარსად და მისაყუპრად.

ზეთისათვის უფრო ხშირად ცხვრის გულა ყოფილა გამოყენებული. ცხვარს უკანა ფეხებიდან და დუმიდან ჩაატყავებდნენ, მარილს დააყრიდნენ, რამდენიმე დღის შემდეგ ხელით მოსრესავდნენ, ბაწრით კისერსა და ფეხებს მოუკრავდნენ. ამგვარად გამზადებულ გუდის ხმარებაც უკვე შესაძლებელი იყო.

¹⁶ ლაფი—ქერის ფქვილისაგან დამზადებული მოთხელო ცომი.



ზეთი თრიალეთელ გლეხებს გუდებითა და ტიკებით გუჯარეთის უღელტეხილით ბორჯომში გადაჰქონდათ. გორში წამსვლელნი ს. რეხიდან არჯევან ყანიჩაის, შავ ტყეს, საჯიანს, ბალენს, ქვემო ბოშურს, ზობნევს, ატენს, გარდატენს, ოხერას და ხიდისთავს გაივლიდნენ. ხოლო გორში ოცა ზეთი სამ აბახსა და ათ-შაურად ფასობდა. ხშირად ზეთს სხვადასხვა პროდუქტებზეც სცვლიდნენ. ექვსი გირვანქა ზეთი ერთი ფუთი სიმინდის სანაცვლო ყოფილა. ერთი ჩარქვი ზეთი ორი ჩარქვა ორნახადი არაყისა (ს. გუმბათი). ამგვარად ზეთი თრიალეთში უშუალოდ მოხმარების გარდა საცვლელ საშუალებადაც ყოფილა მიჩნეული. ამ უკანასკნელს თრიალეთელი გლეხი იმ ნაკლოვანების შეეცების მიზნით მიმართავდა, რაც აქაური ბუნებრივი პირობების შედეგით იყო გამოწვეული.

საყურადღებოა ერთი თქმულება, რომელიც ჩვენ ს. რეხაში ჩაიწერეთ. ძველად, მანამ წალკის რაიონში ბერძენები მოვიდოდნენ, ს. ედიქლისაში ქართველებს უცხოვრიათ. ერთ აქაურ შეძლებულ გლეხს, რომელიც კახელებს დამოყვრებია, კახეთიდან სტუმრად მოყვრები სწევია. კახელებს ედიქლისელ მოყვრისათვის ძღვნად ტიკებით 12 ურემი ღვინო მიურთმევია. ედიქლისელ გლეხს კი ურემები სელის ზეთით სავსე რუმბებით დაუტვირთია და კახელი მოყვრისათვის გაუტანებია (ს. რეხა. მთხრობელი ლაზარე ნიკოდიმოვი დაბადებული 1884 წ.).

ს. რეხაში ჩაწერილი ზემოთ მოტანილი თქმულება მაჩვენებელია თრიალეთში ზეთის წარმოების მასშტაბისა. იგი ამავე დროს ადასტურებს ვახუშტის სიტყვებსაც, რომ: „ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხამენ აქა და დაღვების ღვინო კეთილი და გემოიანი“¹⁷.

სახმარ ზეთს თრიალელები სახლებში ნახევრად მიწაში ჩაყვლილ ქილებსა და ქვევრებში ინახავდნენ¹⁸. ზეთი თრიალელი გლეხის საოჯახო და სამეურნეო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გარდაუვალ და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

მესაქონლეობით განთქმულ კუთხეში ზეთის ზედრითი წონა რძის პროდუქტებს არ ჩამოუვარდებოდა. საკვებად აქ ბრტყელი სელის ზეთსა ხმარობდნენ. შავი სელის ზეთი თუმცა იშვიათად, მაგრამ საკვებად მაინც ყოფილა გამოყენებული. ამ უკანასკნელს სიმწარის დასაყარად თუჯის ქვაბებში ცეცხლზე ადუღებდნენ. ზეთის დუღილის დროს მოკიდებული ყვითელი ქაფი როცა თერთო იქცეოდა, ქვაბს ვაღმოიღებდნენ, ზეთს გააციობდნენ და შეინახავდნენ. შესანახ ზეთში დაჭრილ ხახვს, ვაშლს ან კომშს ჩაყრიდნენ.

ზეთი საკვებად მეტ წილად მარხვაში იხმარებოდა. მარხვაში ზეთით მზადდებოდა ქადა, ჭირიხტა, ბიში (ნამცხვრები, ლ. მ.), ლობიო, კარტოფილი, ფლავი, ჰალვა, კიმული.

გარდა ამისა თრიალეთში ზეთს გასანათებლადაც იყენებდნენ.

შავი სელის ზეთს დიდი რაოდენობით ხმარობდნენ საქონლის გასაზეთად. დაბანილ საქონელს თბილ ზეთს ზამთრის განმავლობაში ორ-სამჯერ წაუსვამდნენ. შეცივებული საქონელი კი ყათრანიათ¹⁹ ზეთით იზილებოდა.

¹⁷ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 42.

¹⁸ ჩვენ ს. გუმბათში ზეთისათვის გამოყენებული ქვევრი ვნახეთ, რომლის ფოტო გადაღებაც შეუძლებელი იყო. ამ ქვევრის სიდიდზე შეიძლება ვიჭინოთ წარმოდგენა მისი ანაზომებით. სიმაღლე—100 სმ, მუცლის გარშემოწერილობა—165 სმ.

¹⁹ ყათრანი—თიხის ჭოთანში დამწვარი ნაძვის ხის კვარს ეწოდება.

სელის ზეთი ამავე დროს საუკეთესო სამკურნალო საშუალებას წარმოადგენდა. გლეხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას პირველ ნახად ზეთს ანიჭებდნენ, რომელსაც გულისტკივილის წინააღმდეგ უზმოზე ასმევდნენ ავადმყოფს. ზეთი საუკეთესო წამლად ითვლება ე. წ. მიიასელის ანუ კუქის შეკრულობის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში ზეთს იყენებდნენ როგორც ადამიანის, ისე საქონლის განკურნებისათვის.

ცნობილი იყო ზეთის შედგენილობით დამზადებული წამალი. თითო კოვზის პირი თაფლი, ზეთისა და ერბოსგან შემზადებულ წამალს გულის ტკივილის დროს ასმევდნენ ავადმყოფს უზმოზე. მუცლის ტკივილის დროს სამი წილი არაყისა და ერთი წილი ზეთით შემზადებულ წამალს აძლევდნენ. ზეთით შემზადებული მალამოები სიდამწერის, მოყინულობის და მუწუკების სამკურნალოდ მეტად გავრცელებული იყო. ამ მალამოს დამზადებისათვის ერთ ჩაისს კიპა ზეთში ფიჭვის ხის პატარა ფისს, თაფლის სანთელს, თხის ქონს და საკმელს ჩაყრიდნენ და ააღულებდნენ. მოყინულის სამკურნალოდ სელის ზეთში გამომცხვარ პურის ცომს დამწვარზე ადებდნენ. წამლად თვით დანაყილ კობტონს ან სელის ფაფასაც ხმარობდნენ, რომლითაც დაჩირქებულ ძუძუებს მკურნალობდნენ.

ზეთი ავეჯის გასაწმენდად და ასაპრიალებლად იხმარებოდა. ზეთის დუროს (ნალექი) კი ურმის თავის ასაკრავების, ტყავის და ქალამნების დასარბილებლად იყენებდნენ.

თუ აქ მოტანილ მასალას თვალს გადავავლებთ, აშკარად შევამჩნევთ სელისა და მისი პროდუქტების მნიშვნელობას და რაციონალურ გამოყენებას თრიალეთი გლეხის საოჯახო და სამეურნეო ყოფაში.

ხოლო მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში სელისა და ზეთსახდლების შესახებ მოპოვებული მასალის ურთიერთ შეპირისპირების საფუძველზე, წინასწარ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ამ ხაზით არსებული მდიდარი ხალხური ცოდნა, საწარმოო გამოცდილება და შრომითი ჩვევანი სრულ ერთიანობასა და მჭიდრო კავშირში გვესახება. იგი საერთო ქართულ ტრადიციებზე უნდა იყოს აღმოცენებული და განვითარებული.

Л. Н. МОЛОДИНИ

НАРОДНЫЙ СПОСОБ ИЗГОТОВЛЕНИЯ ЛЬНЯНОГО МАСЛА В ТРИАЛЕТИ (МАТЕРИАЛЫ)

Резюме

Анализ приведенного в работе материала позволяет нам высказать предположение о том, что в Триалети, точно также как в Месхети-Джавахеги, народные маслобойни являются остатками старой материальной культуры коренного населения края и освоенными нынешними его жителями. Своим чередом эти маслобойни непосредственно связываются с древнерузинской земледельческой культурой — льном.

Аналогии маслобоен Триалети и Месхети-Джавахеги проявляются как в планировке сооружения, так и в элементах рабочей аппаратуры (печь для обжаривания льняных семян, жернов и пресс), и в их дислокации.

Наряду с этим, в исследуемом районе у населения наблюдаются богатые трудовые навыки и производственный опыт, связанные с возделыв-



ванием льна и технологией получения льняного масла. В частности, эмпирическим путем в народе накоплены знания о характере и структуре почвы, пригодной для определенного вида масличного льна, о способах обработки почвы, посева, выращивания, жатвы и обмолота льна, о приемах обжаривания, размельчения и растирания льняных семян, выдавливания масла и т. д.

Установлены также единицы, употребляемые для обмера льняных семян и масла, как-то: «шегдеб» (сомари), «коди», «ока»; разновидности кожаных сосудов для транспортировки масла — «тики», «туда», «румби»; виды глиняной посуды для хранения масла — «квеври», «кила» и изучены процессы их изготовления.

Распространение маслобоен в Триалети было обусловлено широким употреблением льняного масла. Местный крестьянин масло применял в пищу, для освещения, растирания скота, обработки кожи, в народной медицине и т. д.

Удельный вес масличного льна и его продуктов был значительным не только в экономике крестьянской семьи, но и всего края.

Сравнительный анализ этнографических материалов Триалети и Месхет-Джавахетии по исследуемому вопросу приводит нас к выводу о том, что наблюдаемый в этих районах Грузии у населения в области производства льняного масла богатые трудовые навыки, производственный опыт и эмпирические знания выработаны и накоплены на общей грузинской почве.

3. ბარდავილიძე

 ძვრთველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის
 განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაბანი

(პანთეონის შემადგენლობა, ღვთაებათა იერარქია და მათი ბუნება)

ჩვენ მიერ უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე შეგროვებული გადმონათობილი ეთნოგრაფიული მასალა შესაძლებელს ხდის შევისწავლოთ ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების სხვადასხვა საფეხურები ქართველი ტომების სარწმუნოების ისტორიაში. აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ დადგენილი პანთეონი, ჩვენის აზრით, მიეკუთვნება ქართული ქრისტიანობამდელი სარწმუნოების განვითარების ერთ-ერთ ყველაზე გვიანდელ საფეხურს, რადგან იგი, უძველესი წარმოშობის სარწმუნოებრივ პერსონაჟებთან ერთად, იმ უფროს ღვთაებათა შვიდეულსაც წარმოგვიდგენს, რომელნიც შვიდ მნათობს განასახიერებდნენ და მთვარის კალენდრის თითო-თითო დღესთან იყვნენ დაკავშირებული¹.

ასტრალურ ღვთაებათა პანთეონი თანმიმდევრული სარწმუნოებრივი სისტემის ნაწილს შეადგენს; იგი ჩვენს ყურადღებას იპყრობს, პირველ ყოვლისა, როგორც თავისებური წყარო, რომლის სპეციფიკა ასახავს გარკვეული ისტორიული დროის საზოგადოებრივი ყოფიერებისა და ადამიანთა რეალური ურთიერთობების სხვადასხვა მხარეს. ჩვენი შრომის ამ მონაკვეთის ამოცანაა დავადგინოთ ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი, აქამდე უცნობი საფეხურთაგანი და გამოვარკვიოთ მის საფუძვლად მდებარე წარმოდგენების აღმოცენების საზოგადოებრივი ფესვები.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: მასალებს შორის, რომელნიც ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების ამა თუ იმ პერიოდს ახასიათებენ, ადრეკლასობრივი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების გადმონათობი ყველაზე უკეთ შემორჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში, განსაკუთრებით ფშაველურთა ყოფაში²; და საყურადღებოა, რომ გამოსაკვლევი პანთეონის გადმონათობი თავს იჩენს იმავე ეთნიკური წრის რელიგიურ რწმენებში³.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, ტფილისი, 1928, გვ. 128-137.

² ვ. ბარდავილიძე, ზევსურული თემი, სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შთამბეჭ. ტ. XII, № 8, 1952; მისივე, ზევსურული თემის მმართველობის სისტემა, იქვე, ტ. XIII, № 10, 1952; (M 1).

³ თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები ქრისტიანობას ძნელად ითვისებდნენ, მაინც მან გარკვეული ადგილი მოიპოვა მათს სარწმუნოებაში. უძველესი პანთეონის რიგმა-



პანთეონის შემადგენლობა. აღმოსავლეთ საქართველოს ლიგიური რწმენების მიხედვით, მათ ორი რიგის ღვთაებები ჰყავდათ: უფროსი ანუ უმაღლესი და ადგილობრივი. უმაღლეს თუ უფროს ღვთაებებზე მიანდდათ ღმერთი ანუ მორიგე ღმერთი, ქალ-ღვთაება მზე, იგივე მზექალი ანუ დღე დღესინდელი, და კვირა⁴.

ესენი შეადგენდნენ ღვთაებათა ტრიადას და პანთეონში პირველი ადგილები ეჭირათ. აქვე უნდა ითქვას, რომ რიგ ზებიარად შემორჩენილ საღვთისმსახურო ტექსტში მზე მისი „მეოლი ანგელოზებით“ მოიხსენიება. ამ ღვთაების სადიდებელი შესაბამისი ტრაფარეტული ფორმულა ამგვარია: „დიდება ღმერთსა, [დიდება] დღეს დღესინდელსა, მზესა, მზისმყოლთა ანგელოზთა“⁵.

ადგილობრივი ღვთაება მრავალი იყო. ერთნი თემურ ორგანიზაციათა მფარველები იყვნენ, მეორენი — ტერიტორიულ-ეთნიკური ჯგუფებისა (ფშავ-ზევსურების, თუშების, მოხევეების, მთიულ-გუდამაყრელებისა), რომელნიც გენეტურად ცალკეული ქართველი ტომების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდნენ; ამიტომ ამ ტერიტორიულ-ეთნიკური ჯგუფების ღვთაებებს ჩვენ პირობითად სატომო ღვთაებებსაც ვუწოდებთ.

ჩვენამდე მოღწეულ გადმონაშთებში ადგილობრივ ღვთაებებს, ისეთ ახალ, ქრისტიანობის გავლენით შერქმეულ სახელწოდებებთან ერთად, როგორც „წმინდა ანგელოზნი“ და უბრალოდ „ანგელოზნი“. შერჩენილი აქვთ ძველი ქართული სახელწოდებანიც. ადგილობრივ ღვთაებათა ძველი ქართული საერთო სახელწოდებები მათი მნიშვნელობის მიხედვით ორი რიგისაა.

ა) ჯვარი და ხატი. სათემო თუ სატომო ღვთაებათა გარდა, ასევე ეწოდება მათ სალოცავ ადგილებსაც. თავის საენათმეცნიერო შრომებში ნ. მარს ქართული სიტყვა ხატი და იმავე ძირის სომხური ხაჩ ძირეული მნიშვნელობის მიხედვით დაკავშირებული აქვს ქართულსავე სიტყვებთან ხე და ძელი; შემდგომ ნ. მარი ემყარება ისტორიულ ცნობებს, რომ ძველს საქართველოსა და ძველს სომხეთში ხეებს ოდიდანვე თაყვანს სცემდნენ, და აყენებს დებულებას, რომლის თანახმადაც ტერმინები ხე და ძელი, აგრეთვე ძელის შესატყვისი მეგრული ფორმა ჯა, პირველად საკულტო ხეს ნიშნავდა, ხოლო კერძოდ მუხა და ცაცხვი ასტრალურ სამყაროს უკავშირდებოდა⁶. აღმოსავლეთ

პერსიანება ჩვენამდე გვიანდელი, არაქართული, მომეტებულად ქრისტიანული წმინდანისა თუ ანგელოზის სახელით მოაღწია; ზოგი სასულიერო ტექსტი წარმოდგენილია ქრისტიანული ლოცვის სახით; წლიური ციკლის ხალხური დღეობების უმრავლესობაც ქრისტიანულ დღეობებს ემთხვევა და მათი სახელები აქვს შერქმეული.

⁴ ამ ღვთაების სახელი შემდეგი ფორმებით გვხვდება: კვირთა, კვირიკე, კვირიკა, კვირაი, კვირაჲ, კვირჲ, კვირჲა, კვირჲაა, კვირა; ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, I, თბილისი, 1938, გვ. 12 ბ, გ, დ, 13 გ, 14 შ, 15 თ, 16 ი, ია, 17 იბ, 17—18 იგ, 18—19 იდ, 19 იე, 21 იზ, იძ, 22 ით, 24 კდ, 24—25 კდ, 26 ა, 27 ბ, 28 გ, დ, 29 ვ, ვ, 30 ზ, 31 შ, 31—32 თ, 33—34 ი, 34 ია, 35 იბ, 36 იდ, 37 იგ, იზ.

⁵ მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, I, გვ. 26 ა; შდრ. გვ. 11 ა, 13 გ, 14 შ, 19 იგ.

⁶ Н. Я. Марр, Еще о слове «челеби» (К вопросу о культурном значении курдской народности в истории Передней Азии), Зап. Вост. Отд. русск. археолог. общ.-ва, т. XX, 1910, СПб, 1912, გვ. 112—117; მისივე, О религиозных верованиях абхазов, ХВ, IV, გვ. 125—127; მისივე, Кавказоведение и абхазский язык, Петроград, 1916, გვ. 25.

საქართველოს მთიელების, განსაკუთრებით ფშავ-ხევსურების, ადგილობრივ ღვთაებათა გენეტური კავშირი ხის თაყვანისცემასთან, რასაც ტოტემური ხის კულტისაკენ მივყავართ, დადგენილია ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის შედეგადაც⁷.

ბ) სათემო თუ სატომო ღვთაებათა ყველაზე გავრცელებული სახელწოდება, ჯვარსა და ხატთან ერთად, იყო ღვთისშვილი (ხალხური გამოთქმით—ხთისშვილი)⁸. მათ უწოდებდნენ აგრეთვე: ღვთისნასახი (ხალხური გამოთქმით — ხთისნასახი) და ღვთისნაბადები (ხალხური გამოთქმით — ხთისნაბადები). ხოლო ტერმინები ღვთისშვილი, ღვთისნასახი, ღვთისნაბადების თანახმად ღმერთსა და ადგილობრივ ღვთაებათა შორის სისხლითნათესაური, სახელდობრ მამაშვილური კავშირი არსებულა. რამდენადაც ეს ტერმინები გამოხატავენ სისხლით ნათესაობითს კავშირს ისეთ საკულტო პერსონაჟებს შორის, როგორც არიან, ერთი მხრივ, სათემო თუ სატომო ღვთაებანი და, მეორე მხრივ, მათი უფროსი, მათი თავი ღვთაები, იმდენად ისინი, უეჭველია, პირველყოფილ-თემური წყობილების რელიგიურ რწმენათა შეგავსებით უნდა ჩამოყალიბებულყოფნენ.

მაგრამ იმ ხანაში, რომელსაც ჩვენი კვლევის საგნად დასახული პანთეონი ეკუთვნის, ადგილობრივ ღვთაებათა ყველაზე უფრო გავრცელებული სახელწოდება ღვთისშვილს ძირითადად სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სახელწოდებით გამოხატული ცნება მსგავსია ტერმინს სახლისშვილის იმ ცნებისა, რომელიც გადმონაშთის სახით შემორჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებს შორის.

ქართული ისტორიული საბუთების შესწავლით ირკვევა, რომ ტერმინი სახლისშვილის შემადგენელი ნაწილი სახლი ფეოდალურ საქართველოში მარტო დღევანდელი შინაარსით, ე. ი. საცხოვრებელი შენობის, მნიშვნელობით როდი იხმარებოდა. იგი აღნიშნავდა აგრეთვე ადმინისტრაციულ ერთეულს, ამა თუ იმ პირის მფლობელობის ერთეულს, პატარა (და ალბათ აგრეთვე დიდ) ოჯახს და ოდესღაც—გვარსაც⁹. მაშასადამე, გვაროვნული წყობილების ხანაში სახლისშვილის მნიშვნელობა იქნებოდა, გარდა „ძეშვილისა“, „გვარისშვილი“¹⁰ და შემდეგ „დიდი ოჯახის შვილი.“ დროთა ვითარებაში, საფიქრებელია, კლასობრივი საზოგადოების ჩასახვის ეპოქიდან და მერე იმ ხანებში, როდესაც ქართველები არა მარტო დიდ, არამედ მცირე ოჯახებადაც ცხოვრობდნენ, სახლისშვილი წმინდა სოციალურ ტერმინად ქცეულა, რომელიც, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების გადმონაშთური მასალის მიხედვით, სახლში მყოფ ხელქვეით, დამორჩილებულ პირს, სახლის მუშახელს აღნიშნავდა.

ფშავ-ხევსურებსა, მთიულებსა და გუდამაყრელებში სახლისშვილად შერქმეული დაჭირავებული მწყემსი, მოჯამაგირე მხოლოდ შეძლებულ ოჯა-

⁷ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, стр. 55—65.

⁸ შდრ. პროტოხეთურ ღვთაებათა სახელებს: Telibinu ანუ Telipinu, Hetebinu და Helibinu, რომლებშიც, A. Götze-ს გამოკვლევით, binu (ანუ pinu) ხალხურად ზვილს ნიშნავს (იხ. A. Götze, Kleinasien, Kulturgeschichte des Alten Orients, III, München, 1933, s. 126).

⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თბილისი, 1928, გვ. 83, 141—142, 147, 148; ჯ. ანაშია, შრომები, I, 1949, გვ. 139.—132; ი. ქვონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბილისი, 1955, გვ. 78—79.



ხებს ჰყავდათ, ხოლო თვითონ სახლის შვილი უღარიბესი მეფეობის მეთემის შვილი იყო, რომელსაც მცირე რამ მეურნეობა თუ ებოძა ანდა სულაც არ გააჩნდა იგი. მაგრამ ზოგჯერ რამდენიმე (გადმონაშთებში ორიდან ექვსამდეა დამოწმებული) მეკომურს ერთი სახლის შვილი ჰყავდა და მას ზიარ-სახლის შვილი ეწოდებოდა. სახლის შვილი თუ ზიარ-სახლის შვილი (ხეცურულად—სახლის შვილიაი, ზიარ-სახლის-შვილიაი) ასრულებდა სხვადასხვა სამუშაოს, რასაც სახლის უფროსი ღვაწლებდა: ზამთრობით წყალს ეზიდებოდა, უვლიდა საქონელს ბაგაზე, გაჰყავდა იგი წყალზე, ზაფხულობით მთაში აძოვებდა, ამზადებდა საზამთროდ შეშას, მუშაობდა მინდვრად—თიბავდა, ხნავდა, მკიდა, ლეწავდა და სხვ. სახლის-შვილობის მთელს განმავლობაში — მისი ხანგრძლივობა კი წინასწარვე, გარიგების დროს ისაზღვრებოდა — სახლის შვილი სახლის პატრონთან ცხოვრობდა, როგორც მისი ხელქვეითი და, ყველი რომ შეუსრულებოდა, თავისი შრომისათვის ნატურალურ ანაზღაურებას იღებდა.

საფიქრებელია, რომ ჩვენ მიერ დადგენილი სახლის შვილობა თავის დროზე წარმოადგენდა პარალელს ძველადმოსავლური „შვილობილობის“ ინსტიტუტისას, რომელიც მონური შრომის შეცვლის ერთ-ერთი სახეობა იყო¹⁰.

ღვთის შვილის ამგვარ გაგებას, რომლითაც ეს სიტყვა რელიგიურ რწმენათა სფეროში სოციალურ ტერმინ სახლის შვილს უახლოვდება, ზელს უწყობს ღმერთისა და ადგილობრივ ღვთაებათა ურთიერთობის ხასიათი: ღმერთის ღვებოტური მოპყრობა თავის „შვილებისადმი“ და ღვთის შვილების სრული დამოკიდებულება ღმერთისაგან, მისი მონური მორჩილება და სამსახური, როგორც ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით.

ღვთაებათა იერარქია. ყველა ღვთაებას პანთეონში თავ-თავისი ადგილი ჰქონდა განკუთვნილი. იმის დადგენა, თუ როგორ იყვნენ ისინი დახარისხებული, შესაძლებელი ხდება ხალხურ რწმენათა გადმონაშთების საფუძველზე და იმ საღვთისმსახურო წარსათქმელების—ხუცობისა და სადიდებელთაის: შინაარსის მიხედვით, რომლებიც სათემო და სატომო ხატების მსახურებს შორის თაობიდან თაობაში ზეპირად გადადიოდა. ხუცობა, როგორც წესი, იწყება ღვთაებათა დიდებით და ეს ღვთაებანი მასში სასტიკი თანმიმდევრობით მოიხსენიებიან. ასევეა სადიდებელთაის ტექსტებშიაც.

საღვთისმსახურო წარსათქმელებში ღვთაებისადმი მიმართვის ფორმულა პირველად ყოველთვის ღმერთს იხსენიებს. მაშასადამე, ტრიადისა და პანთეონის სათავეშიც იგი მდგარა. ამასვე მიუთითებს ხალხურ რწმენათა გადმონაშთები, რომელთა თანახმად ღმერთი ყველა ღვთაების თავია.

უფრო ძნელი დასადგენია, თუ ვის ეკუთვნოდა მეორე და მესამე ადგილი, ე. ი. მზე იყო წინ თუ კვირია. ხუცობისა და სადიდებელთაის 23 ტექსტიდან, რომელნიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ, სამში მზე მეორედ იხსენიება, კვირია კი—მესამედ; სამში ნახსენებია მხოლოდ ღმერთი და (მეორე ადგილას) დღე დღესინდელი ო მზე; თორმეტში — მარტო ღმერთი და (მეორე ადგილას) კვირია; ერთში—„ძალი ღვთისა, სამართალი კვირთაისა“; სამში — ღმერთი, დღე დღესინდელი, „ძალი ღვთისა, ძალი

¹⁰ И. М. Дьяконов, Развитие земельных отношений в Ассирии, Л., 1949, гл. 59, 66, 76д.

კვირიასა“ და ერთში — „ძალი ღვთისა, სამართალი კვირიასა“ და ღმერთი და დღე დღესინდელი¹¹.

ამრიგად, ამ ტექსტებში დღე დღესინდელი || მზე სულ ათჯერ არის დასახელებული, მასთანვე ყოველთვის ღმერთის შემდეგ, ე. ი. მეორე ადგილას და არც ერთხელ — მესამედ. რაც შეეხება კვირიას, იგი დასახელებულია ოცჯერ, ექვდან ჩვიდმეტ შემთხვევაში — ღმერთის შემდეგ და სამ ტექსტში — მესამე ადგილას. ერთი რამ მაინც ცხადია: როდესაც ტექსტში დასახელებულია დღე დღესინდელი || მზე, მას აუცილებლად მეორე ადგილი უჭირავს, კვირიას კი — მესამე; მაგრამ, თუ დღე დღესინდელი || მზე მოხსენებული არ არის, კვირია მეორე ადგილზეა; დასასრულ, არის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე ტექსტში ცალკე ღმერთია დასახელებული და ცალკე „ძალი ღვთისა“ — და მაშინ ღმერთს მოსდევს დღე დღესინდელი || მზე, ხოლო „ძალს ღვთისას“ — „ძალი კვირიასი“ ან „სამართალი კვირიასი“.

ამრიგად, ტექსტებში კვირია მზე-ქალზე ბევრად ხშირად მოიხსენიება. გარდა ამისა, სადაც ტექსტები მართლ ღმერთსა და კვირიას ასახელებენ, უკანასკნელი მუდამ მეორე ადგილზეა. ასევე, თუ ნახსენებია „ძალი ღვთისა“, „ძალს კვირიასას“ და „სამართალს კვირიასას“ აგრეთვე მეორე ადგილი მიეკუთვნება. მაგრამ, თუკი ტექსტში მზეც || დღე დღესინდელიც არის წარმოდგენილი და კვირიაც, პირველი უსათუოდ მეორე ადგილზეა, კვირია კი მესამეზე. ეს გაგრძობა თვალსაჩინოდ ხდის, რომ ტრიადისა და პანთეონში მზე-ქალს მეორე ადგილი ეკუთვნოდა, ხოლო ღვთაება კვირიას — მესამე. ასეთ დასკვნას ხევესურულ ღვთაებათა აღწერილობებში მოტანილი საღვთისმსახურო ტექსტებიც ადასტურებს (M2, გვ. 182, M3, გვ. 17).

ხალხურ რწმენათა გადმონაშთები და საღვთისმსახურო ტექსტები მიგვიჩვენებენ, რომ ღვთაებათა ტრიადისა და სავსე რთობა და მოსავლეთისა ქართველოს ყველა კუთხის მთიელებისათვის¹², თუმცა კი ამ მთიელებს შორის დადასტურებულ საღვთისმსახურო წარსათქმელებში ტრიადის მეორე წევრის ხსენება მხოლოდ-და ხევესურულსა და მთიულურ ტექსტებში გვევლინება: ხევესურულში მზისა თუ დღე დღესინდელის, ხოლო მთიულურში პირიმზის სახელწოდებით¹³.

ღვთაებათა ტრიადის შემდეგ თითოეული კუთხის მოსახლეობა თავის საერთო მფარველ ღვთის შვილს ახსენებდა. მაგალითად, ფშავლები ტრიადის შემდეგ, ე. ი. პანთეონის მეოთხე ადგილას, ათავსებდნენ თავის საერთო მფარველ ლაშარის ჯვარს¹⁴, ხევესურები — სრულიად ხევესურეთის მფარველ საღმრთო გუდანის ჯვარს¹⁵, მოხევეები — სრულიად ხევის მფარველს, რომელსაც ქრისტიანობის გავლენით სამება ანუ სამების ხატი დაერქვა¹⁶, მთიულეები და გულამაყრელები — თავის საერთო მფარველ ლომისას ხატს; ეს კია, რომ

¹¹ მასალები საქ. ეთნოგრაფიისთვის, I, გვ. 11, 13, 14, 16—19, 21—22, 24, 26—30, 33—34, 37.


¹² იქვე, გვ. 21 იძ. 22 ით, 24 კდ. 33 ი, 34 ია, 35 იბ, 36 იდ, 37 ივ, იზ.

¹³ იქვე, გვ. 34 ია, 35 იბ, ივ.

¹⁴ იქვე, გვ. 24 კდ, 33—34 ი.

¹⁵ იქვე, გვ. 26 ა.

¹⁶ იქვე, გვ. 36 იდ.



სადღესმსახურო წარსათქმელებში ლომისას ხატს შესაფერის აღწერას იხილეთ¹⁷.

რაც შეეხება სათემო ღვთაებებს, ჩვენს ხელთ არსებული სათანადო ფშავ-ხევსურული გადმონაშთური მასალა ამ ღვთაებათა შემდეგ თანმიმდევრობას ამჟღავნებს.


ფშავში სრულიად ფშავის ღვთაება ლაშარის ჯვარს მოსდევდა „თამარ აქიმ-დედუფალის“ სახელწოდებით შემონახული ქალ-ღვთაება, რომელიც სამი თემური ორგანიზაციის (გაბილაურთა, გოდერძაულთა და ჭიჩოველთა თემების) კავშირის მფარველად ითვლებოდა; მკურნალ ქალ-ღვთაების მომდევნო იყო ტერიტორიულ-თემური ორგანიზაციის მფარველი შემდეგი თერთმეტი ღვთისშვილი: უკანაფშავის თემის ღვთაება წყაროსთაული ხატი, წითელაურთ თემისა — კოტიას ხატი, ახადის თემისა — პირქუშის ხატი, ზოშარას თემისა — სახუთმეტოს ხატი (ანუ სახუთმეტო თავადი ძელის ანგელოზი), ჭიჩოს თემისა — პირცეცხლის ხატი, მუჭუს თემისა — მოჯარნადე ღვთისმშობლის ხატი, გოგოლაურთ თემისა — შშ. გიორგის ხატი, მათურას თემისა — მთავარ-ანგელოზის ხატი, შუაფხვის თემისა — იაკსრის ხატი, ცაბაურთ თემისა — ღუნკვე მამურთალი ანგელოზი და უძილაურთ თემისა — კოპალას ხატი. ამ ღვთაებებს უფროს-უმცროსობით მოსდევდნენ ცალკეული სოფლის თემებისა, გვაროვნულ თემთა და გვარების განშტოებათა თემური გაერთიანებების ღვთისშვილი.

ხევსურეთში ღვთისშვილთა რაოდენობა მეტი იყო და მათი იერარქიული დანაწილებაც უფრო რთული. სრულიად ხევსურეთის ღვთაება საღმრთო გუდანის ჯვარი ამავე დროს ხევსურეთის სამი ყველაზე მრავალრიცხოვანი (გადმოცემით ერთი წინაპრისაგან მომდინარე) გვაროვნული თემის — საარაბულოს, საქინჭარაულოს და საგოგოჭუროს, კავშირის, ე. წ. სამაგანძუროს მფარველად ითვლებოდა. საღმრთო გუდანის ჯვარს მოსდევდნენ სამაგანძუროში შემავალი საგვარეულო და გვარის განშტოებათა თემების მფარველი ღვთაებანი: საქინჭარაულოს საგვარეულო თემისა — ნაკარელა ღვთისმშობლის ჯვარი, საგოგოჭუროს საგვარეულო თემისა — ზიორგი კმელის გორისაი და საარაბულოს თემის განშტოებათა: საჩუჩაყუროს თემის მფარველი ღვთისშვილი პირქუშის ჯვარი და საბინინაგუროს თემის მფარველი ღვთისშვილი ზეისტეჩოს ჯვარი¹⁸. ამთ მოჰყვებოდნენ უფრო მცირე, სახელდობრ ცალკეული ხევების ანუ ტერიტორიული თემების მფარველი ღვთაებანი: ლიქოკის თემისა — კოპალა კარატის ჯვარი ანუ ლიქოკის ჯვარი, წყალსიქითი თემისა — დიდგორის ჯვარი და არხოტის თემისა — არხოტის ჯვარი. შემდეგ მოდიოდნენ შედარებით დიდი ხევშიგნითა და სასოფელთაშორისო, მომეტებულად მასთანვე საგვარეულო, თემების ღვთისშვილი: სასისაუროს თემის მფარველი კმალას ჯვარი, როშკიონთა ანუ საწიკლაუროს თემისა¹⁹ — მთავარ-ანგელოზის ჯვარი, ქმოსტელთა ანუ საბურდულოს თემი-

¹⁷ მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, I, გვ. 34 ია, 35 იბ.

¹⁸ ხევსურეთში გვარის ყოველი განშტოების თემური ორგანიზაცია მეტწილად ხაშაშო და ხაშო თემებისაგან შედგებოდა. საჩუჩაყურო და საბინინაგურო კი, როგორც ძველი ასეთი ორგანიზაციები, უკვე დიდი ხნისაგან ტერიტორიულ-თემურ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ და თითოეული მათგანი მრავალ ხაშაშო და ხაშო თემად იყოფოდა.

¹⁹ მოიცავდა შემდეგი ზეითი სოფლის: საკუთრივ როშკის, კილდემუს, ვარბანის, ყვრეტისა და ფაფარენას მოსახლეობას.



სა²⁰ — კობალა უნჯის ანგელოზი და თეთრი გიორგი მინდორისაი, კისტნის²¹ — კისტნის ნაჭარელას ჯვარი, მიცუელთა (||მუცოელთა)²² — მიცუს (||მუცოს) მთავარ-ანგელოზის ჯვარი, არდოტის თემისა²³ — ქალაურის ჯვარი და ბისო-ხახმატელთა²⁴ — ქაქმატის ჯვარი.

ამ ღვთაებებზე დაბლა იდგნენ რიგი სოფლის თემის ღვთის შვილები: შატლის თემისა — ანატორის ჯვარი, ატაბიონთა — ცვირაეს ჯვარი, ხახაბოელთა მფარველი—წყაროთგორული, უკანხადუელთა—სანების ჯვარი, საქისტაუროს თემისა — კობალას ჯვარი, ბლოელთა ანუ საგიგაუროს თემისა — მუხის გიორგის ჯვარი, კალთანელთა ანუ ქიბიშაურთ თემისა — სანების ჯვარი, კვირიწმიდელთა — მიჭიელ წყალშუის ჯვარი და ამლიონთა მფარველი — იაქსრის ჯვარი.

ამათ მოჰყვებოდნენ შედარებით მცირე სასოფელთაშორისო თემების ღვთის შვილები: დათვისის თემისა²⁵ — ღვთისმშობლის ჯვარი, უკანახოს თემისა²⁶ — ფუძის ანგელოზი, გუროს თემისა²⁷ — საღმრთო გიორგის ჯვარი, მინის მინდორის წმიდა გიორგის ჯვარი და გმირ-კობალეს ჯვარი, მალრან-ქობულთა²⁸ — ღვთისმშობლის ჯვარი, აკუშოელთა²⁹ სალოცავები—კობალეს ჯვარი, ღვთისმშობლის ჯვარი და წმინდა გიორგის ჯვარი და ბოჭვილოელთა³⁰ — ღვთისმშობლის ჯვარი.

უფრო ქვევით იდგნენ მცირე სოფლის თემების ღვთის შვილები, მაგალითად: ოხერხეველთა — გიორგი კმელისგორისაი, აქვიონთა—პირქუშის მოძმე, მოწმაოელთა — მთავარ-ანგელოზის ჯვარი, ხიტალიონთა — პეტრეს ჯვარი, ჩირდილელთა — გიორგი ოჭროს მშვილდისრიანი, ბარისახოელთა — კვირაე თელის ანგელოზი, ხორნაულელთა — ტიშენის ჯვარი და სხვ.

დასასრულ. პანთეონის ბოლო რიგებში მოქცეული იყვნენ სოფელშიგნითა საგვარო, საძმო და სამამო თემობრივ გაერთიანებათა ღვთის შვილები, მაგალითად: სოფელ კიმლას საგვარო თემების მფარველები: გაბურთ თემისა — მიჭიელ კარის მეზობელი და თეთრაულთ თემისა — გიორგი კარის მეზობელი; სოფელ ახიელის საძმო თემების მფარველნი: ქავთარ-ოჩიაურთ საძმოსი — ჯაქველი კმელისგორისაი, ცისკარაულ-ბადათა საძმოსი — მთის ვეშაგ წყაროსთავისაი და სოფელ ამლაში მცხოვრებთ ბერდიშვილ-ჩიგლათ საძმოსი — იაქსარ სევეტად ჩამოსული; სამამო თემთა სალოცავები: სოფელ

²⁰ აგრეთვე ხუთი სოფლისაგან შედგებოდა: საკუთრივ კმოსტისა, ღელისა, ღელისვაკისა, ილიისა და საბერწყესაგან.

²¹ ამ თემში საკუთრივ კისტნისა, კეჭუტისა და ღებანისკრის მოსახლეობა შედიოდა.

²² ამ თემსაც სამი სოფელი შეადგენდა: თვითონ მიცუ (ანუ მუცო), ხონე და ხონისქალა.

²³ აგრეთვე სამი სოფლისაგან შედგებოდა: საკუთრივ არდოტისა, არკილოსა და ანდაქისაგან.

²⁴ სოფლის თემები ბისო და ხახმატი შეადგენდნენ ერთი სასოფელთაშორისო თემს.

²⁵ თემი შედგებოდა სოფლების დათვისისა და საბილეს მცხოვრებთაგან.

²⁶ მოიცავდა ორ სოფელს: საკუთრივ უკანახოს და ლიფდას.

²⁷ ერთ თემად იყო სოფლები გურო და გიორგწმიდა.

²⁸ ამ თემში ერთიანდებოდა ორი სოფელი: მალრანი და ქობულთა.

²⁹ აკუშოელნი და კიბეზელნი ერთ თემად ცხოვრობდნენ.

³⁰ ასევე ბოჭვილო და კარწიფულთა ერთი თემის სოფლები იყვნენ.



ახილში ჩაბაკურთ მამისა—გიორგი ჯმელისგორისაი, სოფელკველში²¹ ჩათმამისა—რენის ჯვარი და სხვ.

ცნობებს სათემო თუ სატომო ღვთაებათა ამგვარ განწესებაზე პანთეონში გვაწვდის, უმთავრესად, ხალხური რწმენების გადმონაშთები. რაც შეეხება საღვთისმსახურო ტექსტებს — ხუცობანი და სადიდებელთანი, როგორც უკვე ითქვა, ტრიადის ღვთაებათა დიდების ფორმულით იწყება. ამათ შემდეგ ხუცობანი მოიხსენიება იმ ღვთის შვილის დიდება და ღოცვა, რომლის დღეობასაც იხდიდნენ ან რომლის სახელზედაც ამა თუ იმ სარწმუნოებრივ წესს ასრულებდნენ. ხოლო სადიდებელთანი ტექსტებში, ტრიადისა და ამ ღვთის შვილს გარდა, არაიშვიათად კეთილმეზობლურად განწყობილი თემისა თუ თემების სატომო და სათემო ღვთისშვილებსაც აღივსებდნენ. მაგრამ ხუცობასა და სადიდებელთანი, რომელნიც გარკვეულ ღვთის შვილთ მიეძღვნებოდა, ბუნებრივია, განურჩევლად ყველა სათემო და სატომო ღვთაებას ვერ მოიხსენიებდნენ და, მასასადამე, ამ წარსაბჭელებში ვერც ის აისახებოდა, თუ რა თანამიმდევრობით იყვნენ ისინი პანთეონში განლაგებული.

ზოგ ღვთის შვილს თავიანთ საღვთისმსახურო ტექსტებში მეზობელი კუთხის („ტომის“) მცხოვრებნიც იხსენიებდნენ. მაგალითად, ლაშარის ჯვარდასახელებულია არა მარტო შესაბამის ფშაურ წარსაბჭელებში, არამედ თუშურშიაც²², კაჭმატის ჯვარი, ზევსურული ტექსტების გარდა, მოიხსენიება ფშაურ, თუშურსა და მთიულურ ტექსტებშიც²³. კობალეს ჯვარს, ფშავ-ზევსურებს გარდა, თუშები და მთიულებიც²⁴ იხსენიებდნენ, ლომისას ხატს, მთიულურს გარდა, ფშაურსა და მოხევეურ ტექსტებშიაც ეპოულობთ²⁵. ამავე დროს თუშეთში ბევრგან იყო ნიშნები კობალეს ჯვრის, კაჭმატის ჯვრისა და სხვა სალოცავების სახელობაზე.

ადგილობრივ ღვთაებათა კულტის ასეთი გავრცელება მეზობელ თემებსა და ტომებში სხვადასხვა მიზეზით აიხსნება.

ჯერ ერთი, გავლენას ახდენდა გადასახლება. თუშეთში, სადაც ზევსურებსა და ფშავლებთან საერთო რამდენიმე ადგილობრივი ღვთაების კულტს გამოწმენდ, მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს ფშავ-ზევსურეთიდან მოსულები შეადგენდნენ. ძველი ჩვეულებით, ქართველები, სხვაგან თუ გადასახლდებოდნენ, თან გაიყოლებდნენ თავისი სალოცავიდან მუჭა მიწას, ნიშის (კოშკის) ნატეხსა თუ კენჭს, თასსა და ა. შ.; ამ წმიდა საგანს ისინი ათავსებდნენ საკულტო კოშკში, რომელსაც ახალ სამოსახლო ადგილას მამაპაეული ხატის სახელობაზე აგებდნენ. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფშავ-ზევსურების გადასახლება ერთ-ერთი იმ გზათაგანი იყო, რომლითაც მათი ღვთაებების კულტმა თუშეთში ფეხი მოიკიდა.

შემდეგ, ადგილობრივი კულტების გავრცელება სხვა კუთხეებში ძალმოძრებითაც ხდებოდა. როგორც კი დაპყრობითი ომი გათავადებოდა, გამარჯვებული დამორჩილებულ თემში თავისი ღვთაების სახელობაზე საკულტო კოშკს აგებდა. ამგვარ კონკრეტულ სათემო დღეობებში, როდესაც ხარკის აკრეფაც ხდებოდა — დამორჩილებული თემის რიგითი წევრების ხარჯზე

²¹ მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, I, გვ. 21 იმ, 22 ით, 24 კვ. 37 ივ.

²² იქვე, გვ. 33 ი, 35 იბ, 37 ივ, იხ.

²³ იქვე, გვ. 35 ივ, 37 ივ, იხ.

²⁴ იქვე, გვ. 33 ი, 36 იდ.

სრულდებოდა საღვთისმსახურო წესები დამყარობი ღვთაების სახელობაზე მეთემეთ აიძულებდნენ მისთვის შესაწირავი მიერთმობით, იქვე მიქონდნენ აკრფილი ხარკი და ა. შ.³⁵

ხევსურთა თქმულებებით, მათ ღვთის შვილებს — კობალას, მის მოძმე შუბნურსა და კაქმატის ჯვარს ხანგრძლივი ომების შემდეგ თუშეთი დაუმორჩილებიათ და თუშებისათვის ხარკი („ბეგარა“) დაუდევიათ³⁶. დასახელებული ღვთის შვილები, ლიქოკისა და ბისო-კაქმატის ტერიტორიული თემების მფარველებად ითვლებოდნენ და ამ თქმულებათა საგნადაც იმავე თემების დაპყრობითი ომები უნდა ვიგულისხმოთ. ცნობილია, რომ ხანგრძლივი ხალხური დღეობის — ათენგენობის, დროს ამ სათემო ღვთაებათა ჯვარიონნი დროშით თუშეთს მიდიოდნენ და იქ კობალას ჯვრისა და კაქმატის ჯვრის კოშკებთან ადგილობრივი მოსახლეობისაგან შესაწირავსა და ხარკს იღებდნენ.

დასასრულ, ზოგი ადგილობრივი ღვთაების კულტის გავრცელება მის მფარველობაში მყოფი თემის და ტომის გარეთ, შეიძლება, იმ მიზეზითაც მომხდარიყო, რომ მას, სხვა სათემო თუ სატომო ღვთაებებთან შედარებით, განსაკუთრებული ფუნქციები და ძლიერება მიეწერებოდა. ქვემოთ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ, მაგალითად კაქმატის ჯვარს, როგორც ნაყოფიერებისა და შვილიერების მიმნიჭებელსა და მფარველ ღვთაებას, თაყვანსა სცემდნენ არა მარტო ხევსურები და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქართველი მთიელები, არამედ მეზობელი არაქართველი ტომებიც. კერძოდ ქისტები.

ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ადგილობრივ ღვთაებათა თანმიმდევრობითი ადგილი პანთეონში დამოკიდებული იყო იმ სათემო ორგანიზაციათა მოსახლეობის რაოდენობასა და ეკონომიურ შეძლებაზე, რომელთაც ისინი მფარველობდნენ. საქმე იმაშია, რომ ეს ორი გარემოება განსაზღვრავდა თემის წევრთა შესაწირავსა და სავალდებულო გადასახადს სათემო სალოცავის სასარგებლოდ. ხოლო თავის მხრივ ამ შესაწირავ-გადასახადის მეტნაკლებობა, როგორც ადგილობრივ ღვთაებათა ფუნქციების განხილვისას ვნახავთ, განაპირობებდა შესაბამისი ღვთის შვილის ძლიერებას და, მაშასადამე, ადგილსაც, რომელიც მას პანთეონში ეჭირა.

როდესაც ამგვარ რწმენებზე ვმსჯელობთ, მხედველობაში უნდა ვიჭონოთ, რომ რეალურ სინამდვილეში სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზის გავლენით ზოგი თემური ორგანიზაცია აფართოებდა თავის საზღვრებს, მრავლდებოდა და ეკონომიურად ძლიერდებოდა, ზოგი კინდებოდა და ზოგიც სრულიად ისპობოდა — მას სხვა სათემო ორგანიზაცია იმორჩილებდა ანდა ფიზიკურად ანადგურებდა. ამ ვითარებას ესიტყვება ხალხური რწმენები, რომელთა თანახმად ოდესღაც ძლიერი ღვთის შვილი დროთა განმავლობაში შეიძლებოდა დაუძლურებელიყო თუ სულაც გამქრალიყო ან, პირიქით, პირველად სუსტი ძალამოსილი ღვთაება გამხდარიყო და პანთეონის სათემო ღვთაებათა პირველ რიგებში გამოსულიყო. ამრიგად, ამა თუ იმ ადგილობრივი ღვთაების ადგილი პანთეონში უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებული როდი იყო.

³⁵ ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემი, გვ. 501.

³⁶ ვ. ბარდაველიძე, სენური საგალობელი „ბარბალ დოლაში“, ენიშკის მოამბე, V—VI, თბილისი, 1940, გვ. 550.



თუ ამას ანგარიშს გავუწევთ, შეუძლებელია ყველა საღვთისმეტყველო ადგილობრივი ღვთაება და ასეთ ღვთაებათა უფროს-უმცროსობა განსაზღვრული პანთეონში იმთავინდელად მივიჩნიოთ.

მაგრამ ამ პანთეონის აღრიდანვე დამახასიათებელი თავისებურება ის პრინციპი უნდა ყოფილიყო, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ გადმონაშთებში ახლაც მიიკნება და რომლის საფუძველზედაც ადგილობრივი მფარველები შემდეგი თანმიმდევრობით წარმოგვიდგებიან: უფროს ღვთაებათა შემდეგ სატომო ღვთაებანი იღვწენ; მათ მოჰყვებოდნენ ყველაზე დიდი ტერიტორიულ-თემური ორგანიზაციების ღვთაებები, მათ — დიდი ტერიტორიული თემების ღვთისმშვილნი, ამ უკანასკნელებს — უფრო მცირე ტერიტორიულ თემთა მფარველები; ამაზე ქვევით იღვწენ დიდი სოფლის თემების ღვთისმშვილნი, მერე — მომცრო სოფლის თემების ღვთისმშვილნი და ასე შემდეგ, ვიდრე უმცირეს სოფელ შიგნითა სამამო თემების მფარველ ღვთაებებამდე, რომელთაც პანთეონის ბოლო რიგი ეკუთრათ.

ამრიგად, ჩვენთვის საყურადღებო პანთეონში შექმნილი იყო გრძელი იერარქიული კიბე, რომლის მაღალი საფეხურები უფროს ღვთაებათა ტრიადს ეკუთრა, დანარჩენებზე კი უფროს-უმცროსობის პრინციპით ადგილობრივი ღვთაებები იყვნენ ჩამოყალიბებული. ეს უფროს-უმცროსობა ღვთისმშვილთა შედარებითი ძლიერებით განიზომებოდა, რომელსაც, თავის მხრივ, თემის მოსახლეობის სიმრავლე, ეკონომიური შეძლებულობა და თავისი ღვთაების სამსახურის უნარ-ხალისი განაპირობებდა.


ღვთაებათა ბუნება. პანთეონის ყველა ღვთაება ანთროპომორფულ არსებად იყო წარმოდგენილი, თუმცა მას ამასთანავე მეტამორფოზის ძლიერი უნარი მიეწერებოდა. ზოგი გადმონაშთი გვეხმარება ნათელგყობ ცალკეულ ღვთაებათა ბუნება ქართველი ტომების რელიგიურ რწმენათა განვითარების იმ საფეხურზე, რომლიდანაც თვით ეს გადმონაშთური მასალა მომდინარეობს.

ხალხური წარმოდგენებით, პანთეონის თავღვთაების ციურ საბრძანებელს კარი ჰქონდა, რომელსაც ღვთისკარი ეწოდებოდა³⁷. დროდადრო პანთეონ-

³⁷ ღვთისკარი ხშირად იხსენიება საღვთისმსახურო წარსათქმელებშიც, რამდენადაც გადმონაშთური მასალით დაისვენება, მორიგე ღმერთი ცაში სუფევდა, დედამიწაზე იგი არ ჩამოდიოდა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიწა-წყალზე მას საკულტო ცენტრები არა ჰქონია; ამიტომ მისი კარიკმარტო ცად იყო. სატომო და სათემო ღვთაებათა შესახებ კი სხვა მდგომარეობა დასტურდება: ისინი დასადგურებული იყვნენ დედამიწაზე იმ ტომისა თუ თემის ტერიტორიაზე რომელსაც თითოეული მათგანი მფარველობდა; მათი სასურველი, ვ. ი. სალოცავი ნაგებობანი შესაბამისი ღვთაების კარსაც შეიცავდა.

საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეებს შორის არ არსებობს საერთო აზრი ურარტული პანთეონის ღვთაებათა კარის გაგებაში. ზოგის აზრით, ურარტულ ტექსტებში ღვთისკარად იგულისხმება კლდეში გამოკვეთილი ნიში (Б. Б. Пиотровский, История и культура Урарту, Ереван, 1944, გვ. 259, 275); სხვები ფიქრობენ, რომ ეს განსაკუთრებული საკულტო ნაგებობა ანდა — სალოცავია და ცისტეშ კლდეში გამოკვეთილი ნიშთან (И. М. Дьяконов, Заметки по урартской эпиграфике, Эпиграфика Востока, IV, М., 1951, გვ. 105; მისივე, Г. А. Меликишвили, Древневосточные материалы по истории народов Закавказья, I. Наир-Урарту, Тбилиси, 1954, ВДИ, № 2, 1956, გვ. 72); და ბოლოს, მესამენი ამტკიცებენ „ამ სახელწოდებით საკულტო ნაგებობის ძირითადი სახე-ტაძარი იგულისხმებოდა“ (Г. А. Меликишвили, Некоторые вопросы социально-экономической истории Наир-Урарту, ВДИ, № 4, 1951, გვ. 33).

ჩვენის აზრით, ქართული გადმონაშთური მასალა უსარგებლო არ უნდა იყოს ამ საღვთისმსახური ვადსაჭერად.



ნის ლეაბებანი ღვთის კარზე იკრიბებოდნენ; მორიგე ღმერთთაგან ნებართვით იქ ქაჩებსაც მიესვლებოდათ. ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით საყურადღებოა მთავარი ლეაბების ბუნების ამომხსნელი ხალხური რწმენა, რომ ღვთის კარზე შეკრება „მზის დაბრუნვისას“, ე. ი. მზის ჩასვლის ხანს ხდებოდა. ღვთის შვილთა მისვლა ღვთის კარზე მანცდამანც მზის ჩასვლის ხანს უდავოდ იმაზე მიუთითებს, რომ ხალხური წარმოდგენებით ღმერთი ღამის ცის ლეაბა, რომელიც ღამის მნათობის განსახიერება უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია, სათანადო ცნებას თვითონ ლეაბების სახელწოდებაც შეიცავდეს. ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევებით, ქართულ სახელწოდებაში ღმერთი თი ბოლოსართია, ხოლო ღმერთ-პირველად წყებითად ღამე რ, ღამარ სიტყვის ფუძეს წარმოადგენს³⁸. საფიქრებელია, იმავე ფუძისაა სიტყვა ღამე. რ ბგერის შეკვეცა თავს იჩენს ღმერთის სათავსართთან სახესხვაობაში: საღმთო³⁹ (<საღმართო). მაგრამ საკითხავია, სახელდობრ რომელ ღამის მნათობს განსახიერებდა გამოსაკვლევი პანთეონის უმაღლესი ლეაბა ღმერთი. ამის გაგება ხერხდება იმ მასალის საფუძველზე, რომელიც ადვილობრივ ლეაბათა, ე. ი. ღვთის შვილთა ბუნებას ნათელყოფს (იხ. ქვემოთ).

ტრიადისა და მასთანვე მთელი პანთეონის მეორე წევრის სახელწოდება მზე. მზე-ქალი თვითონვე მეტყველებს ამ ლეაბების ბუნებაზე და ხალხური რწმენებითაც მზე-ქალი მზის ქალ-ლეაბებად გვევლინება⁴⁰. ამრიგად, მზე, მზის ლეაბა დღის მნათობს ასახიერებდა და მღვდრობითი სქესის არსებად იყო წარმოდგენილი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა გვიანობამდე შენახული სალოცავები შედგებოდნენ წმინდა ზეგებისა და ნაგებობათაგან, რომლებიც ცოტად თუ ბევრად ვაგე ადგილას მდებარეობდნენ. ესენი იყვნენ: ა) საკულტო კოშკები — სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ნიშნები; ბ) ცენტრალური შენობა—ტაძარი (ჩვენამდე მან დარბაზის სახელწოდებით ოალწია, მაგრამ, როგორც ზოგი მონაცემით ირკვევა. პირველად, ურარტული ტაძრისთვის, სახლად იწოდებოდა), სადაც ლეაბების „წმინდა“ ნივთები ინახებოდა და საღვთისმსახურთა ცერემონიები იმართებოდა; აქვე დიდ დღეობებში იკრიბებოდა საბჭო—ლეაბების მფარველობაში მყოფი თემის მმართველობის უმაღლესი თეოკრატიული ორგანო; გ) სამეურნეო ნაგებობანი — ბეღელი, საქვამე ანუ სალუღე და საკოდე; დ) ნაგებობანი მომსახურე პერსონალისათვის — საბერო, სადაიასახლისო, სადასტურო და სხვ.; და-სასრულ, ე) ჯვარის კარი ანუ ხატის კარი, კერძოდ კი დარბაზის კარი და საქვამის სალუღის კარი.

ეს კარი წარმოადგენდა ხელთნერად დაგეობულ და გატკეპნილ ადგილს შესაბამისი ნაგებობის — დარბაზის ანდა საქვამის წინ. ხშირად მას სამი მხრიდან დაბალი უორე მქონდა შემოღობული და შიგნიდან ყორის გასწვრივ საჯდომად ქვები ელაგა. ზოგჯერ, მაგალითად, სრულიად ზევსურეთის სალოცავ საღმრთო ჭუდანის ჯვარში, კარის შუაგულში იდგა საკურთხეველი—დიდი ქვის ფილა, ქვისავე ფეხზე შეყენებული, ყორზე შიგნიდან მიდგმული იყო ნიში (კოშკი) და იქვე, ჯვარის კარის შიგნითვე რამდენიმე „წმინდა“ ზეხრდებოდა. მთელი რიგი სარწმუნოებრივი წესი დიდ დღეობებში დარბაზის კარზე სრულდებოდა, მცირე დღეობებში კი — სალუღის კარზე.

ჯვარის კარზე თემის მოსახლეობას მიჰქონდა ნყოფი სამსახურისა, რომელსაც მას ღვთის შვილისა და თეოკრატიული ზელისუფლების, ე. წ. ჯვარითნის წინაშე მართებდა.

³⁸ Н. Марр, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка. СПб, 1908, гл. 84; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბილისი, 1951, გვ. 81.

³⁹ ნ. ტრბნელი, ეთნოგრაფიული წიგნები, ჟურ. „ივერია“, 1887, № 158.

⁴⁰ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში ქალს გაუბოვარზე ამბობენ.



საღვთისმსახურო ტექსტები, როგორც ითქვამს, მზის ქალ-ღვთაების ქალღვთის დღესინდელადაც ასახელებს. გარკვეულია, რომ ქართული დღე, ზანური დღალღა (აღნიშნავს „დღეს“, ხოლო თავდაპირველად „მზეს“). ყაბარღვთული დღეა და ჩერქეზული ტტოლო („მზე“) იბერიულ-კავკასიური ენების საერთო ძირითად ლექსიკურ ფონდს ეკუთვნის⁴¹. რაც შეეხება დღესინდელს, იგი ხალხური გაგებით იგივეა, რაც „დღის დღისა“. ამრიგად, შესაძლებელია საღვთისმსახურო წარსათქმელებს პირველი სიტყვა მისი თავდაპირველი, ე. ი. მზის მნიშვნელობით შერჩენიათ, მეორე კი მათში დღის ახლანდელი მნიშვნელობით იხმარება და, მაშასადამე, მზის ქალ-ღვთაების სახელწოდება „მზე დღის დღისას“ ან, უკეთ „მზე დღისას“, ე. ი. („სალამოს მზის“ საპირისპიროდ) „დღის მზეს“ ნიშნავს.

მზექალს, როგორც უკვე აღინიშნა, საკუთარი, მუდამ მისი თანმხლები „ანგელოზები“ ყავდა. საფიქრებელია, ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების იმ საფეხურზე, რომელსაც ახლა ვიკვლევთ, „მზისმყოფი ანგელოზები“ დღის მნათობის სხივებს განასახიერებდნენ და პერსონიფიციკრებული იყვნენ ეგრეთ წოდებულ დობილებად.

ხევისურული რწმენის მიხედვით, დობილნი უთვალავი ერთგვაროვანი სულებია, რომელთაც მომეტებულად პაწია ბავშვის შესახედაობა აქვთ. ისინი თანსდევნენ მზის სხივებს და დილასადამოობით ეფინებიან მიწას, სადაც მას ამომავალი და ჩამავალი მზის სხივები ზოლად აშუქებენ. დობილნი უმთავრესად ქალებსა და ბავშვებს ემტერებიან. თუ ქალი ან ბავშვი მზის გეზი სხივებით განათებულ ადგილას გაივლის, დობილნი აედევნიებიან, ტანისაშოსსა და სხეულზე აეკრის, მუწუხებს უჩენენ, აწვალებენ და ხშირად ავადც ხდიან (M₁, გვ. 19—20)⁴². დობილებს ყოველ თემში ჰქონდათ თავისი „საბრძანისი“—ყორით ნაგები მეტად პატარა ზომის ნიში, რომელსაც დობილთკოშკი ეწოდებოდა. ამკოშკებთან და სათემო სალოცავებში მეთემეთა მიერ დობილთსახელზე მრავალი პაწაწინა მრგვალი კვერი იწირებოდა. ამგვარ კვერს აშალი ანუ ტოშლი ერქვა, ხოლო მათი შეწირვის წესს კი აშლის დაშლას ეძახდნენ. ერთ-ერთი ჯვარიონ თავანი, ჩვეულებრივ ჯვარის დასტური, ამათუ იმ ოჯახის მიერ მოტანილ აშალებს შეწირვის ნიშნად რაც შეიძლება მაღლა ისვროდა და თან შესაფერის ლოცვას იტყოდა; ძირს ჩამოცვენილ კვერებს ბავშვები აკრფდნენ და შეეჭყვოდნენ (M₆).

მასალის ნაკლებობის გამო უძველესი ტრიალის მესამე წევრის—კვირისას ბუნება საბოლოოდ გამოკრეული როდია. ამაში შეიძლება რამდენადმე დაგვხმარებოდა თვითონ სიტყვა კვირისას ეტიმოლოგია, მაგრამ იგი ჯერ დაუდ-

⁴¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950, გვ. 145—146; არნ. ჩიქობავა, ეტიმოლოგია ძველი ქართული ტერმინებისა „ბლუარი“, „სამხარი“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953, გვ. 69—70.

⁴² ჩვენი კორესპონდენტი ალექსი თიათური — ხევისურული რწმენებისა და წეს-ჩვეულებათა კარგი მცოდნე, შემდეგნაირად ავეიწერს ხევისურების წარმოდგენებს დობილთა შესახებ: „დობილნი მზის წვეთთ (ე. ი. მზის სხივებს) გამოყვებიან მზის ჩასვლისა და ამოსვლის დროს, ყველანი გამოიფანტებიან, დიდნიც და წვრილნიც, გავლენ „მინდორ“ (ე. ი. წელის პირად დავაკებულ ადგილზე) „საბურთალოდ“. ვინც კი აღამიანებოდა იმათში „გაბუვეის“, მას გადათელავენ და ავად გახდიან. დობილნი უფრო ემტერებიან ბავშვებს და ქალებს, ნაშა-კაცებს ვერაფერს უშავენ. „დობილში გაბუველს“ სიტყვის მისცემს, „ღუშთ გაოყვანს“, დაყვრის; ზოგჯერ ღვთის ბრძანებით სოფელს მოვლდიან „მზის წვეთთ მასვლის დროს“ და აჩენენ ავადმყოფობას და დოყვს“ (M₅, გვ. 57).

გენელია. უკანასკნელ ხანს სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა მტკიცებითი მოსაზრება, რომ ეს კავშირზე ურარტულ ღვთაება კუერასთან⁴². მაგრამ არც ბუნება, არც ფუნქციები ურარტული კუერასი და არც ამ სახელწოდების ეტიმოლოგია, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის.

საყურადღებოა, რომ კვირიას ეპითეტები: ხმელთმოურავი⁴³ და კარავიანი ამ ღვთაებას მიწურსამყაროსა და საცხოვრებელ ბინასთან აკავშირებს.

კარავი, ეპითეტ კარავიანის გარდა, ამ ღვთაების კულტთან დაკავშირებულ მითოლოგიურ წარმოდგენებსა და სარწმუნოებრივ წესებშიც ვლინდება. მთიულეთში ქართლის ხევის სოფელ ქალისოფლის ქრისტიანული საყდარი და მცირე მიწის ნაკვეთი მის გარშემო კვირაცხოვლის ხატის სახელწოდებით ღვთაება კვირიას სალოცავად ითვლებოდა. ეს ღვთაება და მისი სალოცავი დასახლებული ხევის ოთხი სოფლის თემური ორგანიზაციის გამაერთიანებელ ცენტრს წარმოადგენდა. კვირაცხოვლის ხატის მთავარი დღეობა კვირაცხოვლობას იცოდნენ. დღეობის წინაღეს ხატის დეკანოზები აგებდნენ ოთხ ეგრეთწოდებულ ფათელის ქოხს — ოთხი კარვის ჩონჩხს ფოთლოვანი ხის ტოტებისაგან. ხატში ღამისთევაზე ამოსულ სოფლელებს შემზადებული ქოხების მოსაბურავად თან ფარდავები მიჰქონდათ. თითო სოფელი თითო კარავი ბინავლებოდა, იმ ღამეს იქ ათევა და მეორე დღეს სოფლის სუფრაც იქვე იშლებოდა. ხალხის შეხედულებით ამ კარავების მოწყობა ხატში ძველთაგანვე დამკვიდრებული წესი ყოფილა (M7). მთიულეთის მეორე ხეობაში — ცხავატის ხევი კვირიას სახელობაზე ხალარჯობა სცოდნიათ. ეს დღეობა შაბათს — მთელი მთიულეთ-გუდამაყრის დღეობა ლომისობის წინადლით, იწყებოდა; შაბათ საღამოდან კვირიას სალოცავში ღამისთევა იმართებოდა და კვირას ნაშუადღევს დღეობა თავდებოდა. მოხუცი მთიულების მითოლოგიური შეხედულების თანახმად ხალარჯობის შაბათს მაღალი ღმერთი ნაშუადღევადან კარავს „გადმოდგამდა“ და კვირას ნაშუადღევს უკან „შეაბანებდა“. ხალარჯობაში დიდ უქმედ სწორედ ეს დრო ითვლებოდა — შაბათის ნაშუადღევადან მოყოლებული კვირის ნაშუადღევამდე. ოჯახი, რომელიც ამ დროს მუშაობას არ დაიშლიდა, უზარალოდ არ გადარჩებოდა, ხოლო თვით იმას, ვინც უქმეს გასტენდა, თვალები დაუშავდებოდა (M7).

მთიულთა სარწმუნოებრივი შეხედულებები ამჟღავნებენ კვირიას კავშირს არა მარტო კარავთან, არამედ ცეცხლთანაც ქართულთა რწმენით, როცა კვირიას ღმერთი დაეუბნებოდა კარავს, არამედ დასჯის მიზეზი თვითონ მისი ნაწყენობა იქნებოდა — ვთქვათ, მის სახელზე დაწესებული უქმე გატყდებოდა ან მასთან სხვა რამ დანაშაული მიუძღოდათ, მაშინ იგი ღამნაშავეთა სახლ-კარს თუ ჩალებს ცეცხლს წაუდებდა (M7). ვინც ღვთის კარზე მდგომ კვირიას გააჯავრებდა, იმას კვირიას ოჯახს დაუქცევდა და სახლობას გაუწყვეტდა. ვინც მის დღეობაში „სამუშაოდ ხელს გააქანებდა“, იმის ოჯახს ცეცხლს გადაუსევდა და გადაწვავდა (M7).

⁴² გ. მელიქიშვილი, მხვრ-კაპუსის ურარტული წარწერის ინტერპრეტაციისთვის, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. XIV, № 3, 1953, გვ. 176, შენიშვნა; Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, ВДИ, I, Москва, 1954, гв. 246; მისივე, Древневосточные материалы по истории народов Закавказья, I, Наир-Урарту, Тбилиси, 1954, გვ. 370, სტ. 2.

⁴³ ხ. ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები, უფრ. „ივერია“, 1897, № 158.



ასეთივე მრისხანე ღვთაებად ჰყავდათ წარმოდგენილი კვირიცა ცხენებულნი
საც. მათი რწმენით კვირიცა სახელით დაწყველილი კაცი უმპველად აღიღეს
პებოლა (M8).

დასასრულ, ყურადღებას იპყრობს საკითხის ტერმინოლოგიური მხარე.
სახელდობრ, სახელწოდება კვირიცა სიახლოვე სიტყვებთან კერა, კერიცა,
კვარი და კვერი, ე. ი. პური, რომელიც ძველად კერის ნაქარში ცხებოდა.
შეიძლება გადმონაშთურმა ეთნოგრაფიულმა მასალამ და ღვთაების ეპითეტებმა
გამართლონ კიდევ ამ ტერმინების სიახლოვე. ქართველ ტომებს შორის დამო-
წმებულია ჩვეულება, რომლის ძალითაც ცხოველს და რიტუალურ პურს იმ
ღვთაებისა და ქრისტიანული წმიდანის (ამ წმიდანების უკან მომეტებულად
ქრისტიანობამდელი სარწმუნოებრივი პერსონაჟები იფარებოდნენ) სახელს
არქმევდნენ, რომლის სახელობაზედაც იგი შეიწირებოდა. ასეთებია, მაგალითად,
სახელები: აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში ღვთისიაი — ღმერთისა-
თვის შეწირული ხარი, საქართველოს ბარში ბასილა — რიტუალური პური
წმ. ბასილის სახელობისა, ხოლო სევანებთან ფუსნაშა — ღვთაება ფუსნაშუს-
დიის სახელზე შეწირული ხარი, ღამარია — ღამარიის (წმ. მარიამის) სახელზე
შეწირული ძროხა, ბარბლშანუ ბარბულა — ქალ-ღვთაება ბარბოლ,
ბარბალ ანუ ქალ-ბაბარისათვის შეწირული შინაური ცხოველი, ქალბაბარ
— რიტუალური პური იმავე ქალ-ღვთაების სახელზე შეწირული და ა. შ. ამ
მაგალითების ანალოგიურად ადგილი შესაძლებელია კვერი იმ პურის თეო-
ფორული სახელწოდება ყოფილიყო, რომელიც ოდესღაც ღვთაება კვირიცა-
სთვის შეიწირებოდა. ამავე დროს ის გარემოება, რომ ადამიანთა დასაცხლად
კვირიცა ცეცხლს იყენებდა, შესაძლებელია მიუთითებდეს ამ ღვთაების გენე-
ტურ კავშირზე ცეცხლის კულტთან; თანაც თუ ანგარიში გაეწია კვირიცა ეპი-
თეტებს „ხმელთ მოურავი“ და „კარავიანი“, ეს ცეცხლი მიწიური, სახელდობრ,
კერის ცეცხლი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ სპეციალურმა ლინგვისტურმა ანალიზმა, რაც ქართველ ენათმეც-
ნიერთა კომპეტენციას შეადგენს, შეიძლება აღნიშნული ტერმინების კავშირი-
არც დაადასტუროს. მხოლოდ გადმონაშთური ეთნოგრაფიული მასალა კი, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ღვთაება კვი-
რიცა ბუნების საკითხი საბოლოოდ გადაწყდეს.

ეგრეთწოდებულ ღვთისშვილთა (იგივე ჯვარი, ხატნი), ე. ი. ტომობრივი და თემური ორგანიზაციების მფარველ ადგილობრივ ღვთაებათა
ბუნების ნათელსაყოფად ჩვენ შემდეგი მასალა გავაჩინა. მთიულები მეტეორი-
ტის („ვარსკვლავის“) ჩამოვარდნას „მესკლევის გათხოვებას“ უწოდებდნენ, ხო-
ლო გავრძელებულ შუქის კვალზე, რომელიც ამ დროს ჩანდა, მოხუცები იტყოდ-
ნენ „ხატმა გადაიარა“ (M7). იმავე მოვლენას ხევსურებიც ხსნიდნენ როგორც
„ჯვარის გადავლას“ (M4). ეს ხალხური შეხედულება, რომლითაც ადგილობრივი
ღვთაებანი ვარსკვლავთა განსახიერებად იყვნენ მიჩნეული, განსაკუთრებით
მკვეთრად საღვთისმსახურო წარსათქმელებში გამოხატულა. მაგალითად, ერთ-
ერთ ფშურ დიდებანში, რომელსაც ხევისბერი შესაწირავი ცხოველის
დაკვლის წინ წარმოთქვამდა, სხვათა შორის ასეთი სიტყვებიც იყო: „დიდება
ქვენი ძალს, ყველაწმიდა ანგელოზნო, ყველა ხთიშვილნო, სუ ერთურთის-

მოდე-მომენო⁴⁵, ხთვის და თქვენის მორიგის ნების ამსრულებელნო მკაცრულად
 ლავნო ცისანო, მოთანაქმენო ხთისანო და სტუმარ-მასპინძელნო ერთ-
 ურთისანო! გაქებთ, გადიდებთ! თქვენი გამჩენი ღმერთი არ მაგიწყენსთ, არ-
 მაგიძულბსთ, თქვენ თქვენს ყმათ ნუ მიიწყენთ, ნუ მაიძულბთ!“ (M9, გვ. 84).
 აქ, როგორც ვხედავთ, ლაპარაკია ღვთის შვილებზე, რომელნიც ციურ-
 ვარსკვლავებად ისახებიან და ერთმანეთის და-ძმად და სტუმარ-მასპინძლად
 იწოდებიან, ხოლო მეორე მხრივ, შემოქმედ მორიგე ღმერთზე, რომლის
 ნების ამსრულებლებად ეს ღვთის შვილნი ითვლებიან.

ხალხური რწმენის გადმონაშთები და საღვთისმსახურო წარსათქმელის ნა-
 წყვეტი, რომლებიც ჩვენ აქ მოვიტანეთ, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ
 ქართველთა სარწმუნოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე ღვთის-
 შვილნი ვარსკვლავებს განასახიერებდნენ.

თუ ეს ვარაუდი სწორია და გამოსაკვლევი პანთეონის ადგილობრივი ღვთა-
 ებანი მართლაც ვარსკვლავებს განასახიერებდნენ, მაშინ მორიგე ღმერთი,
 რომელიც წარმოდგენილი სარწმუნოებრივი გადმონაშთების მიხედვით ღამის
 მნათობის ღვთაება გამოდგა, პანთეონის განვითარების იმავე საფეხურზე მთვა-
 რის განსახიერება უნდა ყოფილიყო. მარტო მთვარეს, თვალად ყველაზე დიდს
 ღამის მნათობთა შორის, თუ ჩასთვლიდა ხალხი ღვთის შვილთა მამად, მათ
 გამჩენად და მას იმ უზენაეს არსებად დასახავდა, რომელსაც ვარსკვლავნი, ვი-
 თარცა მისი შვილები, გვერდში უდგნენ და მხარს უჭერდნენ („მოთანაქმედ“
 ჰყავდნენ).

V. V. Бардавелидзе

ОДНА ИЗ ДРЕВНЕЙШИХ СТУПЕНЕЙ РАЗВИТИЯ ПАНТЕОНА АСТРАЛЬНЫХ БОЖЕСТВ ГРУЗИНСКИХ ПЛЕМЕН

Резюме

Анализ пережиточно-этнографических материалов, собранных автором за последние тридцать лет среди горцев Грузии Восточной Грузии, выявила определенную ступень развития древнегрузинского пантеона астральных божеств. На этой ступени развития в пантеоне имелись двоякого рода божества: старшие, составлявшие великую триаду (Мори-ге Гмерти — бывший главой пантеона и олицетворением луны, Мзе-кали или Дге дгесиндели — богиня солнца и Квириа — астральное божество, первоначально, возможно, олицетворявшее земной огонь), и младшие, бывшие местными божествами, покровителями племенных групп и общинных организаций.

⁴⁵ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებს შორის, კერძოდ, ხევსურებში, დამოწმებულია საქრალური ენა ჯვართ ენად წოდებული. ასე ეძახდნენ მევენეთა მიერ ადგილობრივი ღვთაებების სახელით წარმოთქმულ ჰადავობას. ჯვართ ენის მრავალი სიტყვა და გამოთქმა საღვთისმსახურო ტექსტებში შევიდა. ასეთია „მოდე-მომენი“, სიტყვა, რომელიც აქ ჩვეულებრივი მნიშვნელობის — დობილ-ძმობილის ნაცვლად, და-ძმას აღნიშნავს.



В небесном царстве господствовала строгая иерархия, в которой старшие и младшие божества располагались в пантеоне, создавая в нем длинную лестницу со множеством ступеней. При этом в мире местных божеств деление по старшинству обуславливалось не возрастным принципом, а степенью их могущества, которое, в свою очередь, определялось численностью и экономическим состоянием стех территориально-этнических групп и общинных организаций, покровителями которых эти божества считались. Автор полагает, что только общество с далеко зашедшей имущественной дифференциацией могло положить в основу иерархического деления своих божеств этот принцип экономической состоятельности населения.

გამოყენებული ხელნაწერები*

1. ვ. ბარდაველიძე, ხატის უკუფური მეურნეობა აღმოსავლეთ საქართველოს ქართული მთიელების ეთნოგრაფიული გადმონაშთების მიხედვით — წაკითხულია მოხსენებად ეთნოგრაფთა საკავშირო თათბირზე ლენინგრადში 1956 წლის მაისს.
2. ალ. ოჩიაური, არბოტის თემის დღეობები, 1938—1939 წწ. ხელნაწერი.
3. ალ. ოჩიაური, არდოტისა და ხაბაბოს დღეობები, 1939 წლის ხელნაწერი.
4. ალ. ოჩიაური, ხევსურული თქმულებები ღეთაებათა შესახებ, 1938 წლის ხელნაწერი.
5. ალ. ოჩიაური, ხევსურული დღეობები, 1938 წლის ხელნაწერი.
6. ვ. ბარდაველიძე, საქ. სახ. მუზეუმის 1929 წლის ხევსურეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური.
7. ვ. ბარდაველიძე, საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის 1945 წლის მთიულეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური.
8. არს. ონიანი, ქვემოსვანური თქმულებები, 1939 წლის ხელნაწერი.
9. ალ. ოჩიაური, ფშალური ხალხური დღეობები, 1946—1949 წწ. ხელნაწერი.

* შრომაში თითოეული ხელნაწერი აღინიშნება ამ სიის შესაფერისი რიგითი ნომრით, რომელსაც წინ უხის ლათინური ასო M (=Manuscriptum). ხელნაწერები დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

0. ნანობაშვილი

თბილისის დაბაბანები

(ეთნოგრაფიული მასალები ტყავის დამუშავების შესახებ)

ტყავის დამუშავება და გამოყენება თავიდანვე მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ადამიანის ცხოვრებაში. ჯერ კიდევ, განვითარების დაბალ საფეხურზე, მდგომ ხალხთა ყოფაში იგი გარკვეულ როლს თამაშობს და დიდად საჭირო საგანს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა პროფ. გ. ჩიტაიას მოსაზრება. იგი წერს: „უძველესი ხანის ადამიანისათვის სამოსლად უთუოდ ნადირის ტყავი უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მაგრამ ამასთანავე საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რომ ნადირის ტყავი სათანადო დამუშავების გარეშე (გაწმენდა, გაწკიპვა და სხვ.) შეუძლებელია გამოყენებული იქნეს. მაშინაც კი, როდესაც ტყავი მონდომებით გაწმენდილია ძარღვებისა და კუნთოვანი ნაშთებისაგან. ნოტიო ჰავაში ის სწრაფად ღვება, ხოლო ცხელ ჰავაში ისე ხმება, რომ მისი გამოყენება შეუძლებელია.“

რასაკვირველია, პირველყოფილი განვითარების საფეხურზე მყოფი ადამიანისათვის არ იყო ადვილი საქმე უხეში, ტლანქი ტყავი ელასტიური და რბილი შექმნილიყო, მაგრამ დაკვირვებამ, გამოცდილებამ დაგროვებამ, შრომით ჩვევების გამომუშავებამ ადამიანს მისცა შესაძლებლობა ამ მიზნისათვის მიეღწია. საუკუნეების მანძილზე მან შეითვისა ტყავის შებოლება (სინესტისაგან დაცვის მიზნით). დალეკვა (ვიდრე ხიმურს გამოიგონებდა კბილებით ღეჭავდა), გაპოხვა, გაწკიპვა და შეღებვა (ხის კანის საშუალებით).

თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არ არსებობს არც ერთი ისეთი პირველყოფილი ადამიანი, რომელიც მეტნაკლებად არ იცნობდეს ამა თუ იმ სახის შედაბღობასო¹.

ერთი სიტყვით, ტყავი ის მნიშვნელოვანი მასალა იყო, რომელმაც ძველიდანვე ფართო სახმარი მნიშვნელობა მოიპოვა და მრავალი დანიშნულებით იქნა გამოყენებული ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში. იგი იხმარება ფეხსაცმელტანსაცმელად, სხვადასხვა ხასიათის კურკლად, საბრძოლო საჭურველად, საწერ მასალად და სხვ.

როგორც წერილობითი ლიტერატურული წყაროები, არქეოლოგიური ძეგლები და ეთნოგრაფიული მონაცემები ადასტურებენ ტყავისაგან დამზადებული საგნების გამოყენებას საქართველოშიც დიდი ხნის ისტორია აქვს.

¹ გ. ჩიტაია, წინასიტყვაობა ი. ციციშვილის წიგნისათვის: მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბილისი, 1954, გვ. 3.



საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩენილია ტყავის ლანჩები, წამოსასხამი და სხვა საგნები, რომელთა შესახებ ვ. ა. III—II სს. თარიღდება².

ტყავის დამუშავებას და გამოყენებას საქართველოში რომ დიდი ხნის ისტორია აქვს ამასვე ადასტურებს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული ტყავისაგან დამზადებული მეტად მრავალფეროვანი, ნაირსახოვანი ფორმისა და დანიშნულების საყოფაცხოვრებო საგნები. საქართველოში ძველთაგანვე ცნობილია აგრეთვე ტყავის გამოყენება ეტრატის სახით. ეტრატზე დაწერილი წიგნების საუცხოვო ეგზემპლარები შენახულია ამავე მუზეუმის ხელნაწერთა ინსტიტუტის სეიფებში.

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებობს ტყავის გამოყენებისა თუ დამუშავების ხალხური და შინამრეწველური ხასიათის მრავალფეროვანი წესები, რომელთა შესწავლასა და გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით.

სათანადო ლიტერატურის მიხედვით მტკიცდება, რომ „საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში — როგორცაა თბილისი, ახალციხე, ახალქალაქი, თელავი³, გორი, სიღნაღი⁴, სენაკი და სხვ. ტყავის დასამუშავებელი სპეციალური სახელოსნოები — დაბახანები არსებობდა⁵. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ დაბახანები აღმოსავლეთ საქართველოში: ს. ველისციხეში (გურჯაანის რაიონი), გურჯაანსა და ს. ქვემომაჩხაანშიც (სიღნაღის რაიონი) ყოფილა.

ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგანს წარმოადგენს თბილისის სინამდვილეში ტყავის დამუშავების — დაბალობის შინამრეწველური წესები.

აღსანიშნავია, რომ საერთოდ ტყავის დამუშავებას საქართველოში, კერძოდ, თბილისელი მედაბლეების საკითხს უშუალოდ ჯერაც არავინ შეხებია.

ზ. ჭიჭინაძემ ერთ-ერთ თავის ნაშრომში⁶ საკმაო ცნობები მოგვცა თბილისის ხელოსნების შესახებ და დაბახანებსაც შეეხო, მაგრამ მისი ეთნოგრაფიული დახასიათება მას არ მოუღია.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი მასალა თბილისელი მედაბლეების შესახებ ნ. ბადრიაშვილმა წარმოგიდგინა⁷, იგი პრესაში სათანადოდ აშუქებდა თბილისელი მედაბლეების წარსულ სამეურნეო და სხვა მხარეებს⁸.

„სადაც მტკვარს უერთდება წავისის ანუ დაბახანას ლეღე და ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმული დგანან გოგირდის აბანოების გუმბათოვანი სახურავე-

² ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, არმაზის ხევის არქეოლოგიური ძეგლები, 1937—1944 წწ. გათხრების მიხედვით, თბილისი, 1955, გვ. 75, 89.

³ ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ისტორიიდან, „მეცნიერება და ტექნიკა“, № 10, 1957.

⁴ ი. ნანობაშვილი, „კოლმურწე“, № 29, 1957.

⁵ ვ. მშველიძე, ტყავის მრეწველობის განვითარება საქართველოს სსრ-ში და მისი ეკონომიკის ძირითადი საკითხები (მანქანაზე ნაბეჭდი), 1955, გვ. 167.

⁶ სანდალა (ფსევდონიმი), ი. ნ.), საქართველოს მუშა და ხელოსან ხალხის ცხოვრების ისტორიის მასალები, ტომი I, თბილისი, 1926.

⁷ Н. И. Бадриашвили, Тифлис, от основания города до XIX в., Тифлис, 1934.

⁸ ნ. ბადრიაშვილი, გაცენათ თბილისის წარსულს, დაბახანა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1957, № 27 (6287).

ში აქ ოდესღაც დასახლდნენ თბილისის პირველი მოსახლეები მეტეორელები⁹ მეტევეეები (დაბალები). ამიტომ ამ უბანს აბანოების რაიონში დროთა განმავლობაში ეწოდებოდა „დაბახანა“, ე. ი. ტყვეულის რიგი⁹.

ჩვენ მიერ შესწავლილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დგინდება, რომ თბილისელ, მედაბლები საქონლის ტყავს დიდი ხნის განმავლობაში თრიშლის საშუალებით ამუშავებდნენ, მაგრამ როგორც სათანადო ლიტერატურის მიხედვით ირკვევა ზემოთ დასახელებული ადგილები „დაბალებს“ იზიდავდა თბილი გოგირდოვანი წყაროებით, რომლებიც მთრბილავ ნივთიერებათა აღმოჩენამდე ოდითვე ცნობილი იყო როგორც საუკეთესო საშუალება ტყავის დასარბილებლად და გამოსაყვანად¹⁰.

თბილისის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო მითავითვე საგანგებო პირობებს ქმნიდა როგორც მესაქონლეობის განვითარებისათვის, ისე საქონლის ტყავის დასამუშავებლად. ამან განაპირობა მდიდარი ტრადიცია მედაბლეობისა. „ამიტომ იყო რომ უკანასკნელ დრომდე, ორი ათასი წლის განმავლობაში, მედაბლეობის მხრივ თბილისი, ამიერკავკასიის ქალაქებს შორის, უზარმაზარ ცენტრად ითვლებოდა“¹¹.

თბილისელ ძველ გამოცდილ მედაბლეებთან გულდასმითი მუშაობის დროს გამოირკვა, რომ ამ ბოლო ხანებამდე, თბილისში ოთხ ადგილას იყო გამართული დაბახანა: „ორთაქალისკენ, ბაზრის მახლობლად, მდ. მტკვრის ნაპირზე, აქ ვინზე სიმბატოვს აბანო და იქვე დაბახანაც ჰქონდა მოწყობილი“¹². მათივე სიტყვით, ეს დაბახანა თბილისში ყველა დაბახანაზე დიდი იყო. ამ დაბახანის პატრონი ძალიან შეძლებული ყოფილა. იგი ფართო „აღებ-მიცემობას“ აწარმოებდა და დიდი ქონებაც ჰქონდა. იმ დროის შესაფერისად, დაბახანის ეზოში მას ეკლესია აუშენებია.

რამდენადაც მაშინ მედაბლეები სახელოვან კაცებად ითვლებოდნენ და მათი საქმე მოსახლეობაში სიმპათიით სარგებლობდა, მორწმუნეების ფიქრით: „დაბახანის ამ ეკლესიას ჩვეულებრივ ეკლესიასთან შედარებით მეტი ძალა გააჩნდა“. როგორც მოხრობელთა ჩვენებიდან ირკვევა, დაბახანის ეკლესია, უმთავრესად, სათანადო მსხვერპლის შეწირვის შემდეგ „უშვილოებს შვილიერებას ანიჭებდა“. მსხვერპლი იმაში მდგომარეობდა, რომ უშვილო ქალს აქ მიჰყავდა ერთი ფრთა ქათამი, მიჰქონდა სანთელი და სხვა შესაწირი. „ეკლესიაში, რომ მივიღოდა, ეკლესიას ჩოქვით შემოუვლიდა. ამის შემდეგ ქათამს კარის წინ დაკლავდა და შეავედრებდა თავს“.

მეორე დაბახანა აღნიშნული დაბახანის გვერდზე ყოფილა. იგი რამდენიმე შეძლებულ კაცს ეკუთვნოდა.

მესამე დაბახანა, იმავე მოხრობელის ჩვენებით, თბილისში ე. წ. თათრების აბანოს გვერდზე არსებობდა.

მეოთხე დაბახანა მოწმდება თბილისის იმავე უბანში „უხლანდელ სამკერვალო ფაბრიკის ახლოს, ბაღის პირდაპირ. მას „საკიანის დაბახანას ეძახოდნენ“.

⁹ ნ. ბადრიაშვილი, დასაბ. წერილი.

¹⁰ იქვე.

¹¹ Н. И. Бадриашвили, Тифлис, от основания города до XIX в., Тифлис, 1934, стр. 11—12.

¹² ქვემოთ ბრტყალებში მოთავსებულ სიტყვებს თუ სათანადო მითითება არ აქვს, იგულისხმება, რომ ხალხური.



საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელი ახალი ტექნიკური გაუმჯობესებული ტექნიკური 1957 წლის მაისის თვემდე განაგრძობდა არსებობასა და მუშაობას (მასწავლებლის დამუშავების ზოგიერთი ძველი წესი სრულყოფილად იყო შემონახული (სურ. 1).



სურ. 1

ჩვენ მიერ (თბილისი, თელავი, სიღნაღი) შეკრებილი ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ საერთოდ დაბახანები წყლის სიახლოვეს, წყაროსთან და მოსახლეობისაგან მოშორებით შენდებოდა. დაბახანის მუშაობას დიდი რაოდენობის წყალი ჰქონდა. დაბახანაში მიტანილ ტყავს დასველება უნდოდა, რომ მასზე დარჩენილი კუნთოვანი ნაწილები გასქელებულიყო და ადვილი მოსაშორებელი გამხდარიყო. დაბახანა თუ წყაროს წყლის მახლობლად იქნებოდა გაშენებული, ეს კიდევ იმისათვის იყო საჭირო, რომ ტყავები დაბახანის თაღებში ფეხით მუშავდებოდა და წყაროს წყალი შეღებებით თბილი იქნებოდა და ტყავზე მომუშავეს ის ძლიერად ვერ დააძრობდა ფეხს, რომ მომუშავეისათვის მუშაობის დროს ხელი არ შეეშალა. ამ მოტივით იყო გამართლებული აგრეთვე თუ დაბახანას აბანოების სიახლოვეს გააშენებდნენ. აბანოების წყალი მეორე მხრივაც იყო მნიშვნელოვანი: მუშაობისას თქმით: აბანოს წყალს ურევია გოგირდი, ცხიმი, საპონი და სხვ. და ხელს უწყობდა დამუშავებისა და გამოყვანის საქმეს.

რაც შეეხება იმას, რომ დაბახანა მოსახლეობისაგან შორს მანძილზე უნდა ყოფილიყო, ამას ის გარემოება აიძულებდა, რომ ტყავს დამუშავების პროცესში ჰქონდა ბევრი ნარჩენი, რომელსაც ხანდაზმულობის შემდეგ ცუდი სუნით ახასიათებდა, და, რომ ამ სუნს მოსახლეობა არ შეეწუხებინა დაბახანა მოსახლეობისაგან საკმაოდ მანძილით უნდა დაეშორებინათ.

დაბახანის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით ერთ გარემოებაზე კიდევ უნდა მივითითოს. საქმე იმაშია, რომ გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემისა დაბახანისათვის დაქანებული ადგილიც იყო საჭირო. ამას კი ის საჭიროება მოითხოვდა, რომ ტყავის დამუშავების შედეგად დარჩენილი კუნთოვანი ნაწილები ხევში იყრებოდა და მდინარისა თუ ერთდროულად ბუნებრივი წვიმის შედეგად მიღებულ წყალს ადვილად წაეღო დაბახანის მიდამოებიდან.

„თბილისელ ძველ მცხოვრებლებს ახსოვთ, რომ დაბახანა იყო თბილისის ყველაზე საშინელი და მიყრუებული ადგილი. იქ სახლობდნენ ძირითადად დარიბი სპარსელები და თურქები, რომლებიც მომსახურებას უწევდნენ აბანოებს,

მისდევდნენ სხვადასხვა ხელობას და წვრილ ვაჭრობას. ქალაქის ხელისუფლებამ ბი გულგრილად ეკიდებოდნენ ქალაქის ამ უბანს, სადაც გამეფებულისძეგთ-ხრჩოთქქს ლატაკე და ანტისანიტარა.

დაბახანის რაიონში განსაკუთრებით საზიზღარი იყო სუმბათოვის ქუჩა (ამჟამად ფატალი ახუნდოვის ქუჩა)¹².

თბილისის დაბახანის შენობა წინათ ერთი და ორსართულიანიც ყოფილა. დაბახანის ერთსართულიანი შენობის ბანი ასფალტით ყოფილა გადახურული. ასფალტით გადახურული უფრო იმიტომ, რომ ასეთს მედაბლები ტყავების გასაშრობად ხმარობდნენ. უფრო მაშინ როდესაც საგანგებოდ დაბახანის ეზოში უადგილობის გამო ხეებით ტყავის გასაშრობად სპეციალურ მოწყობილობას ვერ აგებდნენ.

ჩვეულებრივ დაბახანის შენობას სამი განყოფილება ჰქონდა. ერთი იყო ტყავების დასამუშავებელი ადგილი, სადაც ერთგვარად ტყავის პირველადი დამუშავება წარმოებდა. მართალია, თბილისის მედაბლები სულ ადრე ტყავებს მდ. მტკვარში ასველებდნენ და ალბობდნენ, მაგრამ დროთა ვითარებაში საქმის გაუმჯობესების მიზნით, თიხის თაღები შემოიღეს და საამისოდ ამას ხმარობდნენ.

დაბახანის მეორე განყოფილებას სანაცრე ერქვა. ამ განყოფილებაში ძველად ტყავებს ნაცარს აყრიდნენ, წვერწამახვილებულ კეტს უსვამდნენ და ბეწვებს ისე აცლიდნენ.

მესამე განყოფილებას სათრიმლავი განყოფილება ეწოდებოდა. იქ ხდებოდა ტყავების დათრიმლვა. დათრიმლვა ტყავის დამუშავების ერთი აუცილებელი პირობა იყო. „თრიმლი ტყავს ასქელებდა, ფერს აძლევდა და გამძლეობას მატებდა“.

თუ დაბახანა ორსართულიანი შენობისაგან შედგებოდა, მაშინ შენობის ქვედა სართული სამუშაოდ იყო განკუთვნილი, ხოლო ზედა—ტყავების გასაშრობად გამოყენებული.

თრიმლი საქართველოში ბევრ ადგილას იზრდებოდა. იგი „ხრიოკ“ ადგილებში უფრო კარგად გვარობდა და თბილისის მიდამოებშიც მოიპოვებოდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადგილებს შორის ყველაზე კარგი ზემოქედში (წითელწყაროს რაიონი) ს. არხილოსკალის მიდამოებში მოდიოდა. „იქაური თრიმლი იმდენად ხარისხივანი ყოფილა, რომ ის საზღვარგარეთაც კი გაჰქონდათ“ (სურ. 2).

სპეციალისტი თრიმლის დამამზადებლები თრიმლის ფოთლებს აგროვებდნენ, კარგად ამზობდნენ. ადგილზე ნაწილობრივ ბეგავდნენ. მიჰქონდათ სპეციალურად მოწყობილ თრიმლის წისქვილში და საგანგებოდ ფქვავდნენ.

თბილისის დაბახანების ეთნოგრაფიულ აღწერილობა-დახასიათებასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს აქვე არსებული თრიმლის საფქვავე წისქვილების გათვალისწინება და მათი სათანადო შესწავლა.

თავის დროზე ტყავის დამზადებას თბილისში, როგორც აღინიშნა, დიდი ადგილი ჰქონდა დათრიმლი. გასაღებაც ფართოდ ხდებოდა. ტყავის დამუშავების საქმეში დიდ როლს თამაშობდა თრიმლი. ამასთან დაკავშირებით, საჭირო იყო, ცხადია, თრიმლის მოპოვება და მისი სათანადო დამუშავება. თრიმლზე

¹² ნ. ბადრიანი, „საზღვარდა კომუნისტი“, 1957, № 27 (6287).



დიდ მოთხოვნილებას დაკმაყოფილებას სათანადო საწარმოები უნდა მოეწყოს, რომ ის გადამუშავების შემდეგ ტყავზე დასათრიმლავად გამოიყენოს. როგორც ეთნოგრაფიული ცნობები ადასტურებს, თბილისში რამდენიმე თრიმლის საფეკვაი წისქვილი ყოფილა.



სურ. 2

პირველი თრიმლის საფეკვაი წისქვილი აგებული ყოფილა ეხლანდელ შაუმიანის ქ. № 62, სადაც აქამად ფეხბურთის მოედანი შენდება. ეს თრიმლის საფეკვაი წისქვილი თურმე ეკუთვნოდა თბილისში დასახლებულ როლოვს. ამის შემდეგ ასეთი წისქვილი გაშენდა ბარათაშვილის სახელობის ხიდის ახლოს. ეს უკანასკნელი წისქვილი ხანძრის შედეგად დამწვარა და მის მებატრონეს ახლა შაუმიანის ქ. № 47 ეზოში გაუშენებია სხვა წისქვილი“.

მესამე წისქვილი მუშაობდა „ხარფუხში“. მიასნიკოვის ქ. № 68, სადაც აქამად ძველი თრიმლის საფეკვაი წისქვილის შენობაში ინვალიდთა არტელ „გამარჯვებას“ საფეიქრო მრეწველობაა.

მეოთხე — თვით დაბახანის ეზოში იყო აშენებული. ეს დაბახანა მდებარეობდა „ორთაქალისკენ მიმავალ ბაზრის მახლობლად მდ. მტკვრის ნაპირ-სიმპატოვის დაბახანასთან. დაბახანაც მისი იყო, წისქვილიც იქვე ჰქონდა, აბანო და ეკლესიაც“.

კულტურის ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ შეგროვილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით თბილისში თრიმლის საფეკვაი წისქვილები, ტექნიკურ გაუმჯობესებათა საფუძველზე, ორი სახისა ყოფილა. ერთი

ისეთი, რომელიც წყლით ამოძრავებდა თრიმლის საფქვავ საშუალებებს¹¹ და მათგან ერთ-ერთს — ელექტრო ძალის გამოყენებით „ტრიალბდა“.

ასე, მაგალითად: არმენაკა გრიგოლის ძე ვართანოვის თქმით „ბარათაშვილის ხიდის დასავლეთით, ხიდიდან 50—100 მეტრის დაცილებით მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ქუჩაზე ვითომ ყოფილა თრიმლის საფქვავი წისქვილი, რომელიც აღიხანოვს ეკუთვნოდა. იქვე ახლო მეორე და ხიდისაკენ კიდევ მესამეც მუშაობდა“. მისივე თქმით. ეს სამი წისქვილი „თბილისის დანარჩენი წისქვილებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ესენი წყლით მუშაობდნენ, ისინი კი ელექტრონით.

საფქვებელია. რომ საერთოდ თრიმლის საფქვავი წისქვილები საქართველოს ბევრ რაიონში უნდა ყოფილიყო, ჩვენ ჯერჯერობით ასეთს ვადასტურებთ თელავსა და სიღნაღში“.

თრიმლის იმ საფქვავ წისქვილებს, რომელნიც წყლით მუშაობდნენ, მოწყობილი ჰქონდათ დიდი ჩარხები. ჩარხებზე დამაგრებული იყო ღერძები, ღერძებზე — „მუხლები“. მუხლები თავის მხრივ ედებოდა ბოძებს და ბოძების დაბლა „ფილებში“ მოთავსებული თრიმლი იფქვებოდა. თბილისში კი, როგორც მთხრობელთა უმრავლესობის ჩვენებიდან ჩანს, თბილისის თრიმლის საფქვავი წისქვილები უკანასკნელად ელექტრონის ძრავებით მოქმედებდა. ხოლო მანამდე ვიდრე ელექტრონის ენერჯიას გამოიყენებდნენ, ძრავებს ე. წ. დიხელებს, ბენზინით ამოძრავებდნენ. წყლის თრიმლის საფქვავი წისქვილის მსგავსად ღერძზე დამაგრებული ჰქონდა „მუხლები“. მუხლი იყო ხოლმე რვა. მეტს მაინცა და მაინც არ უკეთებდნენ, რადგანაც ენერჯია იმდენს არ ეყოფოდა, რომ „მუხლებზე“ წამოდებული ბოძების მეტი რაოდენობა აემოქმედებინა. მხოლოდ ზოგჯერ იმის შესაძლებლობა იყო, რომ თითოეულ თრიმლის საფქვავ წისქვილში რამდენიმე ძრავი ყოფილიყო და თითოეულ ძრავს რვა ასეთი ბოძი ემუშავებინა.

ბოძები მუხის ან რცხილის ხისა უნდოდა. იგი ოთხკუთხი ფორმისა კეთდებოდა. თრიმლი ბოძების დაბლა, მუხის ან რცხილის ხისაგან გაკეთებულ ფილებში ეყარა. თითო ფილში, დავით ქრისტეფორეს ძე ტატიურის თქმით, თითო ფუთი თრიმლი ეყარა. იმისათვის, რომ ფილში თრიმლი მალე დაფქულიყო, ზოგი მეწისქვილე ბოძებს დაბლიდან ლითონის კბილებს უკეთებდა. იმ წისქვილში, სადაც კონსტანტინე გიორგის ძე გურაბანიძე მუშაობდა, როგორც გურაბანიძევე გადმოგვცემს „თითო ფილში ორ-ორი ფუთი დასაფქავი თრიმლი ჩადიოდა და იგი თითო საათს იფქვებოდა.

თბილისის თრიმლის საფქვავ წისქვილებში თრიმლი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდა დასაფქვავად: „შირაქიდან, უჯარმიდან, წყნეთიდან, ჭიათურისაგან“ და სხვ. ყველა თრიმლი თავისი ხარისხისა იყო. ყველაზე კარგი შირაქისა იყო, ტყავს არბილებდა, აპრილებდა, კარგ ყვითელ ფერს აძლევდა და ტყავიც გამძლე გამოდიოდა“.

დასავლეთ საქართველოს თრიმლი „ჭიათურისა ითვლებოდა ცოტა ბოში. ტყავი გვიან გამოჰყავდა და მეორე ნაირ თრიმლად ითვლებოდა“. მესამე რიგში თბილისის გარეუბნის — „ახლო-მახლო სოფლებიდან — კოჯრიდან, წყნეთიდან და მისთანა ადგილებიდან მოტანილი თრიმლი იყო“.

¹¹ ი. ნაღობაშვილი, op. cit.



საინტერესოა, რომ თბილისის თრიმლის საფეკვე ვისქვილებში მისი მკვლელობის შემდეგ რუსეთიდან მოტანილი თრიმლიც უფეკვეთ თურმე.

ალსანიშნავია აგრეთვე თბილისის თრიმლის საფეკვე ვისქვილებში რაიონებიდან თრიმლის მოტანის ორგანიზაციული მხარეც. მისნიკოვის ქ. № 68 ყოფილ თრიმლის საფეკვე ვისქვილში მომუშავე კონსტანტინე გიორგის ძე გურაბანიძის თქმით, როდესაც მისი დადგებოდა თრიმლის საფეკვე ვისქვილების მეპატრონენი ნუკრიანიდან, ბოდბისხევიდან, უჯარმიდან ხალხს დაიბარებდნენ (იქ ბევრი მეთრიმლეები იყვნენ, ისინი აქ თავის წარმომადგენლებს გზავნიდნენ), ვისქვილის პატრონს მოურიგებოდნენ და წარმოგზავნიდნენ როცა ადგილზე დაბრუნდებოდნენ, ხალხს შეაგროვებდნენ და თრიმლს დაამზადებდნენ. თრიმლი დამწიფებული უნდა ყოფილიყო. ფოთლებს ნორჩ ტოტებსაც აყოლებდნენ. ადგილზევე კალის მართავდნენ, ქვეშ ტილოებს უფენდნენ, რომ თრიმლს მიწა არ აპყლოდა. თუ მიწა აპყვებოდა თრიმლს ნაწილობრივ ძალა ეკარგებოდა. გააშრობდნენ, კარგად გამშრალს კეტებით ბეგვავდნენ იმდენად, რომ ფოთოლი და ყლორტები ერთმანეთში ირეოდა. ტომრებში ჩაყრიდნენ, ურემზე ან ფურგუნზე დაუდებდნენ და თბილისში ისე ჩამოიტანდნენ.

ვისქვილში მიტანილ თრიმლს მეწისქვილე შეიძენდა და სპეციალურად მოწყობილ ქეიტირის ამბრებში დაფეკამდე შეინახავდა. ასეთი ნაგები თრიმლის საფეკვე ვისქვილის თრიმლის შესანახავი ამბრის ნაშთები შაჟმიანის ქ. № 47 მდებარე, დღემდეა შემონახული. ეს უკანასკნელი ვისქვილი, როგორც ადგილზე მოხრობლებმა გადმოგვცეს, გიორგი გზირიშვილს ეკუთვნოდა.

ყველაგან ვისქვილებში თრიმლის დაფეკვის ასეთი წესი იყო ტრადიციით გამტკიცებული: ვისქვილებში ახლად მიტანილი თრიმლი ამბრებში ინახებოდა და „ცოტა-ცოტას“ ფეკავდნენ, რადგანაც ახლად დაფეკული თრიმლი, მედაბლეთების აზრით, უკეთესი იყო და ტყავი სათანადო გამოჰყავდა. ამიტომ თრიმლს ერთბაშად არა ფეკავდნენ; საჭიროების მიხედვით ვარაუდობდნენ და იმდენს აზნალებდნენ.

ეთნოგრაფიული მონაცემები იმასაც ადასტურებს, რომ თრიმლი მართო ტყავის გამოსაყვანად კი არ იხმარებოდა, არამედ „დაფეკულ თრიმლში ძალას ურევდნენ, ცოტას გააცხელებდნენ და საღებავად ისე იყენებდნენ“. გარდა ამისა, კონსტანტინე გიორგის ძე გურაბანიძემ ისიც გადმოგვცა, რომ „ირანიდან მოდიოდა ერთგვარი მცენარის თესლი (კიპარისის თესლსა ჰგვანდა), არც იმდენად ბევრი, მაგრამ თრიმლივით ვფეკავდით, მედაბლეთებს მიჰქონდათ და საზოგვის გამოსაყვანად ხმარობდნენ“-ო.

რადგანაც თბილისელ მედაბლეთებს ტყავის დამზადების საქმე ასე ფართოდ ჰქონდათ გაჩაღებული, ცხადია, ისინი სხვადასხვა სახის ტყავს დაამზადებდნენ, მაგრამ მინც ძირითადად ორნაირ ტყავის გამოყვანაზე მუშაობდნენ: ტუხსაცმლის საძირესა და საძირეზე. საძირე — მსხვილფეხა, ხოლო საძირე წვრილფეხა საქონლისა კეთდებოდა.

საძირე ტყავის დამზადება

დაბახანაში მიტანილ ტყავებს ერთ დღეს თაღარში ჩასხმულ წყალში ამყოფებდნენ. შემდეგ იქიდან ამოიღებდნენ და თოკებით მდ. მტკვარში ჩაჰკიდებდნენ. რამოდენიმე ტყავი თოკში ერთად იკვრებოდა და წყალში ისე თავსდებოდა. ერთი დღე რომ გავიდოდა იქვე, ახლა ტყავებს წყალში თითო-თითოს ჩაჰკიდებდნენ. ასეთი წესით ტყავი წყალში ერთი დღე კიდევ

იქნებოდა. იქიდან ამოიღებდნენ და ადრე მანგალით, ხოლო შემდგომ დასუფთავებდნენ (სურ. 3).

მანგალი და დემური (სურ. 4) ერთმანეთს ჰგვანდა. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ მანგალს შუა ადგილზე გამოწეული პირი ჰქონდა და ტყავზე მანგალი ხორცის ნარჩენებს ამ გამოწეული ადგილით აცლიდა, დემური კი მთლიანი იყო და მისი ყველა ნაწილი ერთნაირად მოქმედებდა¹⁵.




სურ. 3

ტყავს ნარჩენებისაგან გაანთავისუფლებდნენ და შემდეგ ისევ თალარში (იხ. სურ. 5) ჩაჰყრიდნენ, რომელშიაც წინასწარ დამზადებული იყო სიმინდის ან ქერის ფქვილისა და წყლის ნაზავი. „თითო ტყავზე ოთხი კილოგრამი ფქვილი და ერთი კასრი წყალი უნდოდა“. მასში ჩაყრილი ტყავი ერთი კვირა იქ-

¹⁵ მთბრობელი ძველი მედაბლე მარტინ ბაჩატურის ძე გეგოიანის თქმით, ძველად მანგალითა და დემურით ტყავზე გაცლილი ნარჩენები საკმაოდ ბევრი გროვდებოდა, ინახავდნენ, გადაარჩევდნენ, კარგად რეცხავდნენ, მთელი დღე ქვაბებში ადულებდნენ და ან გზით სადღურგლო წებოს ამზადებდნენ. გეგოიანმა ერთი დემური შემოწირა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს და ეთნოგრაფიის განყოფილებაშია დაცული.



ნებოდა. ორ დღეში ერთხელ ტყავებს სინჯავდნენ, რომ ხსნარი ტყავს ადგილს მოხვედროდა. როცა შეატყობდნენ, რომ ტყავს ბეწვებში ტყავებს თაღრიდან იღებდნენ ჩანგლებით (ჩანგალი ლითონისა იყო და ერთი-მეტრი სიგრძის ხის ტარი ჰქონდა გაკეთებული). ამოღებულ ტყავებს აშრობდნენ, ადრე ბეწვს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტყავზე ნაცრის დაყრის-



სურ. 4

საშუალებით აკლიდნენ. ხოლო ამ შემთხვევაში — „ნიზამით“. ნიზამი იგივე დემური იყო. მაგრამ პირი ნამეტანი ბლაგვი ჰქონდა, რომ ბეწვის გაცლის დროს ტყავი არ გაეჭრა.

საყურადღებოა, რომ თბილისელ ძველ მედაბლევებს თბილისის დაბახანებში ზოგჯერ ტყავზე ბეწვის გასაცლელად მტრედისა და ქათმის პატევი უხმარიათ.

ბეწვს რომ გააცლიდნენ, ტყავს იმავე ხსნარში ორი-სამი დღით კიდევ ამყოფინებდნენ, რომ „ტყავი ჯანზე მოსულიყო“. ამის შემდეგ თითო ტყავს 6—7 კილოგრამ მარილს დააყრიდნენ, დაკეცავდნენ და ისევ თალარში ჩააგდებდნენ, „ერთი დღე ასე რომ იქნებოდა, მარილი ტყავს თავის ჯანზე მოიყვანდა“. ამის შემდეგ ტყავს 10—15 წუთის განმავლობაში მარილწყალში დაზელავდნენ, რომ „ფქვილი ჯანიდან გამოსულიყო“. მთელ ამ პროცესს მედაბლევების ენით „ნამაქუ“ ერქვა.

მარილწყალში დაზელილ ტყავებს ისევ დემურით ასუფთავებდნენ (იხ. სურ. 6). ახლა შპრელი დანით გაწკიპავდნენ. ამ საქმეს კი „არუ“. ეწოდებოდა. „ნამაქუ“ და „არუ“ ერთად აღებული იყო „შორი“. ამის შემდეგ „ტყავი თრიმლში უნდა წასულიყო“.

თბილისელმა გამოცდილმა მედაბლევებმა კარგად იციან, რომ მარილი ტყავის გამოყვანისათვის ძალიან დიდხინის წარსულოდანვე იხმარება და ის ისეთ-



ვე აუცილებელი იყო თავიდანვე როგორც თრიმლი. მედაბლებთან მარისის პირველად გამოყენების შესახებ ერთი ასეთი გადმოცემა ჩვენს წიწურით: „უწინ ერთი მეტყავე ძალიან წვალობდა ტყავის გამოყვანაზე. იმდენს წვალობდა, რომ ბოლოს იძულებული გახდა ტირილი დაეწყო. ტირილი დაიწყო და თვალებიდან ცრემლები გადმოსცივდა. ცრემლები ტყავის გაფუჭებულ ადგილს დაეცა და ის ადგილი გათეთრდა. მეტყავეებმა წინასწარ იცოდნენ, რომ ცრემლებში მარილი ვრია. მიხვდა მოტირალი მეტყავე, რომ ტყავის გასაყეთებლად მარილიც იყო საჭირო და იმიერიდან მეტყავეებმა მარილის გამოყენებაც ისწავლეს“-ო.



სურ. 5

თითოეულ საქონლის საძირე ტყავს კირნარეც წყალთან ერთად 5—6 კილოგრამი თრიმლი სჭირდებოდა. საძირე ტყავი საპირესთან შედარებით სქელი იყო, რის გამოც მასი თხევით დახელება ძალიან ძნელი იყო. სამუშაო რომ ნაწილობრივ მაინც გადავიღებოდა. თალარს კედელთან ახლო ათავსებდნენ. მის გარდგარდმო კედელზე ზეგბს ამაგრებდნენ. მედაბლე ხელებით ხეებზე ეყრდნობოდა და ფეხით თალარში ტყავეებს ისე ზელავდა. ტყავი 3—4 საათის განმავლობაში რომ დაიზილებოდა. ერთი ღამე იქ დარჩებოდა. მეორე დღეს ერთ



საათს კიდევ ამუშაებდნენ“ და მერე დემურით გაასუფთაებდნენ. მარგალიტის ბულს კეტზე დაახვევდნენ და გაწურავდნენ. კვლავ თალარში ჩაავსებდნენ, იქნებოდა ორბირი“. დათრბილვა ტყავს სამჭერ უნდოდა — დღეში 1—2 საათით. თალარში თითო ტყავზე თითო კილოგრამ მარილს მოაკრიდნენ. ამას ისინი „კოდეს“ ეძახოდნენ. ასეთად შემზადებულ ტყავს წყალს მოასხურებდნენ და



სურ. 6

გასაშრობად ვაიტანდნენ. ერთი დღე-ღამე კეტებზე გაფენდნენ, დილით ნახავდნენ, თუ გამშრალი იქნებოდა ჯაგრისით გაასუფთაებდნენ. მრგვალი რიყის ქვით, რომელიც წინასწარ გამზადებული ჰქონდათ, ტყავს ნაპირებს გაუსწორებდნენ (გაუპრტყელებდნენ) და ხელახლა გააშრობდნენ.

უნდა ითქვას, რომ გამშრალი ტყავის რიყის მრგვალი ქვით გასწორება შემდგომ გააუმჯობესეს და ამ სამუშაოს თბილისელი მედაბლეები „ეთილის“ საშუალებით ასრულებდნენ. ეთილი ტყავს უფრო კარგად ასწორებდა და თან ლესავდა კიდევ. ამასთანავე — ტყავი ნაწილობრივ დიდდებოდა. ეთილი ტყავს სინესტესაც აცლიდა და ტყავი დიდხანს შესანახი ხდებოდა.

ეთილი წარმოადგენდა მრგვალად გამოჭრილ ხეს, რომელსაც წინ გამოშვერილი ნაწილი გააჩნდა. ზედ დამაგრებული იყო ხოლმე სპილენძის, მარმარილოს, მინის ან უბრალო რკინის ნაჭერი. როცა ტყავის გასწორება უნდოდათ, ორივე მხარეს ხელებს წაველებდნენ და გამოშვერილ ნაწილზე ხან ერთს და ხან მეორე მხარეს უსვამდნენ. გასწორებულ ტყავს ნაწილობრივ კიდევ გააშრობდნენ, დავეცავდნენ და შეინახავდნენ, რასაც საჭიროების შემთხვევაში იღებდნენ და გამოიყენებდნენ.

საპირე

რადგანაც საპირე და საძირე ტყავი სხვადასხვა საქონლისა და დანიშნულებისა იყო. უამზადებაც განსხვავებული ჰქონდათ. საპირე ტყავის გამოსაყვანად თბილისელი მედაბლეები კირს წყალში ისე გახსნიდნენ, რომ „მანონივით გამხდარიყო“. ასეთ ხსნარს ჯაგრისით ტყავს შიგნიდან უსვამდნენ. კირწყალს საპირე ტყავს ზამთარში 5—6, ხოლო ზაფხულში 3—4 დღე გასაშრობად ფენავდნენ. მზეზე დაფენილ ტყავებს დროდადრო შინჯავდნენ — ეცლებოდა თუ არა ბეწვი. ბეწვს ნაწილობრივ რომ გააცლიდნენ, ტყავებს კირწყალში ჰყრიდნენ. ჭურჭელს რაშიაც ტყავები ეყარა „აგდანი“ ერქვა. „ტყავები მასში თითო-თითო

იყო ჩაღაგებული, რომ კირი ყველას გასჯდომოდა“. ერთი-ორი დღის შემდეგ „ამოიღებდნენ და ორჯერ-სამჯერ კიდევ ჩააგდებდნენ“. ცოტა კი ჩააგდებდნენ მოუსჯამდნენ, ნიშანით გაასუფთავებდნენ და ახალ კირწყალში ჩააგდებდნენ. ორი-სამი დღის შემდეგ ისევ ამოიღებდნენ, ორჯერ-სამჯერ კიდევ ჩააგდებდნენ, იმდენად რომ დაახლოებით თხუთმეტი დღის განმავლობაში ტყავები კირში ყოფილიყო. „თხუთმეტი დღე ზაფხულობით, თორემ ზამთარში ოც დღეზე მეტი დრო უნდოდა“.

ამის შემდეგ ტყავი აუზში ჩასხმულ სუფთა წყალში ირეცხებოდა, რომ კირი „ჭანიდან“ გამოსულიყო. ამას ორი დღე სჭირდებოდა. კარგა რომ გასუფთავდებოდა ტყავი ეხლა „ფეჩქეშე“ უნდა გამოსულიყო“. ამას კი ოთხ დღიდან ათ დღემდე დროს ახმარებდნენ. შემდეგ ტყავებს ერთმანეთზე დაალაგებდნენ, ზედ ქაბოს აყრიდნენ იმ წესით, რომ ტყავის არც ერთი ნაწილი ქაბოს გარეშე არ დარჩენილიყო, ქაბო ტყავს ათობდა, „ისეთი ხდებოდა როგორც ცომი“. ბოლოს სუფთა წყალში გარეცხავდნენ, რომ „ტყავის ჭანიდან ახლა ქაბო გამოსულიყო“ და დასაბრუნებლად ისევ წაიღებდნენ.

თბილისელი გამოცდილი მეღაბღეების თქმით თითო ტყავს ორმოცი გრამი თრიმლი სჭირდებოდა. ერთ დღეს თრიმლში ჩაყრილ საპირე ტყავებს მეორე დღეს ამოიღებდნენ და დემურით გაასუფთავებდნენ, ეს პროცესი სამჯერ მეორდებოდა.

მესამედ ჩაყრილ ტყავებს დაამარილებდნენ (100 თხის ტყავს 10 კილო მარილს მიყრიდნენ) და ერთი საათის განმავლობაში ისე ამყოფებდნენ. შემდეგ ზსნარიდან ამოიღებდნენ და გააშრობდნენ. გამშრალს ჩალით გაწმენდავდნენ: ტყავიდან თრიმლის გასაცლელად „ეთილს“ ხმარობდნენ.

აიღებდნენ ძროხის მუცლის ქონს და ნაჭრებად დაჭრილს ადუღებდნენ იმდენს, რომ მისგან ქონი გამომდნარიყო. ქონი ჯაგრისით ესმებოდა. ქონი ისეთი ცხელი და „გაუნელებელი“ ყოფილიყო, რომ „თითი არ მიკარებოდა“. ხელი რომ არ დაწვოდათ ჯაგრისს ზევიდან ხის წასავლები ჰქონდა გაკეთებული. ქონს შიგნიდან ტყავს ისე უსვამდნენ, რომ „ბეწვის მხრიდან ქონს გაეყონა“. გაქონილ ტყავს ერთი საათით სუფთა წყალში ამყოფებდნენ, შემდეგ ამდენივე ხნით თრიმლით, რომ ქონი გამოსვლოდა. როცა შეატყობდნენ, რომ ტყავი სუფთა იყო ამოიღებდნენ, ცივ წყალში გარეცხავდნენ და შეღებავდნენ.

ზოგის თქმით თრიმლის გამოყენებამდე, თბილისელმა მეღაბღეებმა, ბროწეულის ხმარებაც იცოდნენ. „ბროწეულის კანს ახმობდნენ, მერე ფქვავდნენ, თბილ წყალში ურევდნენ და ტყავებს ისე ამუშავებდნენ“. ეთნოგრაფიული კნობები ადასტურებს, რომ როცა ტყავს ბროწეულის ქერქით თუ თრიმლით ამუშავებდნენ, ზომას გემოთი და სუნის მიხედვით ამოწმებდნენ. „ბროწეულის თავისი გემო და სუნი აქვს, თრიმლს — თავისი: თრიმლი ენას ამაგრებდა, როცა ენას ამაგრებდა ვიტამინებიც ბევრი ჰქონდა. ახლად გაკეთებულ თრიმლს კარგი აქვს, ძველს — დაკარგული“.

მეღაბღე პეტრე მკრტიჩის ძე გეგოიანი, 70 წლის (იხ. სურ. 6) გადმოგვცემს: „საპირე ტყავების შეღებვა ძალით ხდებოდა. საძალე მიწა ერეგნის რკინა-გზის ალავერდის სადგური რომ არის, იქ იყო. მიწა ურმებით მოჰქონდათ (ერთი ურემი მიწა ერთ წელს გვეოფნოდა). მიწას კასრებში ვყრიდით და წყალს ვასხამდით. მიწა ქვეშ დაილუქებოდა, ზემოდან წყალი კი როგორც თეთრი ღვიწკო იგეთი ღვებოდა. პატარა კასრში ან ქილაში ამოვიღებდით, ტყავისად ნაჭერით წაუსვამდით და ტყავი შეაღებოდა. ავიღებდით და გავრეცხავდით, რომ ღლემის მხარე არ გამავეებულიყო, შავი ბეწვის მხარე უნდა ყოფილიყო.“



ამის შემდეგ ტყავი ისეთ გრილ ადგილზე უნდა გაფენილიყო, ისტრუქციის
 არა ხვდებოდა. ტყავი მზეში რომ გაფენილიყო ქონი ისევე გამოუვიდოდა, გამ-
 შრალს წყალი დაესხმებოდა და კვლავ გაშრებოდა“.

გამშრალი ტყავეების მოსალოდნელი წვიმისაგან დასველების თავიდან ას-
 ცილებლად გამართული ჰქონდათ ორფერდა ხის სახურავები და წვიმის დროს
 მით ფარავდნენ.

გამშრალ ტყავეებს საიანადთო „გალესვა“ სჭირდებოდა. ამას ისინი ვარა-
 ჩოზე ლულაბის დახმარებით ასრულებდნენ. „ვარაჩო“ წარმოადგენდა გათლილ
 ვრძელ ხეს. „ზევიდან ისეთი იყო როგორც თევზის ზურგი“. ვარაჩოზე ტყავს
 ვაფერავდნენ და შვინდის ხის ბურთის მსგავსად გარშემო ამოდარული ჯო-
 ხით, რომელსაც „ღულაბა“ ერქვა, ლესავდნენ¹⁶. „ღულაბით ტყავს პეწი
 ეძლეოდა და როგორც სარკე იგეთი ხდებოდა“. მთხრობელთა უმრავლესობის
 ცნობით „გამოყვანილი ტყავი ხელში რომ დაგვეჭირა სანთელივით ფეხზე უნდა
 დამდგარიყო და რბილი ყოფილიყო ყურისძირივით“.

იგივე მთხრობელი ქოსალისა და სამოგვის¹⁷ ტყავის გალესვის შესახებ
 გვაცნობს: „კედელზე დაკრული იყო პატარა ზომის ფიცარი. ფიცარზე დამაგ-
 რებული იყო შვინდის ხის ორი მეტრის სიგრძის ჯოხი. ჯოხის ერთი მხარე და-
 დებული იყო კედელზე მიმაგრებულ ფიცარზე, ხოლო მეორე მხარე—სამფეხა-
 ზე. კაცი ზედ ცხენივით შეჯდებოდა. ტყავის ერთი მხარე ჩანგლითა და ფეხის
 საშუალებით იყო დამაგრებული. ჩანგალი ისეთი წმინდა პირისა, რომ ტყავის
 გალესვის შემდეგ მისგან აღნიშნული ნაჩრეტები აღარც-კი ეტყობოდა. ღულაბა
 ტყავს ლესავდა, აპრიალებდა, ზედმეტ სინესტესა და ქონს აცილიდა. ყველა ეს
 სამუშაო იოლი საქმე არ იყო და სპეციალურად მცოდნე და დახელოვებული
 პირი ასრულებდა“.

ტყავზე „პეწის“ გასაკეთებლად, ტყავის „მკეთებლებმა“ სხვა ხერხებიც
 იცოდნენ, ასე, მაგალითად: იმ ადგილებში, სადაც საგანგებოდ საქონელი იკვ-
 ლებოდა, იქ დადიოდნენ, დაკლული საქონლის „ახალ-ხალ“ სისხლს გარკვეულ
 ჭურჭელში აგროვებდნენ. ჭურჭელში ჩასხმულ სისხლს პატარა ჯოხით ურე-
 დნენ, „თეთრი სისხლი გამოიყოფოდა, ზევით ამოვიდოდა, იმას მოხდიდნენ,
 წითელი სისხლი დარჩებოდა და იმას წაუსვამდნენ“. ამის შემდეგ ცხელ წყალს
 რაიმე ჭურჭელში ჩაასხამდნენ. წყალი ცოტა რომ გაციედებოდა, სისხლს ახლა-
 მასში ურეოდნენ და ტყავს ისე უსვამდნენ. „გამთბარი წყალი და სისხლი ფი-
 ლობდა“. მას ჯავრისით უსვამდნენ ბეწვის მხარეს და „ხუთი წუთის შემდეგ
 ტყავი პრიალს იწყებდა“.

აღსანიშნავია, რომ ფეხსაცმელებისათვის სასარჩულე მეში ამავე წესით
 მზადდებოდა, მაგრამ გაჭონვა და შეღებვა არ სჭირდებოდა, რადგანაც ის სა-
 სარჩულედ იხმარებოდა და მეტ-გამძლეობასა და შესახედაობას არ მოითხოვდა.
 ვიდრე გამოყვანილი ტყავის მოხმარება მოხდებოდა, შეიძლებოდა
 მანამდე საკმაო დრო გასულიყო და ნაწილობრივ გამხმარიყო კიდეც. მოხმა-
 რებისათვის მისი ხელახალი დარბილება იყო საჭირო. ტყავს მედაბლები

¹⁶ ერთი ღულაბა იმავე მთხრობელმა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სა-
 ხელმწიფო მუზეუმს შემოსწორა და ეთნოგრაფიის განყოფილებაშია დაცული. იმ. საინვენტ.
 საკატ. დავთრ. № $\frac{1-57}{1}$.

¹⁷ ქოსალა ეწოდება ცხენისა ხოლო სამოგვი გამოყვანილ თხის ტყავს, რომელთაც სა-
 პირებლად ხმარობდნენ (ცნობა მოგვაწოდა ძველმა მეჩუქმემ ბარსემ მკრტირისძემ დავითიანმა).

„ბილაგი“ არბილებდნენ. ბილაგი მუხის ან რცხილის ხისა კეთდებოდა. ზერხილი ფიცრებისაგან შედგებოდა. ერთი მეტრი სიგრძის ფიცარზე ერთი-მეორეზე დაცილებით ვერტიკალურად ნახევარ-ნახევარი მეტრის სიმაღლის ორ ფიცარს დაამაგრებდნენ და მათზე ტყავს ისე არბილებდნენ. ტყავის დარბილება უშუალოდ ასე ხდებოდა: ორივე ხელს ტყავზე აქეთ-იქით წაავლებდნენ, ბილაგში ვერტიკალურად დასობილი ფიცრების შუაზე დაიკავებდნენ, შუაზე მარჯვენა ფეხის მუხლს დაარტყამდნენ. მუხლის დარტყმით ტყავის გარკვეული ადგილი ვერტიკალურად დასობილი ფიცრების თავებს ეხებოდა და ამის გამო ტყავი რბილდებოდა. ტყავის სრულყოფილად დარბილებისათვის ეს პროცესი რამდენჯერმე მეორდებოდა.

საინტერესოა, რომ ბილაგი ერთფეციანიც იყო. ბილაგი თუ ერთფეციანი იქნებოდა, იმ შემთხვევაში ტყავის დასარბილებლად მუხლის დაკვრა აღარა ხდებოდა, არამედ ფიცრის თავზე ორი ხელით დაბლა-მაღლა აწევით, ტყავის ხან ერთი და ხან მეორე მხარე რბილდებოდა.

მეთრიმლეებთან მუშაობა გვარწმუნებს, რომ თრიმლს სამეურნეო დანიშნულების გარდა რიტუალური მხარეც გააჩნდა. მორწმუნე ქალები დაბახანაში მიდიოდნენ, თან შესაფერისი ჭურჭელი მიჰქონდათ. თაღრიდან წყალში გახსნილ თრიმლს იღებდნენ, სახლში მიჰქონდათ. საღამოს, დაძინების დროს სანთლებს აანთებდნენ, პიჯვარს დაიწერდნენ, თრიმლის წვეს შუბლსა და ნიკაპზე წაისვამდნენ, მედაბლისაგან ნათხოვნ სპეციალურ მედაბლის შალვარს ბალიშის ქვეშ იდებდნენ და ისე იძინებდნენ: „უშვილოს შვილი გვეყოლებოდა“. ამ წესს მორწმუნე უშვილო ქალები ასრულებდნენ, ხოლო მამაკაცი — შაბათ დღეს მედაბლეს შალვარს¹⁸ ეთხოვებოდა, შაბათს ატარებდა და ორშაბათს ისეც ჩააბარებდა.

როგორც ჩვენ მიერ ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების დროს დგინდება, საერთოდ მედაბლეები ახოვანი ხალხი ყოფილა. ფიზიკურად შემძლე და ჯანმრთელ აღამიანებად იყვნენ ცნობილნი. თითქოს ასეთი ხალხი წინასწარვე იყო ნაგარაუდვეი, რადგანაც ტყავის დამუშავების საქმეები ადვილი დასაძლვეი არ იყო და ყველას არ შეეძლო ამ დარგში მუშაობა.

დაბახანაში, რომ ფიზიკურად ძლიერი და ახოვანი კაცები მუშაობდნენ, ეს გარემოება ფართო მოსახლეობამაც ძალიან კარგად იცოდა და ეკონომიური სიძლიერის მხრითაც დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. მედაბლეები „შედარებით სხვა ხელოსნებზე უესნი უფრო ადრე ირთავდნენ ცოლს, რაც შეეხება ამათ ჯანის სისალეს, ყმაწვილების სიმრავლეს და სხვებს ამათში სხვა ხელოსნების კაცზედ ბედნიერნი იყვნენ. ძველათაც და ესლაც ყოველთვის განთქმული ყოფილან დაბლები ჰიდაობაში და კრივიც. ისე კრივი არ გათავდებოდა, რომ რამდენიმე დაბლის ხელოსანთ თავი არ ესახელებინათ. მათში დღესაც ბევრ ხელოსან ბიჭებს ვნახავთ, რომელნიც თავიანთის ღონივრობით მთელს თბილისში განთქმული არიან“¹⁹—წერდა ზ. კიკინაძე.

თბილისელი მედაბლეები მარტო ტყავის გამოყვანაში კი არ იყვნენ დახელოვნებულები, ისინი ტყავის ავარგეიანობაში მის დამუშავებამდეც იყვნენ გარკვეულები. „ზეზუერ ატყობდნენ ტყავი ვარგისი იყო თუ უვარგისი“.

¹⁸ მედაბლების შალვარები მაგარი ქსოვილისა იყვებოდა და მოკლე ტოტები ჰქონდა, რომ წყალში მუშაობის დროს არ დასველებოდათ.

¹⁹ სან დალა, op. cit., ტფილისე. 1926, გვ. 100.



ნიკოლოზ ალექსის ძე ლასარეიშვილის (70 წლისა), პეტრე გეგოიანისა (67 წლისა) და მარტინ ხაჩატურის ძე გეგოიანის (48 წლისა) ცნობით: „კარგი ტყავი კარგად შენახულმა საქონელმა იცის. ჯარმრთელი საქონლის ტყავი იგეთია როგორც ჩუგუნნი. საქონლის თავის ტყავს საერთოდ საძირედ არ ხმარობდნენ. ასევე არ ვარგა მუხლის ტყავი“, თავისა და მუხლის ტყავეებს ამუშავებდნენ, მაგრამ თუ ხმარობდნენ, ფეხსაცმელებზე ქუსლებში დასადებად იყენებდნენ.

მათივე თქმით, ზამთარში დაკლული საქონლის ტყავი არ ვარგა, რადგანაც თივა ნაქამია, ამავე დროს ზამთრობით ხშირად საქონელს სურდო აქვს. „საქონელი როცა მთაში მიდის და იქიდან ჩამოდის, მაშინ უნდა დაიკლას“. ღორის დაკვლა პირიქით ყოფილა: „ღორის ტყავი ზამთარში დაკლულისა სჯობია, რადგანაც მაშინ ტყავი კაკალივით გამოდის, ღორი სუქდება და იმიტომ. საერთოდ გასუქებული საქონლის ტყავი კარგია. ტყავი და ხორცი ერთად ცხოვრობენ. თუ ხორცი კარგია, ტყავიც კარგია. როგორც ხორცი სუნთქავს, ტყავიც სუნთქავს. ღორს ზაფხულობით სცხელა, ხდება, ხორცი და ტყავიც სუსტდება, ამიტომ ღორის ტყავი ზამთარში უკეთესია“-ო და ა. შ.

თვითონ ტყავის გარკვეულ ადგილებსაც თავისებური მნიშვნელობა ჰქონდა. ასე მაგალითად: „ძუძუქვითან ტყავი ბოშია, თხელი, ხოლო წვლისა საუკეთესო. კიდეც უფრო კარგია ცხენის მენჯის ტყავი, რადგანაც იმ ადგილზე სცემენ თანაც ფეხი მოძრაობს და ტყავი მაგრდება. საცა ცხენს ფაფარი აქვს ის ტყავი სულ არ ვარგა, იმ ადგილის ტყავს აგდებენ. ყველაზე უკეთესია ძროხის ტყავის ზურგი და ზურგის გასწვრივ მენჯებისაკენ ისეთია, რომ მისგან პადოშიც გამოვა“.

თბილისელი მედაბლეების ცნობით, ტყავის სიაჯვარე საქონლის ასაკზედაც დიდად არის დამოკიდებული: „3 წლიანი საქონლის ტყავის ზურგის მხარე შეიძლება მთლიანად პადოშად გამომდგარიყო“, რაც შეეხება კარგი ტყავის ფერს „ბაცი ლიმონის ფერს“ მიიჩნევენ.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული ჰქონდათ, თანაც შესაფერ წესებს იცავენ: ნორმის მიხედვით თრიმლის მიცემა, კუნთოვანი ნაწილებისაგან მთლიანად განთავისუფლება. საერთოდ დაბახანაში ძალიან სისუფთავეს იცავენ. კირიან ტყავს არავითარ შემთხვევაში თრიმლიან ადგილზე არ მოათავსებდნენ — დაილაქებოთ. არც თრიმლიანი ტყავი დაიდებოდა კირზე და სხვ.

თბილისელმა მედაბლეებმა იციან გადმოცემით, რომ უწინ მეტყავეები ძაღლის განავალს აგროვებდნენ, აშრობდნენ, თბილ წყალში ხსნიდნენ და სუფთა წვეს ვითომ ტყავის გასაყვითლებლად ხმარობდნენ.

როგორც წარმოდგენილი ეთნოგრაფიული ცნობებით ირკვევა, თბილისში მედაბლეებს თავის დროზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკირათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საკუთარი წონა და ფასი ჰქონდათ მოსახლეობაში. ხალხის ყურადღებას იპყრობდა მათი შრომა-საქმიანობა და პირადი ცხოვრება. ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მასალები ამტყეებს, რომ ისინი რიცხობრივადც საკმაო რაოდენობისა ყოფილან, კერძოდ თბილისში.

1865 წლის მდგომარეობის მიხედვით, პროფ. შ. ჩხეტას გამოკვლეული აქვს, რომ თბილისში საშუალოდ 5596 კაცი ხელოსანი მუშაობდა და რაოდენობის მხრივ ქვისმთლელებისა და მჭედლების შემდეგ მედაბლეებს პირველი

ადგილი ეჭირათ. ასე, მაგალითად: ქვისმთლელები — 1065, მჭედლები — 435, ხოლო მედაბლე — 406 კაცზე მეტი იმ დროს, როცა დერციკი — 344, დურგალი — 273, მიჩქემე — 260-ს უდრიდა და ა. შ.²⁰

სხვა ხელოსნების მსგავსად, თბილისელ მედაბლეებს თავისი ამქარი ჰყავდათ. ამქარს ჩვეულებრივად თავისი ორგანიზაცია და სტრუქტურა გააჩნდა. ჰყავდათ უსტაბაში და სხვა ხელკვეითი თანამდებობის პირები, აგრეთვე — თავისი საგანგებო დროშა და სხვ. ამქარის წევრებს შორის ისეთი მტკიცე ეკონომიური და მორალური ურთიერთობა არსებობდა, რომ ამქარის გარდაცვლილ წევრის დაკრძალვაზე თუ რომელიმე არ დაესწრობოდა, ამქარის წევრებიდან რიცხავდნენ. მედაბლე ამქარი ყოველ გაზაფხულზე „სამღვთოს“ იხდიდა და ამ დროს შეგირდი ხელოსნად ილოცებოდა.

საინტერესოა, რომ მეტყვევთა დროშაზე გამოხატული იყო „დავით მარქარი“, რადგანაც „მან გამოიგონა ტყავის დამუშავება“, ზოგის ჩვენებით კი დროშაზე ბატკანი იყო გამოსახული.

დაბახანების გარდა ძველად ხალხში ფართოდ იყო გავრცელებული ტყავის დამუშავების მექანიკური წესები. საკმარისია აღინიშნოს თიანეთისა და დღუშეთის რაიონში ღვედებისა და ჭაპანების დამზადების ტრადიცია. განსაკუთრებით საყურადღებოა ხევსურეთში ტყავის დამუშავების ორი ძირითადი წესის არსებობა: „ტყავის ქვიშაზე თრევა“, დაბილების მიზნით და მისი განსაკუთრებულ ხელსაწყოში—ხიმუნში დახევა. ასევე საყურადღებოა სპეციალური ე. წ. დაზვა (კახეთში) და ხისა და ქვის საღენჭელები ყაზბეგში. ანალოგიური მონაცემები საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება.

მართალია დღეისათვის თბილისში ძველი დაბახანები აღარ გვხვდება, მაგრამ ერთ-ერთი უკანასკნელ დრომდე არსებულ დაბახანის ცეხის უფროსის ავეტიკ ვასპარის ძე ზაალიანის თქმით „ძველი წესით ტყავის დამუშავებას შესაძლებელია მცირეოდენი აზრი და მნიშვნელობა მაინც ჰქონდეს“, რადგანაც არის ტყავები, რომლის ქარხნული წესით დამუშავება ვერ ხერხდება. ზოგიერთი საქონლის ტყავი სუსტია, დაზიანებული. ასეთი ტყავის გამოყვანა ქარხნული წესითაც შეიძლება, „ათასჯერ“ მცირე დროში და ტექნიკურად ბევრად გაუმჯობესებული ხერხებით, მაგრამ ამავე დროს „მოსალოდნელია ზოგი მათგანის წახდენაც“.

ჩვენ განზრახული გვაქვს განვაგრძოთ ამ ხაზით მუშაობა და შევისწავლოთ საქართველოს სხვა ქალაქების დაბახანებიც.

მთხრობლეები

1. ვართანოვი არმენაკა გრიგოლის ძე	69 წლისა
2. გეგოიანი პეტრე მკრტიჩის ძე	70 "
3. გეგოიანი მარტინე ხაჩატურის ძე	48 "
4. გურბანიძე კონსტანტინე გიორგის ძე	62 "
5. ზაალიანი ავეტიკ ვასპარის ძე	56 "
6. ლასარეიშვილი ნიკოლოზ ალექსის ძე	70 "
7. ტატიური დავით ქრისტეფორეს ძე	67 "
8. ფეიჭრიძე ბესარიონ მუხომანის ძე	74 "
9. შშიციანი ვანო ალექსანდრეს ძე	41 "

²⁰ III Чхетия, Тбилиси в XIX столетии, Тбилиси, 1940, стр. 18.



И. Д. НАНОБАШВИЛИ

ТБИЛИССКИЕ «ДАБАХАНА»

Резюме

В фондах отдела этнографии Государственного Музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа хранится большая коллекция изделия из кожи, бытового назначения, а также и древнейшие рукописи на пергаментях.

По этнографическим материалам обработка кожи в Грузии производилась двумя способами: 1. механическим путем — в специальных каменных, либо деревянных кожемалках, или же волочением на песке, 2. дублением. Этот последний способ применялся в дабаханах.

Мастерская для дубления кожи — дубильная была известна в крупных ремесленных центрах Грузии, в городах — Тбилиси, Телави, Сигнахи, Кутанси и др.

Дубильные мастерские широко были представлены в Тбилиси. Эти мастерские имели три отделения: 1. Для очистки шкуры от шерсти применением золы, 2. для первичной обработки (мочение шкуры, удаление жира, остатков мяса и т. д.) и 3. для дубления (обработка кожи в специальных чанах дубильными веществами).

Эти мастерские, отражающие древние народные традиции обработки кожи, просуществовали в Тбилиси вплоть до установления Советской власти в Грузии.

რ. ხარაძე

საოჯახო თემის გადმონაშთები თუშეთში *

1. **თუშური ოჯახის შემადგენლობა.** შედარებით ადრინდელი წერილობითი წყარო თუშეთის ოჯახების შესახებ, რომელიც არა მხოლოდ საოჯახო თემის გადმონაშთების არსებობის ფაქტზე მიუთითებს, არამედ საოჯახო თემის შემადგენლობის კონკრეტულ სახეს ავლენს, არის 1852 წლით დათარიღებული ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენს სოფ. ბოქორმის წმ. გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა სიას. (საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი Q № 952).

დოკუმენტში ჩამოთვლილია გვარები შემდეგი სოფლების მიხედვით: ბოქორმა, დიკლო, შენაქო, ომალო; აღსარების მთქმელთა სია შედგენილია კომლების მიხედვით, რითაც შესაძლებელი ხდება საოჯახო თემების შემადგენლობის დადგენა.

ასეთია მაგალითად, სოფ. ბოქორმაში თათარა ხვედეგურიძის ოჯახი, რომელიც თხუთმეტი სულისაგან შედგება. აღწერილობის მიხედვით ჩანს, რომ ამ ოჯახში გაერთიანებულია ოთხი ძმა თავისი ცოლ-შვილით. I—თათარა ბეჟანის ძე ხვედეგურიძე; ცოლი მისი ნინო დოლოს ასული; შვილები: იოსები და თეკლე. II ძმა გიორგი და მისი შვილები: ნადი, ნინო, ქეთევანი, ივანე და ანა. III ძმა ბაბო, ცოლი მისი ბაი კახოს ასული. IV ძმის შვილი—დავითი და ცოლი მისი მარიამ დავითის ასული და ბოლოს ქვრივი დედა—ლელა ბაბუას ასული.

ასეთია დანარჩენი სიებიც, სადაც 11—15 სულისაგან შემდგარი ოჯახების სავი თაობაა წარმოდგენილი. ასეთია მაგალითად, სოფ. შენაქოს მცხოვრები ღვთისაგარ სეხნიაიძის ოჯახი:

1. ღვთისაგარ ძე ლავაზისა სეხნიაიძე
2. შვილი ამისი ბანოელი
3. ცოლი ამისი თამარი ჯარჯოს ასული
4. შვილი ამისი გიორგი
5. " " წოწო
6. ძმა ბანოელისა შალვა
7. შვილი ამისა თედორე
8. ძმა შალვასი ლავაზი
9. ცოლი ამისი ანა კახოს ასული
10. შვილი ამათი ლევანი
11. ძმა მისა ივანე

* შრომაში გამოყენებული თუშური და ფშური მასალები შეკრებილია 1951 წ. ნაშრომი წაიკითხა მოხსენებად საქ. მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების სხდომაზე 1952 წ.



12. ცოლი ამისა ნანა გიორგის ასული
 ამგვარად, ამ სიის მიხედვით წარმოდგენილია ოთხი ძმა თავისი ცოლ-შვი-
 ლით და მამით, ე. ი. სამი თაობა.

უნდა ვითქვითო, რომ „ალსარების მიქმელთა სიაში“ მცირეწლოვანნი არ
 იქნებოდნენ შეყვანილი, ამდენად ოჯახების აღწერაც სრული არ უნდა იყოს.
 ასეთივეა სოფ. ომალოში მცხოვრები თავებრა იჯირაულის ოჯახიც:


1. თავებრა ქე ვარდანასი იჯირაული
2. შვილი ამისა უშარო
3. „ „ ნაკუდა
4. ძმა თავებრასი ბაბო
5. ცოლი ამისა ნანა ბებოს ასული
6. შვილი ამათი თამარი
7. „ „ ზურაბი
8. ძმა ბაბოსი გიორგი
9. ცოლი ამისა მერცხალი ბეჯანის ასული
10. შვილი ამათი თამარი
11. „ „ მარიამი
12. „ „ ნინო

13. ქვრივი დედა ამათი მარხო თევდორეს ასული. სულ ცამეტი სული.
 ამრიგად აქაც გაერთიანებულია სამი ძმის ოჯახი, ხოლო უფროსი თაობი-
 დან ცოცხალია აგრეთვე ძმების დედაც, სულ უმცროსი თაობა კი აღნიშნული
 არ არის.

ასეთივე შემადგენლობისაა მირზა იჯირაულის ოჯახიც სოფ. ომალოდან,
 სადაც ორი ძმის შთამომავლობა სამი თაობის მანძილზეა გაერთიანებული:

1. მირზა ქე მიხასი იჯირაული
2. ცოლი ამისა ბაი ცოგის ასული
3. შვილი ამათი ნაკუდა
4. ცოლი ამისა ნანა თურქის ასული
5. შვილი ამისა ნინო
6. ძმა ნაკუდასი ღვთისავარი
7. ძმისწული მირზასი ღვთისავარი
8. ცოლი ამისა მატა გიორგის ასული
9. შვილი ამათი მარიამი
10. ძმა ღვთისავარისა იჯირაული
11. ცოლი ამისა მარიამი დარბაზოელის ასული
12. შვილი ამათი ელისაბედი
13. ქვრივი დედა ამათი ნანო მიქელის ასული


ეს ოჯახი წარმოადგენს სამი თაობის მანძილზე შექმნილი დაცოლშვილე-
 ბული ძმა—ბიძაშვილების გაერთიანებას. მიუხედავად იმისა, რომ ის არც იმ-
 დენად მრავალრიცხოვანია, სულ 13 სულისაგან შესდგება, ეს ოჯახი მაინც სა-
 ყურადღებოა როგორც თავისი ჰორიზონტალური განსტობებით აგრეთვე თავი-
 სი გენეალოგიური ჰრილითაც. სქემატურად ეს დიდი ოჯახი ორი, ხოლო შემდეგ
 სამი დაქორწინებული წყვილისაგან შემდგარი, ასე უნდა წარმოვიდგინოთ:



ჩვენს ყურადღებას საგანგებოდ შევაჩერებთ ღვთისავარ ხაჩიძის ოჯახზე (სოფ. შენაქო), რომლის შესახებ ეთნოგრაფიული მასალებიც მოგვეპოვება. სიებში აღნიშნულია:

1. ღვთისავარ ძე დიჯიერისა ხაჩიძე
2. ცოლი ამისი ნაზო იანეს ასული
3. შვილი ამათი ქუჯა
4. " " ნანელი
5. ძმა ღვთისავარისა ბაბო
6. ცოლი ამისი კიკა მიშას ასული
7. შვილი ამისი ღაზილა
8. " " მარიამი
9. ძმა ბაბოსი ივანე
10. ცოლი ამისი შაქი ჯამრულის ასული
11. შვილი ამათი თავბერი
12. ძმა ივანესი ლუი
13. ცოლი ამისი ნანელი დავითის ასული
14. შვილი ამათი მარიამ
15. ქვრივი დედა ამათი ნაზო გიორგის ასული

სქემატურად სიაში წარმოდგენილი ღვთისავარ ხაჩიძის ოჯახი თაობათა და დაქორწინებული წყვილების მიხედვით შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:



ჯიჯურიანთ ოჯახი, როგორც მათ ხალხი ეძახის, ღღესაც კარგადაა თუშებს შორის ცნობილი. დიდი ოჯახების ჩამოთვლის დროს მას ასახელებენ არა მარტო შენაქოელები, არამედ ყველა სხვა სოფლების მეტოვრებნიც.

ღვთისავარის მამის სახით მოხსენებული დიჯიერი — ღვთისავარ ძე დიჯიერისა ხაჩიძე, როგორც ის აღნიშნულია ხელნაწერში, უნდა იყოს სწორედ ჯიჯურიანთ ოჯახის წინაპარი — ჯიჯური, როგორც მას თითონ ხალხი ეძახის. ჯიჯურიანთ ოჯახის გამრავლებითა და დაყოფით შექმნილი ოჯახები,

* მიზა—ალარ იყო იმ დროს ცოცხალი.

** დიჯიერი—ალარ იყო იმ დროს ცოცხალი




ამემად უკვე მხოლოდ ჯიჯურიძის გვარს ატარებენ და გადმოცემიან რამდენიმე ძველი გვარი — ხ ა ჩ ი ძ ე. გიოს შვილი ივანე ჯიჯურიძე, რომელიც მისი მსხვერპლია ში მოხსენებული ჯიჯურიანთა ლუის შვილიშვილად უნდა მივიჩნიოთ, თითონაც ავრძელებდა ძველად არსებული საოჯახო თემის ტრადიციას და გაუყრელად ცხოვრობდა თავის დანარჩენ ოთხ ძმასთან ერთად.

წინა თაობის იმ შემადგენლობიდან, როგორიც ხელნაწერშია წარმოდგენილი, ჯიჯურიანთ მეხსიერებაში შემოინახა სახელების ერთი ნაწილი, ასეთებად ასახელებენ, მაგალითად, ჯიჯურს, ქუჯას, ლუის, ღაზილას, ივანეს, თავბერს. მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზებირ გადმოცემაში შემონახული ცნობები თაობ.თა განლაგების მხრივ განსხვავდება ხელნაწერში დაცული სიისაგან. ასე მაგალითად, ზებირად გადმოცემული ცნობების მიხედვით ქუჯა, ლუი, ღაზილა და ივანე იყვნენ ძმები; ხელნაწერში კი ძმებად იხსენიებიან: ლუი, ივანე, ღვთისავარ და ბაბო, ხოლო ღაზილა და ქუჯა ძმისწულებად; ღაზილა ბაბოს შვილად, ქუჯა კი ღვთისავარისა.

ყოველ შემთხვევაში უდაოა, რომ 1852 წ. დოკუმენტში მოხსენებულ ღვთისავარ ხაჩიძის ოჯახის აღწერილობა წარმოადგენს დიდი ჯიჯურიანის სახელწოდებით ცნობილი ოჯახის ადრინდელ სახეს, როდესაც ისინი ჯერ კიდევ ხაჩიძის გვარს ატარებდნენ.

საოჯახო თემის არსებობის ბოლო ხანამდე მოღწეული დიდ ჯიჯურიანთა ოჯახი უკვე იმ ძველი ოჯახის ერთ-ერთი ძმის — ლუის შვილიშვილებისაგან შესდგებოდა და ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით შემდეგი სახე მიიღო:



ჯიჯურიანთ მსგავსად ჰქონდათ შენარჩუნებული დიდი ოჯახები სოფ. ხაბაბოში თიბელაანთ, რომლების ძველი გვარი ბაქურიძეები იყო, ხოლო შემდეგში უკვე თიბელაძეებად იწოდებოდნენ; ამ ოჯახში შემავალი წევრების ჩაოდენობა 18 სულს აღწევდა.


ცხრამეტი სულისაგან იყო შემდგარი, თავისი არსებობის უკანასკნელ წლებში, დიდ განაანათ წოდებული ქოთილაძეების ოჯახიც (სოფ. საჩილოლო), რომლის ერთ-ერთი რძლის—დარეჯან დავითის ასული ქოთილაძის (64 წ.) მონათხრობითვე ვსარგებლობთ: „ჩვენ დიდ განაანს გვეძახდნენ; მე რომ მომიყვანეს 18 სული იყო და მეცხრამეტე მე მოვედი; ოთხ ძმისა იყო“—შენიშნავს მთხრობელა.

* ლუი და მისი ცოლი უკვე გარდაცვლილები იყვნენ.

განაანთ ოჯახის შემადგენლობა:

ქართული
ენის ინსტიტუტი

გიორგი (განაი)=ანაი




დიდჯალაბობად ასახელებენ აგრეთვე შენაქოელ ცოგიანთ, რომელთა ძველი გვარი იყო ხაჩიძე.


ცოგიანთ ქალის ელოს მონათხრობიდან (რომელიც ამჟამად 75 წლისაა და სენნიიძეების რძალია) ერთადგულს მოვიყვანთ: „ჩვენავე ერთ ცეცხლზე დაეზარდენით გაუყრელები, ერთად დაბერდეს ჩემ მამა-ბიძაძი, ერთ ცეცხლზე“. 40 წელია იმის შემდეგ, რაც ეს ოჯახი გაიყარა, როგორც თითონ ამბობენ „ორის პირის ხალხ რთ ერთად ცხოვრობდა“, ე. ი. ორი ძმის შთამომავალი, რომ ერთად იყვნენ.

პირიქით თუშეთში ცნობილ დიდ ოჯახად — ჩაკოანნი ითვლებოდნენ: „ჩაკოანზე დიდი გაუყრელი ოჯახი იმ დროს არ იყო ჩვენს პირიქითში“ შენიშნავს მთხრობელი — სოფ. კველოს მცხოვრები ნიკო გაწირიძე (76 წ.). ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით შეიძლება ჩაკოანთ ოჯახის ორი საფეხურის დადგენა.

პირველი სახე ჩაკოანთ საოჯახო თემისა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:



1908 წელს 23 სულისაგან შემდგარი ჩაკოანთ ოჯახი გაიყო სამად: იაკობისა, დავითისა და ივანეს ნაწილებად. ერთ-ერთი განაყრის — დავითის ოჯახი, შემდეგში ოთხი ძმისა და მათი ცოლშვილისაგან შემდგარი 18 სულის გაერთიანებას წარმოადგენდა. 1919 წლამდე ეს ოჯახი გაუყრელად ცხოვრობდა, რის შემდეგაც სამად გაიყარა:



* დარჯანი რომ მოიყვანეს, გიორგი, ანაი და მათი შვილი რევაზი და რძალი ძეგლო გარდაცვლილები იყვნენ.

** ოლა არ იყო ჯერ მოყვანილი. განაანი გაიყარნენ 1906 წელს. გაყრის დროს ოთხი ძმიდან ცოტალები იყვნენ მხოლოდ თევდორე და პეტრე.



ამრიგად, ჩაკონანთ საოჯახო თემის გაყრა როგორც პირველ შემთხვევაში III თაობაზე მომხდარა. ჩაკონანი თუშეთის სხვა დიდ ოჯახებთან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი იყვნენ. საყურადღებოა ისიც, რომ ჩაკონანთ საოჯახო თემის გაყრის ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ მამის სიკვდილის შემდეგ მომხდარ ძმების გაყრასთან, რაც საოჯახო თემისათვის საერთოდ დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც დასტურდება, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული სხვა ცნობების მიხედვით ეს გარემოება თუშური საოჯახო თემის დამახასიათებლად მიიჩნევა ჩაითვლება.

ამრიგად, როგორც თუშეთის ეთნოგრაფიულ მასალებში, ისე XIX საუკუნის წერილობით ძეგლებში აღბეჭდილი ოჯახის წევრთა შემადგენლობა ცხადყოფს იმას, რომ თუშური მრავალრიცხოვანი ოჯახი შედგებოდა რამდენიმე საქორწილო წყვილისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ნათესაური პრინციპით იყვნენ გაერთიანებული და საერთო წინაპრის სახელს ატარებდნენ. საზოგადოებრივი გაერთიანების ამგვარი სტრუქტურა წარმოადგენდა დიდი ოჯახის ანუ საოჯახო თემის ერთ-ერთ დამახასიათებელ მხარეს. საოჯახო თემი გვაროვნული და ტერიტორიალური თემის მიჯნაზე იყო გაჩენილი, ხოლო გადმონაშთის სახით ის ხანგრძლივად შემოინახა.

თუშური ოჯახი შინაგანი ორგანიზაციისა და შრო-
II. თუშური საოჯახო მის განაწილების მხრივ საოჯახო თემის თავისებურ-
თემის მმართველობა სახეობას ქმნის.

და მასში არსებული თუშური ოჯახის წამყვან მეურნეობას წვრილფეხა-
შრომის ორგანიზაცია მესაქონლეობა წარმოადგენდა; ამასთანავე თითოეული
დიდი ოჯახი ეწეოდა მიწათმოქმედებას და მსხვილფეხა-
მესაქონლეობას. მიწათმოქმედება და მსხვილფეხა მესაქონლეობა ძირითადად
ქალების ხელში იყო, ხოლო მეცხვარეობა მამაკაცების ხელში.

თითონ მეცხვარეობა, რომელიც მომთაბარეობას მოითხოვდა, დიდი ხნით
აშორებდა მეცხვარე მამაკაცს თავის ოჯახს. აპრილის შუა რიცხვებიდან—სექ-
ტემბრამდე მეცხვარე თუშები საზაფხულო საძოვრებზე იმყოფებოდნენ, ხო-
ლო სექტემბრიდან აპრილის მეორე ნახევრამდე საშემოდგომო და საზამთრო
ბინებზე გადადიოდნენ. შინაკაცად ე. ი. მიწის მხვენლად და მსხვილფეხა-
საქონლის მომვლელად დარჩენა საძრახისად ითვლებოდა, ამიტომ შინაკაცები
სოფელში ცოტა იყო.

შინაურ საქმიანობას თუშურ ოჯახში ჩვეულებრივად ქალები ეწეოდნენ.
მამაკაცების მოვალეობას კი ოჯახის გარეთ მეცხვარეობა შეადგენდა. ეს გარე-
შობა მ. მაჩაბელსაც თავის დროზე შემდეგნაირად აღუნიშნავს: «Тышин и
пшавец большую часть года проводят вне семейного очага и со своими
стадами перекочевывают с гор на Ширакскую степь и обратно. Семья
же их ведут оседлую жизнь в нагорных деревнях, занимаясь земледе-
льем»...¹

¹ მ. მაჩაბელი, Экономический быт государственных крестьян Тифлиского уезда, Тифлисской губернии. Мат. для изуч. экономич. быта госуд. крестьян Зак. края, т. V, стр. 328.

XVII საუკ. თუშეთის მეცხვარეობისათვის კახეთის მნიშვნელობაზე საგანგებოდ აქვს ყურადღება შექცეული თავის ჯანოკლევაში პროფ. ი. ა. ცინცაძეს. იხ. მისი „საქართველოს მთიანეთის რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან“, მნათობი, 1956, № 2, გვ. 182.

მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა ამავე დროს დათმობილი თუშეთის (საოჯახო) თემში. ხოლო თემის მეურნეობაში მიწათმოქმედებასა და მსხვილფეხა მესაქონლეობასაც; მეურნეობის ორივე ამ დარგს, როგორც ვთქვით, ქალები განაგებდნენ. ზენა-თესვის დროს, რომელიც მარტის შუა რიცხვებიდან იწყებოდა, მეცხვარე მამაკაცები ცხვართან ერთად ჯერ კიდევ შირაქში იმყოფებოდნენ, ხოლო ზოგიერთი მათგანი ახერხებდა ამ დროს თავის სოფელში ყოფნას. ჩვეულებრივად ამ დროისათვის ოჯახი ქირაობდა ლეკებს ან დიდოელებს, რომლებიც საგან-გებოდ მოდიოდნენ თუშეთში მიწის მხვნელებად. ქირა კაცის შოვნა და გუთან-ზე მიყოლა დედაკაცების საქმე იყო. მაგრამ, გარდა ამისა იყო შემთხვევები თითონ დედაკაცების გუთნის დედად ყოფნისა, საქიროების შემთხვევაში თუშის ქალები თითონ ხნავდნენ. სოფ. ვერხოიანის მცხოვრები სარა კრიტიული შენიშნავს: „მთა-თუშეთში დედაკაცები თითონ ხნავდნენ. ბებიანემს თითონ ექირა გუთანი ხელში, და ხუთი წელიწადი სხვის გუთნიდგა ვყოფილვარო, იტყოდა“. სოფელ ხისოს მცხოვრები სანდრო დიმიტრის ძე წეწიაძის თქმით „ბევრი დედაკაცი თითონ ხნავდა, ისე რომ თითონ სჭეროდა დედაკაცს აჩაჩი. ჩემმა სიდედრმა დართლოვლმა სალომე ლუკიაძემ იტყოდა, რომ 9 წელიწადი თითონ ვახვნევი ხარსაო. ჩემი ნათლია ანა ჯამრულიძე, სოფელ ხისოდან, მოქნავი იყო, აჩაჩი ექირა და მე მიესდევდი და ხაფხოლსა ვკრეფდი“, და ბოლოს დასძენს „ქანჭახთან ბევრი ხნავდა დედაკაცი თითონ, აბა რაღა მახსოვს!“.

იმავეს აღნიშნავდა თავის ნაწერებში იროდიონ ელიოსიძეც, რომელიც წერდა: «Обязанность обработки земли лежит здесь на женщинах, они сами пахут землю, засевают ее, жнут, собирают хлеб в житницах...»².

ამრიგად, თუშეთში უმამაკაცობის გამო, ხშირ შემთხვევაში თითონ ქალები იყვნენ მოქნავეები ანუ გუთნის დედები.

შეშის მოჭრა, რომელსაც ხენის მოთავეების შემდეგ მაისის პირველ რიცხვებიდანვე იწყებდნენ, ქირა კაცების საშუალებით ხდებოდა, ასახებდა კიტყვი თითონ ქალები მიდიოდნენ და შესასაც სახედრებითა და ზურგით სახლში ისინი ეზიდებოდნენ. ივლისის შუა რიცხვებში თიბვა რომ დამთავრდებოდა, მკა იწყებოდა, რასაც აგრეთვე მხოლოდ ქალები ასრულებდნენ; ძნების მოზიდვა და კალოზაც ქალების მოვალეობას შეადგენდა.

კალოზის დამთავრების შემდეგ ოჯახის ერთი ნაწილი ალვანში წამოსასვლელად ემზადებოდა, სადაც ზამთრის განმავლობაში რჩებოდა. საოჯახო თემის შემადგენლობიდან მორიგეობით გამოიყოფოდა ერთი ან რამოდენიმე რძალი, რომელიც ცხვრის ბარისავე წამოსვლასთან ერთად ალვანში უნდა ჩამოსულიყო.

ქალების შრომაში დიდი დრო ეთმობოდა ოჯახის წევრების ეკიპირებისათვის ზრუნვას; ქალების ხელით მზადდებოდა როგორც საჩოხე და საჯუბე შალი და ნაბადი, აგრეთვე ცხენებისა და სახედრების შეჯაზმულობის ნაწილები და მეცხვარეობაში საჭირო ინვენტარი.

ამრიგად, როგორც თითონ მეცხვარეობაში აუცილებლად საჭირო ეკიპირება, ისე საერთოდ მეცხვარეობით მოპოვებული პროდუქტების დამუშავება საოჯახო თემში ქალების შრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა³.

² П. Елиосидзе, Записки о Тушети, 1847. ხელნაწერი ინახება აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის კავკასიის განყოფილებაში, ლენინგრადში.

³ შდ. მ. მანაბელი, დასაბ. ნაშრ., გვ. 472.




მატყლს რძლებს შორის უფროსი დიასახლისი თანაბრად ანაწილებდა. ნაწილს ოჯახის საერთო საქორებისათვის — საოჯახოდ ტოვებდა; ფარდაგებს, ნაბღებს, თეკებს, ხაყებს, ხურჯინებს რძლები ერთად აკეთებდნენ და ამას საოჯახო ეწოდებოდა. აქედან ღიღი ნაწილი მეცხვარეობაში გამოსაყენებელი იყო. ტოლს, საიდანაც კაცების საქულაყეები იქსოვებოდა, მონდავე ბითვიანთ ქმრებსა და შვილებს თითონ უმზადებდნენ. ასევე ინდივიდუალურად იქსოვებოდა ფეხსამოსი: წინდები და ფეკა ანუ ჩითები, ხელის ჩანთები. ამიტომ, დედამთილი ამ დანიშნულების მატყლს თავის რძლებს ცალცალკე უნაწილებდა. შემოდგომიდანვე იწყებოდა შალეულის დამზადება, მატყლის გარეცხვა და გაშრობა. ზამთარში წარმოებდა მატყლის დაჩეჩვა და დართვა — დაცხვა, რაც თებერვლის ბოლომდე გრძელდებოდა. ფეხსამოსი (ჩითა და წინდა) მთელი წლის განმავლობაში იქსოვებოდა. ტოლის ქსოვა უმთავრესად მარტსა და აპრილში ხდებოდა: „თუ გაზაფხულზე არ მოიქსოვებოდა, უნდა ჩამოგველო ყდები და შეგვენახა მეორე გაზაფხულამდე, სირცხვილი იყო ზამთარში და შემოდგომაზე ქსოვა. წინათ კი ფარდაგებს იშვიათად ქსოვდნენ. გაზაფხულზე უნდა ჩაგვებარებია მეცხვარეებისათვის ახალი ნაბაღი და თეკა“ (სოფ. საჩინოლო. ევა ქოთილაძე, 80 წ.).

ოჯახის შიგნით ყოველთვის საქმის ხელმძღვანელი უფროსი დედაკაცი იყო — დედამთილი ან უფროსი რძალი. უფროსი დედაკაცის ფუნქციებში შედიოდა სასოფლო საქმეებში მონაწილეობის მიღება; ხოლო სათემო შესაკრებ ადგილებში ოჯახის წარმომადგენელი უკვე მამაკაცი იყო.

მ. მაჩაბელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თუმცა უფროსი კაცისა და დიასახლისის დანიშვნა არჩევით არ ხდებოდა, არამედ ხნით უფროსობას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა: „ოჯახში უფროსობა აქ ამორჩევით არ არის. უფროსი აქ ან მამა არის, ან ბიძა, ე. ი. უფროსი ხნით. დედაკაცებში უფროსი დედამთილია და თუ დედამთილი აღარ არის, მაშინ უფროსობს უფროსი რძალი, ცოლი უფროსი ძმისა (ეს რძალი თითქმის ყოველთვის წინ მოყვანილიც არის). ვინცობაა წინ მოყვანილი რძალი გარდაიცვალა და უფროსმა მამამ მეორე ცოლი მოიყვანოს, მაინც ეს ახლად მოყვანილი ქალი უფროსი იქნება დედაკაცებში. სუყველა საკაცე საქმეზედ უფროს კაცს ეკითხებიან და ის აძლევს რიგს. იმას უნდა ემორჩილებოდეს ყველა. უფროს კაცს და დედაკაცს—სახლის უფროსობით უწოდებენ ყველანი. სახლის უფროსი დედაკაცი შინაურ საქმეს ისე განაგებს, როგორც უფროსი სახლის კაცი საკაცო საქმეს. პურის გამოცხობა და საქმელის გაკეთება სახლის უფროსისაა. თითქმის მთელი საქმე სახლის უფროსს აწევს, უმცროსები: ოთახს გვიან, წყალი მოაჭვთ, სუფრას აწყობენ და კაცებს ემსახურებიან. სახლის უფროსი გაასამართლებს ხოლმე დამნაშავეთ; დასჯა აქაც არ იციან, როგორც ფშავლებში. თუ დედამთილი ცოცხალი არ არის, მაშინ რძლებმა ჯერით იციან მუშაობა. ერთ კვირას ერთი მუშაობს, მეორე კვირას მეორე. სარეცხი აქ, როგორც ფშავლებში ყველამ თავისი ქმარშვილისა იციან. გასათხოვარი ქალი ძალიან თავისუფალია. თუ ოჯახში რძლებია, ის თითქმის სულ მართო ხელსაქმეს უნდება და იშვიათად სხვა საქმეს აკეთებს“⁴.

მმართველობა თუმშურ საოჯახო თემში მისთვის დამახასიათებელი წვრილფეხა მესაქონლეობის განვითარების სპეციფიკური ფორმების გამო თავისებურხასიათს ატარებდა. აქ უფროსი დედაკაცის ფუნქციები განსაკუთრებით ღიღი

⁴ საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. მაჩაბლის არქივი, № 193.



იყო. მიუხედავად იმისა, რომ თუშეთშიც, ისევე როგორც საერთოდ საოჯახო თემებში დიასახლისი მხოლოდ საქალო და არა სამამაკაცო საქმეს განაგებდა, თვით ეს საქალო საქმე აქ იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ არსებითად დიასახლისი მთელ საშინაო საქმეს ხელმძღვანელობდა.

როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს შორის საქმეები საუფროსო და საუმცროსო მიხედვითაც იყოფოდა. პურის გამოცხობა, საქმლის დამზადება რძლებს შორის საუფროსო საქმეს შეადგენდა. საუმცროსო უმთავრესად სახლის გარეთ არსებული საქმეების შესრულებაში მდგომარეობდა: წისქვილი, სამკალი, სახნავი და სხვა. საოჯახო თემს ჰქონდა მუღმივი საცხოვრებელი ბინა მთასა და ბარში (მთა-თუშეთსა და ალვანში); ოჯახის წევრები და უმთავრესად კი ქალები, როგორც ვთქვით, მორიგეობით იცვლიდნენ ამ ბინებს. ვარდა ამისა, თუშეთის სპეციფიკურ პირობებში მსხვილფეხა მესაქონლეობის განვითარებასთან დაკავშირებით ზამთარში ნაწილი ქალებისა საქონელთან ერთად გადადიოდა ბოსლებში, რომლებიც ცოტა მოშორებით იყო საცხოვრებელი ბინებიდან. ბოსლის გარშემო იყო სახნავი მიწის ნაკვეთები; ზამთარში აქ აყენებდნენ საქონელს, რის საშუალებითაც ხდებოდა მიწის განოყიერება. გაზაფხულზე კი როდესაც მიწა მოიხეწოდა საქონელი აქედან გადაყავდათ და მოსავლის აღებამდე მას აქ ალარ აჩერებდნენ; აქ ითესებოდა ქერი, სვილა და ზოგჯერ ხორბალიც.

სახნავი მიწის ნაკვეთები, რომლებსაც საბლის მიწა ეწოდებოდა, ყველას თანაბარი რაოდენობით ჰქონდა საბლით ანუ თოკით მოზომილი. იყო აგრეთვე კარის მიწა, რომელიც საერთო გადანაწილებაში არ შედიოდა; სასოფლო მიწა, რომელიც ნაოხარსა ანუ დალეულის მიწებს შეადგენდა და სოფელს საერთოდ ხმარებოდა; ქვრივ-ობოლისათვის მცირე რაოდენობით მოზომილი საკალე მიწა და ბოლოს სახატო მიწა ანუ ჭვარის ყანა, რომლის მოსავალსაც დღესასწაულების დროს საერთოდ — სასოფლოდ იყენებდნენ და მიწას კი მორიგეობით ამუშავებდნენ. სოფლის ნაპირებზე დიდ ოჯახებს ასევე კომლობრივად დაყოფილი სათიბები ჰქონდათ, ამ თივას ზამთარში მსხვილფეხა საქონლის გამოსაკვებად ხმარობდნენ.

ამრიგად მიწების ერთი ნაწილი მთა-თუშეთში თანაბრად იყო დაყოფილი ცალკეულ კომლებს შორის, სოფლის შიგნით მომხდარი გადანაწილება არ ატარებდა ყველგან სისტემატურ, პერიოდულ ხასიათს, არამედ საჭიროებისამებრ 5—10 წლის მანძილზე ერთხელ ხდებოდა.

ეს მიწები გადანაწილების დროს საბლით (თოკით) იზომებოდა და ამიტომ კარის მიწისაგან განსხვავებით საბლის მიწად იწოდებოდა. ერთი ზომა საბელი 2 დლიურ მიწას უდრიდა. ასე მაგალითად ფარსმაში თითოეულ მეკომურს ჰქონდა შემდეგნაირად დანაწილებული საბლის მიწა:

1. საქერე — 1 ზომა
2. საიფქლე (საპურე) — 1/2 ზომა
3. საშვრიე — 1/2 ზომა
4. სასვილე — 1 ზომა
5. სათიბი — 2 ზომა

თითოეულ მიწის ნაკვეთს თავისი საკუთარი სახელი ჰქონდა. საქერე მიწებს იქ შეადგენდა სოფლის თავი, წყაროს თანა, ჭვართანა (ჯვარი ყანის გარშემო), თეთრ წყლებ-

* შდ. მ. მაჩაბელი, დსახ. ნაშრომი, გვ. 391, სადაც ნათქვამია: „Земли измеряли двенадцати саженной веревкой“.



თან. სათბის: ზარანგუო, თათის შანტალი, საფიტე და ვეშარე, გრეი, ჭიქია, ჭვარის ყანა ჰქონდა სოფელს, რომელსაც მორიგეობით არჩეული პირები ხნავდნენ და მისივეს დღესასწაულის დროს იყენებდნენ.

დანარჩენ სოფლებშიც მიწა მსგავსი პრინციპით ნაწილდებოდა, ხოლო განსხვავებას ამ მხრივ სოფლის შიგნით არსებული მიწის პეტ-ნაკლებობა შეადგენდა. მიწის ზომის დღიურებით გამოანგარიშების შესახებ მ. მაჩაბელი შემდეგს შენიშნავდა:

„В горах же очень трудно сказать, сколько квадратных саженей включает в себе дигури. Смотря по грунту, по крутизне, высоте местности и другим причинам, она бывает больше и меньше. При двухпарной запряжке, дигури доходит от 100 до 400 кв. саж., а в среднем можно считать ее 300 кв. саж.; при парной запряжке дигури — от 40 до 300 кв. саж., в среднем не более 160 кв. саж. Установить какую либо точную меру дигури невозможно и вышеприведенные цифры только приблизительно-ны; при всех моих измерениях я редко получал два дигури одной и той-же меры“.

(დასახ. ნაშრ. გვ. 444. შდ. აგრეთვე გვ. 347).

სოფ. კონთიოს მცხოვრები მოხუცი საბა ლეთისოს ძე ითიურაძის (69 წლ.) მონათბრობში მსგავსივე სურათია წარმოდგენილი: „მიწები სულ სწორეთ ჰქონდათ კომლობრივად დაყოფილი. ათ წელში ერთხელ იყოფდნენ, ვინმე რომ გაყოლიყო, უნდა დეცადა ათ წლამდე; მანამდე კი სოფლის ნაპირებში იქნებოდა რამე მოსახნავი და იმას მოხნავდა.

კარის მიწა თითო დღისა იქნებოდა, იმას არ ჰყოფდნენ, თითონ უფილდნენ, ანაყოფიერებდნენ და ასვენებდნენ.

თითო მეკომურს საქირე და სასვილე მიწები ერთი დღიური შინც ექნებოდა, თითო ადგილას. ასეთი იყო: თარხეა, უნათლაეთან, შანტალზე, მადლოძირ, სოფლის თავ; შვრისის ყანები კი შთაში გვექონდა, თითოს 2—3 დღისა. საცა კარგი ადგილი იყო იქ ქერს თესავდნენ, საცა არა და შვრისს. მთის ადგილები იყო: დამათარა, მუყიეხი, თურცები, ლეიბარჩი, შუკვე და იანაზდა, სადაც თითოეულ კომოს 2—3 დღიური სახნავი ჰქონდა. სათბებშიც ასევე კომლებრივად ჰქონდა სოფელს დანაწილებული“.

თუშეთის მსგავსად ფშავეშიც კარის პირი ეწოდებოდა იმ მიწას, რომელიც სახლთან თუ ბოსელთან მდებარეობდა და პერიოდულად განაწილებას არ განიცდიდა, ხოლო ნაწილარი თუშური საბლის მიწის მსგავსად ნაწილდებოდა. ჰქონდა აგრეთვე ფშავეში სოფელს ცალკე გამოყოფილი სახირხატო მიწები, რომლებიც მწირსა და ნაკლებ მოსავლიან ადგილებს წარმოადგენდა და რომელიც ასევე პერიოდულად ნაწილდებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მიწის მფლობელობის სისტემის დახასიათებისას, მ. მაჩაბელი მიწის განაწილების წესზე მიუთითებს და ასევე გამოკყოფს კარის პირებს იმ მიწებისაგან, რომლებიც ჩვეულებრივად განაწილებას განიცდიდა. ამ საკითხს თავის დროზე შეეხო მ. კოვალევსკიც⁶.

ამრიგად მხედველობაში მისაღებია მაინც ის გარემოება, რომ შესაძლებელია თავდაპირველად საოჯახო თემის ეკონომიური მდგომარეობა ახოდ აღების საშუალებით მოპოვებული მიწის რაოდენობაზედაც იქნებოდა დამოკიდებული, რაც ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით უკვე აღარ ჩანს და დიდი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის განმსაზღვრელად მხოლოდ საქონელია წარმოდგენილი. ამ დროისათვის მეცხვარეობის განვითარებაში კაპიტალისტური ელემენტების გაჩენამ წინ წამოწია ეს დარგი მეურნეობისა და უკან დასწია მიწათმოქმედება.

მსვილფეხა საქონლისათვის სახლისაგან ცალკე მოშორებით აგებული ბოსლები დამახასიათებელი იყო თუშეთში ისეთი სოფლებისათვის, რომლებიც

⁶ Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказья, т. V, гл. 386.

⁷ М. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. II, М., 1890, гл. 84.

სულდზე იყო გაშენებული და საქონლის საცვების გადატანა იქ განსაკუთრებით ძნელ საქმეს წარმოადგენდა.

ჩაღის თემში თითქმის ყველგან იყო ბოსელი: ომალოში, შენაქოში, დიკლოში, აგურთაში, რაკ შეეხება ბოქორანსა და ქუმელაურთას, ამ სოფლებს ნაწილობრივად ჰქონდათ ბოსლები.

ასეთივე მდგომარეობა იყო პირიქითის თემშიც: ბოსლები ჰქონდა შემდეგ სოფლებს: დარბოს, კველოს, დანოს, კონთიოს; ნაწილობრივ ჰქონდა ჭეშოს და სულ არა ჰქონია ფარსმასა, გირევისა და ჩილოს. გომეჭრის თემში იყო ბოსლები: დოჭუში, ბელელაში, ვუღანთაში, ვაკას ძირში, გოგრულთაში, ვესტომში; ნაწილობრივ ჰქონდა ხაჩილოლოს და ვესტომას. ხოლო არ იყო ბოსლება — ილიურთაში, ბუხურთაში, ჯვარბოსელში, ვერხონაში, დადიკურთაში, დლისკორში, კოკლათაში, ვეძის ხევეში და ბიქურთაში. ჭანჭახანის თემში კი, რომელიც შედარებით ვაკე ადგილზეა გაშენებული, ცალკე ბოსლები არც ჰქონიათ.

ამრიგად მსხვილფეხა მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების თავისებური სიმბიოზი თუშეთის საოჯახო თემში რძლებს შორის შრომის ორგანიზაციის გარკვეულ სახეს ქმნიდა. სოფლების უმრავლესობას სოფლიდან ცოტა მოშორებით ჰქონდა გაცემებული ბოსლები. უგზოობის გამო, მოთიბული საქონლის საცვები იქვე ინახებოდა; ზამთრის განმავლობაში რძლების ერთი ნაწილი ოჯახიდან საქონელთან ერთად საცხოვრებლადაც იქ უნდა გადასულიყო, ხოლო ნაწილი კი სახლში დარჩენილიყო.

ამრიგად, იმ მონაცვალეობასთან ერთად, რომელიც ქალებს მთა თუშეთსა და ალენში ყოფნის დროს მორიგეობით უხდებოდათ, ქალები იმავე წესით მთათუშეთის პირობებშიც იცვლიდნენ ბინას უკვე სახლსა და ბოსელს შორის.

შენაქოელებს კი ერთი ბოსლის ნაცვალ ორი ჰქონდათ: ერთი მთაში, სადაც საქონელს შემოდგომითა და ზამთრის დასაწყისში აყენებდნენ, და მეორე კი, რომელიც სოფლის მოშორებით საზამთრო სადგომს წარმოადგენდა. ორივე ეს ბოსელი განკუთვნილი იყო მსხვილფეხა საქონლისათვის. ოქტომბერში არეკავდნენ საქონელს მთის ბოსლებში თევით გამოსაკებად. მთის ბოსლებში საქონელს ოჯახიდან მხოლოდ ერთი დედაცაი მიყვებოდა მწველ-დედასა და ერთმანეთს დახმარებას უწყებდნენ მგზობლები, რომელთაც ბოსლები ახლო ჰქონდათ გაცემებული. თითოეულ კომლს ბოსლებთან სახნავი მიწის ნაკვეთიც ჰქონდა, სადაც ქერსა და სკილას თესავდნენ და მოსავალს იქვე საზარჯავად იტოვებდნენ. ხენა-თესვას ჭერ სოფლის ბოსლებთან იწყებდნენ და შემდეგ კი მთის ბოსლებში გადავიდოდნენ; ყველა ეს სამუშაო ქალებს ეკისრებოდა.

ამრიგად, ოქტომბრიდან დეკემბრამდე ქალების ერთი ნაწილი მსხვილფეხა საქონელთან ერთად მთის ბოსლებში იმყოფებოდა, იანვრიდან აპრილის ბოლომდე სოფლის ბოსლებში, ხოლო მაისიდან სექტემბრის ბოლომდე სოფელში, ამავე დროს ნაწილი ქალებისა ზამთარში ალენშიც უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, მსხვილფეხა მესაქონლეობასთან დაკავშირებით საოჯახო თემში ქალებიც იცვლიდნენ ბინას, რის დროსაც რძლები ერთიმეორეს მორიგეობით თითო წლით ეცვლებოდნენ.

ამჟამაა თუ რა დიდი რაოდენობის მუშა ხელი ჰქონდებოდა ამგვარ ოჯახს და როგორი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის საქმის შინაგან ორგანიზაციას. ოჯახის მუდმივ ბინადრობასთან ერთად ოჯახის წევრების ერთი ნაწილი მსხვილფეხა მესაქონლეობასთან დაკავშირებით წელიწადში ორჯერ ან სამჯერ იცვლიდა ბინას, ხოლო წვრილფეხა მესაქონლეობა კი თავისი მხრიდან მთაბარობას მოითხოვდა. ეს იყო ძირითადი მიზეზები, რამაც ხელი შეუწყო თუშეთში საოჯახო თემის არსებობის გახანგრძლივებას.

თუშეთის საოჯახო თემში ქალებს შორის განაწილებულ იმ შრომას, რომელიც დაკავშირებული იყო მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან, ხელმძღვანელობდა უფროსი მანდილოსანი—დედაამთილი, ან უფროსი რძალი. ძმების ცოლები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ საოჯახო თემში, თუშეთში მონ-



დაკვებად იწოდებოდნენ. ძმების ცოლების, რძლის საერთო სახელწოდებები განსაკუთრებით სპეციალური ტერმინით გამოყოფა დამახასიათებელ მხარედ უნდა ჩაითვალოს საერთოდ ქართული საოჯახო თემისათვის; ასეთია, მაგალითად ლეჩხუმურ-იმერულ-აჭარული ტერმინი შილი, ჭანური — ნუსაღა, სვანური მეყვრვა და ფშური მოწილე*.

საყურადღებოა ამ შემთხვევაში ის გარემოება, რომ თუშური მონდავის სახელწოდება დაკავშირებულია შრომით პროცესში მომხდარ გაერთიანებასთან; ასე მაგალითად, ფშავეში მონდავით აღინიშნება მოღვაწობა, ხოლო თუშეთშივე მეზობლების მიერ ხვნის დროს ხარების გაერთიანება. ამრიგად თითონ ამ ტერმინშიაც წარმოდგენილია მანლის ცოლების საწარმოო გაერთიანება. საყურადღებოა აქ ისიც, რომ საოჯახო თემის დაშლის შემდგომ განვითარებული მოდგამობა, როგორც ერთ-ერთი სახე შრომის გაერთიანებისა, ტერმინ მონდავის სახით საოჯახო თემშივე ჩნდება.

თუშეთში საოჯახო თემში უფროსი მამაკაცი ოჯახის საერთო მმართველობის გარდა საკუთრივ ოჯახის ფარგლებში განვითარებული მეცხვარეობის ხელმძღვანელი იყო. უფროსი მამაკაცი მართავდა საძოვრებისა და ცხვრის მოშენება-გამრავლების საქმეს, ის აწესებდა ამათგანათა კავშირებს, როდესაც ცხვრის ფარისა და მუშა ხელის რაოდენობა ოჯახში მცირე იყო; ის იყვანდა აგრეთვე მწყემსებს; ის უერთდებოდა ნამგალად სასგავაგროდ წასვლისას; ანაწილებდა ოჯახისათვის ხორცად საჭირო თუ გასასყიდად ვახუტყონილ ცხვარსა და აგრეთვე ყველს; ხელმძღვანელობდა მეცხვარეებს შრომის შრომის განაწილებას და პატარა ბიჭების მეცხვარეებად აღზრდის საქმეს.

ყოველგვარი საგარეო საქმეები და მასთან ერთად ყიდვა-გაყიდვა უფროსი მამაკაცის ხელში იყო.

თუშეთში საოჯახო თემის წამყვანი მეურნეობა — მე-
III. თუშური საოჯახო ცხვარეობა კოლექტიური შრომისა და მოხმარების
 თემის ეკონომიური პრინციპზე იყო აგებული.

საფუძველი მეცხვარეობასთან დაკავშირებული სამეურნეო გაერთიანებანი მართალია საოჯახო თემის ფარგლებსაც ცილებოდა, როდესაც ის მენარეობის სახით იქმნებოდა, მაგრამ, საერთო წარმოებასთან ერთად, საერთო მოხმარებაზე დამყარებულ ორგანიზაციას, ამ შემთხვევაში მხოლოდ საოჯახო თემი წარმოადგენდა.

ისეთი საოჯახო თემები, რომელთაც 400—500 სულზე მეტი ცხვარი ჰყავდათ, დამოუკიდებლად ეწეოდნენ მეცხვარეობას. ერთი ბინისათვის კი საკმარისი იყო 200—400 სული ცხვარიც, მაგრამ ასეთ დროს მანაც მენარევეებად გაერთიანებას ამჯობინებდნენ. 400 სული ცხვარი უკვე ერთ ფარას შეადგენდა, რომელსაც ორი მწყემსი, ორი ძაღლი და რამოდენიმე ცხენი უნდა ჰყოლოდა; 200 ცხვარზე მეტს მწყემსი ვერ მოუვლიდა.

როგორც დღევანდელ თუშეთში სახნავი მიწისა და სათიბის ფართობი ყველას ერთნაირად ჰქონდა მოზომილი, ხოლო ქონებრივ განსხვავებას ცხვრის რაოდენობა ჰქმნიდა. ისეთი საოჯახო თემების ქონება, რომლებიც მრავალრი-

* რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონათხები სვანეთში, 1939, გვ. 77 და ასევე „Грузинская семейная община“, автореферат диссертации на соискание ученой степени доктора ист. наук, М., 1954, გვ. 12.

* ალ. რობაქიძე, მდგამი როგორც ექსპლუატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდე საქართველოში, მიმოხილველი, II, თბ., 1951, გვ. 407—427.



ცხოვანებასთან ერთად თუშეთში სხვებზე შეძლებულებადაც ითვლება ზემოთ უკვე ნახსენები საოჯახო თემების მაგალითებზე წარმოვიდგინოთ.

შენაქოელი ჭიჭურიანების საოჯახო თემს, რომელიც 23 სული-საგან შესდგებოდა, 1200 სული ცხვარი ჰყავდა; საჩილოლოელ დიდ განაანთ 3000—3.500 სული ცხვარი; ხახაბოელ თიბელაანთ 3.000 სული ცხვარი და ფარსმელ ჩაკოანთ 4.000 სულამდე. მეწველი ძროხების რაოდენობა 7—12-მდე უდრიდა, ხოლო ამასთან ერთად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ერთ უღელ ხარზე მეტს ოჯახში არ იტოვებდნენ. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში თუ ჰყავდა ოჯახს ორი უღელი ხარი, უმრავლესობას კი თითო ხარი, როგორც ვთქვით მრავალრიცხოვანსა და შეძლებულ ოჯახსაც იმდენივე მიწა ჰქონდა, როგორც ყველაზე ღარიბ ოჯახს და ეს მიწის რაოდენობაც მცირე იყო; ამიტომ უღელ ხარზე მეტს ოჯახი არ ინახავდა, რაც თავისი მხრიდან, იმ დროისათვის, მიწათმოქმედების შედარებით მცირე განვითარებზედაც მიუთითებს. ეს არის თუშური საოჯახო თემის ერთ-ერთი ძირითადი და განმსაზღვრელი თავისებურება.

მეცხვარეობასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ძირითად ტრანსპორტს ცხენი წარმოადგენდა. ცხვრის ერთი ბინიდან მეორეზე გადასვლისას ტვირთშილიც საშუალებად ცხენი იყო გამოყენებული, რაც საოჯახო თემში ცხენების ჯოგების მომრავლების საჭიროებას ქმნიდა. ასე მაგალითად, ჭიჭურიანთ ოჯახს ჰყავდა 30 ცხენი; ჩაკოანთ ოჯახს 40 ცხენამდე, იმ დროს, როდესაც ერთ უღელ ხარზე ბეტი არც ამ უკანასკნელთ ჰყოლიათ.

როგორც ზემოთაც იყო უკვე აღნიშნული მამაკაცები ძირითადად მეცხვარეობას ეწეოდნენ და იყო ოჯახები, სადაც არცერთი მამაკაცი ოჯახში სამუშაოდ არ რჩებოდა, ყველანი ცხვარში მიდიოდნენ. ასე მაგალითად, ჩაკოანთ ოჯახში შინაკაცი არ ჰყავდათ; დიდ განაანთ ოჯახში 10 მამაკაციდან 8 იყო მეცხვარე და 2 შინაკაცი, დაახლოებით ასეთივე სურათი იყო სხვა მრავალრიცხოვან ოჯახებშიც.

პატარობიდანვე ასწავლიდნენ ბიჭებს ბატყნის ცნობას, ე. წ. მცნობობას, რასაც დროს დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და, მეცხვარეობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა; ამავე დროს ეს ძნელ საქმეთაც ითვლებოდა; ხალხის წარმოდგენით კარგ მცნობს საამისო ნიჭი თანდაყოლილად უნდა ჰქონოდა. ხშირად მიუთითებდნენ, მაგალითად, ისეთ მეცხვარეზე, რომელიც ცხვრის მომვლელად არ ვარგოდა, მაგრამ თითქმის ყველა ცხვარსა და ბატყანს — დიდისა და შვილის მიხედვით არჩევდა.

პატარა ბიჭებს 8—9 წლიდანვე ასწავლიდნენ მეცხვარეობაში გამოსაყენებელ მეზობელ ხალხთა ენასაც; საზამთრო ბინებზე ყოფნის დროს თითოეულ ბინას ერთი მოენე უნდა ჰყოლოდა და ამ მიზნით დიდი ოჯახი ერთ ან ორ ბიჭს ენის შესასწავლად გზავნიდა, მაგალითად, აზერბაიჯანში.

საზღვრულო საძოვრები, სადაც ცხვარი მაისიდან სექტემბრის პირველ რიცხვამდე იმყოფებოდა, სოფლიდან მხოლოდ რამოდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული. ეს საძოვრები გაერთიანებული იყო თემების მიხედვით, ზოგჯერ კი სოფლების მიხედვით დაყოფილა. ასე მაგალითად, ფარსმელაჰ ქონდა თავისი საძოვრები ლაროანსა და კეახიდში. ჭვარბოსლის საზღვრულო საძოვრებს შეადგენდა: სადათვია, საჩინველი, თინაწილარი, სამყურე, ფიქალანთა, საჩიკვე, სვილობი, პატარა გორი, ლანგის ზეფი, საღვარე ბინა, შავბეგის კარი, მიწის-გორი, ნაფქართანა, საციხე გორი, ღვენასელი, დიდგვერდი, დადიკურთის თავი, გუღაანთის თავი, ვეშაგურის ხევი. აქ ზენს მოყვანით საძოვრების სახელწოდებანი თითონ მთის შიგნით არსებულ ცალკეული ადგილების მიხედვით; მსგავსივე მასლა გვაქვს ზენს დამოწმებული



თუშეთის სხვა თემებშიც, რომლის აქ მოტანა საჭიროდ არ მიგვაჩნია; აღვნიშნავთ საზოგადოებისა თუ თემის შიგნით არსებული შთა სასოფლო საძოვრებზე იურფოდა ცალკეული ნაკვეთების მიხედვით.

საზაფხულო საძოვრები, როგორც ვთქვით თუშეთის მთებში იყო, მაგრამ ზოგჯერ, როდესაც მთაბრუნებელი არ ჰყოფნიდათ, მეცხვარე თუშებს შორს გამგზავრებაც უხდებოდათ; ასე მაგალითად, ფარქმის საზოგადოებიდან, დაღისტანში გადადიოდნენ და იქ ჭირაობდნენ ე. წ. ლეკო მთას.

წოვა თუშებსაც, რომელთაც ჰქონდათ საზაფხულო საძოვრები წოვათაში — თელტაში — თავისი ძველი სამოსახლო ადგილების მახლობლად, ასევე უხდებოდათ დაღისტანში გადასვლა. ასე მაგალითად, ისინი ჭირაობდნენ ყაბუღებისაგან მთა მუხამშას, მტლადელებისაგან ვარყოს მთას და ა. შ. გაზაფხულზე შირაქიდან წამოსული წოვა თუშები მიდიოდნენ ბეიტაზე (ახალ სოფელზე), ისე რომ ალვანზე გასვლა მათ ამ დროს არც კი უხდებოდათ.

სასოფლო საძოვრების ჭირის გადახდა, სოფლისა თუ თემის შიგნით ოჯახების მიერ ცხვრის რაოდენობის მიხედვით ხდებოდა, რაც სახელმწიფო გადასახადს შეადგენდა. კერძო საზაფხულოების დაქირავება კი ცალკე ოჯახის უფროსი მამაკაცისა, თუ მონარევეთა სარქალის მიერ ხდებოდა. საზამთრო საძოვრების დაქირავება კერძო პირებისაგან, ამავე წესით ხდებოდა; მეცხვარეები თითონ იწუნებდნენ ფარქმსა და ბინებს.

თუშეთის ცხვარი საზამთრო საძოვრებზე ნაქერალთ გადადიოდა. საყორნებზე ან ნაქერალზე წამოსულები ლეჩურზე ჩამოვიდოდნენ, იქ ცოტა ხანს ცხვრის საპარსავალ შენარდებოდნენ და შემდეგ სოფ. ფშაველზე გავლით კახეთისაკენ წავიდოდნენ. შირაქიანს ზილს გაავლიდნენ. კარდანახს, ველის ციხეს, სიღნაღის ბოლოს, წნორზე გავიდოდნენ და ძირზე (ალაზნის პირზე) შირაქის მახლობლად დაბლობზე) მოვიდოდნენ, სადაც საშემოდგომო ბინა ჰქონდათ; ფარგები აქ არ სჭირდებოდათ. საშემოდგომო ბინაზე ერთ თვემდე რჩებოდნენ.

ალავერდობისათვის ე. ი. 14 სექტემბრისათვის (მ. წ. სტ.) ცხვარი უკვე დაბლობზე ჩამოდიოდა და პარსვაც იწყებოდა. ცხვარს წელიწადში ორჯერ პარსავდნენ.

მთხრობელის თქმით: „მეცხვარეები სულ გარეთ დადიოდნენ — ენკენისთვიდან შაისამდე სულ შირაქში ვრჩებოდით. ენკენისთვეში საშემოდგომო ბინა იყო ძირზე (ალაზნის პირზე რ. ხ.); იქ დაჯარბოდით ერთ თვეს, იქიდან საზამთრო ბინებში გადავიდოდით — იორზე. იმათ ვინც მთა-თუშეთში რჩებოდა მეს თე მთა და თუშურ ა ე ბ ს ვეძახდით, იმათ ვინც ცხვარს მოყვებოდა — მე მთა ბარეებმა და კახურ ა ე ბ ს“ (სოფ. დადიკურთა, საბა ხატოს ძე ბახულაიძე).

შირაქის გარდა საზამთრო ბინები ჰქონდათ აგრეთვე ნაქირავეები აზერბაიჯანშიაც; საშუქში (ქირთავაძის რაიონში) და ჩალაყაიაში; მიდიოდნენ აგრეთვე ოლაქაში (ბელაქნის ბოლოს); ზოგჯერ ვლდრის ადგილებშიაც ჩადიოდნენ.

ერთი ზამთრის განმავლობაში დესტინაში 600—700 მან. იხდიდნენ საზაფხოს. ცხვარს იქ ვიორგობის თვიდან მოყოლებული მარტამდე აყენებდნენ. ცხვრის გადაყვანა მუდამ ორგანიზებულად ხდებოდა, რისთვისაც გზების შეკეთება ჭირდებოდათ და ლეკების თავდასხმისაგან დასაცავად შთის გადასასვლელებზე ყარაულების დაყენება.

ყარაულებს: გამოჰყოფდა თითოეული თემი; პირიქითისა, ჩაღმისა და გომეწრიდან, სასოფლო გზებზე კი მორიგობით დადიოდნენ.

მთა თუშეთიდან წამოსული ცხვარი როგორც ვთქვით ალვანის მახლობლად ლეჩურთასა და ფშაველის ბოლოს ჩერდებოდა და იქვე იპარსებოდა; მეცხვარეებს თითქმის ერთი თვის მანძილზე უხდებოდათ ალვანის ველზე შეჩერება.

საქართველოს მეფეების მიერ თუშებისათვის ერთგულებისა და სამსახურისათვის ბოძებული ალვანი იქ ცხვრის მოსაძოვრებლად და დასაყენებლად იყო გამოყენებული. თუშები იქ თავდაპირველად ხენა-თესვას არ ეწეოდნენ ამიტომ, სახელმწიფო გადასახადსაც ამ სახასო და საღალო ადგილში მხოლოდ საკომლოსა და საბაღალახეს იხდიდნენ. ეს გარემოება კარგად ჩანს 1775 წ. ერეკლე მეფის მიერ ერთობილ თუშთათვის განახლებული სიგელიდანაც¹⁰.

¹⁰ საქ. მეცნ. აკადემიის ზელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd № 10063.

მ. მაჩაბელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თუშეთში წვრილფეხა მესაქონლეობის განვითარებისათვის ალვანის არსებობას.

ალვანისა და ბირკიანის შესახებ ის პირდაპირ წერდა, რომ «без них скотоводство у тушин не могло бы быть в таких благоприятных условиях, в каких оно находится в настоящее время. В начале апреля весь скот из Ширакской степи выступает для перекочевки на летние пастбища. Летние пастбища покрыты в это время глубоким снегом и пути сообщения до 15-го мая не настолько еще открыты, чтобы ояцы могли передвигаться. До Тианетского уезда скот из Ширакской степи доходит до 15 дней и потому целый месяц он должен оставаться еще на плоскости (Алванском поле)»¹¹.

ცხვრის ამგვარი მოძრაობით იყო შეპირობებული თუშების ალვანში ბინადრობა, და ეს უკანასკნელი გარემოება კი საოჯახო თემისაგან მოითხოვდა არა მარტო მეცხვარე მამაკაცების შორის შრომის სათანადო განაწილებას, არამედ ოჯახში გაერთიანებულ რძალთა შორისაც, რომლებიც წლის გარკვეულ ნაწილში ალვანში უნდა ყოფილიყვნენ და შირაქში მყოფი მეცხვარეებისათვის საჭირო დახმარება გეწიათ პროდუქტების შენახვითა თუ საკვებისა და ეკიპირების მიწოდებით. თუშები ალვანში ცხოვრობდნენ ზამთრობით, ზაფხულობით კი მხოლოდ რამდენიმე ყარაულს ტოვებდნენ¹².

ამგვარად ცხვრის მოძრაობასთან დაკავშირებით თუში მეცხვარეები, წელაწადში სამჯერ იცვლიდნენ ბინას — საზაფხულოს, საშემოდგომოს და საზამთროს. მეურნეობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საოჯახო თემის წევრების ამგვარი მოძრაობა, მსხვილფეხა მესაქონლეობასა და ნაწილობრივ კი მეცხვარეობასთან დაკავშირებითაც, როგორც დავინახეთ ქალებსაც უხდებოდათ. მეცხვარეობის განვითარებასთან ერთად, ალვანის, როგორც დამხმარე პუნქტის მნიშვნელობა თანდათანობით იზრდებოდა. აქ ხდებოდა საქონლის შენახვა; აქედან წარმოებდა გასასყიდათ პროდუქტების გაზიდვა და ნაწილობრივ რეალიზაციაც. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ალვანში ბინადრობის განვითარებას, თანდათანობით იქ მემინდვრეობისა და მებაღეობის შემოღებას და ალვანის კეთილმოწყობილ სოფლად შექმნას.

საყურადღებოა, რომ ალვანის წარმოშობაში მეცხვარეობის განვითარებასთან ერთად ხელისშემწყობ გარემოებად ისიც უნდა იყოს მიჩნეული, რომ მხოლოდ საოჯახო თემის არსებობის პირობებში იყო შესაძლებელი ალვანისა და მთა-თუშეთში პარალელურად არსებული საცხოვრებელი ბინის შექმნა.

თუშეთისათვის ამ დროს დამახასიათებელი იყო საოჯახო თემთან ერთად მცირე ოჯახიც და აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დიდ ოჯახებს, რომლებსაც, მეტი საქონელი და მეტი მუშა ხელი გააჩნდათ შეეძლოთ ალვანში საზამთრო ბინა გაეჩინათ; მცირე ოჯახები კი მხოლოდ მთა-თუშეთში ეწეოდნენ ბინადრობას. ამრიგად ალვანი თუშეთის ძირითად მეურნეობასთან — მეცხვარეობასთან დაკავშირებით წარმოიშვა; იქ შექმნილი ბინადრობა კი აგრეთვე საოჯახო თემის არსებობითაც იყო შეპირობებული.

¹¹ მაჩაბელი, დასახ. ნაშრ., გვ. 413.

¹² შდ. მ. მაჩაბელი, დასახ. ნაშრ., გვ. 342, სადაც ნათქვამია: „Алванское поле находится, хотя в таких же неблагоприятных климатических условиях, но тушин никогда летом не остается на нем, и поднимается со своими семьями в нагорную Тушеттию и на эйлаги.“



მ. მაჩაბელი, ალვანის მნიშვნელობას თუშებისათვის არა მარტო, არამედ მის სადგომად გამოყენებაში და იქ პროდუქტების რეალიზაციისათვის არამედ ის სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ალვანი გარკვეულ პერიოდში მეცხვარე თუშების ოჯახთან კავშირის დამყარებას ერთგვარად ხელს უწყობდა.

„На Алванском поле, — წერს მ. მაჩაბელი, — тушины стригут овец и пасут их до берега на горы Ширакскую степь. Поле служит также складочным местом шерсти, сыра и других продуктов, предназначенных к продаже. Но важное значение Алванского поля не исчерпывается только этим; благодаря ему тушины имеют возможность сообщаться, хотя изредка, со своими семьями зимой и не быть отрезанными от них на целых восемь месяцев“. (გვ. 418).

საერთაღმდეგოა, რომ აქვე მ. მაჩაბელი უდარებს ამ მხრივ, თუშების ცხოვრების პირობებს ფშაველებსა და ხევსურებს და აღნიშნავს, რომ ფშაველების მდგომარეობა, მათი გეოგრაფიული პირობების გამო სხვაგვარია, და ამიტომ მეცხვარე ფშაველების კავშირი ოჯახთან მთლიანად არ წყდება; ხალხი ხევსური კი სულაც არ შორდება თავის ოჯახს.

„Пшавия значительно ниже нагорной Тушетии и Хевсуретии, и пшавец хотя с трудом, но все таки имеет возможность навестить свою семью и не считать ее погребенной на то время, пока он на плоскости. Нет никакого сомнения что не имея Алванского поля, тушины точно также, как и хевсур, не расстался бы со своей семьей не представлял бы ее случайностям суровой природы и не менее суровых и грозных окружающих Тушетию врагов — дагестанцев и чеченцев“ (იქვე).

ამგვარად, ალვანის დასახლება თავისებურ პირობებში განვითარებულ მეცხვარეობასთან იყო დაკავშირებული: ის თავისი მხრიდან ხელს უწყობდა საოჯახო თემის, როგორც სამეურნეო ხასიათის მქონე ნათესაური გაერთიანების შენარჩუნებას, მიუხედავად კერძო საკუთრებისა, რომლის განვითარებას თუშეთში უკვე საკმაოდ მყარი საფუძველი ჰქონდა.

როგორც დაქირავებულ მწყემსებს, ისე თითონ ოჯახის წევრებსაც წინასწარ განსაზღვრული ჰქონდათ სახლში ყოფნის ვადები. ერთ თვეზე მეტს წელიწადში მეცხვარე სახლში ვერ დაპყოფდა. ფარსმელი მოხუცი გაბრო გიორგის ძე იდიძის თქმით: „წელიწადში ერთი თვით მოვიდოდა შინ დეკემბრის ნახევრიდან — იანვრის ნახევრამდე. დაქირავებული მწყემსი. ერთი თვით თუ ორი კვირით მაინც უნდა გაეშვათ შინ. მე ახლად დაქორწინებული რომ ვიყავი, ერთ კვირას ვაზაფხულზე და ერთ კვირას შემოდგომამდე ვიყავი მარტო სახლში“. სოფელ ილიაურთის მცხოვრები მიახ ბახტურიძისა აღნიშნავს: „კაცი გაჩენილით სახლში არ ჩერდებოლეს. ეგრე ცხვარს რო პარსებდეს ცოტა ხანს მაშინ მოვიდოდეს, იანვარშიაც მოდიოდეს ცოტა ხანს — საახალწლოდ“.

ამგვარად თუში მამაკაცები მოშორებული იყვნენ სახლს, რაც სხვა საოჯახო თემებთან შედარებით მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებდა ოჯახში დიასახლისს.

ჩვენამდე მოღწეული თუშური მასალებიდან ირკვევა, რომ საოჯახო თემი იქ მცირე ოჯახის პარალელურად არსებობდა, რომ საოჯახო თემი წვრილფეხა მესაქონლეობაზე დამყარებულ ეკონომიურად ძლიერ ნათესაურ გაერთიანებას ქმნიდა, ხოლო მასთან ერთად მცირე ოჯახების სახით შედარებით სუსტი ჯგუფებიც არსებობდა.

საოჯახო თემის მეურნეობაში, ოჯახის წევრებთან ერთად გაერთიანებული იყვნენ დაქირავებული მწყემსებიც, რომლებიც მცირე ოჯახებიდან გამოსვლ პირებს შეადგენდნენ. საერთაღმდეგოა ის გარემოება, რომ თუშეთში, არ მოწოდება საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად ოჯახებს შორის არსებული შეყრილობა, რომელიც კოლექტიური შრომისა და აგრეთვე კოლექტიური მოხმარების პრინციპზე იყო აგებული; აქ პატარა ოჯახებად ცხოვრების პირობებში, მწყემ-

სომხის თავისებურ სახეობასთან ერთად, უფრო ნ ა რ თ ა ო ბ ი ს სახელით ცნობილი დროებითი კავშირები იქმნებოდა.

ნ ა რ თ ა ო ბ ა ზამთრის პირობებში უმამაკაცოდ სოფელში დარჩენილი ქალებისა და ბავშვების სხვის ოჯახში დროებით შეკვლევას გულისხმობდა¹³.

ნართავი სხვის ოჯახში თავისი სარჩოთი და თავისი ხელსაქმით მიდიოდა; შეშას სანახევროდ მოიმარაგებდნენ და საჭმელსაც გააერთიანებდნენ. ერთი ცეცხლი ექნებოდათ. საწვავი ნაკლები დასჭირდებოდათ. ნართავად წასვლის მთავარი მიზეზი კი მაინც ის იყო, რომ ზამთრის მძიმე პირობებში მარტოობას ერიდებოდნენ. ზოგჯერ კი ამას მათ უსახლობაც აიძულებდა. ასეთ დროს ჩვეულებრივად ქმარი მწყემსად ან მონარევედ მიდიოდა, ქალი კი თავისი ბავშვებით სხვის ნართავად ხდებოდა.

ნართაობა, სწორედ საოჯახო თემში და მცირე ოჯახის პარალელურად არსებობას უნდა შეექმნა და ამდენად მისი გაჩენაც საოჯახო თემის დაშლის პერიოდს მიეწერება.

ოჯახის გაყრდნ დროს გაყოფა თანაბარ — სამომ ნაწილებად ხდებოდა. არ იყოფოდა მიწა, რომელიც საერთო სასოფლო კუთვნილებას შეადგენდა და მხოლოდ საერთო გადანაწილების დროს იყოფოდა; არ იყოფოდა აგრეთვე ტანსაცმელი, რომელიც ინდივიდუალურ საკუთრებას შეადგენდა და ოჯახის წევრებს შორის თავიდანვე განაწილებული იყო; არ იყოფოდა აგრეთვე არც ისეთი ობიექტები, როგორც არის მაგალითად წისკვილი, საარაყე ქვაბი, რომელთა ზიარად გამოყენება შეეძლო ოჯახზე უფრო დიდ კოლექტივს.

თანასწორ სამომ ნაწილთან ერთად გაყოფის დროს ნაგარაუდვეი იყო უფროსი ძმისათვის სა უ ფ რ ო ს ო — ცხენისა, ან 15—20 სული ცხერის სახით და აგრეთვე უცოლო ძმისათვის ს ა ქ ო რ წ ი ლ ო, რომელიც ქორწილთან დაკავშირებულ ხარჯებს გულისხმობდა, დაახლოებით 15 ცხერის რაოდენობით.

საოჯახო თემის უფლებრივი მდგომარეობისათვის ტიპური და დამახასიათებელი მომენტი, რომ მამის სიცოცხლეში ძმები, არ იყოფოდნენ არ იყო. როგორც ვთქვით, დამახასიათებელი თუშური ოჯახისათვის. გაყოფის დროს მამას ეძლეოდა შვილებთან ერთად ნაწილი, მაგრამ, მამის უფლებები შვილების უფლებებს აღემატებოდა და გაყოფის დროს არჩევანი ყოველგვარი წილის ყრის გარეშე მამისა იყო. მამას შეეძლო თავისი სურვილის მიხედვით საოჯახო ქონებიდან ზედმეტაც აეღო. გარდა ამისა აეღო 10 ცხვარი—სადგინისათვის (მისი დასაფლავების დროს გამართული ღოდისათვის), 10 ქედილა დასაფლავების დროს გამართული ღ ა ბ ა ხ ი ს ა თ ვ ი ს და ერთი ცხენიც ს ა მ ე ტ ო დ. საერთოდ მამის უფლებები იმდენად დიდი იყო, რომ მას შეეძლო შვილი უნაწილოდაც გაეშვა¹⁴.

ქვრივ რძალს ოჯახის გაყოფის დროს ნაწილი არ ეძლეოდა; თუშურმა ხალხურმა სამართალმა, ხევსურულის მსგავსი ნ ა მ ა შ ე რ ა ლ ი არ იცოდა, ქალის შრომა ოჯახში გაყრის დროს არაერთარ შეფასებას არ იღებდა.

¹³ ადგილობრივად ამ სიტყვის შემდეგ ეტიმოლოგიას იძლევიან: „ცეცხლს შეშა და უ რ თ ე ო „ და ვსცე ასეა — დ არ თ უ ლ ი ა, ნ ა რ თ ა ვ ი ა ო“. საბ ა ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს განმარტებულა აქვს ნ ა რ თ ა უ ლ ი, ო ლ გ ო რ ტ ზ ე დ დ არ თ უ ლ ი, ბ ო ლ ო ს ი ტ ვ ა ნ ა რ თ ე ი — ჯ ვ ა რ ი მ ო მ ა ტ ე ბ უ ლ ი.

¹⁴ შ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი წ ე რ ა ვ : „В Тушетии при разделе отец имеет неограниченные права и может сыновьям совсем ничего не выдать из имущества, но такой поступок отца вызывает порицание со стороны общества и поэтому он очень редко встречается“. დასახ. ნაშ. გვ. 398.



წილობის მიხედვით მომხდარი გაყოფა, თუშურ საოჯახო თემში შრომითი მომენტს საერთოდ არ ითვალისწინებდა, რაც თითონ საოჯახო თემში, შრომითი პრინციპთან უნდა იყოს დაკავშირებული და მისი ხასიათის გარკვევისას ნათესაობის პრინციპის სასარგებლოდ ლაპარაკობს. არ ეძლეოდა აგრეთვე ოჯახში ნაწილი არც გასათხოვარ ქალს; თავისი ტანისამოსისა და სამუშაო იარაღების — საჩეჩე, დისა და ნამგალის გარდა. მამის სახლიდან ქალს სხვა არაფერი არ მიჰქონდა. არც ურვალი და არც ფშავში ცნობილი სათავნო, თუშურმა საოჯახო სამართალმა არ იცოდა.

მ. მაჩაბლის არქივში მოიპოვება ასეთი ცნობაც თუში ქალის მღვთმარების შესახებ:

„ქალის ნამუშევარი მთლად ოჯახისაა. მთელი ოჯახის ავეჯი საზიაროა. დედაკაცს სათავნო არა აქვს რა, თავის სამკაულისა და საცმელის გარდა. მზითვის მიცემა სულ არ იციან, მარტო ერთ ხელ ტანისამოსს და ერთ ხურჯინს გაატანდნენ ხოლმე. ტანისამოსის გარდა და სამკაულის გარდა არას ატანენ. მდიდარ ოჯახში ძმები იყიდიან ხოლმე სამკაულს (ათი თუმანი, ხუთი) სხვა ტანისამოსი სულ დედაკაცის ნამუშევარია. ყველა პატარძალს ერთ ნამგალს ვაყოლებენ ხოლმე. დედაკაცს არაფერში წილი არა აქვს თავის ტანისამოსის და სამკაულის გარდა და ისიც სულ იმის ნამუშევარია ან ქალობაში, ან რძლობაში. მთელი ქალის ხელსაქმე ოჯახისაა, იმის ტანისამოსის საკმარის გარდა. აქ დედაკაცი ძალიან ხელსაქმიანია: ბევრად უკეთ იციან ხელსაქმე, ვიდრე ფშავლის დედაკაცებმა. ქსოვენ შალებს, ფარდავებს, ხურჯინებს, თოფრებს, ჩულებს; სთელამენ ნაბღებს და ქუდებს. ნაქსოვარი კიდევ ბევრია ჩითები და წინდები“¹⁵.

სულადობის მიხედვით იყოფოდა მხოლოდ საცმელ-სასმელი, ხოლო საოჯახოდ რძლების მიერ შესრულებულ ხელსაქმეს, მონდავებს შორის დედათილი ან უფროსი რძალი ანაწილებდა.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ტანსაცმელის სახით არსებული პირადი საკუთრება, რომელიც დამახასიათებელია ყველა საოჯახო თემისათვის, როგორც ოჯახში არსებული ერთადერთი საკუთრება, ფშავსა და თუშეთში თავისებურადაა წარმოდგენილი. ქმრისა და შვილების ტანსაცმლისათვის საჭირო მასალას, რძლები საოჯახო თემის საერთო მარაგიდან თანაბრად ინაწილებდნენ.

ამგვარად, საკუთრება ტანსაცმელზე გულისხმობდა მცირე ოჯახისათვის გამოყოფილ საკუთრებას თვით პროდუქტზე, რომლის დამუშავებაც ხდებოდა საკუთარი ინდივიდუალური ოჯახის წევრთა შრომით. ამ შემთხვევაში პროდუქტების დამუშავება ხდებოდა უკვე არა საერთოდ საოჯახო თემისათვის, არამედ თავისი საკუთარი პატარა ოჯახისათვის, იმ დროს, როდესაც ყველა დანარჩენ შემთხვევაში ქალის შრომა საერთოდ საოჯახო თემს ეკუთვნოდა. ამგვარად აქ საოჯახო საკუთრებისაგან განსხვავებით უკვე ხდებოდა სათავნოს საკუთრების შექმნა, კოლექტიური შრომიდან ინდივიდუალური შრომის გამოყოფის გზით. საოჯახო თემის შავნით ერთმანეთს უპირისპირდებოდა საოჯახო და სათავნო საკუთრება.

განვითარებული მეცხვარეობის პირობებში, თითოეულ საოჯახო თემს თავისი საკუთარი ცხვრის სერაჰი ჰქონდა. ოჯახის გაყრის დროს, ძველ სერს უფროს ძმას აკუთვნებდნენ, ან ძმებს შორის კენჭს გაყრიდნენ. დანარჩენ-

¹⁵ საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. მაჩაბლის არქივი, № 193.

წებს სერი უნდა ეყიდათ, ან სოფელში უფროს კაცებთან მოელაპარაკებინათ ახალი სერი დაეწესებიათ.

ასე მაგალითად, თუშეთში ზემოთ ნახსენებ ჩაკოანთა საოჯახო თემის შესახებ შენიშნავენ: „გაყარა მღერ ჩაკოანი ეს სერა—მარცხენა ყურზე ისრის კილო და წინ ჰქვდა. ეს სერა ოჯახის გაყრის შემდეგ ერგო ივანეს“. (სოფ. ფარსმა. ცაბიკიძე საბედა ივანეს ასული—67 წ.).

ანდრო ლავითის ძე უშარაულე (71 წ.) შენიშნავს: „ერთი თხის სერა გვქონდა, ერთი კიდევ ცხვრისა, რომ გაეყარა ერთი სერი გვქონდა და ორიც ახალი მოვიგონეთ. ეს ორი ოჯახის სერა შიოს და ალაღეს შეხვდა. მანამდე შე მითხრეს ვინდა სერა შენ დაიჭირეო, მაგრამ არ ვიყავი. წილია მეთქი, მერგება მერგება და არა სხვა სერს მოვიგონებ მეთქი. მერე წილი ვყარეთ სერზე“.

თურქოშვილი ვაზო ივანეს ძე (77 წ.) გადმოგვცემს: „სოფელში გვყავდა ეგეთი კაცები, რომლებმაც სულ იკოდნენ რომელ ოჯახს რომელი სერა ჰქონდა; იმ კაცს ჰკითხავდნენ და მას შეელო რომ მოეწახა ასეთი სერა, რომელიც სხვას არ ექნებოდა“.

საყოფადღებო ცნობებს საოჯახო თემის სერის შესახებ გვწვდის სოფ. ჰონთიოს მცხოვრები საბა ლეთისოს ძე თითოტიძე (69 წ.): „ცხვრის სერები ოთხი გვქონდა პაპა ჩვენისა იყო ისინი უშვილოები იყვნენ და ის სერები დაგვრჩა ჩვენ და ოთხად გაყავით. ოჯახი, რომელიც ამოწყდებოდა—საბიჭე არ ჰქონდა, ის სერსა ჰყიდდა. ერთი სერა 25 მანეთი ღირდა ოქროთი (5 ცხვარი). თუ ვერ იყიდდი და თითონ უნდა მოგვეგონა ასეთი სერა, რომელიც სოფელში არა ჰქონდათ და ეს კი ძნელი იყო.“

თუ პატიოსანი ძმები იყვნენ ოჯახის ძველ სერს უფროს ძმას დაუთმობდნენ და თითონ სხვა ნიშნებს დაადებინებდნენ“.

ცხვრის სერის სახით, ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საოჯახო თემის წამყვან მეურნეობაში არსებული საოჯახო საკუთრების გამომხატველ ნიშანთან. საოჯახო საკუთრების ეს ნიშანი, ოჯახის გაყოფის დროს ერთ რომელიმე ძმას უნდა შეხვედროდა, რის დროსაც უპირატესობა მიანიჭ უფროსს ეძლეოდა.

ამრიგად, თუშურ საოჯახო თემში საუფროსო არა მარტო ნივთიერი სახით — ცხენისა და ცხვრების მიცემაში მდგომარეობდა, არამედ საოჯახო საკუთრების ნიშნის გადაცემაშიც მდგომარეობდა.

თუშეთში დაღვნილი საოჯახო თემის გაყრის ერთი თავისებური სახეც, რასაც ადგილობრივ ნახევრად გაყოფას უწოდებდნენ, საოჯახო თემის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენის მიკვლევის შესაძლებლობას იძლევა.

ასე მაგალითად, სოფ. დოჭუს მოურავიანთა საოჯახო თემი (ძველ გვარად თორღვანი), რომელიც ორი ძმის — სტეფანესი და კიმოტეს, ორი დაქორწინებული წყვილისა და მათი შთამომავლობის გაერთიანებას წარმოადგენდა, ნახევრად გაყო—ოთხმოცდაათიან წლებში, და ამ სახით ცხოვრობდა დაახლოებით ოცი წლის განმავლობაში.

მოურავიანთ ოჯახის ნახევრად გაყოფა შემდეგში მდგომარეობდა: ძმებმა გაუყოფელი დატოვეს ცხვარი და მეცხვარეობასთან დაკავშირებული დამხმარე გამწვევი ძალა და ინვენტარი, ხოლო სახლი, მსხვილფეხა საქონელი და სახლის მოწყობილობა შუაზე გაყვეს. მეცხვარეობიდან მიღებულ შემოსავალს, მოწილები თანაბრად იყოფდნენ, ხოლო იმ ძმას, რომელსაც მეტი ვაჭი-შვილი ჰყავდა მეცხვარეობაში გაერთიანებული, თითოეულ ზედმეტ მუშა ხელზე ჯამაგირი ეძლეოდა.

ამრიგად, ძირითადი მეურნეობა — მეცხვარეობა, გაუყოფელი იყო და საოჯახო თემისათვის დამახასიათებელი კოლექტიური წარმოების ფორმას ინარჩუნებდა, მისგან მოპოვებული პროდუქტების მოხმარება კი უკვე ინდივიდუალური ოჯახების მიხედვით ხდებოდა.



საოჯახო თემის დაშლის პროცესში გაჩენილ გარდამავალ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს ასეთი ოჯახური გაერთიანება, რომელშიაც დარჩენილია საერთო კოლექტური წარმოება, მაგრამ დაშლილია უკვე საერთო მოხმარების წესი.

როგორც წვრილფეხა, ისე მსხვილფეხა მეურნეობა თუშეთში წლის განმავლობაში, რამდენიმე ბინის გამოცვლას საჭიროებდა და მრავალრიცხოვანი ოჯახების არსებობას მოითხოვდა. ეს იყო ძირითადად ის კონკრეტული მიხეცე-ბი, რამაც ხელი შეუწყო თუშეთში საოჯახო თემის გახანგრძლივებას.

საოჯახო თემს თუშეთში, თავისი წევრების გარდა მეცხვარეობაში დასახმარებლად, როგორც ეს უკვე იყო ნახსენები, დაქირავებული მწყემსებიც ყავდა.

მწყემსებში ასხვავებდნენ პირველ მწყემსს, მეორე მწყემსს და მოზარდ მწყემსს და ამისდა მიხედვით უხდიდნენ მათ გასამრჩელოს.

პირველ მწყემსს, მოხრობელის თქმით (სოფ. ხსო. მურთაზაშვილი კიმოთე ვასილის ძე 75 წლ). უნდა შეძლებოდა ბინის მმართველობა; ამასთანავე ცხვრის მოწველა, გაპარსვა ის სამი კაცის უდელს ეწეოდა, ფრთხილი კაცი უნდა ყოფილიყო. მწყემსის ჭირა მწყემსის უნარიანობაზე იყო დამოკიდებული.

პირველ მწყემსს ეძლეოდა წაღწადაში 40 ცხვარი; ერთი ნაბადი, თეკა და ჭალამანი.

მწყემსისათვის მისაცემი ცხვრის შერჩევის წესიც წინასწარი პირობით ისახლებოდა. თუ ცხვარი მოსხლეთით უნდა მიეცათ, ეს იმას ნიშნავდა, რომ ფარა პირდაპირ უნდა გადაესლიტათ, ცხვრის ფარას ნაპირში გაუელიდნენ და გასხლტავდნენ, და რაც შეხდებოდა მწყემსს იმ 40 ცხვარში ის უნდა მიეცათ. ზოგჯერ კი ისე მორიდებოდნენ, რომ ნახევარი დედალი ცხვარი შერჩეულიყო და ნახევარი მამალი ცხვარი.

მეორე მწყემსს აძლევდნენ ერთ თიხს, ან თიხს ნახევარს. ზოგჯერ მოზარდ მწყემსად 15 წლამდე რჩებოდნენ—ეს უნარიანობაზე და არა მხოლოდ წლოვანებაზე იყო დამოკიდებული.

ზოგჯერ სარქალიც დაქირავებული მწყემსებიდან გამოიყოფოდა. სარქალს ევალებოდა ბინის მართვა და ყველის გაყვება; ჯერის საქმეც მას ეკითხებოდა. სარქალს ნდობა და პატივისცემა ჰქონდა; ისე კი პირველ მწყემსზე მეტი არც მის ეძლეოდა. ჩვეულებრივად სარქალი მიიწევს ოჯახის უფროს წევრთაგანი იყო და არა დაქირავებული პირი. ყველს სარქალი ინახავდა და მის განაწილებასაც, როდესაც ცხვარი გარეუბოდა, ის ახდენდა.

მწყემსებს შორის საქმის განაწილება დაკავშირებული იყო აგრეთვე თითონ ცხვრის ფარის შეზადებლობაზე. ცხვარი დანაწილებული იყო საწველო ცხვრისა, ჭვლილისი, შრალისა და ბატონის მიხედვით; თითოეულ მათგანს თავისი მწყემსი ყავდა. თებერვლის შუა რიცხვებიდან კი, როდესაც დოლი იწყებოდა, ღედა ცხვარს მთლიანად აერთიანებდნენ და ძირითადი ფუნქცია მცნობისა მამინ ჩნდებოდა. მწყემსებს წლების განმავლობაში ცხვარი უჯროვდებოდათ და ამასაც საერთო ცხვარში ურევდნენ, ერთად აბაზებდნენ და ერთად წველიდნენ. ის მწყემსი, რომელსაც საერთო ფარში გარეული ცხვარი ყავდა, ჯამაგირის გარდა ყველსაც იღებდა ყველის განაწილება მეწველო ცხვრის რაოდენობის მიხედვით ხდებოდა—ვის რამდენი მეწველი ჰყავდა, იმდენს იღებდა. ყველის დამზადებასა და ცხვრის შენახვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები საოჯახო თემს ეკისრებოდა. მწყემსად აყვანილი ბუკი ოჯახს შეეძლო პირველ ხანებში უჯამაგიროდ ყოლოდა. როგორც თითონ იტყვიან მწყემსი ბუკ-მურად აყვანა და მხოლოდ ჭალამანი მიეცა. შემდეგ, ორ თვეში ერთ თიხს, ან თვეში თიხს ნახევარი უნდა ეძლია. (სოფ. ხსო. მურთაზაშვილი კიმოთე ვასილის ძე, 75 წ.; სოფ. შენაქო. იობ ბაბოს ძე კერდელიძე, 75 წლის.) მწყემსის მორიგება წლით, ან ნახევარი წლით ხდებოდა. წელიწადს ალავერდობიდან — ალავერდობამდე ანგარიშობდნენ, ხოლო ნახევარ წელიწადს ალავერდობიდან — მარტამდე. როდესაც მწყემსი უკვე 200 სულ ცხვარს შეაგროვებდა, ჩვეულებრივად მწყემსობას თავს ანებებდა და უკვე სხვა მეცხვარეს უამხანაღებოდა — მონარქვედ უხდებოდა. მონარქვედ გახდომა შეეძლო 150—200 სული ცხვრის პატრონს. მონარქვენი აერთიანებდნენ მთელ თავის ცხვარს და ცხვრის მოვლასთან დაკავშირებულ თავის შრომას, ხოლო შემოსავალს მეწველი ცხვრის რაოდენობის მიხედვით იყოფდნენ. მეცხვარეობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს მონარქვენი ასევე ცხვრის რაოდენობის მიხედვით ინაწილებდნენ. ცხვრის პატრონებს შემოჰქონდათ 20 სულ ცხვარზე 10 გირვანჯა

შირილი; თითო სულ ცხვარზე 1 გირანქა ქალი. მწყემსის ქაღალწასაც საერთო ფული ერქვა. ლობდნენ ხარჭებში შედიოდა აგრეთვე საზამთრო სამოვრების ჭირა; მგზავრობის დროს გაწეული ხარჭები — ბორნით ცხვრის გადაყვანა, ხიდების ლასტით შეკეთება; საზამთრო ბინაზე ყოფნის დროს გადახდილი ბოლის ფული და სხვა. ყველა ხარჯი ერთბაშად შეფასდებოდა და ცხვრის რაოდენობის მიხედვით გაიყოფოდა; იმას ვისაც მეტი ცხვარი ჰყავდა ხარჯიც მეტი ხდებოდა. აქვე შეიძლება მოტანილი იყოს მონარევეთა გაერთიანების ცალკეული შეავალითებიც: სოფ. ხისოს მცხოვრებ სანდრო ღიმიტრის ძე წყნაიძეს გაერთიანებული ყავდა 400 სული ცხვარი, 13 ცენი, 2 სახეღარი და ძაღლი, ორ მონარევესთან — ცოკალითელ კიმოთე ფილაურთან და ხისოელ თედორე მამისაძესთან. კიმოთეს ყავდა 200 სული ცხვარი, 3 ცენი, ერთი სახეღარი და ერთი ძაღლი, თედორეს ყავდა — 150 სული ცხვარი, 2 ცენი და ერთი ძაღლი.

ამგვარად, ბინაში სამ მონარევეს 750 სული ცხვარი ყავდა გაერთიანებული. ვისი ცხვარიც მეტი იყო ბინაც იმისი იყო, სარქალიც ის იყო და ცხვრის ფარასაც მისი სახელი ერქვა. თითოეული მონარევეს შემოსავალსა და ვასავლს ცხვრის რაოდენობის მიხედვით ანგარიშობდნენ. გამოანგარიშების დროს კენჭებით (სულ ჰველად კი ცხვრის ექსკრემენტებით) ითვლდნენ. ამასთანავე თვლაც თავისებური წესით ხდებოდა: აწყობდნენ სათვალე ერთეულებს ათეულზე, ოცეულზე და ასეულზე და შემდეგ ოცობით ითვლიდნენ: ექვს ოცი, შვიდ ოცი და სხვა. მონარევეთა შორის შემოსავლის განაწილება ცხვრის რაოდენობის მიხედვით ხდებოდა, ის ვისაც მეტი ცხვარი ეყოლებოდა გაერთიანებული, ნაწარმსაც მეტს მიიღებდა. როგორც ვხედავთ ხეანაზე მოღწეული მონარევა ამჟღავნებს უკვე კონებრივ უთანასწორობაზე აგებული საზოგადოებრივი გაერთიანების თავისებურ სახეს.

მეცხვარეებში მერობურ პრინციპზე დამყარებულ ურთიერთობას თულეთშიც, მოხვედრის მხავასად, ნაშვალა ეწოდებოდა. როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში (ასე მაგალითად, თუ წერი გაუთავდებოდათ, ან ფული დაქირდებოდათ) აგრეთვე მგზავრობაშიც და განსაკუთრებით კი უცრად თავზე დამტყდარი რაიმე დაჭირების დროს მონაშვლები ერთმეორეს დახმარებას უწევდნენ.

როდესაც მეცხვარე მონარევედ ყოფნის დროს მომაგრდებოდა ის ცალკე გავიდოდა, ცალკე ბინას გაიკეთებდა და დაჭირავებული შრომით ეწეოდა მეცხვარეობას. დამოუკიდებელი ბინისა და ცხვრის პატრონები, რომლებსაც 8—10 მწყემსი ყავდათ დაჭირავებული, ხაზენებად იწოდებოდნენ. დამახასიათებელია ამ შემთხვევაში ის გარემოებაც, რომ თულეთში გვიან გაჩენილ მფლობელების ამ კატეგორიის ადგილობრივი ტერმინი არც გააჩნდა.

როგორც აღნიშნული იყო, თულეთში მესაქონლეობასთან ერთად მიწათმოქმედებასაც ეწეოდნენ. მაგრამ ეს უკანასკნელი უმრავლეს შემთხვევებში ოჯახს პურით ვერ უზრუნველყოფდა. პურის დანაკლისს ოჯახში ყველისა, მატყლისა და ცხვრის რეალიზაციის გზით აცხებდნენ.

სიმიინდი და პური გროზნიდან შემოჰქონდათ. პურის გარდა ოჯახის წევრებისათვის ყიდულობდნენ მცირე რაოდენობით ფართალს, ქალებისათვის თაფშალებსა და ვერცხლის სამკაულებს; ნავაჭრი, ოჯახის წევრებს შორის თანაბრად ნაწილდებოდა.

ღად განაანთა ოჯახის მიერ გაყიდული პროდუქტების სიის მიხედვით, შემდეგი სურათი წარმოგიდგება: ამ საოჯახო თემში თავისი ერთობის უკანასკნელ ხანებში წლიური შემოსავლიდან გაყოფა: 400 კვერი ყველი; 300 სულა ღედა ცხვარი; 400 სული ქვილი; 2,500 ნაპარსი (ნაპარსი უდრიდა ერთ ან ერთ ნახევარ კილო მატყლს). ამის გარდა ქალები თითონ ჰყიდდნენ პრობებს, ბოჩოლებსა და ერბოს; თავის ნაქსოვსა და ნაკერავს კი ძალიან მწვალად იშვითათ ჰყიდდნენ. აქ წარმოღვენილი ღად განაანთა საოჯახო თემი პრინციპული ვითარების მხრივ ზოგად მოვლენას წარმოადგენს.¹⁶



ის ფული, რომელიც ოჯახს გაწეული ხარჯებიდან გადარჩებოდა, უფრო მეტი დედაკაცს ჰქონდა ჩაბარებული და იმას სახლის ფული ეწოდებოდა. ოჯახში ში სახმარად დატოვებული ყველი და მატყლი, აგრეთვე დიასახლისის განკარგულებაში იყო. ყველისა და ცხვრის გაყიდვა შემოდგომით, ცხვრის მთიდან ჩამოყვანის შემდგომ წარმოებდა. ყველი გუდებით და კვერებით იყიდებოდა ქალაქებში და აგრეთვე ცალკეულ დიდ სოფლებშიც. ოჯახის საჭიროებისათვის დატოვებული ცხვრისაგან ზამთრისათვის ხორცის მარაგი მზადდებოდა; ეს უკანასკნელი კი, ისევე როგორც სხვა ყოველგვარი ნაწარმი, ოჯახის წევრების საერთო მოხმარების საგანს წარმოადგენდა.

ამგვარად, მეცხვარეობა, როგორც თუშების მეურნეობის ძირითადი და წამყვანი დარგი, ამარაგებდა ოჯახს კვების პროდუქტებით (ხორცი, ყველი) და ხელსონობისათვის საჭირო ნედლეულით (მატყლი, ტყაი); მეცხვარეობის პროდუქტი საშუალებას აძლევდა ოჯახს პურეული და სხვა საგნები შეეძინა; მეცხვარეობის ქარბი პროდუქტი ამასთანავე ხელს უწყობდა ფართე აღებ-მიცემობის განვითარებას და ქონების დაგროვების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

თუშური მეცხვარეობის განვითარების დონის გარკვევისათვის მნიშვნელოვან აქვს იმ გარემოებასაც, რომ ამ ვით დაგროვილი კაპიტალი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ინტენსიური მიმოქცევის საგანს. გამოუყენებელი თანხა — საოჯახო ფულის სახელით ცნობილი, ზოგჯერ მიწაშიც კი ინახებოდა. ამასთან დაკავშირებით რაფიელ ერისთავი შენიშნავს, რომ: „Вообще эта отрасль сельской промышленности доставляет жителям немалые выгоды (ლაბარაკია მეცხვარეობის შესახებ რ. ხ.). Денег, выручаемых от продажи кож, шерсти, сыру и масла, они тщательно копят. Между шавцами и тушинами есть даже такие состоятельные, которые имеют 40—50 тысяч рублей, в числе которых найдете вы платины, вышедшие уже из обращения.... потому что не пуская денег в обороты, закапывают их в землю¹⁷. ფულის მიწაში დამარხვის ამ წესს კ. მარქსმა საგანგებო ყურადღება მიექცია თავის „კაპიტალიზმი“. კ. მარქსმა ამას დაგროვების გულუბრყვილო ფორმა უწოდა და ფულის მიმოქცევის ადრე საფეხურად მიიჩნია¹⁸.

თუშური მეცხვარეობის ძირითადი მიმართულება და მწყემსობის ორგანიზაციის ზემოთ აღწერილი ფორმები ცხადყოფენ, რომ მეურნეობის ეს დარგი თუშეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში აშკარად გამოვლენილ სასაქონლო წარმოების სახეს ატარებდა და საზოგადოებრივი ურთიერთობის კაპიტალისტური წარმოების ამ ნიშნებით ხასიათდებოდა, რომლებიც საოჯახო — თუშური ტრადიციის ნორმებს ვეღარ ითავსებენ და მათ საბოლოოდ მოსპობას მოასწავებენ.

ამრიგად, საოჯახო თემის პირობებში არსებული ფორმა მეცხვარეობისათვის თავდაპირველად ქმნიდა საერთო-საოჯახო საკუთრებას და ამით სპობდა პირადი საკუთრების არსებობის შესაძლებლობას. შემდეგ ხანაში კი მეურნეობაში სავაჭრო კაპიტალის შეჭრამ და აღებ-მიცემობის განვითარებამ, რაც ერთის მხრივ მეცხვარეობით შექმნილი ნაწარმის ბაზარზე გატანასა და მეორეს მხრივ,

¹⁷ Р. Д. Эрнст ав, О тушино—пшаво—хевсурском округе, Зап. кавк. отд. Имп. Русск. геогр. общ., 1855, III, гв. 124—125.

¹⁸ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 93.

თქიდან საჭირო დამზადებული პროდუქტების მიღებაში მდგომარეობდა. შენაშენებდა კირა საოჯახო თემის პირობებში შექმნილი სხვადასხვა სახის კოლექტიური შრომის აუცილებლობა, რის შედეგად საოჯახო წარმოებაც და საოჯახო საკუთრებაც უნდა შეცვლილიყო. საოჯახო თემის გვერდით გაჩნდა კოლექტიური წარმოების ახალი სახე — მონარევეთა გაერთიანება.

მონარევენი ცალკეული საოჯახო თემებიდან სამო ნაწილით გამოიშულ პირთა გაერთიანებას წარმოადგენდნენ. კოლექტიურ მეურნეობაზე აგებული ეს გაერთიანება უკვე მოხმარების ინდივიდუალურ წესს გულისხმობდა ამ პირობებში სათემო-საოჯახო საკუთრების ნაცვლად უნდა გაერთიანებულიყო უკვე ინდივიდუალური საკუთრება. ამრიგად, საოჯახო თემის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი — საოჯახო-სათემო საკუთრებისა იშლებოდა.

მონარევენი თანაბარი უფლებებით განმტკიცებულ მეცხვარეთა კავშირს წარმოადგენდნენ, რომლის განვითარების შემდგომ საფეხურს უკვე დაქირავებულ შრომაზე აგებული მეურნეობა წარმოადგენდა ერთი პირის ხელში მოქცეული მთელი ქონებით.

ინდივიდუალური საკუთრების გაჩენის პროცესში იცვლებოდა ოჯახის წევრთა ცალკეული უფლება-მოვალეობანიც და პირველ რიგში ოჯახის უფროსი მამაკაცის უფლებები. ამ პროცესში იქმნებოდა სწორედ დესპოტური უფლებები ოჯახის უფროსი მამაკაცისა, რაც საოჯახო თემის ტიპური ფორმისათვის დამახასიათებელი არ შეიძლება ყოფილიყო.

ამ საფეხურზე მამისაგან ცალკე გამოყოფის უფლება უკვე თითოეულ შვილს ეძლეოდა, მაგრამ ამასთან ერთად მამა განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა და შეეძლო შვილი უნაწილოდ გაეშვა.

ამგვარად საოჯახო თემის დაშლის პროცესი და ამდენად საოჯახო თემის დუალისტური ბუნებაც საქართვლოს მთიანეთის სხვა კუთხეებთან შედარებით, კიდევ უფრო თვალნათლივია წარმოდგენილი თუშურ მასალებში; ეს კი ძირითადად იმით აიხსნება, რომ მეურნეობის განვითარება, სასაქონლო მეურნეობის შექმნის ხაზით სხვაგან ასე კარგად არ ყოფილა წარმოდგენილი.

Р. Л. ХАРАДЗЕ

ПЕРЕЖИТКИ СЕМЕЙНОЙ ОБЩИНЫ У ТУШИН

Резюме

На основании собранного автором этнографического материала и имеющихся в литературе данных, а также путем анализа исторических документов, в работе дан анализ сохранившихся еще в XIX веке в Тушети пережитков семейной общины.

Установлено, что в условиях натурального хозяйства у тушин долго сохранялись пережитки семейной общины, существование которой в свою очередь способствовало развитию той своеобразной формы общедомоводческого хозяйства, которая являлась характерной для Тушети. Эти особенности прежде всего проявлялись в таких важнейших сторонах общественности быта, какими являлись состав данной общественной организации, ее хозяйственная основа, организация труда, система управления и имущественно-правовые взаимоотношения внутри семьи, анализу которых, а равно и вопросу распада семейной общины посвящена настоящая статья.



С этой же стороны рассматривается здесь развитие у тушинского овецводства и переход к высшей форме товарного производства, что постепенно уменьшало потребность в соответствующих отраслях кустарного производства внутри семьи, и тем самым создавало условия для разложения семейной общины и образования в Тушетии частной собственности и индивидуальной семьи.

Здесь специально выделен вопрос о тушинских хозяйственных объединениях — на реоба, образовавшихся в период распада семейных общин.

Установлено, что эти овцеводческие хозяйственные организации, представленные у тушин наравне с пережитками семейной общины, в отличие от последней представляли товарищеские, а не родственные объединения, внутри которых существовала индивидуальная, а не коллективная форма потребления.

საკრებო და ბიბლიოგრაფია

აკად. ხ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო
 მუზეუმის მოამბე, XIX-B, 1956 წ.

მუზეუმის მოამბის აღნიშნულ ტომში შესულია 17 მეცნიერული გამოცე-
 ლევა. წარმოდგენილი ნაშრომების თემატიკა მრავალფეროვანია.

ჩვენი რეცენზია მოამბეში დაბეჭდილ ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებს
 ეხება, რომელთა ძირითადი ნაწილი მიძღვნილია მუზეუმის ფონდების შესწავ-
 ლისადმი.

საქართველოს სახელმწიფო-მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების
 ფონდები დღეისთვის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებთან დაკავში-
 რებული იარაღების, საბრძოლო შეიარაღების, ჩაცმულობის, ხელსაქმის და სხვა
 ნიშნულთა დარგების ამსახველი კოლექციებით იმდენად გამდიდრდა, რომ
 ამა თუ იმ დარგის შესახებ ამ კოლექციების საფუძვლიანი შესწავლის შედე-
 გად სანიმუშო გამოკვლევა შეიძლება დაიწეროს. ამის საბაზს ჩვენი მოამბის
 სარეცენზიო ნომრის ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები ვვამბობენ.

ცნობილია, რომ მუზეუმის ფონდში შემოსული კოლექცია, ნივთი სათანა-
 დო კამერალური დამუშავების შემდეგ ან ღრმა დაცვაში მიღის ფონდის სახით,
 ან მნახველის წინაშე წარსდგება ხოლმე გამოფენების წყალობით.

ამა თუ იმ თემის დამუშავებისას კი ფონდში თუ გამოფენის ექსპოზიციაში
 გატანილი ნივთი მეცნიერული კვლევის ობიექტი ხდება და შესწავლის შედე-
 გად იგი კვლავ მასებს უბრუნდება.

მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილება ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას
 ეწევა. განყოფილებაში მომუშავე ეთნოგრაფებმა ბევრი საინტერესო საკითხი
 შეისწავლეს, რომელთა ბეჭდური სახით გამოქვეყნება სამწუხაროდ დიდ სიძ-
 ნელებთან არის ხოლმე დაკავშირებული.

სარეცენზიო ტომში წარმოდგენილ ეთნოგრაფიულ ხასიათის წერილებს
 ნრავალი დადებითი მხარე გააჩნიათ, რომელთა აქ ჩამოთვლა შორს წაგვი-
 ყვანდა.

მ. გეგეშიძის გამოკვლევაში „მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ
 საქართველოდან“, შესწავლილია ღვინის დაყენებასთან დაკავშირებული ხის
 იარაღები და ჭურჭელი. ავტორი დეტალურად აღწერს თითოეულის შედგენი-
 ლობას და ფუნქციას. ხაზგასმით აქვს გარკვეული თითოეული იარაღის ან ჭურ-
 ძლის ადგილი ყურძნის წვენი ღვინოდ დაყენების საქმეში. ყველაზე უფრო
 ფართოდ მ. გეგეშიძე ხის საწნეხელის დამუშავებას ეხება. ეს ბუნებრივია—
 საწნეხელი ხომ იმ პირველად ჭურჭელს წარმოადგენს, სადაც ყურძნის დაწურ-
 ვაცა ხდება და ამ წვენი ღვინოდ გადაქცევა.

საწნეხელის ამ ერთგვარად უნივერსალობამ ავტორი იმ დასკვნამდე მიიყ-
 ვანა, რომ ღვინის წარმოება საწნეხელსვე დაუკავშირა და ყურძნის დასაწურ



კურკლის პირველსახეობადაც ხის საწნეხელი აღიარა. ავტორის აზრით, მკვლევარებმა თითქოს პრეტენზიას არ იწვევს, მაგრამ საკვირველია, რატომ არ იძლევა იგი საწნეხელის განვითარების ეტაპებს. უამისოდ ხომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ღვინო საწნეხელის წყალობით გაჩნდა, მაგრამ საწნეხელი იმ-თავითვე, ე. ი. ეჭვით ორი ათასი წლის წინადაც, ისეთივე სახით იყო, როგორც დღევანდლამდე შემოინახა მან თავი.

მაგრამ ყურძნის დასაწური სხვა სახის მარტივ საშუალებებსაც იცნობს ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილე. მართალია, ეს საშუალებები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში შემორჩა, მაგრამ მათი, როგორც მაგალითის მოტანა, ურიგო არ იქნებოდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ტყავზე დაწურვა, გოდრებში გამოწურვა, პურის სახელ ვარცლზე, ტომრებში და სხვ., რომელთა შესახებ თავის დროზე ი. ნანობაშვილმა სადისერტაციო ნაშრომში გაამახვილა ყურადღება (სამწუხაროდ მ. გეგეშიძე საკითხთან დაკავშირებით, ი. ნანობაშვილის მასალაზე არ მიუთითებს).

მეორე ყურძნის პატრონს ტყავზე დაწურული ყურძნის წვენი თიხის კურკელში გადააქონდა. ასევე იქცეოდნენ გოდრებში ჩაწურვის შემდეგ. ჩამოთვლილი საშუალებები ხის საწნეხელში წურვასთან შედარებით უფრო მარტივი ჩანს. კარგი იქნებოდა თუ ავტორი ყურადღებას გაამახვილებდა დასავლეთ საქართველოს მევენახეობაში გამოყენებულ ყურძნის საკრეფ კოდზე. ხომ არ უნდა ვივარაუდოთ იგივე კოდი მოკრეფილი ყურძნის ჩასაწურ პირველყოფილ საშუალებად.

საწნეხელში ღვინის დაყენების წესი მიგნებული საშუალებაა. საწნეხელში დაყენებულ ღვინოს თავისი დადებითი მხარეები გააჩნია და დღემდეც მან იმიტომ შემოინახა თავი, როგორც ღვინის დაყენების გაუმჯობესებულმა ფორმამ, დასავლეთ საქართველოს პირობებისათვის. უფრო მეტიც, შემჩნეულია რომ აღმოსავლეთ საქართველოს იმ მიკრო-რაიონებში, სადაც დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშებია, შამანის დადუღებას საწნეხელში აწარმოებენ. მართალია აქ შამანს სრულ დადუღებამდე არ აჩერებენ საწნეხელში, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ეს წესი ყურძნის ამ ჯიშებთან კავშირში გვევლინება.

ჩვენ აქ მეორე გარემოებაცა გვაქვს ხაზგასმული. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში ქვევრში ჩასხმული ტკბილის დუღილი ორ-სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობს (ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ დასავლეთში ყურძენი გვიან შემოდგომით იკრიბება), საწნეხელში კი ეს პროცესი 3—4 დღეს გრძელდება, ამდენად საწნეხელში ღვინის დადუღება ღვინის მიღების თავდაპირვანდელი ფორმა კი არ უნდა იყოს, არამედ ღვინის მიღების მოპოვებული განვითარებული ფორმა.

ხის იარაღ-კურკლის დასამუშავებელი საშუალებებიდან ავტორი ეხება მხოლოდ ეთნოგრაფიულ მასალებს. არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, მაგ., იყო თუ არა ისტორიულ წარსულში მეღვინეობის ხის კურკლის დასამზადებელი საშუალებები, ცნობილი კია, რომ იგივე დასავლეთ საქართველო ბრინჯაოს ხანაში ხის დასამუშავებელი იარაღების მრავალსახეობას იცნობდა.

ს. ბედუკაძის გამოკვლევა „საფქველების განვითარების ისტორიისათვის, ხელწისკილები“, წარმოადგენს მუზეუმის ფონდების შესწავლის ნიადაგზე დაწერილ ორიგინალურ გამოკვლევას. ნაშრომში დამაჯერებლად არის შესრუ-

ლებული ხელსაფქველების გენეალოგიური ზაზი მარტივიდან რთულმსაყვენიერად და ამასთან ისტორიულ ჭრილში მათი ჩამოყალიბება—გარდაქმნის პირობები. გამოკვლევის მთავარ ღირსებად მისაჩნევია ავტორის მიერ ქართულ ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ და ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით დამუშავებული მუზეუმის ხელსაფქველების ფონდის მეცნიერული კლასიფიკაცია. და აქედან საფქველების წარმოშობა განვითარების ისტორიის შესწავლის საკითხის ახლებურად გაშუქება.

გამოკვლევის მიმართ ჩვენ ერთი შენიშვნა გვაქვს. ავტორი წერს, რომ „ხელწიქვილის (და აგრეთვე წისქვილის) მოსაფქვავე პირის გამოთლისათვის ამ საქმის მცოდნე მოხელეებს ხისაგან გამოთლილი ხაგანგებო—იარაღი ე. წ. სამართი აქეთ“ (გვ. 159) ამ წინადადებიდან ისეთი აზრი რჩება, თითქოს ეს სამართი არის ქვის უშუალო დასამუშავებელი იარაღი. სინამდვილეში ის ხელსაწყო იარაღია, ყველაფერს ხომ იარაღის სახელს ვერ დავარქმევთ. ამას გარდა სამართი მხოლოდ ქვის პირის მოსწორებისათვის კი არ იხმარებოდა, მას იყენებდნენ წისქვილის ქვედა ქვის ცენტრის დასაძებნადაც, ცენტრის დასაზუსტებლად, სადაც ღერბი უნდა დაეყენებინათ. სამართის ეს სახეობა, რომელსაც ავტორი აღწერს, განვითარებულ სახედ გვევლინება. იმდენად რამდენადაც სამართის ქვედა მხარე წისქვილის ქვედა ქვის, ზედაპირის გამოთლისათვის და მისი გულის თანაზომიერად გამოყვანისათვის ყოფილა გულგამომღებელი, ზოლო ზედა ქვის ქვედა ქვაზე მორგებისათვის სამართის ზურგი ყოფილა გამოყენებული. ავტორს აქ არა აქვს აღწერილი ეს მეტად საყურადღებო მომენტი. სახელდობრ ზედა ქვის გამოყვანისათვის როგორ იყენებდნენ.

ნ. რეხვიაშვილმა თავისი გამოკვლევა „ვერცხლის ქართული ჭურჭელი“ შეიძღვნა საქ. სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდში დაცულ ვერცხლის ქართული ჭურჭლის შესწავლას. ავტორმა სწორ ჭრილში დააყენა ვერცხლის ქართული ჭურჭლის შესწავლის საკითხი, სახელდობრ საქართველოს ნივთიერი კულტურისა და ყოფაცხოვრების ძირითადი საკითხების გვერდით. მაგრამ ამ მეტად საინტერესო კრალის გაღრმავებისათვის ავტორი ისტორიულად მეტად საინტერესო მონაცემებს არ აღრმავებს და მსჯელობა გადააქვს ჭურჭლის ფორმა-შინაარსსა და ფუნქციაზე. სამაგალითოდ შეიძლება ავტორისეული ციტატა მოვიტანოთ, რომელიც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობას ეხება. შემოსეულმა თურქებმა გიორგი II დროს „საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი ოქროსა და ვერცხლისანი ბაგრატიუნნი და სასამუნი, სამწოდონი პატროსანი, კარავნი და სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი აიხუნეს ივარად“ (გვ. 197). მკითხველისათვის საინტერესო იყო რას ვარაუდობს მესტორიე ოქროსა და ვერცხლის ბაგრატიული ჭურჭლის ქვეშ.

ავტორი ჭურჭლის კლასიფიკაციის დროს ნივთიერი მხარის გარდა სხვა მხარეების მიხედვითაც ახდენს დაყოფას. სახელდობრ იგი წერს, რომ „ჭურჭელი არა მარტო ნივთიერად განირჩეოდა, არამედ რიგი სხვა მაჩვენებლების მიხედვით: ფუნქციით, დანიშნულებით, დამზადების ტექნიკით, შემკულობით და სხვ.“ (გვ. 196). ფუნქცია და დანიშნულება ამ შემთხვევაში ერთი და იგივე მნიშვნელობის გამომხატველი ცნებებია და მათი ერთი მეორისგან დაცილება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ნაშრომს ახლავს ტაბულები, მაგრამ ძალზე დაბალხარისხოვანი.



გ. ჩაჩაშვილის გამოკვლევა „ქსოვილების დამზადების ისტორიული კართველოში. I. სელი“ დაწერილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდების შესწავლის საფუძველზე. ავტორი ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად იშველებს ისტორიულ მონაცემებს და გამოაქვს მეტად საგულისხმო დასკვნები. იგი საბოლოო სელის თავდაპირველ, სამშობლოდ ამიერკავკასიის ვარაუდობს, სახელდობრ კოლხეთს, რომ სელის ქსოვის ტექნიკა კოლხეთში მალაღონეზე მდგარა და კოლხეთიდან სელის ქსოვილები უცხო ბაზარზე გადიოდა.

ისტორიულად, წერს გ. ჩაჩაშვილი, საქართველოში სელისა და კანაფის კულტურა სხვადასხვა დონეზე იდგა. მონათფლობელობიდან მოყოლებული გვიანფეოდალურ ხანამდე სელის ქსოვილები საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს შეადგენდა. შემდეგში, როგორც ჩანს, იგი ერთგვარ დაკნინებას განიცდის. ქვემოთ განაგრძობს: „სელის, კანაფის ბაშისა და სხვ. ქსოვილების წარმოებაში დაკნინების პერიოდი ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან დაწყებული, როგორც ამას მოწმობს ვახუშტი ბატონიშვილი. ეს გარემოება გამოწვეული იყო საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ვითარებით“ (გვ. 188). ე. ი. გამოდის, რომ საქართველოში გვიანფეოდალური ხანა XVIII საუკუნიდან იწყება. ეს რომ თუნდაც ასე იყოს; მაინც საკითხავია რა სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი XVIII საუკუნის საქართველოში, რამაც გამოიწვია სელის და სხვა ქსოვილების წარმოების დაკნინება. შეიცვალა, განა წარმოების წესი შედარებით წინა საუკუნეებთან? თუ შეიცვალა ნაშრომში ეს არ ჩანს გარდა ზეპირი განცხადებისა და თუ არ შეიცვალა, მაშინ რაში ეძიოთ პოლიტიკურ სოციალ-ეკონომიური ვითარების წყარო? აქ სხვა გარემოება ხომ არ არის საძიებელი, რომ ამ დროს დასავლეთ ევროპაში მანუფაქტურას ემატება მარტივი ფაბრიკული წარმოება და ქსოვილი იაფდება. რომ ქართველ-შინამრეწველს ქსოვილის ნაცვლად ნელაქულის გაყიდვა უხდება ადგილზე რომ შესელოებისა და მეზამბეობის მეტოქე მეზარეულშემოება ვითარდება, რომ ამიერკავკასიის მეზარეულშემოება XVIII საუკუნეში ევროპის, რუსეთის და წინააზიის სახელმწიფოებს შორის ცილაობის საგნად იქცა ეს ვითარება თუ არ იქნა გათვალისწინებული, სხვანაირად ვერ ავხსნით ადგილობრივი ქსოვილების წარმოების დაცემას. ზემოთ ხომ თვით ავტორი იმას ცდილობს დაამტკიცოს, რომ XIX საუკუნის დასავლეთ საქართველოში საბოლოო სელის კულტურა მალაღონეზე მდგარა. ამ მიზნით მოყავს ჯიფორდის ცნობა და სხვა მთელი რიგი ეთნოგრაფიული მონაცემები.

გ. ჩაჩაშვილი კარგად იყენებს შესაძარებელ მასალებს. ამ მასალებს იგი იღებს, როგორც საქართველოს მეზობელ, ისე შორეული ქვეყნების მატერიალური კულტურის ისტორიიდან. მაგრამ ზოგჯერ ეს შედარება თავის საზღვრებს სცილდება. მაგ., ავტორი ადარებს ხობის რაიონის სოფ. შუა ქვილონში დამოწმებულ ქვილონის საქსოვ მარტივ დაზგას „რობაგს“, ძველ ბერძნულ საქსოვ დაზგას (ამ უკანასკნელზე სელის ძაფები საწაფებით იყო დაქიმული) და XX საუკუნის ზეგრული რობაგი ძველ ბერძნულ საქსოვ დაზგასთან შედარებით რამდენადმე დაწინაურებულ ტიპად მიაჩნია. ვინ იცის ამ რობაგზე ძველ კოლხებს რა ზეგნით ჰქონდათ დაქიმული ქსელის ძაფები.

ქ. ჩოლოყაშვილმა წერილში „ქართული ს.კურველი: ჯაქვი“ წარმოგვიდგინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის იარაღის მდიდარ ფონდში დატულ-

ჩაქვის პერანგების სისტემატიზაციის სანიმუშო ცდა მოახდინა ჩაქვის პერანგების ტიპების ტიპებთან დაყოფა იმის მიხედვით, თუ ჩაქვის პერანგის შემადგენელი რგოლები რა წესითაა დამზადებული და ამით შესაძლებელი გახდა ემსჯელა ჩაქვის უძველეს ტიპებზე, რომელთაც არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული ყოფის პირობებში ვხვდებით. კ. ჩოლოყაშვილი იყენებს რა მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალებს ნარატიულ და სხვა სახის ძეგლების მოშველიებით მეტად საგულისხმოდ დასკვნებს იძლევა, სახელდობრ მისი მოსაზრება ჩაქვის პერანგების ადგილობრივ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების შესახებ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან დადებითად შეიძლება შეფასდეს. აეცორის ცდა, რომ როგორმე მიეგნო ეთნოგრაფიულ მასალებში უხედავ დამოწმებულ ჩაქვის მკეთებელ „ქაჩებისათვის“, უთუოდ სწორ ნიადაგზე დგას“. ამ ყოველად საინტერესო წერილს სამწუხაროდ ბევრი შეცდომებიც ახლავს და საწყენი ის არის, რომ თავის დროზე რედკოლეგია საქმეს პასუხისმგებლური გრძნობით არ მოკიდებია. ამის ბრალია მოამბის საარცენზიო ნომერში ნებისით თუ უნებლიეთ გაპარული შეცოდებანი.

დასასრულს ცალკე აღნიშვნის ღირსია გ. ჩიტაიას წერილი, რომელიც ეხება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალ ეთნოგრაფიულ გამოფენას. როგორც ცნობილია, ამ გამოფენის თემატიურ საექსპოზიციო გეგმა არა ერთხელ ყოფილა მსჯელობის საგანი. იგი განხილული იქნა რესპუბლიკის გარეთაც ეთნოგრაფთა საკავშირო სესიაზე (მოსკოვში). გამოფენის მოწყობის მიმდინარეობას არაერთი გარეშე სპეციალისტი ადევნებდა თვალყურს. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საკავშირო მასშტაბით პირველად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში იქნა გამოყენებული ახალი ეთნოგრაფიული ყოფის ექსპოზიციაში წარმოდგენის ცდები. ექსპოზიციის მთლიანობისათვის მის თემატიურ განლაგების სრულყოფისათვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გამოფენის ძველისა და ახლის ურთიერთ დაპირისპირებათა, ისტორიულ და კლასობრივ კრილში წარმოდგენას. ქართველი ხალხის ახალი ყოფისა და კულტურის გამოფენა ამავე დროს ითვალისწინებს ახალგაზრდობაში პოლიტექნიზაციის ცოდნის დანერგვის საკითხსაც.

გ. ჩიტაიამ წერილში კონკრეტულად ჩამოაყალიბა თემატურად მრავალმხრივი და შინაარსით მდიდარი საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის საფუძვლები. მუზეუმის გამოფენების და სამუზეუმო ცხოვრების საკითხებზე სამწუხაროდ მუზეუმის მოამბე არაფერს ბეჭდავს. ამგვარ წერილებს კი არა მარტო ქართველი მკითხველისათვის, უცხო მკითხველისათვისაც დიდი საშხარისი გაწევა შეუძლია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს არსებობია კარგანის ისტორია აქვს და მრავალი გამოცდილების მქონეა. ამდენად მისი ვალიცაა, რომ გამოფენების თუ ექსპოზიციების საკითხებზე სათანადო ცოდნას იძლეოდეს.

„მომომხილველი“, ტ. III, თბილისი, 1958: 1. მ. გეგეშიძე, წყლის ტრანსპორტი დასავლეთ საქართველოში (გვ. 229-246); 2. ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ერთი წესჩვეულების შესახებ (გვ. 278-280)

„მომომხილველის“ III ტომში გამოქვეყნებული ორი ნაშრომი,—მ. გეგეშიძის „წყლის ტრანსპორტი დასავლეთ საქართველოში (რიონის აუზი)“ და ა. რობაქიძის „მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ერთი წესჩვეულების შესახებ“, — ძირითადად ეთნოგრაფიული მასალების საუფქველზეა დაწერილი. ამასთან ერთად, ორივე ნაშრომში გამოყენებულია წერილობითი წყაროების ჩვენებები და არქეოლოგიური კვლევის ზოგიერთი შედეგი.

აღსანიშნავია ისიც, რომ დასახელებულ ნაშრომებში კვლევის საგნად ქართველი ხალხის სამეურნეო ცხოვრების არსებითი მნიშვნელობის დარგებია წარმოდგენილი და შეძლებისდაგვარად ნაჩვენებია მათი განვითარების პროცესი.

ნაშრომში „წყლის ტრანსპორტი დასავლეთ საქართველოში“ თანმიმდევრულადაა გადმოცემული წყლის ტრანსპორტის განვითარების საფეხურები შრომის იარაღებსა და საზოგადოების მოთხოვნილებასთან კავშირში.

საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება ნავის ტექნიკურ გაუმჯობესებასა და მის შედეგზე, რაც სახომალდო ტრანსპორტის გაჩენაში გამოიხატა ტრანსპორტის ისტორიის ზოგადი მიმოხილვისას მოკლედ და გასაგებად გადმოცემულია „შინაგანი საწყლო ტრანსპორტის“ განვითარება და სახეობები მონათმფლობელურ სახელმწიფოებში, სადაც ტრანსპორტის ეს საშუალება შედარებით ინტენსიურად წინაურდებოდა.

ნაშრომის მეორე ნაწილი ეხება რიონსა და დასავლეთ საქართველოს სხვა მდინარეებში ნაოსნობის ისტორიას საერთოდ, განსაკუთრებით კი, მოქმედი ტრანსპორტის სახეობათა დადგენას. ამ მიზნით გადმოცემულია კოლხეთის მიდამოების, მდ. რიონისა და მისი შენაკადების შესახებ უცხო თუ ქართული წერილობითი წყაროების ცნობები ავტორისეული კომენტარებით.

შემდეგ მოტანილია ცნობები წყლის ტრანსპორტის მშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყის უხვად არსებობის შესახებ ამ მხარეში. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ეგვიპტელებს კავასიდიდან გაქონდათ ეტლებისათვის საჭირო მასალა. აღნიშნული ცნობა, სხვა ხასიათის მონაცემებთან კავშირში, საყურადღებო ჩანს ამ ხალხების ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისითაც.



ლამბერტის სხვა ცნობათა შორის ნაშრომში აღნიშნულია ერთი მნიშვნელოვანი მენავეთა რელიგიური ხასიათის რწმენა-წარმოდგენების შესახებ, რომლის მიხედვით სტვენა იწვევდა ზურგის ქარს, ხოლო ნემსითა და ძაფით კერვა ნავით მგზავრობის დროს არ შეიძლებოდა, რადგან ქარი ნაკერში მოექცეოდა და ქროლვა შეწყდებოდა. სწორადაა შენიშნული, რომ შემომოხსენებული რწმენა-წარმოდგენები რელიგიური ბუნებისაა და მაგიური მოქმედების საფუძვლად განეკუთვნებიან, რომელთა „გამოყენება“ ადრინდელ ნაოსნობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

რადგან საფიქრებელია, რომ შემოადინებული მაგიური ხასიათის მოქმედების გაჩენა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ ნაოსნობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ხოლო მაგიური ქმედობანი, წარმოშობით, პირველყოფილ-თემური საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი, ჩვენი აზრით, შესაძლებელია საქართველოს ამ მხარეში წყლის ტრანსპორტის მოქმედების ერთ-ერთ ადრინდელ ისტორიულ ჩარჩოდ იგივე საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია მივიჩნიოთ.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ბუნებრივ დაბრკოლებათა დაძლევის გზაზე იმდროინდელი სანაოსნო იარაღებით შებრძოლების სიძნელეს უნდა გვეპირობებინა მგზავრობისათვის ხელსაყრელი მოვლენების („ზურგის ქარის“) „გამოწვევის“ მიზნით „დამატებითი“ ირაციონალური ქმედობა.

ლამბერტის ცნობის ამ მხარეზე რეცენზიაში ყურადღება გამახვილებულია იმით, რომ ნათლად გამოჩენილიყო რელიგიური ხასიათის მონაცემთა მნიშვნელობა ისტორიული დროის ცხოვრების პირობების შედარებით სრულად წარმოდგენისათვის, ადრინდელი აზროვნებისა და, რაც მთავარია, მისი საფუძვლის კვლევისა და დადგენის საქმეში.

ამასთან ერთად, ამ ხაზით ძიებაც, თუ ის სწორადაა წარმართული, ხელს უწყობს საკვლევი ობიექტის ისტორიული ხნიერების დადგენასაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისტორიული მეცნიერების აღნიშნული ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნილებების შესრულება სხვა გზით არ ხერხდება.

ნაშრომში წარმოდგენილია წერილობითი წყაროებისა და ავტორის მიერ აღვილზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საყურადღებო მონაცემები ნავის შეთვრების ხელობად გამოყოფისა და ამ ხელობის დაწინაურების შესახებ.

შემდეგ, მის მიერვე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ავტორი იწყებს ნაოსნობის საკითხებზე მსჯელობას, ადგენს წყლის ტრანსპორტის შინაარსურ ნიშნებს და სააღმსრებელი დანიშნულებით გამოყენების ისტორიულ ფაქტს საქართველოს ამ მხარეში. როგორც საკუთრივ მოპოვებულ, ასევე სხვა მკვლევართა ცნობებზე დაყრდნობით ავტორი ავლენს დასავლეთ საქართველოს სანაოსნო მდინარეებს, ნაოსნობის მარშრუტს, წყლის ტრანსპორტის სახეობებს, მენავეობასთან დაკავშირებულ ხალხურ ცოდნა-გამოცდილებას და ტერმინოლოგიას.

ავტორის მიერ საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის შედეგად მოპოვებული მასალები ძველ ისტორიულ წერილობითი წყაროების ცნობებს უკავშირდება, ავსებს და ერთობლიობაში იძლევა იმის ჩვენებას, რომ ნაოსნობას ისტორიულად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს სამეურნეო ყოფაში. სანაოსნო მდინარეთა ყოველი ადგილის თავისებურებათა ზედმიწევნით ცოდნა, ტრანსპორტის სახეობათა შესაბამისად და ადგილისა და ამინ-

დის მიხედვით ლატვირთვა-განტივრთვისა და მართვის მოწყობა, მათგან რაღაცის მრავალფეროვნება და სხვ. მისთანანი ტრანსპორტის ამ სახეობის სიძველესაც მიუთითებს და მისი განვითარების სურათსაც წარმოაჩენს.

შენიშვნას იწვევს ნაშრომის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „ჩვენ არ შევჩერდებით წყლის ტრანსპორტის გამოყენების აღრინდელ საფეხურებზე, არც ამ სახეობის გაჩენის თეორიულ თუ პრაქტიკულ საფუძველებზე...“¹ გაუგებარი ჩანს—თუ რაში მდგომარეობს წყლის ტრანსპორტის „გაჩენის თეორიული საფუძველი“. ტრანსპორტის ამ სახეობის „გაჩენის პრაქტიკული საფუძველის“ შესახებ არის ნაშრომში, მაგრამ „თეორიულ საფუძველზე“ არაფერია ნათქვამი, ალბათ ეს არც მოხერხდებოდა.

ორი შენიშვნა ზოგადი ხასიათისაა: პირველი იმას შეეხება, რომ ნაშრომში გამოკვეთილად არ არის ნაჩვენები წყლის ტრანსპორტის როგორც წარმოშობის, ასევე განვითარებისათვის აუცილებელი ბუნებრივი პირობების ეკონომიური ხასიათი, რომელიც შრომის საშუალებათა კატეგორიაში ექცევა და, რომელსაც მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, რაც იგი საზოგადოების განვითარების აღრეულ საფეხურს ეხება. მეორე შენიშვნა იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოში ნავსადგომის შესახებ საკმაო მასალის არსებობის მიუხედავად, ნაშრომში არ ვხვდებით შესაძლებელი განმაზოგადოებელი ხასიათის დასკვნები. ნაკლებად ჩანს საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის მიხედვით ტრანსპორტის ამ სახეობის განვითარების კვლევის ცდა. ამის საჭიროება კი თვით ავტორს კარგად მოეხსენება და ამის გამო შენიშნავს კიდევ, რომ მისი ნაშრომი აღებული საკითხის წინასწარ მშობილვას ემსახურება. როგორც ჩანს, ავტორი განაგრძობს მუშაობას ამ თემის მონოგრაფიულ დამუშავებაზე.

როგორც რეცენზიის დასაწყისშივე იყო აღნიშნული, ა. რობაქიძის ნაშრომი ეხება მეფუტკრეობასთან დაკავშირებულ ერთ წეს-ჩვეულებას, რომელიც „ფუტკრის ყრის დროს სრულდებოდა“ და შემდგომში მდგომარეობდა: „ფუტკრის ოჯახის შინ დატოვების მიზნით, შესაბამისად ძველთაგან არსებული წესჩვეულებისა, მეფუტკრე ხან ხვეწნით მიმართავდა ფუტკარს („დედო, დედო, შინ დაჯეო“), ხან მიწას (თუ ნაცარს) აუმტევრებდა და წყალს მიაკუერებდა, რასაც ავღრის სიმულაციის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ხან რკინას აახმარებდა; ეს უკანასკნელი საშუალებაც, ხალხის გააზრებისათვის, ქუხილის (ავღრის) სიმულაციას წარმოადგენდა“². აღნიშნული წესჩვეულება ავტორს მაგიური ხასიათის მოქმედებად მიაჩნია. „საქართველოს მრავალ რაიონში — წერს ავტორი — ყველა ეს წესი ზოგჯერ ერთად სრულდებოდა და ამდენად წარმოადგენდა მაგიური ხასიათის წესების მთლიან კომპლექსს, რომელიც მიზნად ისახავდა ფუტკრის ოჯახის შინ დატოვებას“³.

ნაყარი ფუტკრის შინ დატოვების მიზნით რკინის ახმარება, როგორც ეს ნაშრომშია აღნიშნული, ზოგი მკვლევარის მიერ მიჩნეულია ავღრის სიმულაციად, ხოლო ზოგი „სემანტიკური მწკრივების“ საშუალებით ფუტკარს ლითონს უკავშირებს. ჩვენი ავტორი ამ საკითხის მესამე გვარ ახსნას იძლევა.

¹ „მომ-მხილველი“, III, 1953, გვ. 229.

² ა. რობაქიძე, მით. ნაშრომი, „მომოხილველი“, III, 1953, გვ. 272-273.

³ „წესჩვეულება“-ს პირობათა ვიდეო, რადგან ავტორი ხმარობს, თორემ ამ ტერმინით გამოხატული მოქმედება სხვა შინაარსისაა, რის შესახებაც სხვა ადგილას იქნება აღნიშნული.

⁴ ა. რობაქიძე, მით. ნაშრომი, „მომოხილველი“ III, გვ. 272.



აღნიშნული წეს-ჩვეულების შესახებ ავტორისეულ მსჯელობა-დასკვნას წინააღმდეგობა აღიზნებდა. ჩვენს მიერ აღნიშნული წეს-ჩვეულების მიმართულია რედაქციის მიერ დადგენილი წესები. ჩვენს მიერ აღნიშნული წეს-ჩვეულების მიმართულია რედაქციის მიერ დადგენილი წესები.

არსებული სათანადო გამოკვლევების მიხედვით ნაშრომში აღნიშნულია, რომ წინა აზრი წარმოადგენდა მეფუტკრეობის ერთ-ერთ უძველეს კერას, რომელიც უკავშირდება ქართველი ტომების მონათესავე, ზური-ურარტულ კულტურულ-ეთნიკურ სამყაროს. აღნიშნული მონაცემებით ავტორი ჯერჯერობით სარგებლობს და თავის მხრივ ასკვნის: „ზემომოხსენებულ ცნობათა მეშვეობით ზუსტად განისაზღვრება ქართველი ტომების მონათესავე ის კულტურულ-ეთნიკური სამყარო, რომელიც წარმოადგენდა შინაური მეფუტკრეობის ერთ-ერთ უძველეს კერას“⁵.

ამას მოყვება უცხოურ წერილობით წყაროთა ჩვენებები „საკუთრივ ქართველ ტომთა ყოფაში მეფუტკრეობის ძველთაგან მომდინარეობის შესახებ“, რომელსაც ახლავს ავტორისეული კომენტარები, და აღნიშნულია ძვ. წ. IV საუკუნისათვის კოლხეთში მოწინაურებული ფუტკრის არსებობის ფაქტი.

ნაშრომში საგანგებოდაა მიქცეული ყურადღება წყაროთა იმ ცნობაზე, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ალაგ-ალაგ კოლხეთში თავლი მათრობელა და მწარე გემოსი იყო. აქვეა შენიშნული ის გარემოებაც, რომ ამ მხარეში, მათრობელა თავლთან ერთად, საგრძნობი რაოდენობით მოიპოვებოდა მდალე ხარისხის თავლი. ამასთან დაკავშირებით ნაშრომში წერილობით წყაროების მნიშვნელოვანი ცნობები და ავტორის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მონაცემებია სათანადო დასკვნებით წარმოდგენილი.

„ტყიური მეფუტკრეობისა“ და „შინაური მეფუტკრეობის“ შესახებ არსებული წერილებით წყაროების არა სრულ ცნობებს ავტორი ავსებს მის მიერვე საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის შედეგად მოპოვებული მასალების მონაცემებით და მეფუტკრეობის მოხსენებული ფორმების ისტორიულ სურათს შედარებით სრულიად წარმოგვიდგენს. გარდა ამისა, ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ავტორი ადგენს მეფუტკრეობის ზემოაღნიშნულ ფორმათა შუალედ საფეხურს, „რომელიც ტყიური მეფუტკრეობიდან შინაური მეფუტკრეობისაკენ გარდამავალი საფეხურის სახით არის წარმოდგენილი“⁶. ასეთ ფორმად ავტორი მიიჩნევს გურიში გავრცელებულ ბუკების ხეებზე შემოლაგებას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთხსენებული ჩვენა (და არა „წისი“, როგორც ამას უწოდებს ავტორი) „ტყიური მეფუტკრეობიდან“ „შინაური მეფუტკრეობაზე“ გადასვლის შუალედი ფორმა შეიძლება არც იყოს, რადგან ხეებზე ბუკის შემოლაგების პირობებშიც ივულისხმება, რომ ფუტკარი უკვე მოწინაურებულია და აღნიშნული ღონისძიება გამომუშავებული იყო ტყიური თუ საფუტკრედან „გაქცეული“ ფუტკრის ოჯახის დასაბინავებლად. ამდენად, ხეებზე ბუკების შემოლაგება ფუტკრის „დაქცვის“ ხერხს წარმოადგენდა, რაც შეიძლებოდა მხოლოდ ფუტკრის მომწინებელ მეურნეს გამოეგონებინა. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ხეზე შემოდგმული ფუტკარიანი ბუკი, როგორც წესი, გარკვეული დროის შემდეგ — ფუტკრის დაოჯახების შემდეგ (ე. ი. როცა ფუტკრის „გაქცევის“ საშიშროება აღარ იყო), მეფუტკრეს საფუტკრეში — „ავგართაში“, გადმოქონდა. გარდა ამისა, ფუტკრის ბი-

⁵ ა. რობაკიძე, შიო. ნაშრომი, „მომოზილელი“, გვ. 272—273.

⁶ იქვე, გვ. 275.

ნის—ბუკის არსებობის ფაქტი თავის თავად ფუტურის მეურნეობის უკვე არსებობას გულისხმობს.

თუ ეს ვარაუდი მართალი გამოდგებოდა, მაშინ ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ ფუტურის მეურნეობის ვაძლიერებისათვის გამოყენებული აღნიშნული ღონისძიების გამომგონებელი ამ დარგის ძველიდან მომდინარე ცოდნა-გამოცდილების ნიადაგზე გამომუშავებული ჩვევების მქონე ხალხი უნდა ყოფილიყო. ეს დასკვნა კი არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნებოდა მეურნეობის ამ დარგის და საერთოდ კულტურის ისტორიისათვის.

ავტორი კვლავ უბრუნდება კოლხური თაფლის დამატობელ თვისებას პროფ. ნ. ბერძენიშვილის მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: „თაფლის ასეთი თვისებების პირობებში (იგულისხმება თაფლის მწარე გემო და დამატობელი თვისება, ი. კ.) რა მიზნებს ემსახურებოდა მეფუტურეობა ძველ საქართველოში“.

როგორც ავტორიც შენიშნავს, „კითხვა უთუოდ მნიშვნელოვანია და პასუხს მოითხოვს“. ავტორისეული პასუხი კი შემდეგია: „მეფუტურეობის არანაკლებ მნიშვნელოვანი პროდუქტი არის ცვილი“; „შავი ზღვის სანაპიროებზე მოპოვებულ ცვილს, მისი მაღალი ხარისხის წყალობით, შორს ჰქონდა მოხვეჭილი სახელი“. ამას მოყვება იმის აღნიშვნა, რომ „მეფუტურეობის განვითარების ერთ-ერთ სერიოზულ სტიმულს ცვილით ვაჭრობა შეადგენდა“⁷. ამასთან დაკავშირებით მართებულადაა შენიშნული, რომ „...თავის დროზე მეფუტურეობის განვითარების მთავარი პირობა ეს არ უნდა ყოფილიყო. მეფუტურეობის განვითარება შეპირობებული იყო შინაგანი მოთხოვნილებით და ამ მოთხოვნილებათა შორის, პირველყოფისა⁸, მეტალურგიული წარმოების ინტერესებით, კერძოდ, ლითონის ჩამოსხმის იმ წესით, რომელიც საკმაო რაოდენობით ცვილს მოითხოვდა“⁹.

მომდებლო მსჯელობისას ავტორი უფრო შორს მიდის და ნაკლებად დამაჯერებელ დებულებას კატეგორიული სახით აყენებს: „ჩვენი აზრით,—წერს ავტორი — ეს წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად პირობას, რომელიც განსაზღვრავდა (ხაზი რეცენზენტისა) ცვილის მოპოვების მუდმივი წყაროს არსებობას, ე. ი. მოშინაურებული ფუტურის არსებობას“¹⁰.

ზემოხსენებული დებულების მტკიცებისათვის ავტორი საკმაო საფუძველად მიიჩნევს შემდეგ მონაცემებს: 1. ლითონის ცვილზე ჩამოსხმის წესი ძველთაგან ცნობილია (ეგვიპტე, ურარტუ, კავკასია და კერძოდ საქართველო); 2. კავკასიასა და კერძოდ საქართველოში დიდი იყო მეტალურგიის წარმოების მასშტაბი; ასეთ ვითარებაში ცვილის მიღების მუდმივი და ორგანიზებული წყაროც უნდა არსებულებოდა, რაც მხოლოდ შინაური მეფუტურეობის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი.

აღნიშნულ წინამძღვართა საფუძველზე ავტორი შემდეგ ვარაუდს გამოთქვამს: „ამიერკავკასიაში მძლავრად განვითარებული მეტალურგია ქმნიდა იმ

⁷ ა. რ. ბ. ა. კ. ძე, მით. ნაშრომი, „მომომიზილველი“, III, გვ. 276.

⁸ მაგრამ არა „პირველყოფისა“, არამედ, უნდა იყოს „მეტალურგიული წარმოების ინტერესებითაც“.

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე.



ქართული
ენის ინსტიტუტი

ძირითად მოთხოვნებზე, რომელსაც ერთ-ერთი არსებითი ფაქტორის ერთ-ერთი უნდა შეესრულებინა ფუტკრის მოშინაურების და შინაური მეფუტკრეობის ასე მძლავრად განვითარების საქმეში¹¹ (ხაზი რეცენზენტისა). რასაკვირველია, თუ ზემოდასახელებული ფაქტორი აპირებდა არსებითად ფუტკრის მოშინაურებას და „შინაური მეფუტკრეობის“, „მძლავრად განვითარებას“, მაშინ სულერთი უნდა ყოფილიყო თუ რა თვისების იქნებოდა თავლი; ასე მსჯელობს ავტორი.

ამ საკითხთან დაკავშირებით სარეცენზიო ნაშრომში მოიპოვება ეთნოგრაფიული მასალა, ოთხელსაც არსებითი ანიშვნა უნდა აქვს. აქვე უნდა ითქვას, რომ მძლავრად გადაწყვეტისათვის, მაგრამ ავტორის მიერ იგი სათანადოდ გათვალისწინებული არ ჩანს.

საქმე ეხება იმ ფაქტორს მონაცემს, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ „მათრობელა თავლი არსებითად ლოკალური და პერიოდული მოვლენა უნდა ყოფილიყო“¹². ამასთან ერთად, მათრობელა თავლის გამოყენების საკითხის გამორკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ ქართველ ტომებს ძველიდანვე გააჩნდათ ცოდნა მათრობელა თავლის უვნებელსაყოფად. ამ გარემოების შესახებაც სრული ცნობა წარმოდგენილია ამავე ნაშრომში, რომელსაც ახლავს სწორად გააზრებული ავტორის დასკვნა. ა. რომაქიძე წერს: „საქართველოში ახლაც ცნობილია ზოგი რაიონი, სადაც მათრობელა თავლი შედარებით ხშირად იჩენს თავს. ერთ-ერთ ასეთ რაიონად ბაღს ქვემო სვანეთია მიჩნეული. შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ სწორედ ამ რაიონში მოხერხდა იქ მენძავიან თავლად წოდებული მათრობელა თავლის გადამუშავების თავისებური წესის დადგენა. თავლის მავნე თვისებების ლიკვიდაციის მიზნით ფუტკრის შოთებს ვააცხელებდნენ და სანთლისაგან თავლის გამოყოფის შემდეგ მას სიმინდის (ან პურის ფქვილისა) და ციარას (თელა) წვეს დაუმატებდნენ.“

სვანეთმა მეფუტკრეობასთან დაკავშირებითაც მრავალი უძველესი ტრადიცია შემოგვინახა; საფიქრებელია, რომ თავლის გადამუშავების ეს წესიც ერთ-ერთი ძველთაგანია და, გარდა ამისა, არა მხოლოდ სვანეთში ცნობილი¹³.

მასალაზე, ირკვევა, რომ მათრობელა თავლი სათანადოდ გადამუშავების შემდეგ საკვებად მოხმარებისათვის უვნებელი ხდებოდა. ამ ფაქტს მეფუტკრეობის ისტორიისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და იმის მაჩვენებელია, რომ მეფუტკრეობის ამ დარგში ქართველ ტომებს ძველიდანვე გააჩნდათ ზედმიწევნით სრული ემპირიული სამეურნეო ცოდნა და საწარმოო გამოცდილება; ეს გარემოება კი თავის მხრივ მეფუტკრეობის არსებობის ხანგრძლივ ისტორიაზე მიუთითებს და ქართველი ხალხის შორეულ, შედარებით მაღალ კულტურასაც ავლენს.

სხვათა შორის აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ეთნოგრაფიული მასალა, როგორც პირველწყარო, იძლევა წერილობითი წყაროების ჩვენებათა შინაარსის დადგენისა და ფაქტის სწორად ახსნის შესაძლებლობას. თუ არა ზემომოხსენებული ეთნოგრაფიული მონაცემები, აუხსნელი დარჩებოდა — თუ რა მიზნებს ემსახურებოდა მათრობელა თავლის მომცემი

¹¹ ა. რომაქიძე, შიშ. ნაშრომი, „მომომიხილელი“, III, გვ. 278.

¹² იქვე, გვ. 275.

¹³ იქვე, 276.

მეფუტკრეობა ძველ საქართველოში და ავტორისეული ვარაუდი ამის შესახებ საფუძვლიანი მოგვეჩვენებოდა.

რაკი დადგინდა ის ფაქტი, რომ როგორც მწარე გემოს მქონე, ასევე მათრობელა თაფლს, სათანადო გადამუშავების შემდეგ, ქართველი ტომები ძველითგანვე საკვებად იყენებდნენ, შესაძლებელი გახდა ფუტკრის მოშინაულება და მეფუტკრეობა აგვეხსნა საერთოდ მეურნეობის გაჩენის ერთიანი საფუძვლით, რაც ადამიანთა მიერ საარსებო საშუალებების მოპოვებაში მდგომარეობს; ე. ი. ფუტკრის მოშინაულება და მეფუტკრეობის არსებობასაც ძირითადად განსაზღვრავდა თაფლის, როგორც საკვები საშუალების, მოპოვება. რასაკვირველია, მეფუტკრეობის პირობებში მეტალურგიული წარმოების მოთხოვნილება (რომელიც აგრეთვე საარსებო საშუალებათა კატეგორიას განეკუთვნება) ცვილის საჭიროების სახით ფუტკრის მეურნეობის დაწინაურების ერთერთი პირობათაგანი იქნებოდა, მაგრამ იგი ტყუილი ფუტკრის მოშინაულებისა და მეფუტკრეობის არსებობის „არსებითად განმსაზღვრელი“ ფაქტორი თავიდანვე ვერ იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი დაშვების შესაძლებლობის მქონე არაპირდაპირი ცნობაც კი არ მოიპოვება. პირიქით, ავტორისეულ *a priori* მსჯელობას მრავალი გარემოება უშლის ხელს: მაგ., ავტორის მიერ აღებული პრინციპის მიხედვით უნდა გვეფიქრა, რომ სანამ ფუტკარს მოშინაულებდნენ, მანამდე ქართველმა ტომებმა იცოდნენ ცვილის დამზადება! ან ქართველ ტომებს ფუტკრის მოშინაულებამდე გააჩნდათ „მძლავრად განვითარებული მეტალურგია!! ამას ხომ საბუთი უნდა!

გარდა ამისა, ავტორის მიერ დასახელებული „ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის“ მოთხოვნილება ცვილზე ხომ ცვალებადია; მაგ., ნაცვლად ცვილისა, ფეოდალურ საქართველოში თაფლის სანთელზე მოთხოვნილება, თაფლთან ერთად იყო წინაპლანზე წამოყენებული; ასეა მაშინ, როცა თაფლზე, როგორც საკვებ საშუალებაზე, მოთხოვნილება საზოგადოებრივ-ეკონომიურ ყოფას უწყვეტივ მოყვება. ამ ფაქტიური ვითარების გახსენება იმისათვისაცაა საჭირო, რომ გვეთქვა — მუდმივად მოქმედი ეს უკანასკნელი მოთხოვნილება უნდა ყოფილიყო როგორც ფუტკრის მოშინაულების, ასევე მეფუტკრეობის არსებობის პირველი პირობა ყოველ დროსა და ვითარებაში.

ჩვენი ფიქრით, ასეთი უნდა ყოფილიყო პასუხი პროფ. ნ. ბერძენიშვილის კითხვაზე, რაც მხოლოდ მათრობელა თაფლის გამოყენების გარკვევის მიზნით იყო დაყენებული და არა იმიტომ, რომ გვემტკიცებინა — ფუტკრის მოშინაულებისა და მეფუტკრეობის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი და არსებითი ფაქტორი პირველყოვლისა მეტალურგიის წარმოებისათვის ცვილის საჭიროება იყო.

შემდეგი შენიშვნა შეეხება ცნებების — „ტყუილი მეფუტკრეობის“ და „შინაური მეფუტკრეობის“ შინაარსს. თუ რას გულისხმობს ავტორი ამ ცნებებში, კარგად ჩანს ნაშრომის შემდეგი ადგილებიდან: 1. „...ძველი წელთაღრიცხვის I ათასეულის მეორე ნახევრისათვის ქართველ ტომთა შორის, ტყუილ მეფუტკრეობასთან ერთად, არსებობდა მეფუტკრეობის ისეთი ფორმა, რომელიც მოშინაულებულ ფუტკარზე იყო დამყარებული“¹⁴; და 2. „ქართველი ხალხის ყოფაში დატული ეთნოგრაფიული მასალა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ მეფუტკრეობის ამ ორი ფორმის კონკრეტული სახე და, გარდა ამისა, აღვაღ-

¹⁴ ა. რ. ბ. ა. ქ. ი. ძ. ვ. მით. ნაშრომი, „ნიმომხილველი“, III, გვ. 275.



გინოთ ის შუალედი ფორმა, რომელიც ტყუილი მეფუტკრეობიდან შინაური მეფუტკრეობისაკენ გარდამავალი საფეხურის სახით არის წარმოდგენილი (ხაზი რეცენზენტისა).

მეფუტკრეობა ვარაუდობს მხოლოდ და მხოლოდ ფუტკრის მოშინაურების შედეგად არსებულ მეურნეობას. ამდენად მსაზღვრელად „შინაური“-ს ხმარება დანიშნულებას მოკლებული ჩანს. რაც შეეხება „ტყუილ (resp. ველურ — ი. ჯ.) მეფუტკრეობას“, იგი არც არსებობდა. აღნიშნულ ტერმინთა ხმარება ისევე შეუძლებელია, როგორც მაგ., არ შეიძლება ვამბობდეთ: „ტყუილი (ველური) მესაქონლეობა“ და „შინაური მესაქონლეობა“, „ტყუილი (ველური) შეხილეობა“ და „შინაური შეხილეობა“ და სხვ. მისთ. სხვაა, რასაკვირველია, „გარეული ფუტკარი“ და „შინაური ფუტკარი“, „გარეული ფრინველი“ და „შინაური ფრინველი“ და სხვ. მისთ.

ბოლოს, შევხებით სათაურში გამოტანილ ნაშრომის ძირითად საკითხს: „გაფრენილ“ ფუტკრის ოჯახის „დაკავების“ მიზნით რკინის ახმაურებას. ავტორი ფიქრობს, რომ რადგან ფუტკრის მოშინაურება „რამდენადმე მაინც“ დამოკიდებული იყო მეტალურგიულ წარმოებაზე, ამიტომ „იგი (რკინის ახმაურება — ი. ჯ.) შესაძლებელია გაგებული იყოს როგორც მელითონეობასა და მეფუტკრეობას შორის არსებული რეალური კავშირის ამსახველი წეს-ჩვეულება, ე. ი. ისევე ლითონთან დაკავშირებული, მაგრამ არა „სემანტიკური მწკრივების“ წყალობით, არამედ უფრო ბუნებრივი გზებით“¹⁶. ამ საჯარაულო მოსაზრებას ავტორის აზრით ამაგრებს შემდეგი მონაცემები: 1. რკინა, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში უარყოფითი ნიშნით გვევლინება, ამ შემთხვევაში კი დადებით როლს ასრულებს; 2. რკინის ახმაურება „ტყუილ მეფუტკრეობაში არ გვხვდება, იგი ორგანულად უკავშირდება უკვე შინაური მეფუტკრეობის სწორედ იმ მომენტს, როდესაც გარეთ მყოფი ფუტკარი ხელოვნურ გეგაში უნდა მოთავსდეს“¹⁷ (ხაზი ავტორისა).

პირველყოფილისა შენიშვნას იწვევს მოხსენებულ არგუმენტთა ფაქტიური მხარე. საქმე იმაშია, რომ ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით წესჩვეულებათა შესრულებაში რკინა გვევლინება როგორც „უარყოფითი“, ასევე „დადებითი“ ნიშნით; კიდევ მეტი, უმეტეს შემთხვევაში იგი უკანასკნელი ნიშნით გვხვდება. მიუხედავად ამისა, მეცნიერული სიზუსტისათვის უმჯობესი იქნებოდა რკინის უარყოფითი თუ დადებითი მნიშვნელობის მეტნაკლებობა პირობითად მიგვეჩინა. გარდა ამისა, ავტორის ამ მხრივ „გაანგარიშება“ სწორიც რომ აღმოჩენილიყო, მისი ძირითადი დებულების მტკიცებას მაინც ვერაფერს შემატებდა.

მეორე არგუმენტის შესახებ — რკინის ახმაურება „ტყუილ მეფუტკრეობაში არ გვხვდება“ — უნდა ითქვას, რომ ამაზე მსჯელობა არც უნდა გამოართულიყო, რადგან ზემომოხსენებულ ღონისძიებას „ტყუილი მეფუტკრეობა“ არც მოითხოვდა.

ამგვარად, გამოდის, რომ ავტორის დებულების მტკიცებისათვის მსჯელობიდან ორივე ზემომოხსენებულ ფაქტი, თანმხლები კომენტარებითურთ, უნდა გამოირიცხოს.

¹⁶ ა. რობაკიძე, მით. ნაშრომი, „მიმოხილველი“, III, გვ. 275.

¹⁶ იქვე, გვ. 279.

¹⁷ იქვე, გვ. 275.



რაც შეეხება საკუთრივ „რკინის ახმაურების“ ფაქტს, შემდეგ უნდა ითქვას: როგორც ადრე იყო აღნიშნული, სარეცენზიო ნაშრომის დასაწყისშივე მოცემულია კონკრეტული მასალაც და ავტორის კომენტარებიც იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა მიწის (თუ ნაცრის) ამტვერებას, წყლის მიპყურებას, ან „რკინის ახმაურებას“ „ფუტურის შინ დატოვების“ საქმეში. ამათგან პირველ ორს ავტორი „ავდრის სიმულაციის მნიშვნელობას“ ანიჭებს, ხოლო რკინის ახმაურებას ამგვარი გააზრებიდან გამორიცხავს და, როგორც დავინახეთ, სულ სხვა ხასიათის მოვლენად მიიჩნევს.

ეს ადგილი სარეცენზიო ნაშრომიდან იმიტომ გავიხსენეთ, რომ გვეთქვა: თუ მიწისა და ნაცრის ამტვერება, წყლის მიპყურება შეიძლება მიჩნეულ იქნას ავდრის სიმულაციად, მაშინ ამ ქმედობათა კომპლექსში „რკინის ახმაურებას“ არაფერი უშლიდა ხელს ამავე მიზნით ყოფილიყო გამოყენებული. ასეთი მსჯელობა ნაკლებ ძალდატანებითი ხასიათისა ჩანს, ვიდრე „ფუტურის“ „ლითონთან“ დაკავშირება.

ნამდვილად კი, ყველა ზემოჩამოთვლილი მოქმედება ფუტურის ოჯახის დაკავების მიზნით გამოყენებულ ფიზიკური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენდა.

ცნობილია, რომ არა მხოლოდ „შინიდან“ „გაქცეული“ ფუტურის, არამედ ეზოში „გადამფრინვალე“ უცხო ფუტურის ოჯახის გაჩერების მიზნით ახმაურებდნენ ყველაფერს, რასაც კი ხმის გამოცემა შეეძლო და რაც „საუცბათოდ შოხვდებოდათ ხელში“. ამ შემთხვევისათვის „კარდლის ძირი“, „თუნუქი“ და მისთ. იმით იყო, მაგ., ხის გობზე უკეთესი, რომ პირველი ორი, უკანასკნელთან შედარებით, უფრო ძლიერ ხმას გამოსცემდა, მამსადაამე, უფრო ძლიერად იმოქმედებდა ფუტურზე და შეაჩერებდა; ამ მიზნით, თუ მოასწრებდნენ, თოფსაც „გაისროლიდნენ“. ერთი სიტყვით, მნიშვნელობა ხმაურის სიძლიერეს ქონდა და არა იმას, თუ რა სავანზე დარტყმა იწვევდა ხმაურს. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ თავის დროზე მაგიური ზემოქმედებისათვის მაინც და მაინც რკინის ახმაურებას ხალხი საჭიროდ არ თვლიდა; მაგ., შშობიარობის გაადვილების მიზნით რკინას შშობიარე ქალის საგების ქვეშ შემოდებდნენ, ავი თვალისა და ავი სულების საწინააღმდეგოდ რკინის ამულეტს აკვანზე ჰკიდებდნენ და სხვ.

მამსადაამე, „გამფრინვალე“ ფუტურის წინ მიწისა თუ ნაცრის ამტვერება, წყლის მიპყურება, ხმაურის ატების მიზნით სხვადასხვა საგნების გამოყენება ფუტურის ოჯახის დაკავების დანიშნულებისა იყო და ხალხის ხანგრძლივი ემპირიული ცოდნა-გამოცდილების საფუძველზე შემუშავებულ რაციონალურ ღონისძიებას წარმოადგენდა. არავითარ შემთხვევაში ამ ღონისძიებათა ირაციონალურ სფეროში გადატანა, რელიგიური მოტივებით ახსნა, არ შეიძლება.


ძირითადი საკითხის არაღამაჯერებლად გადაწყვეტის მიუხედავად, ა. რობაქიძის სარეცენზიო ნაშრომი, მეფუტურეობასთან დაკავშირებული ცნობების თავმოყრისა და ზოგიერთი საყურადღებო მოსაზრების წამოყენების გამო, რის შესახებაც რეცენზიაში მოკლედ ითქვა, მნიშვნელოვანი წვლილია ქართულ ხალხის მეურნეობის ამ დარგის შესწავლის საქმეში.

ს ა რ ს ი — С О Д Е Р Ж А Н И Е

	83.
1. ვრ. ჩხიკვაძე — ოქტომბრის რევოლუცია და ქართული ხალხური სიმღერა	6
Г. З. Чхиквадзе — Октябрьская революция и грузинская народная песня	19
2. А. И. Робакидзе, Т. А. Очиаური, Дж. А. Рухадзе, Н. С. Топурия, Т. А. Чиковани — Современное грузинское жилище	21
3. ჯ. რუხაძე — საცხოვრებელი ნაგებობანი კახეთში	45
Дж. А. Рухадзе — Жилые постройки в Кახети	65
4. ბ. თოფურია — ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი გორის რაიონში	67
Н. С. Топурия — Новые жилые постройки в Горийском районе	78
5. А. С. Лекиашвили — К вопросу о генезисе культуры пива у грузинских горцев	79
6. ბ. ბრეგაძე — რაქა-ლეჩხუმში მივლინების ანგარიში	85
Н. А. Брегадзе — Отчет командировки в Рача и Лечхуми	97
7. ვ. ჯავახიშვილი — დასახლების ტიპი ს. შილაში	99
Г. Н. Джавахишвили — Тип поселения в сел. Шила	104
8. მ. ქანთარია — მიწათმფლობელობისა და სარგებლობის ფორმების საკითხისათვის ყაბარდონი XIX—XX სს. მიჯნაზე	105
М. Г. Кантария — О землепользовании и землевладении в Кабарде на рубеже XIX—XX вв.	117
9. თ. თაყაიური — ზოგიერთი ხალხური გადმოცემის შესახებ	119
Т. А. Очиаური — О некоторых народных преданиях	132
10. Н. П. Браиладзе — Женский костюм Горной Рачи	133
11. ლ. შოლოდიანი — ზეთის ხდის ხალხური წესები თრიალეთში	141
Л. Н. Молодини — Народный способ изготовления льняного масла в Тrialeti	155
12. ვ. ბარდაველიძე — ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა ბანთონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი	157
В. В. Бардавелидзе — Одна из древнейших ступеней развития пантеона астральных божеств грузинских племен	172
13. ი. ნახაბაშვილი — თბილისის დაბახანები	173
И. Д. Нанобашвили — Тбилисские «дабахана»	190



14. რ. ხ ა რ ა ძ ე — საოჯახო თემის გაღმონაშთები თუშეთში 213
 P. J. Харაძე—Пережитки семейной общины в Тusheti 213
 კ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა
15. გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე — აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სა-
 ხელმწიფო მუზეუმის შოამბე, ტ. XIX, თბილისი, 1956 წ. 215
16. ი. ჭ ყ ო ნ ი ა — „მომომხილველი“, ტ. III, თბილისი, 1953, 1. შ. გეგმ-
 შიძე, წყლის ტრანსპორტი დასავლეთ საქართველოში (გვ. 229—
 246); 2. ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობასთან დაკავშირებული
 ერთი წეს-ჩვეულების შესახებ (გვ. 278—280) 221



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი გ. ჩ ი ტ ა ი ა
 გამომცემლობის რედაქტორი აკ. ი ა კ ო ბ ა შ ვ ი ლ ი
 ტექრედაქტორი ნ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
 კორექტორი ლ. ჩ ხ ა ი ძ ე

გადაეცა წარმოებას 5.11.1958; ანაწყოების ზომა 7×12;
 ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.3.1959; ქალაქის ზომა 70×108^{1/16};
 ქალაქის ფურცელი 2,5; საბეჭდი ფურცელი 19,86;
 ხაავტორი ფურცელი 16,32; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 16,74;
 შეკვეთა 1919; უე 01453; ტირაჟი 1000.
 ფასი 13 მან. 80 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
 თბილისი, ა. წერეთლის ქ. № 3/5.

ფასი 13 მან. 80 კპპ.

19-333



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა